

**ვარდების ევო-ლუცია** 5

**ირაკლი ალასანიამ ვაშინგტონს მეფისნაცვალი სთხოვა** 3

**ბიუჯეტის სეკვესტრი გარდაუვალია** 6



**ოსმალეთში ქართველი ბავშვებით ვაჭრობის საზარელ ტრადიციას გამგრძელებელი გამოუჩნდა** 14


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

29 ივლისი — 4 აგვისტო, 2009 №23

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net


16

# არქიტექტორ ბათიაშვილს მიშას სასახლის ავტორობა მოჰპარეს



ახლა გვირაბი გამოდის ბარათაშვილის ძეგლთან. აქედანაც შეიძლება ყველა მიმართულებით წასვლა, მაგრამ უნდა დატრიალდე. ექსტრემალური ვითარების დროს კი, როცა ყოველი წუთი ძვირფასია, ეს დროის დაკარგვას და რისკის გაძლიერებას ნიშნავს.

ამასობაში გიგა ბათიაშვილმა არ გამოიჩინა აქტივობა იმ სურვილების მხარდასაჭერად, რომლებიც ჩვენს მთავრობას ჰქონდა. არ გავხდი ისეთი აქტიური, როგორც ზოგიერთი ჩვენი ცნობილი ინტელიგენტი... ერთ მშვენიერ დღეს მივედი მშენებლობაზე, დაცვამ ბოდიში მომიხადა — თქვენი საშვი გაუქმებულიაო და არ შემიშვა.

**ავტორის მოწმობა**


საქართველო

მოწმობა

N 1793

გიგა ბათიაშვილი: **ეს 25-მეტრიანი გვირაბი პრეზიდენტის საევაკუაციო საშუალებად იყო ჩაფიქრებული. ჩვენი პროექტით, გვირაბი რიყედან ზუსტად შენობის ქვეშ გადიოდა; იქ გამოდიოდა, სადაც უწინ ბენზინგასამართი სადგური იყო. ახლა არის თუ არა, ვერ გეტყვით... ავტომანქანა გვირაბში 25 მეტრით შედის და ლიფტით ადის პრეზიდენტის სამუშაო ზონაში.**

# ბაიდენმა დაგვიბარა... 2



აშშ პრეზიდენტი რონალდ რეიგანი და ზაირელი დიქტატორი სესე სეკო კუკუ ნგბენდუ ვა ზა ბანგა მობუტუ



აშშ სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი და ჩილელი დიქტატორი აუგუსტო ხოსე რამონ პინოჩეტ უგარტე



აშშ ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ რობინეტ ბაიდენ უმცროსი და საქართველოს მმართველი მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბაიდენმა დაგვიბარა...



აშშ პრეზიდენტი რონალდ რეიგანი და ზაირელი დიქტატორი სესე სეკო კუკუ ნგბენდუ ვა ზა ბანგა მობუტუ



აშშ სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი და ჩილელი დიქტატორი აუგუსტო ხოსე რამონ პინოჩეტ უგარტე



აშშ ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ რობინეტ ბაიდენ უმცროსი და საქართველოს მმართველი მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი

**აშშ ვიცე-პრეზიდენტის — ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტმა მართლაც გრანდიოზული მასშტაბი მიიღო. უსაფრთხოების ასეთ უპრეცენდენტო ზომებს თვით პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის დროსაც კი არ შეუწუხებია თბილისელები — ერთდროულად დაიკეტა მეტროპოლიტენის სამი სადგური, აიკრძალა რუსთაველის პროსპექტზე გადაადგილება. ალბათ, დაიბოლმა ბუში, ტეხასის რანჩოში ადგილს ვერ პოულობს, სასმელს მიეძალა. „ეს როგორ მაკადრა ჩემმა ხელისბიჭმა, ეს რა გრანდიოზული მიღება მოუწყო ბაიდენს, თითქმის გამიტოლა, იქნებ მისი სახელი ქუჩასაც კი დაარქვასო“, — ფიქრობს, მაგრამ ხმამაღლა ვერ ამბობს...**

გრანდიოზულ მასპინძლობას იმით ამართლებდნენ, რომ დედაქალაქიდან 40 კილომეტრში უცხო ქვეყნის ჯარი დგას, თუმცა ჯო ბაიდენი, სენატორის რანგში, შარშანაც გვესტუმრა სწორედ ომის დღეებში; მაშინ ასეთ დონეზე არავის უფიქრია სტუმრის უსაფრთხოებაზე, რადგან მასპინძელს თავისი გასჭირვებოდა და სენატორი ბაიდენი კი არა, მინისტრი კუშნერიც კი მიატოვა ფრონტისპირა ქალაქ გორში...

შემთხვევითი არ არის, რომ პრეზიდენტ ობამას მოსკოვური ვიზიტიდან სულ მალე ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი უკრაინასა და საქართველოს ეწვია. აშშ თავისი გრძელვადიანი საგარეო პოლიტიკის კორექტირებას ობამას ადმინისტრაციის მუშაობის პირველსავე ეტაპზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ მხრივ კი, როგორც ყოველთვის, გასათვალისწინებელია რუსეთის პოზიცია. თანაც, თუ შარშანდელი აგვისტოს ომის პერიპეტიებს გავიხსენებთ, უპირველესად, „ჩვენს დასახმარებლად“ ჩამოსული, სასმელი წყლით დატვირთული ამერიკული გემი გაგვახსენდება. ევროკავშირის აქტიურობა რომ არა, კაცმა არ იცის, რად იქნებოდა ახლა მთავარსარდალი სააკაშვილი...

არასოდეს დამავიწყდება ქართველი ნაცპოლიტიკოსების ბავშვური ჭყლოპინი, — რა გახარებულები იყვნენ, პრეზიდენტმა ობამამ პრეზიდენტ მედვედევთან შეხვედრისას ხაზგასმით რომ აღნიშნა, ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტსო. სუვერენიტეტი, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს! ვიღაცამ რომ შენს სუვერენიტეტს პატივი სცეს, ჯერ უნდა გქონდეს ეს სუვერენიტეტი! ჩვენ კი გვიხარია... ერთი წუთით წარმოიდგინეთ პრეზიდენტ სარკოზის, კანცლერ მერკელის ან პრემიერ ბრაუნის სახეები, პრეზიდენტმა ობამამ მათი სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემაზე თუნდაც ერთი სიტყვა რომ თქვას.

წარმოიდგინეთ მათი გაოცება და აღშფოთება?

**მაშინ დავუბრუნდეთ ამერიკელი ქორების ღირსეულ წარმომადგენელს, ჯოზეფ ბაიდენს. მან ძალიან კარგად იცის, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფო არ არის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1999 წელს, სწორედ აშშ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელ ჯო ბაიდენს შეუთანხმა იუგოსლავიაზე თავდახმის ოპერაციის დაწყება აშშ მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა, მადლენ ოლბრაიტმა. შეუძლია კი ვინმეს თქმა, რომ ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტს მაშინ, როცა მისთვის არაფერს ნიშნავდა იუგოსლავიის — საქართველოზე გაცილებით დიდი სახელმწიფოს — სუვერენიტეტი? იუგოსლავია ისე დაჩეხეს, წამითაც არ უფიქრიათ ათასობით ადამიანის — ბავშვების, ქალების, მოხუცების სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე.**

აშშ საგარეო პოლიტიკას წლების მანძილზე საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფდა სენატორი ბაიდენი და, როცა გავლენის სფეროებსა და დიდი სახელმწიფოების დომინაციაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ქვეყანა მათთვის მხოლოდ ვაჭრობის საგანია და ლაპარაკიც ზედმეტია აშშ-საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობაზე.

**აშშ ლიდერები კვლავაც აცხადებენ, რომ საქართველოს ასარჩევია, რომელი ალიანსის წევრი გახდება და სხვას არ აქვს მის საქმეში ჩარევის უფლება. რუსეთის ხელისუფლებაც იგივეს აცხადებს, ოღონდ შარშანდელი აგვისტოს ომის წლისთავზე და ეს ჩვენთვის ძალიან დამაფიქრებელია. მით უმეტეს, რომ სენატორი ბაიდენი, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ლამის კერპად გაიხადოს, პირდაპირ გვეუბნება, ძალის გამოყენებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფიქრი თავიდან ამოიგდეთ და დემოკრატიული ღირებულების დამკვიდრებით ააშენეთ ქართული სახელმწიფოო.**

რამდენად შეისმენს პრეზიდენტი სააკაშვილი ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის შეგონებას, ძნელი სათქმელია. თავის დროზე სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისსაც ფერი დაუკარგა თეთრი სახლის ფავორიტის თავდაჯერებულობამ.

საქართველოს პარლამენტში ტაშით ხელებგადატყავებულმა დეპუტატებმა კი მოისმინეს, მაგრამ მეეჭვება, ყურადღება მიაქციეს მაღალი სტუმრის „განაჩენს“:

**„ვარდების რევოლუცია მხოლოდ მაშინ იქნება სრულყოფილი, როდესაც ხელისუფლებაც გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული იქნება; როდესაც საკითხების განხილვა მოხდება ამ ორგანოს (პარლამენტის) შიგნით და არა — მხოლოდ გარეთ, ქუჩაში; როდესაც თქვენ (ხელისუფალნი) სრულიად მოაგვარებთ ძირითად საკონსტიტუციო საკითხებს პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის დაბალანსების კუთხით; როდესაც ყველასათვის თანასწორი პირობების მომცემ საარჩევნო სისტემას შექმნით; როდესაც მედია იქნება სრულიად დამოუკიდებელი, რათა მიაწოდოს ხალხს ინფორმაცია, რომ მათ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება შეძლონ, რათა ხელისუფლება ანგარიშვალდებული იყოს მიღებულ გადაწყვეტილებებზე; როდესაც სასამართლო თავისუფალი იქნება გარე ზემოქმედებისგან და კანონის უზენაესობა მტკიცედ დამყარდება; როდესაც ძალაუფლების გადაცემა მოხდება მშვიდობიანი, კონსტიტუციური და დემოკრატიული პრინციპების გზით და არა ქუჩაში“...**

დეპუტატებს ამ სიტყვების კიდევ ერთხელ გადაკითხვას ვურჩევ. „პირველად საქართველოს ისტორიაში“ ნაციონალური ხელისუფლება ისე მწარედ გაასილაქეს, ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულან. ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის შენიშვნებში ჩამოთვლილი მტკივნეული საკითხები საქართველოს მოსახლეობას, დიდი ხანია, სისხლს უშრობს. არაერთხელ მოისმინა ხელისუფლებამ ამ პრობლემების შესახებ, მაგრამ ვერ შეისმინა, ახლა მოუწევს, რადგან ბაიდენმა დაგვიბარა...

დაგვიბარა რა, — მიშას დაუბარა...

**ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტის პირველ დღეებში ოფიციალური ვაშინგტონი თავს იკავებდა და არაფერს ამბობდა იმის შესახებ, რამდენად მისაღები იყო მათთვის საქართველოს თხოვნა იარაღითა და დამკვირვებლებით დახმარების თაობაზე. კულუარულ მოლაპარაკებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და გამორიცხული არ არის, სწორედ ამ საკითხზე ბაიდენის თანხმობამ გააბედნიერა პრეზიდენტი სააკაშვილი. ასეთ შეცდომებს პატარა ქვეყნების ხელისუფლებები ხშირად უშვებენ და მერე ამ ავანტურების საზღაურს ხალხი იხდის. თუმცა ამერიკელებმა კარგად იციან, რა შეიძლება მოიმოქმედოს არაპროგნოზირებადმა სააკაშვილმა, თუკი ხელში „ასანთს“ მისცემენ. ბაიდენის პირდაპირი ნათქვამიც, ძალით ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრი ცხელი თავებიდან ამოიგდეთ და „დემოკრატიის ფესვების გაღრმავებაზე“ იზრუნეთო, ამაზე მიანიშნებს. რაც შეეხება აშშ მეთვალყურეების გამოგზავნას, ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის თქმით, „როდესაც გვთხოვენ, გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ“.**

საქართველოს ხელისუფლების მილიტარისტული მისწრაფებები არ გამოჰპარვია (რატომღაც!) რუსეთს და არც დაუმალავს თავისი დამოკიდებულება. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა ხაზგასმით აღნიშნა:

**„ჩვენ შეშფოთებული ვართ საქართველოს ხელისუფლების საქმიანობით იმ თვალსაზრისით, რომ თბილისი ქვეყნის რემილიტარიზაციით არის დაკავებული. ზოგიერთი სახელმწიფო ამას მშვიდად უყურებს და პოზიტიურად აფასებს. რუსეთი კონკრეტულ ზომებს იღებს საიმისოდ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა არ მიიღოს ახალი შეიარაღება“.**

ახლა ძნელი სათქმელია, რა უდევს საფუძვლად რუსი დიპლომატის ამ განცხადებას, მაგრამ ფაქტია, რომ „პრევენციული დიპლომატიის“ ჩარჩოებს არ სცილდება და ერთგვარი გაფრთხილებაც არის არა მარტო საქართველოს ხელისუფლებისთვის. თუკი აშშ უახლესი ამერიკული თავდაცვითი შეიარაღებით უზრუნველყოფს საქართველოს, ბუნებრივია, რუსეთი ამას „თავდასხმით შეიარაღებად“ აღიქვამს.

თავის ორ ინტერვიუში, რომელიც მან Wall Street Journal-სა და Washington Post-ს მისცა, საქართველოს პრეზიდენტმა რუსების შესაძლო თავდასხმისგან თავდაცვის მიზნით, შეერთებული შტატებისგან ანტისაჰაერო და ანტისატანკო აღჭურვილობის მიღების სურვილი გამოთქვა.

ამ ფონზე მნიშვნელოვანია რუსეთის პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის განცხადება. მისი თქმით, „რუსეთ-ამერიკის ახალმა ურთიერთობამ მოსკოვისა და ვაშინგტონის სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, უკრაინასთან და საქართველოსთან ურთიერთობის გაუარესება არ უნდა გამოიწვიოს“.

პრეზიდენტმა მედვედევმა ისიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩვენ გვჭირდება ნორმალური, სამუშაო, მეგობრული, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა ამერიკასთან“.

დიდი პოლიტიკა დიდი გულწრფელობით არ გამოირჩევა. როდესაც გავლენიანი სახელმწიფოების მეთაურები ამგვარ განცხადებებს აკეთებენ, ბუნებრივია, თავიანთი ქვეყნების ინტერესების უპირობო დაცვას გულისხმობენ.

ამდენად, ბუნებრივია, რომ პრეზიდენტ ობამას სურვილში, აშშ უკრაინასა და საქართველოზე დამოკიდებულებისგან გაათავისუფლოს, არაფერია განსაკუთრეული და მოულოდნელი. ამერიკულ პოლიტიკას აღარაფერში სჭირდება უკრაინისა და საქართველოს დახმარება რუსეთის შესაკავებლად. ობამა-მედვედევის მოსკოვურმა შეხვედრამ უკვე დაადასტურა, რომ მათ უჩვენოდაც შეუძლიათ საერთო ენის გამონახვა, აშშ გლობალური პოლიტიკური მიზნების მისაღწევად კი ვაშინგტონშიც კარგად ხვდებიან, რომ აუცილებელია რუსეთთან თანამშრომლობის გააქტიურება.

უფრო მეტიც, ბაიდენის, მსუბუქად რომ ვთქვათ, რეალობას მოკლებულმა განცხადებებმა რუსული მხარის გაღიზიანება და ამერიკული პრესის წარმომადგენელთა განცვიფრება გამოიწვია. ვიცე-პრეზიდენტის აღნიშნული ინტერვიუს შემდეგ თეთრი სახლი იძულებული გახდა, ბაიდენის გამო თავი ემართლებინა.

**— სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ აშშ პრეზიდენტმა მოსკოვში**

**ვიზიტისას განიხილა ყველა პრობლემა (ორმხრივი ურთიერთობის) და ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტის შეხედულებებს იზიარებს, — განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რობერტ გიბსმა ჯოზეფ ბაიდენის მიერ Wall Street Journal-ისთვის მიცემული ინტერვიუს კომენტირებისას.**

**ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ის გარემოებაც, რომ აშშ და საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა გაგრძელდება ყველა სფეროში, გარდა მძიმე ტექნიკის მოწოდებისა. ამის შესახებ განაცხადა აშშ ელჩმა რუსეთში ჯონ ბაიერლიმ. მისივე თქმით, აშშ კავკასიაში თავისი დამკვირვებლების გამოგზავნას არ აპირებს.**

რაც შეეხება ბაიდენის ვიზიტს, თბილისში ჯორჯ ბუშიც იყო ჩამოსული და მეიდანში „კინტოურიც“ კი წაუცეკვა. საერთოდ, ამერიკის პრეზიდენტები, ვიცე-პრეზიდენტები თუ სახელმწიფო მდივნები, როცა საქმე ვაშინგტონის ინტერესებს ეხება, მობუტუს, პინოჩეტისა თუ სააკაშვილისნაირ ლიდერებთან შეხვედრასა და ხელის ჩამორთმევას არასოდეს თაკილობენ.

**ასე რომ, სად არის ამერიკისა და რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების და „ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების“ დროს საქართველოს ადგილი, ამის შესახებ ვერც ჩვენი ხელისუფლება გვეუბნება და არც ბიძია ჯოს — ბაიდენს დაუბარებია რამე. დროა, გუმანი ან საგაზეთო პუბლიკაციისთვის მეტად სკაბრეზული კახური ანეკდოტი მოვიშველიოთ...**

არადა, რა გავუმასპინძლდით?

**ბონდო მძინარაშვილი**

# ირაკლი ალასანიამ ვაშინგტონს მეფისნაცვალი სთხოვა

**ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა იცოდნენ, რომ „ძალაუფლება შობს (აღაგზნებს) სიძულვილს. — ასე წერს ისტორიკოსი აპიანე ალექსანდრიელი და განაგრძობს, — ყველაფერი, რაც კეისარმა (იულიუს კეისარზე ლაპარაკობს) აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ჩვენთვის დაიპყრო... კანონების ძალით, მოფერებითა და მოწყალებით განამტკიცა“ („რომის ისტორია“).**
**ეს შეფასება მაშინ გამახსენდა, როცა ირაკლი ალასანიამ — „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერმა თავის პრესკონფერენციაზე, ხელისუფლების მშვიდობიანი გზით ცვლილებაზე რომ ლაპარაკობდა, განაცხადა: „მნიშვნელოვანი იქნება, თუ შეირჩევა საერთაშორისო გამოცდილების მქონე პიროვნება, რომელიც სწორად შეასრულებს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პოლიტიკური შეთანხმების შესრულეაზე როგორც ზედამხედველობას, ასევე, მისი შესრულების გარანტორიც გახდება“.**



**ანასტასიო გარსია სამოსა** — კაცი, რომელსაც ვაშინგტონმა „ჩვენი ძაღლიშვილი“ უწოდა



**მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი** — კაცი, რომელიც ვაშინგტონმა „დემოკრატიის შუქურად“ მონათლა



**ირაკლი მამიას ძე ალასანია** — კაცი, რომელმაც ვაშინგტონს მეფისნაცვალი სთხოვა

სად — აპიანე, სად — ალასანია?

ახლავე მოგახსენებთ.

ირაკლი ალასანია კეისარივით აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ჩვენთვის გოჯი მიწის დამპყრობი რომ არ არის, დღესავით ნათელია. არც — დამპყრობი, არც — დაკარგული ტერიტორიების დამბრუნებელი. ეს თავსატეხი პრობლემა თავის პროგრამულ გამოსვლაში არც უხსენებია, თორემ სააკაშვილმა ინაუგურაციაზე რომ იტრაბახა, იქიდან გამოდნა რამე?

რა მოწყალების გამცემია, არავინ იცის, საეჭვოა, რამე ჰქონდეს გასაცემი, რადგან „ღარიბების ბედის წყაროსავით“ სადაცაა დაშრება ის დახმარებები, რომლებსაც აშშ და ევროპა ჩვენთვის გაიღებს.

ხოლო სხვა წყარო არსად „ამოქუხდება“.

აპიანეს ტრიადიდან დარჩა მესამე — მოფერება, რასაც არც ჭკუა სჭირდება, არც — სახელმწიფო გამოცდილება. საკმარისია ლაქუცი.

ვის ეფერება ბატონი ირაკლი?

**ვის და, საქართველოს გენერალ-გუბერნატორს, რომელიც მისი თხოვნითა და მოწვევით ჩამოვა საქართველოში; არბიტრ-კონტროლიორად დაუდგება ოპოზიციასა და ხელისუფლებას ალასანიას სასარგებლოდ.**

გაუგორებ კოჭებს ასეთ კაცს, აბა, რა იქნება! სხვა, აბა, რისი გამკეთებელია ალასანია: „ურემმა შეშა თუ არ მოიტანა, თვითონაა შეშა“.

მთავარი ამ შეთანხმებაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის მორიგებაა. ხალხი? ხალხი, რომელიც ხელისუფლების წყაროა, ვის ახსოვს ან სად დაჰკარგვია ვინმეს?!

იცით, რით ჰგვანან ერთმანეთს ხელისუფლებისა და ოპოზიციის გლადიატორები? ორივე მხარეს ხალხი ფეხებზე ჰკიდია და ორივე უნისონში გაიძახის — ხმა მე მომეო!

სააკაშვილი აშშ-ის განებივრებული სიყვარულია, ალასანია — ამომავალი ცისკრის ვარსკვლავი, რომელიც ცეერუს დერეფნებში აანთეს და ისე შემოგვიდგეს, როგორც საახალწლო ნაძვის ხის სათამაშო მაშხალა.

მიშას დრო დამთავრდა ისევე, როგორც თავის დროზე ჩილეს სამხედრო დიქტატორის აუგუსტო პინოჩეტის, რომელსაც აშშ-ის ადმინისტრაცია გუნდრუკს უკმევდა, ჩილეს პრეზიდენტადაც დაანიშნინა თავი და ხალხის სისხლში ხელების გსვრა დემოკრატიულ რეფორმებად და კომუნისტური ჭირით დაავადებულებისგან საზოგადოების განწმენდად ჩაუთვალა: **„პინოჩეტის რეჟიმი ძალიან ჰუმანურად ეპყრობოდა ადამიანებს. 16 წლის განმავლობაში პინოჩეტმა მოსპო 3000 ჭირიანი ადამიანი, რომელთაც მხოლოდ საზიზღრობის გაკეთება შეეძლოთ... ამან გადაარჩინა ქვეყანა“, — წერენ დიქტატორის მეხოტბენი, — „ათმილიონიან ქვეყანაში სამი ათასი არაფერია“.**

თითქმის იგივეს ამბობენ მიხეილ სააკაშვილზე მისი უმრავლესობის წევრები: **დიდი ამბავი, თუ ციხეებში მოთავსებული ადამიანების რაოდენობამ ყველა რეკორდი მოხსნა, რომ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრება ნორმად იქცა, რომ ქუჩაში უდანაშაულო ბიჭების დახვრეტა, ხოლო მკვლელების დაუსჯელობა წესია, რომელსაც ვერ შეცვლი...**

5-მილიონიან საქართველოში რამდენიმე ათეულის თუ ასეულის გაწირვა არაფერია, არ დაეტყობა სტატისტიკას.

**დღეს ამერიკა პინოჩეტის მთავარი ბრალმდებლის როლში გამოდის. მაგრამ ჩილეს საზოგადოებრიობის სიცოცხლისუნარიანობის აღდგენას, როგორც ექსპერტებს მიაჩნიათ, წლები დასჭირდება, თავდაუზოგავი ბრძოლა წლების განმავლობაში.**

**ჯო ბაიდენის მიერ სააკაშვილის ქებათა-ქება, როგორც ვარაუდობენ, ამ ჟანრის უკანასკნელი გაელვებაა.**

**ჩაიფუშა ვაშინგტონის პროექტი „მიხეილ სააკაშვილი“ ისევე, როგორც თავის დროზე პინოჩეტი — „ჩიკაგოელი ბიჭების (ეკონომისტების) პროექტი.**

საქართველოში ეკონომიკა, როგორც ასეთი, არ არსებობს.

პინოჩეტის მმართველობის წლებში მხოლოდ ხუთ ლათინოამერიკულ ქვეყანას ჩილეზე უარესი მაჩვენებელი ჰქონდა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის თვალსაზრისით.

ჩილეს „ეკონომიკური სასწაული“ არ შედგა.

საქართველოში სასწაული ისაა, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, ასე თუ ისე.

პინოჩეტმა ოპოზიცია სრულად ჩამოაცილა პოლიტიკურ ასპარეზს — ჩარეცხა.

სააკაშვილმაც სცადა, არ გამოუვიდა, მაგრამ დღესაც ამაზე ოცნებობს, ალასანია კი ეძებს კონტროლიორს, ვისაც რომაელი იმპერატორივით მოფერებით მოისყიდის.

**პინოჩეტს აშშ პრეზიდენტები ისე ეპყრობოდნენ, როგორც თანასწორს, როგორც სომოსას — ნიკარაგუის ყოფილ პრეზიდენტს, რომელიც, ამერიკელების შეფასებით, ძაღლის შვილი იყო, მაგრამ — „ჩვენი ძაღლის შვილი“.**

რას იტყვიან ხვალ „დემოკრატიის შუქურაზე“, ალბათ, მალე გავიგებთ.

ალასანიასთვის ჯერ ვერ მოიცალეს, თუმცა...

აუგუსტო ხოსე რამონ პინოჩეტი უგარტე 1998 წელს ესპანეთის ხელისუფლების მოთხოვნით, რომელმაც ბრალად დასდო გენოციდი, ტერორიზმი, ესპანელი, ჩილელი და სხვა ქვეყნების მოქალაქეთა მკვლელობა, სასამართლოს წინაშე წარსდგა, თუმცა მართლმსაჯულებას სიკვდილმა დაასწრო.

**ლაშა გიორგიძე**

# «პრესა ყეფს, სააკაშვილის «დელეცები» კი მაინც მიდიან!»

**ვერაფერს იტყვი, რადგან „ნაციონალების“ დემოკრატია, ბიზნესის თავისუფლება და, მათ შორის, ქვეყნის ქონების განიავება ამასაც გულისხმობს. არ დაგიმალავთ და, მართლა გამიკვირდა — ნუთუ ამ ქვეყანაში იმაზე მეტად ბნელა, ვიდრე მეგონა? „საქართველო და მსოფლიომ“ წინა ნომერში თავის მკითხველს შესთავაზა პრეზიდენტის №440 ბრძანებულება, რომელზეც აშკარა „ძალადობის“ კვალია და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ „ძალადობის“ გამოსაძიებლად მისი ადმინისტრაციიდან არავინ გამოგვხმაურებია!**

ერთადერთი, ვინც სტატიის გამო აღშფოთება ვერ დამალა, „ჯორჯიან ეარ ვეისის“ პიარის უფროსი ნინო გიორგობიანია, თუმცა ჩვენთვის დაპირებული დოკუმენტაცია (საჯარო), აღშფოთების მიუხედავად, დღემდე ვერ გადმოგვიგზავნა. არადა, სიმართლის გასარკვევად სწორედაც რომ დროული იქნებოდა მათი ორგანიზაციის მხრიდან! ასევე ვერ „ველირსეთ“ დოკუმენტების მიღებას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსისაგან, რომელსაც ჩვენთვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი ელექტრონული ფოსტით გავუგზავნეთ!

გუშინ, პარლამენტში ყოფნისას, დეპუტატი ვახტანგ ბალავაძე რამდენიმე წუთით შევაჩერე და ვთხოვე, პრეზიდენტის №440 ბრძანებულების ასლში ხელით დასმულ „ბრჭყალებზე“ კომენტარი გაეკეთებინა. ბატონმა ბალავაძემ ჩვენი ეჭვები თითქმის დაადასტურა და თქვა: „ჰო, ხელით დაწერილს ჰგავს, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ოფიციალურად მიმართოთ პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მოითხოვოთ ბრძანებულების დედნის ასლი და არა მგონია, მათი მხრიდან უარი მიიღოთ. ისიც არა მგონია, ამ ტიპის ბრძანებულება გრიფით „საიდუმლო“ იყოს და რა გიშლით ხელს, ახლავე წაბრძანდით და მოიპოვოთ?“

ბატონო ვახტანგ! მადლობა ღმერთს, თქვენი თვალით ნახეთ „ჩასწორებული“ ბრძანებულება, მაგრამ იცით, რა მაინტერესებს? თქვენი პრეზიდენტის ასეთი თავგამოდებული დამცველები რომ ხართ ტელეკამერებისა და მიკროფონების წინ, რატომ მაშინვე არ დაინტერესდით ჩემს ხელთ არსებული დოკუმენტებით და თავად რატომ არ დაუკავშირდით ადმინისტრაციის უფროსს ეკატერინე შარაშენიძეს, მოეწოდებინა თქვენთვის დედნის ასლი, თუნდაც ჩემი თანდასწრებით? რა, პრეზიდენტის ბრძანებულებების ასლებს ყოველდღე აყალბებენ, ასეთი გულგრილი რომ იყავით? მე თქვენს ადგილზე უმალ საჭიროებისამებრ მოვიქცეოდი და დანარჩენზე კი თავად დაფიქრდით.

ჩვენ კი ეკატერინე შარაშენიძეს აუცილებლად მივმართავთ შემდეგი ტექსტით: ქალბატონო ეკატერინე! გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 6 ოქტომბრის №440 ბრძანებულების დედნის ასლი, რომელზეც გარკვევით ეწერება შემდეგი: ბრძანებულების დედნის ასლი იდენტურია და სწორია! ახლა კი, ვაქვეყნებთ იმ დოკუმენტებს, რომლებშიც ცხადად ჩანს, რომ ორი „ЯК-42“-ის ტიპის საჰაერო ხომალდი ჯერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შეიძინა, ხოლო მოგვიანებით ქალაქ ბათუმის მერიის ბალანსზე აიყვანეს.

**ირინა გოგოსაშვილი**

**P.S. ნურავის ეგონება, თითქოს დიდი მოლოდინით შევცქეროდი, ესა თუ ის სახელმწიფო უწყება როდის გადმომიგზავნიდა საჭირო დოკუმენტებს. ბატონებო! შეგიძლიათ, არ შეწუხდეთ. ის, რასაც თქვენ არასოდეს მომცემდით, მრავალ ეგზემპლარად იგივე უწყებებიდან უფრო ადრე მოვიპოვე და ვიდრე თქვენ ფიქრობთ, ნელ-ნელა ყველაფერს უკლებლივ დავბეჭდავ შესაბამისი კომენტარებით. ყოველივე ამის შემდეგ კი, ალბათ, შესაბამისი უწყებებიც დაინტერესდებიან და უფრო მეტ კითხვაზე მოგიწევთ პასუხების გაცემა, რის შემდეგაც, ალბათ, საბოლოოდ გაირკვევა, „ბნელა თუ არ ბნელა“ სააკაშვილის საქართველოში!**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭო
ქ. ბათუმი

განკარგულება

26 დეკემბერი 2000 წ. № 179-გ

აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიმდინარე წელს 27 ნოემბრის კონტრაქტი № 16-L/P შესაბამისად შეძენილია იაკ-42დ ტიპის ორი საჰაერო ხომალდი (I-ტიპი იაკ-42დ, გამოშვების წელი 06.09.1991, საქარხნო № 4520423116650; II-ტიპი იაკ-42დ, გამოშვების წელი 29.07.1991, საქარხნო № 4520423116579).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს საჰაერო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ავიამომსახურეობის შეუფერხებელი და ეფექტური გაწევის მიზნით, აღნიშნული საჰაერო ხომალდები გადაეცეს ავიაკომპანია „აჭარას“ ექსპლოატაციაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — გ. ცინცქილაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქალაქ ბათუმის მერია

№ 62 — 8 - აპრილი 2002 წ.

განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 2002 წლის 25 მარტის №22 დადგენილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის შეძენილი „ЯК 42 - Д“ ტიპის ორი თვითმფრინავი (საბორტო №4 LAAM №4 LAAR) ბალანსზე გადმოეცა ქალაქ ბათუმის მერიას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის შეუფერხებელი და ეფექტური ავიამომსახურების მიზნით აღნიშნული საჰაერო ხომალდები ექსპლოატაციაში გადაეცეს ავიაკომპანია „აჭარა“-ს.

მერი. — გ. აბაშიძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ტაქტიკური მაამებლობა სტრატეგიულ პატრონთან

**დიახ, ბატონებო! სათაურის ბოლო სიტყვა ბეჭდვის დროს გაპარული ტექნიკური შეცდომა არ გეგონოთ — პატრონთან და არა პარტნიორთან, რადგანაც პარტნიორობა, მეტ-ნაკლებად, თანასწორობას გულისხმობს, რაც აშშ ვიცე-პრეზიდენტის — ჯო ბაიდენის ვიზიტს, რომელსაც ოპოზიციამ თუ პოზიციამ უკვე უწოდა: უპრეცედენტო, ისტორიული და შეამკო სხვა აღმატებულ-აღმაფრთოვანებელი ეპითეტებით; ძნელად რომ ვინმეს დაენახა, რადგანაც პარტნიორებს ისე უაპელაციოდ, მონური ერთგულებით არ შესციცინებენ თვალებში, რაც არა ერთხელ ვიხილეთ პარლამენტში, პიონერთა სასახლეში თუ „თბილისი მარიოტში“ პოზიციის თუ ოპოზიციის მხრიდან.**



ხელისუფლება, მაძღარმუცელა მონები, რომელთა სტრატეგიული მიზანი სტატუსქვოს მინიმუმ 2013 წლამდე შენარჩუნებაა, ფინია ძაღლებივით კუდებს აქიცინებდნენ, ოპოზიცია კი ხბოს აღტაცებით შესცქეროდა აშშ ვიცე-პრეზიდენტს — კუდის ქიცინი და მაამებლობა არც ჩვენთვისაა უცხო, „ნაცებზე“ ნაკლებად როდი გვეხერხება. ჯო ბაიდენი, რომელიც კრეტინი ჯორჯ ბუშის ქუჩით შემოვიდა თბილისში, აქ ისე გრძნობდა თავს, როგორც აშშ კოლონიაში თუ არა, რესპუბლიკელების მიერ დემოკრატებისთვის არენდის წესით გადაცემულ სახმარ მამულში მაინც — „ნაბუშარ“ საქართველოში.

რამდენად იყო ეს ვიზიტი ისტორიული, რა იგულისხმება სმენისთვის უდავოდ სასიამოვნო სიტყვების (ობამას მიერ მოსკოვში ნათქვამის თუ ბაიდენის მიერ აქ თქმულის) მიღმა, როგორც იტყვიან, ვისი აჯობებს — მედვედევის ცხინვალში, თუ ბაიდენის თბილისში ჩამოსვლა, რაიმე რეალურ სიკეთეს მოგვიტანს ბაიდენის გზავნილები თუ, როგორც არა ერთხელ ყოფილა, უკანასკნელად შარშან აგვისტოში, ხვალაც ორი აქლემის — აშშ-რუსეთის ჭიდილში ისევ კოზაკი საქართველო გაიჭყლიტება?

ამ კითხვებზე პასუხისთვის, რომ იტყვიან, „ბრძენთა ხმობა არ დაგვჭირდება“. რა გველის, საით მიექანება საქართველო, ამის სიმპტომები, ტენდენციები უახლოეს მომავალში გამოჩნდება, ერთი მხრივ, გარეთ — აშშ-სა და რუსეთის რეალური ქმედებებიდან და, მეორე მხრივ, შიგნით — ოპოზიციის და, უპირველესად, სააკაშვილისაგან.

**მანამდე კი მკითხველის სამსჯავროზე მაამებლობის, „პადხალიმობის“ აშკარა ფაქტები მინდა, გამოვიტანო, რომლებიც მრავლად ახლდა ამერიკელი მაღალი რანგის სტუმრის ვიზიტს და რომელთა ხილვამ, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ გუნებაზე დამაყენა, რადგანაც...**

## „სულ ყველაფერზე თავის კანტური საქციელია არაქართული!“

**ასე უთქვამს თავის დროზე დიდ მუხრანს. ვითომ იმ „თავის დროზე“-დან იმხელა დრო გავიდა, რომ აღარ გვახსოვს, მაამებლობა, „პადხალიმობა“, თუნდაც ძვირფასი სტუმრის ფეხქვეშ გაგება უკადრისი საქციელი რომაა ვაჟკაცისთვის? უნებლიეთ წამომცდა „ნაცების“ ლექსიკონისთვის უცხო სიტყვა, ისეთივე, როგორიც, თუნდაც, „კაცური კაცია“.**

ახლა ვინმე, ალბათ, მეტყვის — ეგეები რა შუაშია, როცა დიდ პოლიტიკაზე, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზეა ლაპარაკიო. ამისთანებს კიდევ ერთი დიდი ქართველის — ნოდარ დუმბაძის სიტყვებით ვუპასუხებ, ლიმონა დევდარიანს რომ ათქმევინა: „სახელმწიფო რა, კაცი არ არის?“, ერს, ქვეყანას თავმოყვარეობა, ღირსება არ უნდა ჰქონდეს?

**მლიქვნელობის დემონსტრირება ვიზიტის ოფიციალურ ნაწილთან ერთად დაიწყო, როცა აშშ ჰიმნი მოსკოვიდან სპეციალურად ამისთვის ჩამოყვანილმა ქართველმა მომღერალმა ინგლისურად უმღერა ვიცე-პრეზიდენტს. რაღა მაინცდამაინც მოსკოვიდან, ნუთუ საქართველოში ინგლისურად მოჟღურტულე ლამაზი მომღერალი გოგონები დაილია? თუნდაც ლიზი ბაგრატიონი ვერ შეძლებდა იმავეს? მით უმეტეს, რომ გამოცდილებაც ჰქონდა, როცა ჯორჯ დაბლიუ (აბდალა) ბუშისთვის მეიდანში „შენ ერთადერთი, ხარ ჩემი ღმერთი“ ამღერეს.**

მერე იყო და, თავის გამოჩენის საშუალება გიორგი თარგამაძის სახით ოპოზიციებსაც (ე.წ. არასაპარლამენტოს და საპარლამენტოსაც) მიეცათ, რომელთა ლიდერებიც, მეტ-ნაკლებად, შეიძლება სააკაშვილის ჩამნაცვლებელ ძალებად მოიაზრებოდნენ, ოღონდ 2013 წლის შემდეგ. მანამდე, როგორც ჩანს, ოპოზიციას მიშას წყალობის იმედად ყოფნა მოუწევს, ადგილობრივი არჩევნები იქნება ეს თუ სხვა „დემოკრატიული“ ნოვაციები, რასაც მომავალში მოიფიქრებენ.

**„თბილისი მარიოტიდან“ გამოსული ობამას პოტენციური მარიონეტები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. საგულისხმო და დამაფიქრებელია ისიც, რომ ბაიდენთან შეხვედრაზე ვერ მოხვდნენ ლეიბორისტები და ეროვნული ფორუმი, ანუ ეროვნულობაში ეჭვმიტანილი და, აქედან გამომდინარე — ობიექტურად ყველაზე რეიტინგული პარტიები, მაგრამ ამაზე ქვემოთ...**

ბაიდენის მასპინძლობის კვინტესენცია პარლამენტში მოხდა, რამაც შევარდნაძის მიერ ბრეჟნევისთვის დადგმული შეხვედრა-დახვედრა გამახსენა, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ამ შემთხვევაში პარალელი ედიკას სასარგებლოდ ვერ გამოჩნდება. გაზრდილმა — გამზრდელს, მიშამ ედუარდს აჯობა.

**ისე მწყობრად და „ავტომატიზმამდე დაყვანილი“, ფეხზე ადგომით, მქუხარე აპლოდისმენტებით აწყვეტინებდნენ სიტყვას სტუმარს, რომ ვიფიქრე — მაია ნადირაძე („მაიაკების“ მიცემის ვირტუოზი) ხომ არ ზის სადმე-მეთქი, თუ ამჯერად თავად მიშა აძლევდა ნიშანს, როდის უნდა ამდგარიყვნენ ოვაციებით და როდის უნდა მდუმარედ ადგილებზე დატეულიყვნენ. იმაზე, რასაც ხვალ და ზეგ საკუთარი პიარისთვის გამოიყენებენ (ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთ-ცხინვალის არაღიარების, ნატოში გაწევრების ხსენებისას), ფეხზე დგებოდნენ, ხოლო გაკვრით და ზედაპირულად ნახსენები დემოკრატიულობის ხსენებისას უკანალების აწევას არც კი ფიქრობდნენ.**

ზემოთ პიონერთა სასახლე წინწკლების გარეშე სრულიად შეგნებულად ვახსენე, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. დევნილ ბავშვებთან შეხვედრის დასაწყისში მიშამ აცნობა, რომ საქართველო ერთადერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, სადაც კომუნისტური წყობა, პრაქტიკულად, სრულად დანგრეულია, იქ აშკარად შერჩევით მიყვანილ გოგო-ბიჭებს წითელი ყელსახვევები და კომკავშირის „ზნაჩოკები“ აკლდათ, თორემ, სხვა მხრივ, ბაიდენთან ბავშვების შეხვედრა პიონერ-კომკავშირული ეტიკეტის სრული დაცვით ჩატარდა.

**აქამდე მეგონა, რომ სამაჩაბლოში მცხოვრებმა ქართველმა ბავშვებმა საყველპურო ოსური ენა იცოდნენ, მაგრამ, როგორც გაირკვა, ცხინვალელი ბავშვები ინგლ-ოსურად უფრო კარგად ჟღურტულებენ. იქამდეც კი, რომ სამი-ოთხი ინგლისურად დასმული კითხვის თუ მოყოლილი ამბის შემდეგ, მაღალმა სტუმარმაც ვერ დამალა გაოცება: — ყველანი როგორ საუბრობთ ინგლისურადო??? ეტყობა, ისევე, როგორც ბევრმა, ვინც ამ ინგლ-ოსურ კლოუნადას ვუყურეთ, ბაიდენმაც იფიქრა, რაღაც ფარსაგი რამ არ ხდება ჩემს თავს, ეს ბავშვები მართლა ცხინვალიდან ლტოლვილი გლეხების შვილები არიან თუ საგანგებოდ შერჩეულები და მოგზავნილებიო?**

ილიას ლექსებს გაცნობილ ბაიდენს არ გაუკვირდებოდა ეს „ბაიკა“, მიშას სასახლეში ალექსანდრე ყაზბეგის სურათიც რომ ენახა, რადგანაც იმასაც გაიგებდა, როგორ გააკვირვა დიდმა მწერალმა თავის დროზე, მგონი, რუსი მოგზაური ფრანგულის ცოდნით — ჩვენში ყველა მწყემსი ლაპარაკობს ფრანციცულადო.

**მოკლედ და კონკრეტულად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მაღალი სტუმრის წინაშე ყველა დონეზე, ოპოზიცია-პოზიციით დაწყებული და საარაკო გოგო-ბიჭებით დამთავრებული, წარმატებით ჩავაბარეთ გამოცდა: მლიქვნელობაში, მაამებლობაში, უთავმოყვარეობაში და სხვა მრავალ ამისთანებში.**

## რას მოგვიტანს ყველაფერი ეს?

**ანუ ბაიდენის გზავნილები. როგორც უკვე ითქვა, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას. მიუხედავად მავანთა მტკიცებისა, რომ აშშ საქართველოს უჭერს მხარს და არა რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას, „ნაცებმა“ ბაიდენის ვიზიტი, არც თუ უსაფუძვლოდ, ცალსახად დღევანდელი ხელისუფლების უპირობო მხარდაჭერად აღიქვეს 2013 წლამდე მაინც.**

ვერც იმ თეზას გავიზიარებ, რომ აშშ არ ერევა ჩვენს შიდა პოლიტიკაში. თუ ეს ასე არ არის, იქნებ ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს „ვარდების რევოლუციის“ ამერიკელებისთვის შთაგონების წყაროდ მოხსენიება? მოვლენის, რასაც ნგრევის, ტერიტორიების დაკარგვის, ქართული სულიერების ნგრევის გარდა სხვა „სიკეთე“ არ მოუტანია საქართველოსთვის?

***აშშ გამსახურდიას დროიდან ერევა და მომავალშიც ჩაერევა ჩვენს შინაურ საქმეებში. სწორედ მამა ბუშის წაქეზებით და თანხმობით დაამხეს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ეროვნული ხელისუფლება და ვეჭვობ, რომ მომავალშიც იგივეს არ გააკეთებენ; ყოველ შემთხვევაში, 2013 წლის შემდეგაც რომ არ აპირებენ ეროვნულ ძალებზე ფსონის დადებას, იქიდანაც გამოჩნდა, რომ ბაიდენმა სრული იგნორირება გაუკეთა ასეთებს ლეიბორისტების და ფორუმის სახით.***

არ ვიცი, იქნებ მცდარი და ზედმეტად პესიმისტური ფინალი გამომდის? ნეტავ, ვცდებოდე! მაგრამ უახლესი ისტორიული გამოცდილება რომ საპირისპიროს ამტკიცებს? ჩვენისთანა პატარა ქვეყნებს არც შინ და არც გარეთ ჩვენს გემოზე ცხოვრებას არ დაგვანებებენ. **აქედან გამომდინარე, შეცდომა მგონია, ერთ, თუნდაც აშშ-ზე, ყველაფრის ბრმად მინდობა; მით უმეტეს, რომ ამის სამწუხარო შედეგი ყველას გვახსოვს, როცა ბუში სარკოზის ეუბნებოდა: „გაუშვი, რუსებს ასემც უქნიათ, თბილისი აუღიათო“. და ამის მერე ის მილიარდიანი დახმარებაც სასაცილოა, რომელიც არაერთხელ ახსენა ჯო ბაიდენმა, რადგანაც კაცმა არ იცის, სად წავიდა და სად წავა ეს დიდი ფული.**

**ისე, ამ „უმნიშვნელო“ დეტალითაც რომ დაინტერესებულიყო აშშ ვიცე-პრეზიდენტი, არ იქნებოდა ურიგო, თუმცა, იქნებ, არ უნდა, რომ დაინტერესდეს? „ატკაცები“ და ქრთამი მაგათი მოგონილია. ახლა არ მითხრათ, არაო!!!**

**დავით მხეიძე**

**P.S. აკი, ვარაუდობდნენ მავანნი, რომ ისე არიან ბაიდენის ვიზიტით გულმოცემულნი, რომ ვიცე-პრეზიდენტის თვითმფრინავი თბილისიდან აფრენილი არ იქნება, რომ ესენი დააფრენენო. მისტერ ჯოს წასვლიდან მეორე დღეს მიშამ თავის სასახლეში შეკრებილ ხლისტებთან ერთად ბაიდენის ვიზიტის შეჯამებისას სიტყვა-სიტყვით ბრძანა — შარშან დავკარგეთ რამდენიმე (პაუზა,— ავტ.), ნუ, ათეული სოფელი (150, — ავტ.), სამაგიეროდ, რუსეთმა დაკარგა მშვიდობისმყოფელის სტატუსი, ნიღაბი ჩამოვხსენითო.**

**რა უნდა თქვა და რა კომენტარი უნდა გააკეთო იმაზე, რასაც სისულელესაც ვერ უწოდებ...**

**როგორც იტყვიან, უკომენტაროდ!**

## საქართველოს მისიაში აშშ დამკვირვებელთა მონაწილეობას ევროკავშირის მხოლოდ სამმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი

**საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგულ მისიაში მესამე მხარის დამკვირვებელთა მონაწილეობასთან დაკავშირებით თავად ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნიდან მხოლოდ სამმა — დიდმა ბრიტანეთმა, ჩეხეთმა და ნიდერლანდებმა გამოთქვა აზრი.**

არადა, მესამე მხარის დამკვირვებელთა მონაწილეობის დასაშვებად აუცილებელია, ამგვარ გადაწყვეტილებას ევროკავშირის ყველა წევრი ეთანხმებოდეს. 27 ივლისს ბრიუსელში შეკრებილი ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელები საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის მანდატის ერთი წლით, ანუ 2010 წლის 14 სექტემბრამდე გაგრძელებას აპირებენ. შესაძლოა, მათ ახლა მაინც დააფიქსირონ საკუთარი დამოკიდებულება მისიაში აშშ ან სხვა მესამე ქვეყნების, მათ შორის, თურქეთისა და კანადის დამკვირვებელთა მონაწილეობის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ ცოტა ხნით ადრე იმედი გამოთქვა, რომ მისიაში ამერიკელი დამკვირვებლების მონაწილეობის საკითხი დადებითად გადაწყდება.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის მისია საქმიანობას ოფიციალურად 2008 წლის 1 ოქტომბერს, აგვისტოს ომის შემდეგ შეუდგა. მისიის შემადგენლობაშია 200 შეუიარაღებელი დამკვირვებელი ევროკავშირის წევრი 22 ქვეყნიდან. რუსეთი და მის მიერ აღიარებული აფხაზეთი და ჩრდილოეთ ოსეთი შეუძლებლად მიიჩნევენ ამ უკანასკნელთა ტერიტორიაზე ევროკავშირის დამკვირვებელთა მუშაობას.

გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მისიებმა საქართველოში მუშაობა წელს დაასრულეს. ამდენად, ევროსაბჭო ერთადერთი ორგანიზაციაა, რომლის დამკვირვებლებიც ამჟამად საქართველოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებზე იმყოფებიან.

**РИА НОВОСТИ**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# ვარდების ევოლუცია



ბევრმა დღემდე არ იცის, რომ **იოსებ ბესარიონის ძე სტალინი** ლირიკულ ლექსებს წერდა, არც ის იცის, რომ **ჩერჩილი** და **რუზველტი** ერთმანეთში მას **„ბიძია ჯოს"** (Uncle Joe) ეძახდნენ. გენერალისიმუსმა ეს იცოდა და არ სწყინდა.

შესაბამისად, ცნობილ ლოზუნგში — **„მადლობა ამხანაგ სტალინს ჩვენი ბედნიერი ბავშვობისთვის!“** — **„ამხანაგი სტალინი“ „ბიძია ჯო“-თი** რომ შევცვალო, არაფერი დაშავდება. უფრო მეტიც — ამის წყალობით, ლოზუნგი, რომლის პრეზენტაციაც 1936 წელს წითელ მოედანზე გაიმართა, თანამედროვედ და „უნივერსალურად“ ჟღერს: **„მადლობა ბიძია ჯოს ჩვენი ბედნიერი ბავშვობისთვის!“**

მიმდინარე წლის 22-23 ივლისს საქართველოში ჩამოსული **ნამდვილი ბიძია ჯოც** (აშშ ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი) ხომ ბედნიერ ბავშვობასა და ულრუბლო მომავალს დაჰპირდა ჩვენს პატარებს, ოღონდ — ამერიკის „ფრთებქვეშ“. აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ ბავშვებთან შეხვედრისას **ბიძია ჯომ** ისინი დაარიგა: **ბეჯითად ისწავლეთ, ინგლისურს დაეუფლეთ და ძალიან ჭკვიან და ნიჭიერ საქართველოს პრეზიდენტს მიბაძეთო,** რადგან, მისი აზრით, **„ბავშვებს, რომლებიც სიძნელეებს გადალახავენ, ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ თავიანთ ქვეყანასა და პირად ცხოვრებაშიც“.**

აი, ეს კი **სტალინის** ლექსის — ***„დილა“*** — მეორე და მესამე სტროფია:

*„ტოროლა მაღლა*
*ღრუბლებში*
*წკრიალ-წკრიალით*
*გალობდა,*
***ბულბულიც გახარებული,***
***ნაზი ხმით ამას ამბობდა:***
„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
**და შენც, ქართველო,**
**სწავლითა**
**სამშობლო გაახარეო!“**

წააგავს, არა?! საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსულმა **„ნაზხმიანმა ბულბულმაც“**, უკაცრავად, **ბიძია ჯომ** დასძინა, რომ ***„მიესალმება ქართველი სტუდენტების რიცხვის ზრდას ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში და მოუწოდებს ამერიკელ სტუდენტებს, სასწავლებლად საქართველოში ჩამოვიდნენ“.***

ეს სავსებით გასაგებია: **ახალგაზრდა თაობა ამერიკულ ფასეულობებზე უნდა გაიზარდოს, ჩვენი შვილები „ქართველი ამერიკელები“ უნდა გახდნენ და იამაყონ ამით — მომავალში ხომ „თავისუფლების ინსტიტუტს“, სოროსის ფონდის ქართულ ფილიალს „ღია საზოგადოება — საქართველოს“, მმართველ პარტია „ნაცმოძრაობას“, ხელისუფლების ყველა შტოს ახალი კადრები, ხოლო ბოკერია-თუთბერიძე-ლომაია-დარჩიაშვილი-ნოდია-რამიშვილის შემცვლელები დასჭირდება, თანაც** სწორედ ეს ბავშვები წარმოადგენენ ხვალ **სამოქალაქო საზოგადოებას,** რომელიც, **ბაიდენის** სიტყვებით, ***„მაცოცხლებელი ძალაა ნებისმიერი დემოკრატიისა, რომელიც მართავს ყველა ხელისუფლებას — მათ შორის, ჩვენსასაც და თქვენსასაც“.***

ამერიკელი ბავშვები კი საქართველოში უნდა დაეუფლონ ცოდნას, რათა **კარგად შეისწავლონ კავკასია და დროთა განმავლობაში შეცვალონ ჩვენი კურატორები შეერთებულ შტატებში: მეთიუბრაიზა-ზეინობარანმაკეინებისთვისაც** საჭიროა ღირსეული შემცვლელების მომზადება! *(იმედი მაქვს, აშშ ვიცე-პრეზიდენტი* ***ჯო ბაიდენი****,* როგორც ჭეშმარიტი ამერიკელი, არ გამინაწყენდება **„ბიძია ჯოს“** შერქმევისთვის, **სტალინსაც** არ სწყინდა, საქართველოს პრეზიდენტი კი უზომოდ ბედნიერია იმით, რომ **მიშას** ეძახიან!).

**სტალინის** ლექსი **„დილა“ ბაიდენმა** კიდევ ერთხელ გამახსენა, როცა **„ვარდების რევოლუციაზე“** ლაპარაკობდა. აი, ლექსის პირველი სტროფიც:

***„ვარდს გაეფურჩქნა***
***კოკორი,***
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა...“

აი, ეს კი **ბაიდენია** საქართველოს პარლამენტში: *„ორი წლის შემდეგ თქვენ კიდევ ერთხელ გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა და ნიადაგში მოხვედრილმა თესლმა აღმოაცენა* ***ვარდი, რომელიც უნდა აყვავებულიყო...***

სამი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ გაიჟღერა ამ მოწოდებამ, როცა **ვარდი აყვავდა** და საქართველოში **პირველი პოსტსაბჭოთა ექსპერიმენტი** დაიწყო... სანამ 2003 წელს **„ვარდების რევოლუცია** „არ მოხდა“.

საფუძველი არ გვაქვს, აშშ ვიცე-პრეზიდენტს არ დავუჯეროთ — ესე იგი **„ვარდების რევოლუცია“ პირველი პოსტსაბჭოთა ექსპერიმენტი ყოფილა** (აშკარად, ამერიკული და არა რუსული წარმოშობის!), **რომელიც, ამავე დროს, ჯერ კიდევ არ დასრულებულა.** ამას ადასტურებს **ბაიდენის** მორიგი გამოსვლა პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ოფიციალურ ვახშამზე: ***„თქვენ იმ ინსტიტუციონალური ატრიბუტიკის მშენებლობის პროცესში ხართ, რომელიც საჭიროა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისთვის და არ ვაჭარბებ, როცა ვამბობ, რომ მსოფლიოს ბევრი სხვა ხალხები თვალყურს გადევნებენ, რათა გაიგონ: შეძლებთ თუ არა რევოლუციის ბოლომდე მიყვანას და დემოკრატიის ფესვების ღრმად გადგმას“.***

ამ კითხვას **ბაიდენი** თავად პასუხობს საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას: ***„როგორც ერთი კვირის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტს განუცხადა — და ჩვენ გვჯერა, რომ ის ამ ვალდებულებებს შეასრულებს! — კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. თქვენი „ვარდების რევოლუცია“ მაშინ დასრულდება, როცა თქვენი მთავრობა გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული იქნება და მონაწილეობას მიიღებს ყველა პროცესში; როცა საკითხები ამ პალატაში გადაწყდება და არა მხოლოდ ქუჩაში; როცა ძირფესვიანად განიხილავთ მთავარ, კონსტიტუციურ საკითხებს მთავრობასა და პარლამენტს შორის ძალთა ბალანსის შესახებ და მიაღწევთ თანაბარ საარჩევნო არეალს; როცა მედია იქნება აბსოლუტურად დამოუკიდებელი და პროფესიონალური, როცა ხალხს მიეწოდება ისეთი ინფორმაცია, რომლის მეშვეობითაც ინფორმირებული საზოგადოება გადაწყვეტილებებს მიიღებს და მთავრობა ანგარიშვალდებული იქნება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში; როცა სასამართლო იქნება თავისუფალი გარე ზეწოლისაგან, კანონის უზენაესობა — დამკვიდრებული; როცა ხელისუფლების ცვლა მშვიდობიანი, კონსტიტუციური, დემოკრატიული პროცესების შედეგად მოხდება, და არა — ქუჩაში“.***

**რაკიღა ეს ყველაფერი გასაკეთებელია, ესე იგი საქართველოში ეს ყველაფერი არ გვაქვს: არ არის დემოკრატია, ხელისუფლების გადანაწილება, სიტყვის თავისუფლება, დამოუკიდებელი სასამართლო... გამოდის, „ვარდების რევოლუცია“ მხოლოდ წინა, დამხობილი ხელისუფლების საფლავზე მიტანილი ყვავილები ყოფილა, და არა — საქორწინო თაიგული, რომელიც ახალი ცხოვრების დაწყების სიმბოლოა!**

*„რევოლუცია ძველი ცხოვრების დასასრულია და არა — ახალი ცხოვრების დასაწყისი, ხანგრძლივი გზის საფასური. რევოლუცია წარსულის ცოდვების გამოსასყიდია... რევოლუცია ყოველთვის იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლებმა არ აღასრულეს თავიანთი დანიშნულება“*, — ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში წერდა უდიდესი რუსი ფილოსოფოსი **ნიკოლაი ალექსანდრეს ძე ბერდიაევი.**

„დიახ, მეგობრებო, თქვენ დაანგრიეთ ძველი სამყარო და გადალახეთ მიჯნა, ახლა კი, როცა ასეთი ძლიერები ხართ, შეეცადეთ, ახალი სამყარო ააშენოთ და შეინარჩუნოთ — მოიმარაგეთ საბრძოლო მასალა, სურსათ-სანოვაგე და გაუმკლავდით უკმაყოფილო მებრძოლებს, ჩვენ კი ინტერესით გადევნებთ თვალყურს — რის უნარი შეგწევთ და ტყუილუბრალოდ ხომ არ დავხარჯეთ მილიარდობით დოლარი საქართველოში ექსპერიმენტის ჩატარებაზე!“ — **განა ბაიდენს ეს არ ჰქონდა მხედველობაში?!**

განა ამას არ გულისხმობდა აშშ ვიცე-პრეზიდენტი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში **ტონი ბლინკენი** (იმის აღნიშვნისას, რომ **ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა 1990-იან წლებში უსისხლო რევოლუციები გადაიტანეს**), როცა ხაზი გაუსვა, რომ ***„რევოლუციის შედეგების დაძლევა ყოველთვის ძნელია“?!***

**ხოლო ყველა გაჭიანურებული რევოლუცია ევოლუციაში გადაიზრდება — ექვს წელიწადს გაჭიანურებულმა „ვარდების რევოლუციამ“ ამ წლებში რევოლუციის იდეალები მიივიწყა, გადაიქცა თვითმიზნად და მუტაცია განიცადა „ვარდების ევოლუციად“!**

ბიძია ჯომ განა ტყუილუბრალოდ აღნიშნა: ***„ჩვენ თქვენ გვერდით ვდგავართ იმიტომ, რომ ამერიკელებისთვის გასაგებია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქართველი ხალხის მისწრაფება დემოკრატიისკენ“*** და რომ ***„საქართველო დღეს არ წარმოადგენს იდეალურ გარემოს“...***

***„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დემოკრატიაში!“*** — წარმოთქვა **ბაიდენმა** სადღეგრძელო, **დემოკრატია** კი მხოლოდ სიტყვის თავისუფლება, დამოუკიდებელი სასამართლო, ძალაუფლების განაწილება, ადამიანის უფლებები და კერძო ქონების ხელშეუხებლობა როდია, ესაა **ახალი საწარმოო ურთიერთობები, როცა თანაბარუფლებიანი პარტნიორობა და თანამშრომლობა ბატონობისა და ქვეშევრდომობის რეჟიმს ჩაენაცვლება** *(კარლ მარქსის მიხედვით).*

თუმცა ადგილი ჰქონდა **აშკარა წინააღმდეგობასაც**, მაგალითად, 23 ივლისს პარლამენტში გამოსვლისას **ჯო ბაიდენმა** განაცხადა: ***„სამწუხარო რეალობა, მაგრამ ჭეშმარიტებაა, რომ არავითარი სამხედრო ალტერნატივა არ არსებობს რეინტეგრაციისთვის. მხოლოდ მშვიდობიანი და აყვავებული საქართველო, რომელსაც აქვს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა, დაანახვებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, რომ ისინი იქნებიან თავისუფალი და მათი დასახლებები განვითარდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობენ ისინი თავიანთ ავტონომიას ფედერალური ხელისუფლების პირობებში, სადაც მათი ცხოვრება შეუდარებლად უკეთესი იქნება, ვიდრე ახლაა... დატოვეთ კარი ღიად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის!“***

საინტერესოა, **რა მეთოდებით აპირებს ჩვენი ხელისუფლება აფხაზებისა და ოსების მოზიდვას ერთიან საქართველოში თანაცხოვრებისთვის,** როცა მანამდე, სამი დღით ადრე — ა.წ. 20 ივლისს, პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** იმავე ტრიბუნიდან და იმავე აუდიტორიის წინაშე, **პრაქტიკულად, უგულებელყო სახალხო დიპლომატიის მეთოდები, მეცნიერებისა და კულტურის ქართველი, აფხაზი და ოსი მოღვაწეებისა, ქართული და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიების წარმომადგენლების დიალოგი?!** მიხეილ ნიკოლოზის ძემ მაშინ განაცხადა: *„საქართველოს ჰყავს მტერი და ჩვენი ქვეყნის მტერი ისაა, ვინც მისი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა და საქართველოს განადგურება სურს! რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილია, მტრობა აღმოვფხვრათ, მაგრამ მტრობა გაქრება* **არა ერთმორწმუნეობაზე უაზრო საუბრით** — როცა ჩვენს ეკლესიებს ანგრევენ აფხაზეთში; **არა საუბრებით კულტურულ დიალოგზე** — როცა ჩვენი 500 000 დევნილი სახლებში ვერ ბრუნდება, მათ შორის, კულტურის მოღვაწენიც; **არა მეცნიერთა და საზოგადოებათა შორის დიალოგის მეშვეობით** — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მრავალეროვანი საზოგადოება ფეხქვეშაა გათელილი, მათ შორის, ეთნიკური ოსები და ეთნიკური აფხაზებიც; მტრობა დასრულდება და მეგობრობა დაიწყება მაშინ, როცა უკანასკნელი უცხოტომელი ჯარისკაცი საქართველოს ტერიტორიას დატოვებს! ამაზე ილუზია ნურავის ექნება“.

თუმცაღა ყველაზე მეტად ჩემთვის საგულისხმო იყო **სამი მესიჯი,** რომლებიც უშუალოდ ეხებოდა ბოლო ექვსი წლის ჩემი პუბლიკაციების მთავარ გმირს, საქართველოს პრეზიდენტს **მიხეილ სააკაშვილს**:

**1.** საპრეზიდენტო სასახლეში გამართულ ოფიციალურ ბანკეტზე სიტყვით გამოსვლისას **მიხეილ სააკაშვილმა** გაიხსენა **ჯო ბაიდენის** სატელეფონო ზარი გასული წლის სექტემბერში: ***„მისმინე, მიშა, ახლა ბევრი გირეკავს, მაგრამ ძალიან მალე ისინი ამას აღარ გააკეთებენ... მე კი არასდროს მიგატოვებთ და მუდამ თქვენ გვერდით ვიქნები!“***

**ამ ბევრ ხალხს** (იგულისხმებიან ევროპის ქვეყნების ლიდერები, სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწენი) **რატომ უნდა შეეწყვიტა რეკვა (ურთიერთობა) საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან?!**

**2.** იქვე, საპასუხო სიტყვით გამოსვლისას, ვიცე-პრეზიდენტმა **ბაიდენმა** გაიხსენა **ტომას ჯეფერსონის** წერილი **ჯონ ადამსისადმი** (აშშ ყოფილი პრეზიდენტები), სადაც ის წერდა: ***„ისინი, ვინც რევოლუციას ახდენს, იშვიათად ხედავენ საბოლოო შედეგს — ფესვგამდგარ დემოკრატიას“.***

**რისთვის დასჭირდა ეს საკმაოდ პირქუში ქარაგმა?!**

3. **ჯო ბაიდენმა** ურჩია **მიხეილ სააკაშვილს, *„დედას დაუჯეროს“*,** განაცხადა, რომ თვითონ დღემდე ასე იქცევა. **ბაიდენისგან** რეკომენდაცია ქალბატონმა **გიული ალასანიამაც** (პრეზიდენტ სააკაშვილის დედა) მიიღო: ***„იზრუნეთ თქვენს ვაჟზე – ის ჩვენ ძალიან გვჭირდება და ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანია ჩვენთვის“.***

**რას არ უჯერებს საქართველოს პრეზიდენტი დედას და რად სჭირდება ახალგაზრდა კაცს დედის მეურვეობა — განა ამ ასაკში შვილებმა თავად არ უნდა იზრუნონ მშობლებზე?!**

**P.S.** — Слушай, друг, у тебя хорошие глаза, сразу видно, что ты хороший человек. *Там хороший парень погибает, помоги, а?*
*- Извини, генацвале, лет через пять помогу!*
*(გიორგი დანელიას კინოფილმიდან „მიმინო“)*



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## ნიკო ორველაშვილი:

# ბიუჯეტის სეკვესტრი გარდაუვალია

**გლობალური კრიზისის გაღრმავებისა და შიდაპოლიტიკური დაპირისპირების ფონზე ქართულ ეკონომიკაში თანდათან მატულობს ნეგატიური პროცესები. უკვე აშკარაა, რომ წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტი ჩავარდნის საფრთხის წინაშეა. მიზეზად შემცირებული შემოსავლები სახელდება. პოსტრევოლუციური ხელისუფლების პირობებში ბიუჯეტის ხარჯები პირველად აჭარბებს შემოსავლებს. სააკაშვილი ხშირად ტრაბახობდა, რომ შევარდნაძის მმართველობის წლებში დაგეგმილი ბიუჯეტის შეუსრულებლობის პრაქტიკას ბოლო მოეღო, სეკვესტრი ქართული ეკონომიკის ტერმინოლოგიიდან ამოვარდა და ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდებოდა. დაპატიმრებული ჩინოვნიკების მიერ ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხა შედიოდა, შემდეგ — სტრატეგიული ობიექტების გაყიდვით, ახლა, როცა დასაჭერი თითქმის აღარავინ და გასაყიდიც არაფერი დარჩა, ბიუჯეტი საერთაშორისო დახმარებებით იკვებება და, როგორც ექსპერტები ამბობენ, მიმდინარე წელს ბიუჯეტის სეკვესტრი გარდაუვალია.**
**ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ ესაუბრა ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში ნიკო ორველაშვილს.**



**საკაშვილისთვის ბიუჯეტის განკარგვისას სასიცოცხლო მნიშვნელობის მიმართულებად რეზიდენციების მშენებლობა რჩება. ავლაბრის სასახლე არ ჰყოფნის და ახლა დიდ დილომში მოისურვა რეზიდენციის აშენება.**

**— პოსტრევოლიციურ პერიოდში წელს პირველად ბიუჯეტის ხარჯი შემოსავლებს აჭარბებს, ამ დროისთვის სხვაობა უკვე 64 მილიონ ლარს შეადგენს. ამ ფონზე არსებობს თუ არა ბიუჯეტის ჩავარდნის საფრთხე?**

— ზოგადად, ხარჯები უნდა დაიგეგმოს იმის მიხედვით, რა შემოსავალსაც ველოდებით. შემოსავლები კი უნდა განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობით.

ორიოდე დღის წინათ აღმაშენებელზე გავიარე. მოძრაობის შეფერხების გამო საშუალება მომეცა, დავკვირვებოდი მაღაზიებს, სადაც მყიდველის ხსენება არ იყო. გამყიდველთა რაოდენობაც აშკარად შემცირებულია და ვინც არის, ისინიც კროსვორდების შევსებით ერთობიან. იგივე ხდება ბაზარშიც და ბაზრობაზეც. საქართველოს ეკონომიკამ დიდი ხანია, შეწყვიტა პროდუქციის წარმოება, გამონაკლისი ნაყინია. ჩვენი ეკონომიკა, ძირითადად, გამოიხატა ვაჭრობაში და ამ სფეროში რაც ხდება, უკვე გითხარით.

სავაჭრო ობიექტები შარშან თუ ვაჭრობდა დღეში 2000 ლარს, დღეს ეს მაჩვენებელი 200 ლარამდე დაეცა და ისიც უხარიათ. ეკონომიკა კოლაფსურ მდგომარეობაშია. სოფლის მეურნეობაც კატასტროფის ზღვარზეა. მიწების 20 პროცენტია მხოლოდ დამუშავებული. ამ ფონზე შემოსავლებს ანგელოზები ფრთების ფარფატით ვერ მოგვიტანენ. ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის ერთადერთ წყაროდ საერთაშორისო დახმარებები დარჩა, ანუ ქვეყანა გადაიქცა მათხოვრად. თუ აღარ მოსწონხარ პარტნიორს, შეგიწყვეტს დახმარებას და მშრალზე დაგტოვებს. თუ მამულს, ბაღ-ვენახს არ უპატრონე და შენი ხელით გაჩეხე, მოსავალს არ უნდა ელოდო. ეს მთავრობა დაახლოებით ასე იქცეოდა, ნელ-ნელა აჩანაგებდა ეკონომიკას და კატასტროფამდეც მივედით.

საღამო ხანს რომ გაიაროთ თბილისში, რესტორნებთან მანქანის გასაჩერებელი ადგილი აღარ არის. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, სარწყავ რუში მიშვებულ წყალს სათავეს რომ გადაუკეტავ, მაგრამ შუაწელში დინება მაინც არის. ეს კატეგორია 2-3 თვეში იგრძნობს იმას, რაც დღეს უმრავლესობამ იწვნია, რადგან მათი შემოსავლის წყარო იყო სხვა დანარჩენი შემოსავლები. ესენი, ძირითადად, სახელმწიფო პრესტიჟული სტრუქტურების თანამშრომლები არიან, ვინც რეპრესიულ აპარატს აძლიერებს. მათ რიცხვშია პოლიცია, საგადასახადო, ფინანსური პოლიცია და ა.შ. ისინი ჯერჯერობით ბიუჯეტიდან იღებენ თანხებს, ანუ მათთვის ყველაზე ბოლოს დაშრება წყარო. ნაცვლად იმისა, რომ სათავე მოძებნონ და იქ აღადგინონ წესრიგი, რეპრესიულ წნეხს აძლიერებენ. პირველწყაროზე დაყრდნობით გეტყვით, რომ ბოლო ორი კვირაა, ძალიან გააქტიურდა ფინანსური პოლიცია, შეესია საწარმოებს და ცდილობს ფულის ამოღებას, მაგრამ რაც აღარ არის, რას ამოიღებენ. რომ არა საერთაშორისო დახმარებები, ჩვენი ბიუჯეტი მართლაც დამშრალი ხევივით იქნებოდა.

**— მთავრობის ქამრების შემოჭერის პოლიტიკამ რა შედეგი გამოიღო?**

— შედეგი იყო ის, რომ ბაიდენი გაოცდა პრეზიდენტის რეზიდენციის ბრწყინვალებით. 800 მილიონი დაიხარჯა მის მშენებლობაზე და ჯერ არ დასრულებულა. ქამრების შემოჭერით ასეთი სასახლეები არ შენდება. პარლამენტში გამოსვლისას ბაიდენმა რამდენჯერმე ახსენა ამერიკის მხრიდან მიღებული მილიარდიანი დახმარება, რაც მიზანმიმართულად და გონივრულად უნდა დახარჯულიყო, მაგრამ ჩვენმა ხელისუფალმა სრასასახლე მოინდომა.

აშშ პრეზიდენტის რეზიდენცია 209 წლის წინათ აშენდა. მას შემდეგ აზრად არავის მოსვლია მისი დანგრევა და ხელახლა აშენება. ის უფრო მოკრძალებულია, ვიდრე ჩვენი ძალად პრეზიდენტის რეზიდენცია. რა გამოვიდა? ამერიკა გვეუბნება, რომ მილიარდი მოგვცა. ის ამას არ ივიწყებს და არც ჩვენ გვაძლევს დავიწყების საშუალებას. ამ ფულით ავაშენეთ ისეთი სასახლე, მათაც რომ არ აქვთ. ის რვაასი მილიონი სოფლის მეურნეობაში რომ ჩაგვედო, მიწების 20 პროცენტი კი არა, 80 პროცენტი დამუშავდებოდა და შემოსავალსაც მივიღებდით. პროდუქტიც ისე ძვირი არ ეღირებოდა, როგორც დღეს არის.

**— სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხშირად ტრაბახობდა, რომ ბიუჯეტი სრულდებოდა და ეკონომიკური ლექსიკონიდან ამოღებულ იქნა სეკვესტრი. შეძლებს ხელისუფლება ამ პროცესის თავიდან აცილებას?**

— ბიუჯეტის სეკვესტრი გარდაუვალია. განსაკუთრებით, ბრიყვული სვლა ის იყო, რომ ბიუჯეტში შემოსავლების შემცირების მიუხედავად, ბიუჯეტი კიდევ გაიზარდა 300 მილიონით, რა თქმა უნდა, უცხოელების იმედად და იმათ ხარჯზე, მაგრამ ქართული ანადაზაა: „ბრიყვს საჩუქარი უფასო ეგონაო“. ამ საჩუქრის სანაცვლოდ რას მოგვთხოვენ, ეს მაშფოთებს. როგორც კი ხელს დაგვიქნევს ამერიკა, მაშინვე უნდა ვეახლოთ და შევასრულოთ, რასაც გვიბრძანებს, თუნდაც საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენოს. საერთაშორისო დახმარებების ნეგატიური მხარე სწორედ ესაა, რომ ვიღაცის მონა ხდები.

**— როცა ბიუჯეტი ჩავარდნის საფრთხის წინაშეა, უნდა გადაიხედოს ხარჯვითი პოლიტიკა და დაფინანსდეს სასიცოცხლო მიმართულებები. რა მიიჩნევა ამ შემთხვევაში პრიორიტეტად?**

— როცა სათავეში წყალი შრება, სათავეს უნდა მიხედო და კოკით არ უნდა ასხა წყალი. საერთაშორისო დახმარებები კოკით წყალია ბიუჯეტისთვის. სასიცოცხლო მიმართულება ქვეყნის ეკონომიკისთვის ბიზნესის თავისუფლება და ბიზნესის დახმარებაა. ამ ქვეყანაში კი, თუ რამე დაშინებული და შეზღუდულია, ეს ბიზნესი და ბიზნესმენები არიან. მათ იციან, რომ საქმის წამოწყებას საქართველოში აზრი არ აქვს, რადგან, „ნაციონალების“ ენით რომ ვთქვა, „აახევენ“ წილს მაინც, მთლიანად საქმეს თუ არა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბიზნესმენი მათი ფავორიტია და საქმე წარმატებით მიჰყავს, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს ვინმეს რამე არ მოეწონოს, ან ისეთი რამ დაავალონ, რაც ბიზნესმენისთვის მიუღებელია და არ შეასრულოს. ეს უკვე საკმარისია მათ გასაწირად. უნდა განხორციელდეს რეალური ეკონომიკური რეფორმები და არა რეპრესიული პოლიტიკა, თუმცა სააკაშვილისთვის ბიუჯეტის განკარგვისას სასიცოცხლო მნიშვნელობის მიმართულებად რეზიდენციების მშენებლობა რჩება. ავლაბრის სასახლე არ ჰყოფნის და ახლა დიდ დილომში მოისურვა რეზიდენციის აშენება. ეს ხარჯი არ არის?

**— როგორც აღნიშნეთ, გააქტიურდა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური. არსებული კრიზისის ფონზე ხომ არ არის მოსალოდნელი, სახელმწიფომ მეწარმეებს კიდევ უფრო მოუჭიროს მარწუხები?**

— სააკაშვილის ფსიქოლოგიურ პორტრეტს თუ გავითვალისწინებთ, მოსალოდნელია, რადგან მას არ უნდა, გაიგოს, რომ მის მიერ გაჩანაგებულ მამულში ნაყოფი აღარ იქნება. საქართველოს პრეზიდენტს არ ესმის, რომ ხალხს წასართმევი არაფერი დარჩა. 7-8 წლის წინათ იტალიის მაფიას ლოზუნგი ჰქონდა „დაბეგრეთ ყველა, მაგრამ წაართვით ცოტ-ცოტა“. თუ ერთბაშად წაართმევ ყველაფერს, მას აღარ დარჩება იმდენი, ხვალ რომ კიდევ იშოვოს და წასართმევიც აღარ იქნება. ეს სრულიად გაუგებარია სააკაშვილისთვის. მარწუხებს მოუჭერს, რადგან ცდილობს, ამ ლიმონივით გამოწურულ ქვეყანას იმდენი ფული გამოადინოს, ერთი სასახლე მაინც აიშენოს.

**— ქართულ ეკონომიკაში წარმოქმნილ პრობლემებს ხელისუფლება აგვისტოს ომსა და ეკონომიკურ კრიზისს უკავშირებდა. მოგვიანებით კი, შემოსავლების შემცირების მიზეზები და ეკონომიკური პრობლემების გამწვავება ოპოზიციის მიერ ხანგრძლივ აქციებს დაუკავშირეს. როგორც ჩანს, ეს პროცესი ამ მიზეზების გარეშეც გარდაუვალი იყო...**

— გასულ ექვს წელიწადში ნათესი ფართობების რაოდენობა ოთხჯერ შემცირდა, ესეც 2009 წლის 9 აპრილს დაწყებული აქციის შედეგია?! სააკაშვილმა ექვსი წლის წინათ დაიწყო ეკონომიკის გაჩეხვა და შედეგს დღეს ვიმკით. ამ ვითარების დამალვას მთავრობა დიდხანს ცდილობდა, ახლა ეს შეუძლებელია და ვიღაცას უნდა დააბრალოს. პანაცეა აღმოჩნდა ომი, რომელიც რეალურად მძიმე შედეგების მომტანი იყო, მაგრამ ეკონომიკაში ზემოაღნიშნულმა პრობლემებმა ომამდე გაცილებით ადრე იჩინა თავი. ბანკებმა კრედიტების გაცემა გასული წლის გაზაფხულზე შეწყვიტეს. ოპოზიციის აქციებისთვის ეკონომიკური კოლაფსის მიზეზად გამოცხადება აბსურდია და ბრიყვებზე გათვლილი ზღაპარი.

საშინელი შესაძლო ორი სცენარი გველოდება:

**პირველი — მშიერი ბუნტი, რაც საქართველოში არასოდეს ყოფილა, მეორე — ეს მშიერი ბუნტი რომ თავიდან აიცილოს პრეზიდენტმა, იმდენს უჩხიკინებს რუსეთს, და თუ ამერიკის ნებაც იქნება, კიდევ ერთ პროვოკაციას მოაწყობს. ამ ომის მერე რა დარჩება ჩვენი ქვეყნიდან, არ ვიცი. დიდი ალბათობაა, რომ არა თუ დამატებითი ტერიტორიები დავკარგოთ, არამედ შუაზე გაგვხლიჩონ.**

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამერიკის ადმინისტრაციას გადაწყვეტილი აქვს, საქართველო ტორპედოდ გამოიყენოს, მაგრამ გაურკვეველია, რას გვიმზადებს სააკაშვილის გადამკიდეს.

**ნანა ლაღაძიშვილი**

# სააკაშვილის მაგვარი რეჟიმები მოდიან და მიდიან, ხალხთა შორის გრძნობები კი რჩება!

**ორიოდე კვირის წინათ ჩინეთის ცენტრალური ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ თბილისში მოქმედი რეჟიმის მიმართ მოსკოვის დამოკიდებულება არ შეცვლილა და რუსეთი საქართველოსთან დიალოგს მხოლოდ მას შემდეგ განაგრძობს, რაც სააკაშვილის ხელისუფლება შეიცვლება.**

„ვთვლით, რომ ამ პოლიტიკურმა რეჟიმმა დანაშაული ჩაიდინა და მასთან საერთო არაფერი გვექნება. მაგრამ, ამავე დროს, ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ არჩევნების შემდეგ, რომელიც საქართველოში ადრე თუ გვიან გაიმართება, ჩვენ მზად ვიქნებით, დავუბრუნდეთ სხვადასხვა საკითხის განხილვას, თუ ქართველი ხალხი აირჩევს ახალ ხელმძღვანელობას, რომელსაც ექნება უნარი, რუსეთთან და საქართველოს სხვა ახლო მეზობლებთან — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებთან მეგობრული დიალოგი გამართოს... ყველაფერი, რაც მოხდა, რუსეთის ფედერაციისა და ჩემი, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტის, აზრით, იმ უპასუხისმგებლო, დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგია, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ატარებდა იმ პერიოდში. რომ არა ეს უტვინო მოქმედებები, ცხოვრება შეიძლებოდა სხვაგვარად წარმართულიყო.“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით იმ დღეს რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ საქმეში არავის მხარდაჭერის იმედი არ ჰქონია და მისმა ქვეყანამ გადაწყვეტილება შექმნილ სიტუაციაში თავისი ჰუმანიტარული და მორალური ვალის მოსახდელად დამოუკიდებლად მიიღო.

„ჩვენ ვეხმარებით ორ ახალ სახელმწიფოს ეკონომიკურადაც, ჰუმანიტარულადაც და სამხედრო ტექნიკითაც. მომავალშიც დავეხმარებით, მიუხედავად იმისა, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა. ეს ჩვენი არჩევანია და ამ პროექტებს განვახორციელებთ“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა იმავე ინტერვიუში.

ამ ინტერვიუს შემდეგ და რუსეთ-საქართველოს შარშანდელი ომის წლისთავის წინ საქართველოში აშშ ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი იმის დასამტკიცებლად ჩამოვიდა, რომ ვაშინგტონი რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვას“ სხვა ქვეყნების ხარჯზე სულაც არ აპირებს.

უკრაინასა და საქართველოში ბაიდენის ვიზიტის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა კიდევ ერთხელ ისაუბრა საჯაროდ საქართველოს შესახებ, ოღონდ ამჯერად HTB-სთან და საკუთარი პრეტენზიები ამჯერადაც მხოლოდ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ,

# რატომ უკავშირებენ პრეზიდენტის დედას საბაჟო გადასახადების გაზრდას?

## ვინ არის „ქემალ ფაშას“ რეალური მფლობელი?

**ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ყველასთვის მოულოდნელად, მოსახლეობის ინფორმირების გარეშე, შეიცვალა პარლამენტის დადგენილება, რომელიც ფიზიკურ პირებს შეღავათიანი საბაჟო გადასახადებით სარგებლობის უფლებას აძლევდა, ანუ ის მცირე მოვაჭრეები, რომლებსაც თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და ა.შ. შემოჰქონდათ 300 ლარამდე ღირებულების ან 50 კილოგრამამდე წონის არაერთგვაროვანი საქონელი, გათავისუფლებული იყვნენ საბაჟო გადასახადისგან. დადგენილი მაჩვენებლების ზემოთ კი იხდიდნენ ფიქსირებულ გადასახადს.**

ბოლო ორი კვირაა, ფიზიკურ პირებს ნებისმიერი სახის საქონლის საზღვარზე გადმოტანის შემთხვევაში (თუნდაც, საკუთარი ნახმარი ტანისამოსი და პირადი მოხმარების ნივთები), ბეგრავენ 18-პროცენტიანი დღგ-თი.

საქონლის განბაჟების ახალი წესები იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა მოსახლეობისთვის, რომ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა. თითოეულ ნივთზე გადასახდელი თანხა კატასტროფულად გაიზარდა.

მეზობელ ქვეყნებში შეძენილ პროდუქციას ხშირ შემთხვევაში არ მოჰყვება საქონლის ფასის აღმნიშვნელი შესაბამისი ფაქტურა, რისი მეშვეობითაც ხდება გადასახადის დადგენა. საბაჟო ცდილობს, მაქსიმალურად ძვირად შეაფასოს საქონელი, ვიდრე რეალურად ღირს. ამის გამო ურთიერთობა დაიძაბა მოსახლეობასა და საბაჟოს შორის. გართულდა საბაჟო პროცედურები. კერძო მოვაჭრეებს კვირაობით უწევთ საქონლის განბაჟებაზე ლოდინი. ამას გარდა, საშუამავლო ფირმა „კარგომ“, რომელიც თითქმის 10 წელია, ფიზიკური პირების მიერ ჩამოტანილი ტვირთების განბაჟება-დასაწყობებაზე მუშაობს და მონოპოლისტი კომპანიაა, გაზარდა მომსახურების ტარიფები. გაორმაგდა მეზობელ ქვეყნებში მგზავრობის ღირებულებაც.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დავით ნარმანია** მიიჩნევს, რომ ბოლო პერიოდში ხელისუფლებას გადასახადების აკრეფა უჭირს და ამიტომ განახორციელა მსგავსი ცვლილებები.

**„ხელისუფლებას უძნელდება გადასახადების ამოღება. ამის გამო ყველანაირ გადასახადს ამძიმებს და ამკაცრებს. გაზარდა საბაჟო განაკვეთები იმ ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც ხშირად კვეთენ საქართველოს საზღვარს. ხელისუფლება როცა ახორციელებს საზოგადოების საწინააღმდეგო ცვლილებებს, ყოველთვის მისი ინფორმირების გარეშე აკეთებს ამას. ამჯერადაც, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, ივნისში ძალიან სწრაფად განხორციელდა ცვლილებები, რაც შეუსაბამოა თავად ხელისუფლების იმ განცხადებებთან, რომლებიც გადასახადების ლიბერალიზაციას ეხებოდა,** — აღნიშნა ბატონმა დავითმა ჩვენთან საუბრისას, — **რაც შეეხება შპს „კარგოს“ მიერ მომსახურების ტარიფების გაზრდას, აღნიშნულ კომპანიას კერძო საბაჟო საწყობის ლიცენზია აქვს და საკუთარი სურვილის მიხედვით ზრდის ან ამცირებს ფასებს. „კარგო“ კერძო ფირმაა. მას თავად შეუძლია ფასების ფორმირება, ის ამავე დროს მონოპოლისტი კომპანიაა, ამიტომ არ მგონია, დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ეს საკითხი. ვფიქრობ, ყველაფერი შემოსავლების სამსახურთანაა შეთანხმებული. ვერ გეტყვით, ვინ დგას ამ კომპანიის უკან, მაგრამ ვიცი, რომ ის, ძირითადად, აეროპორტებში არსებული ფირმაა, რომელიც თვითმფრინავებიდან ჩამოსული**




**ტვირთების განბაჟებაზე და მათ დასაწყობებაზე მუშაობს. მას ბოლო 10 წლის განმავლობაში ყოველთვის სერიოზული პრობლემები ჰქონდა ტვირთებთან დაკავშირებით. ამ კითხვით უნდა მიმართოთ შემოსავლების სამსახურს. მას აქვს ყველა ინფორმაცია, ვინ არის მისი დამფუძნებელი, რომელი ლიცენზია აქვს, რა ტიპის საქმიანობას ეწევა და ა.შ. თუ ისინი აბსოლუტურ დუმილს არჩევენ, რაც დიდი ალბათობაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს კომპანია და შემოსავლების სამსახური ერთმანეთთანაა შეკრული“.**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **გია ხუხაშვილი** ნაკლებსავარაუდოდ მიიჩნევს, რომ პირველადი მოხმარების საგნებზე და რაღაც წვრილმანებზე მონოპოლიურად ხდებოდეს ფასების ფორმირება.

**„ზოგადად, ფასების გაძვირება გლობალური პროცესია და ამას, ალბათ, ბაზარი განსაზღვრავს. რაც შეეხება დამატებითი ღირებულების გადასახადს, ამას კანონი ადრეც ითვალისწინებდა. უბრალოდ, აქამდე სხვაგვარად უყურებდნენ ამ საკითხს და კერძო პირებს მინიმალური რაოდენობის პროდუქციას არ უბეგრავდნენ. ამ ცვლილებებმა, ბუნებრივია, გარკვეული პრობლემები შექმნა. სერიოზულ უხერხულობას კი ის ფაქტი იწვევს, რომ მებაჟეები ცდილობენ, ესა თუ ის საქონელი, რომელსაც ფასის აღმნიშვნელი შესაბამისი დოკუმენტაცია არ მოჰყვება, რაც შეიძლება ძვირად შეაფასონ, რაც მანიპულაციების და კონფლიქტის საგანი ხდება და სიტუაციას ძაბავს“,** — აცხადებს ბატონი გია.

მომსახურების ტარიფების და საბაჟო გადასახადების მოულოდნელი გაზრდა, სხვა ანალოგიური ცვლილებები, არაოფიციალური ინფორმაციით, „ქემალ ფაშას“ ბაზრობას უკავშირდება, რომელიც, კულუარული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილის დედას — გიული ალასანიას ეკუთვნის.

აღნიშნული ბაზრობა აქამდე თურქეთის ტერიტორიაზე, სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტთან ახლოს მდებარეობდა და შერეული საქონლით ვაჭრობდა. მისმა მეპატრონეებმა მოულოდნელად აღნიშნული ბაზრობის საქართველოს ტერიტორიაზე გადმოტანა გადაწყვიტეს. თავად ამ ფაქტმა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ხოფის ბაზრობის მოვაჭრეებში და ერთგვარ დაპირისპირებამდეც მივიდა, თუმცა ამან ვერ შეაჩერა პროცესი და უახლოეს დღეებში ახალი ბაზრობის ამოქმედებას ელიან.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ამ საკითხის გარკვევითაც დაინტერესდა და კომენტარი სთხოვა ბატონ **გია ხუხაშვილს:**

— ვისია ეს ბაზრობა, კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ასეთი ტიპის პროცედურებს ნამდვილად შეუძლია, გაზარდოს ტარიფები. თუკი მართლაც ხდება ასეთი რამ, ბუნებრივია, გაჩნდა მონოპოლისტი, რომელსაც საშუალება ეძლევა, სხვადასხვა მექანიზმით შექმნას არაჯანსაღი სიტუაცია, თავად მეტ მოგებაზე იმუშაოს, სხვები არაკონკურენტულ გარემოში ჩააგდოს, მათი საქმიანობა წამგებიანი გახადოს და ხალხი, ფაქტობრივად, უმუშევარი დატოვოს. ეს ძალიან ცუდი ფაქტია, რადგან ეს პიროვნებები უერთდებიან უმუშევართა იმ უზარმაზარ არმიას, რომელიც ისედაც საშიშ ზღვარზეა ქვეყანაში და, ზოგადად, ძალზე ამწვავებს სოციალურ ფონს. დღეს ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ ყველა თანაბარ მდგომარეობაში იყოს. არც დედიკოები, არც მამიკოები და არც ბიძაშვილ-ნათესავები არ უნდა აკონტროლებდნენ სიტუაციას. ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს პროცესებში და ბაზარი თავად არეგულირებდეს ფასებსაც და სუბიექტებსაც. ჩვენს ქვეყანაში ასე არ ხდება და აქედან მომდინარეობს ბევრი პრობლემა.

ეკონომისტები თვლიან, რომ ამ პროცესების შედეგად შეიძლება ათასობით ადამიანი დაზარალდეს და კიდევ უფრო გაჭირდეს ბიუჯეტის შევსება.

**გამართლდება თუ არა ეკონომისტების პროგნოზები, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ჩვენ კი აუცილებლად შევეცდებით, გავარკვიოთ, ვინ არის შპს „კარგოს“ მფლობელი, რომელსაც მონოპოლია აქვს აღებული საქართველოში ფიზიკურ პირების მიერ შემოტანილი ტვირთების განბაჟება-დასაწყობებაზე და რეალურად რა კავშირშია გიული ალასანიას ბაზრობასთან თუ საბაჟო გადასახადების გაზრდასთან.**

**ნათია ქადაგიშვილი**

ქართველი ხალხისადმი კორექტულობის სრული დაცვითა და პატივისცემით დააფიქსირა.

— არ ვთვლი სწორად, რომ რუსეთთან ურთიერთობა, თუ ამერიკულ ძალზე პირობით ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, რომელიმე სხვა ქვეყნის ხარჯზე უნდა „გადაიტვირთოს“. ჩვენ ნორმალური სამუშაო და მეგობრული ურთიერთობა გვესაჭიროება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ურთიერთსასარგებლო — ეს ყველაზე მთავარია, ამაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობამ ჩვენ სხვა ქვეყნებთან კონტაქტები უნდა გაგვიფუჭოს ან ამერიკას უნდა გაუფუჭოს ურთიერთობა რომელიმე ქვეყანასთან, საქართველო იქნება ეს თუ უკრაინა... თუ საქართველოსთან ჩვენს ურთიერთობებზე ვისაუბრებთ, ეს რთული თემაა. ჩვენ ახლა არ გვაქვს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები და ეს იმ აგრესიის შედეგია, რომელიც შარშან სააკაშვილის რეჟიმმა გამოავლინა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, პრაქტიკულად, არ არსებობს. ამავე დროს, ჩვენ გვაქვს დიდი ხნის და ძალზე თბილი ურთიერთობები ქართველ ხალხთან, რომელთან ერთადაც ათას ქარცეცხლში გამოვიარეთ. და ჩვენ გვინდა ეს ურთიერთობები, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ამაზე არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვამბობ. სააკაშვილის მსგავსი რეჟიმები მოდიან და მიდიან, ხალხთა შორის გრძნობები კი რჩება. და დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ჩვენი ურთიერთობები აღდგება იმ ახალი რეალობების გათვალისწინებით, რომლებიც შეიქმნა და იმ ტრაგიკული ფურცლების გათვალისწინებით, რომლებიც ამ ურთიერთობებმა უკანასკნელ პერიოდში გაიარეს...

# რას ფიქრობენ რუსეთში კურილიის კუნძულებზე

**კურილიის ოთხი სამხრეთი კუნძულის იაპონიისთვის გადაცემას რუსების დიდი უმრავლესობა ეწინააღმდეგება.**






გამოკითხვის თანახმად, სადავო ტერიტორიის გასხვისების წინააღმდეგი 89 პროცენტია, მომხრე კი — მხოლოდ 4%. თუ პრეზიდენტი მედვედევი ამ საკითხის გადაწყვეტისას ხალხის აზრს არ გაითვალისწინებს, მისი რეიტინგი მკვეთრად დაეცემა.

1994 წელს იაპონიისთვის კუნძულების გადაცემის იდეას მხოლოდ 76% ეწინააღმდეგებოდა. ახლა კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ გზად რუსეთის მოსახლეობის 79%-ს კუნძულების რუსეთის შემადგენლობაში დატოვება და ამ საკითხზე მსჯელობის შეწყვეტა მიაჩნია. რუსების 50 პროცენტი კურილიის კუნძულებს ზღვის პროდუქტებისა და სასარგებლო წიაღისეულის მარაგად აღიქვამს, 43% კი — მნიშვნელოვან სამხედრო ფორპოსტად.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## „საქართველო და მსოფლიოს“ მიერ ორი თვის წინათ გავრცელებული სკანდალური ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბაიდენის ვიზიტის დღეს აღიარა

# ვაშაძის ბოკერიათი ჩანაცვლება მხოლოდ დროის საკითხია

**ორიოდე თვის წინათ რუსეთიდან საქართველოს კონსული ზურაბ პატარიძე და საელჩოს კიდევ ერთი თანამშრომელი გამოაძევეს იმის პროპორციულ პასუხად, რაც ქართულმა მხარემ საქართველოში არ შემოუშვა რამდენიმე რუსი დიპლომატი. ამის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერდა. მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში მომხდარი არ დაგვიდასტურეს, მაგრამ 22 ივლისს ცნობილი გახდა, რომ რუსეთმა მოსკოვიდან საქართველოს კონსული ზურაბ პატარიძე და კიდევ ერთი ქართველი დიპლომატი გამოაძევა.**
**გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა პატარიძე პერსონა ნონ გრატად მას შემდეგ გამოაცხადა, რაც ოფიციალურმა თბილისმა შპიონაჟის ბრალდებით საქართველოში არ შემოუშვა რამდენიმე რუსი დიპლომატი, რომელთაც საქართველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის სექციაში სხვა დიპლომატები უნდა ჩაენაცვლებინათ.**




**ასე გამოიყურებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტი ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინათ**

„რუსეთის ეს რეაქცია მოსალოდნელი იყო, რადგან რუსეთს ყოველთვის შურისძიების პოზიცია ეკავა“, — განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა ეკა ტყეშელაშვილმა.

მისი თქმით, ოფიციალურ თბილისს სრული უფლება ჰქონდა, არ დაეშვა რუსეთის ის მოქალაქეები, რომლებიც დიპლომატიური წრეების წარმომადგენლები ნამდვილად არ იყვნენ.

თავად ზურაბ პატარიძე მიიჩნევს, რომ ის წარმატებული დიპლომატიური საქმიანობისთვის გამოაძევეს.

„ჩემთვის ეს გაუგებარია. ისიც გაუგებარია, თუ რისი პასუხი იყო – ჩემი რუსი კოლეგა აგრძელებს მუშაობას შვეიცარიის საელჩოს რუსეთის სექციაში“, — აცხადებს პატარიძე.

**ჩვენ შეგნებულად მივუთითეთ თარიღი, დიახ, საზოგადოებისთვის მხოლოდ 22 ივლისს გახდა ცნობილი რუსეთიდან საქართველოს კონსულის გამოძევების შესახებ. არადა „საქართველო და მსოფლიო“ (№12, 13-19 მაისი) წერდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საგულდაგულოდ გასაიდუმლოებული დიპლომატიური სკანდალის შესახებ, სათაურით „ვაშაძის უწყება საგულდაგულოდ მალავს სკანდალს — რატომ გამოაძევეს რუსეთიდან საქართველოს კონსული“. მართალია, აღნიშნული ინფორმაცია მკითხველს კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით მივაწოდეთ და მაშინ რუსეთის ფედერაციიდან ზურაბ პატარიძის დიპლომატიური გამოპანღურება საგარეო საქმეთა სამინისტროში არ დაგვიდასტურეს, მაგრამ ნათქვამია: „ჭირმა თავი არ დამალაო“ და საგარეო საქმეთა სამინისტროში (ზოგადად, საქართველოს მთავრობაში) არსებული ჭირი ხშირად შეგვახსენებს ხოლმე თავს.** ეს ჭირი, ხშირ შემთხვევაში, არაპროფესიონალიზმია, ხშირად — სიბრიყვე და, უმეტესწილად, ამ ჭირს, თავს რომ არ მალავს სააკაშვილის მთავრობაში, უცხო ქვეყნის მსახურება ჰქვია. როგორც აღვნიშნეთ, ორიოდე თვის წინათ, როდესაც ჩვენ რუსეთიდან საქართველოს კონსულის გამოძევების შესახებ ვწერდით, ინფორმაციის გადამოწმება საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ვცადეთ, მაგრამ დიპლომატიური უწყების პრესსამსახურის თანამშრომლებმა მეტისმეტად „კომპეტენტური“ პასუხი გაგვცეს. თავდაპირველად საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელმა დაგვაკვალიანა, რომ ჩვენს შეკითხვაზე — ვინ არის რუსეთში საქართველოს კონსული — პასუხს რუსეთთან ურთიერთობის დეპარტამენტში გაგვცემდნენ. რა თქმა უნდა, მათი რჩევა გავითვალისწინეთ და ზემოთ ხსენებულ დეპარტამენში დავრეკეთ, თუმცა რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, დეპარტამენტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გიორგი ყარალაშვილმა ვერ გაგვცა ჩვენთვის საინტერესო შეკითხვაზე პასუხი. დეპარტამენტში კატეგორიულად განაცხადეს, რომ არ ჰქონდათ ამ საკითხზე საუბრის უფლება და ინფორმაციის მიღება პრესსამსახურში გვირჩიეს. „საქართველო და მსოფლიო“ უცვლელად გთავაზობთ დაახლოებით ორი თვის წინათ ჩაწერილ საუბარს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელ ნათია კაკულიასთან, რომელმაც თავაზიანად განგვიმარტა, რომ, თურმე, ინფორმაცია იმის შესახებ, ვინ არის რუსეთში საქართველოს კონსული, რუსეთთან ურთიერთობის დეპარტამენტში უნდა მიგვეღო და დაგვაკვალიანა, რომ რუსეთის საელჩოს სექცია შვეიცარიის საელჩოშია.

**— გასაგებია, და ჩვენც ვიცით, რომ დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ როგორც საქართველოში, ისე რუსეთში საკონსულოები შვეიცარიის საელჩოშია გახსნილი...**

— ხო...

**— იქნებ, გვითხრათ, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს კონსულის სახელი და გვარი...**

— გასაგებია, რომ გაინტერესებთ, მაგრამ საიტზე არ წერია და მე საიდან მოვიტანო? ვერ გავიგე... მე ხომ არ ვმუშაობ საკონსულოს საკითხებზე?! არ ვიცი, მაშინ საკონსულო დეპარტამენტის ნომერს მოგცემთ.

**— ინფორმაცია საკონსულო დეპარტამენტიდან უნდა მივიღოთ თუ რუსეთთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უნდა გვითხრას, ვინ არის ამჟამად რუსეთში საქართველოს კონსული? გაუგებარია, რატომ წარმოადგენს საიდუმლოს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს კონსულის დასახელება?**

— არა, ნამდვილად არ არის საიდუმლო, ვინ არის რუსეთის ფედერაციაში საქართველოს კონსული... ამჟამად არ გვყავს ხომ კონსული?

## საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელი ჩვენთან ცდილობდა იმის გარკვევას, გვყავს თუ არა რუსეთის ფედერაციაში კონსული... იმედია, ახლა მაინც გახდება საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომლებისთვის ცნობილი, რომ რუსეთიდან საქართველოს კონსული გამოაძევეს...

**— ქალბატონო ნათია, სწორედ ამ საკითხის გარკვევას ვცდილობთ თქვენთან...**

— ახლა შემოვიდა ჩვენთან რუსეთის დეპარტამენტის თანამშრომელი... უბრალოდ, პრესასთან ურთიერთობა გვეხება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ... ამჟამად რუსეთში კონსული არ გვყავს...

**— რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ არ გვყავს კონსული?**

— *(ხანგრძლივი პაუზის შემდეგ)* ადრე გვყავდა, ანუ დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც გვყავდა კონსული და ახლო მომავალშიც დაინიშნება...

**— ვინ იყო უკანასკნელი კონსული, სახელი და გვარი მითხარით...**

— ვინ იყო, ხომ არ იცი, სახელი და გვარი აინტერესებს... *(ეკითხება მასთან შესულ რუსეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელს. შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ იმ მომენტში არკვევდნენ, ვინ იყო რუსეთის ფედერაციაში საქართველოს კონსული, რადგან არცთუ სწრაფად გვიპასუხა, რომ, თურმე, რუსეთში საქართველოს კონსული ზურაბ პატარაძე ყოფილა).*

**— ბატონი ზურაბი ამჟამად საქართველოში იმყოფება? იქნებ, მისი საკონტაქტო ტელეფონი მაინც მითხრათ?**

— არ იციან ამდენი, იყო კონსული, მაგრამ აღარ არის და საგარეო საქმეთა სამინისტრომ ახლა... მაშინ კადრებში უნდა დარეკოთ...

**— კარგი. ერთ შეკითხვასაც დაგისვამთ და დავასრულებთ თქვენთან საუბარს. ჩვენი ინფორმაციით, რუსეთმა გამოაძევა საქართველოს კონსული და საელჩოს კიდევ ერთი თანამშრომელი იმის პროპორციულ პასუხად, რაც ჩვენ რუსეთს დიპლომატების როტაციაზე უარი ვუთხარით...**

— ვერ გაგცემთ პასუხს...

**— ამის შესახებ ინფორმაცია არ გაქვთ თუ პასუხის გაცემა არ გსურთ?**

— მე ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის დეპარტამენტში ამბობენ, რომ არ არის საჭირო ამის სააშკარაოზე გამოტანა. მე არ მაქვს ინფორმაცია...

***

თუ მომხდარი დიპლომატიური სკანდალის „სააშკარაოზე გამოტანა“ არ იყო საჭირო, ახლა, ბაიდენის ჩამოსვლის წინა დღეს, რატომ ავტეხეთ ვაი-ვიში, რუსეთიდან საქართველოს კონსული გამოაპანღურესო?! იმიტომ ხომ არა, რომ დიდი მეგობრისთვის კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა აგრესორი ჩრდილოელი მეზობლის სახე?!

„საქართველო და მსოფლიოს“ მე-12 ნომერში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის შესახებაც ვწერდით. კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩების ჩამონათვალი ირაკლი ჩუბინიშვილით სრულდებოდა და სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ეწერა, რომ, თურმე, ჩუბინიშვილი 2005 წელს რომ წარვგზავნეთ ელჩად რუსეთში, დღემდე ელჩის თანამდებობაზეა. თავი დავანებოთ იმაზე საუბარს, რომ, სამწუხაროდ, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილი გვაქვს და არათუ ირაკლი ჩუბინიშვილი, საერთოდ არ გვყავს მეზობელ ქვეყანაში ელჩი. სულ მცირე, საგარეო სამინისტროს საიტზე ის ინფორმაცია მაინც უნდა ყოფილიყო განთავსებული, რომ ჩუბინიშვილი ერასტი კიწმარიშვილმა ჩაანაცვლა, თუმცა, ჩვენდა გასახარად, ჩვენი კრიტიკა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუთვალისწინებია და დღეს სამინისტროს ვებგვერდზე „განახლებული“ ინფორმაციაა განთავსებული.

**საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები რუსეთის ფედერაციაში:**

**ვალერიან ადვაძე**
(1993 წლის აპრილი — 1995 წლის იანვარი);
**ვაჟა ლორთქიფანიძე**
(1995 წელი — 1998 წლის აგვისტო);
**მალხაზ კაკაბაძე**
(1998 წლის სექტემბერი — 2000 წლის მაისი);
**ზურაბ აბაშიძე**
(2000 წლის ივლისი — 2004 წლის თებერვალი);
**კონსტანტინე კემულარია**
(2004 წლის თებერვალი — 2004 წლის ივლისი);
**ვალერი ჩეჩელაშვილი**
(2004 წლის აგვისტო — 2005 წლის თებერვალი);
**ირაკლი ჩუბინიშვილი**
(2005 წლის ივლისი — 2008 წლის თებერვალი);
**ეროსი კიწმარიშვილი**
(2008 წლის თებერვალი — 2008 წლის სექტემბერი);
**გივი შუღაროვი**
(2009 წლის მარტი — დღემდე) — რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ხელმძღვანელი.

**მეტი სიცხადისთვის კიდევ ერთხელ გთავაზობთ ინფორმაციას, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე ორიოდე თვის წინათ იყო განთავსებული და, როგორც აღვნიშნეთ, შესწორება სამინისტროს ვებგვერდზე „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული მასალის შემდეგ შევიდა: რუსეთის ფედერაციაში საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩები იყვნენ:**

**ვალერიან ადვაძე**
(1993 წლის აპრილი — 1995 წლის იანვარი);
**ვაჟა ლორთქიფანიძე**
(1995 წელი — 1998 წლის აგვისტო);
**მალხაზ კაკაბაძე**
(1998 წლის სექტემბერი — 2000 წლის მაისი);
**ზურაბ აბაშიძე**
(2000 წლის ივლისი — 2004 წლის თებერვალი),
**კონსტანტინე კემულარია**
(2004 წლის თებერვალი — 2004 წლის ივლისი);
**ვალერი ჩეჩელაშვილი**
(2004 წლის აგვისტო — 2005 წლის თებერვალი);
**ირაკლი ჩუბინიშვილი**
(2005 წლის ივლისი — დღემდე)...

მისასალმებელია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ აბსურდადქცეული დაუდევრობა გაასწორა... ისიც მისასალმებელია, რომ საქართველოს მთავრობის ერთმა რგოლმა მაინც გაითვალისწინა ქართულ პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკა...

**P.S.** რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გრიგოლ ვაშაძის მოხსნა და მის ადგილზე გიგა ბოკერიას დანიშვნა იგეგმება. მართალია, ეს მითქმა-მოთქმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად უარყო და განაცხადა, რომ, თურმე, ბატონი ვაშაძე მივლინებაშია... საგარეო საქმეთა სამინისტრო ორი თვის წინათ საგულდაგულოდ მალავდა იმასაც, საქართველოს კონსული რომ გამოაძევეს რუსეთიდან, მაგრამ მოუხდათ ამ დიპლომატიური სკანდალის აღიარება... ასე რომ, არ უნდა გამოვრიცხოთ, მთავარი დიპლომატის თანამდებობიდან გაძევებაც სიმართლე იყოს! „აღდგომა და — ხვალეო“... ვაითუ ხანგრძლივი აღმოჩნდეს პრიმაბალერინას დიპლომატი მეუღლის შვებულება?! უპრიანია, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მიშას ქვეშევრდომებს: ჭირი რაც უნდა მალოთ, ბატონებო, მას ერთი მავნე ზნე აქვს — ჭირი თავს არასდროს დამალავს და აქვე დავამატოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული გადაუმოწმებელი ინფორმაციით, ვაშაძის ბოკერიათი ჩანაცვლება მხოლოდ დროის საკითხია!

# რაზე ბჭობდნენ დავითაშვილის სახლში გამართულ საიდუმლო სერობაზე და როგორ «გადააგდო» კობამ კოლეგები

**წამოეგება თუ არა მიხეილ სააკაშვილის გადმოგდებულ ანკესს პარლამენტს გარეთ საკუთარი არჩევანით დარჩენილი ოპოზიცია, ამას დრო გვანახებს, თუმცაღა შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ არ წამოეგება და შემოდგომის ჭექა-ქუხილის დროს, ადგილობრივი არჩევნების პარალელურად, საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნას წაუყენებენ სააკაშვილს და ისიც ისე მოიქცევა, როგორც ამას „კანონი“ უკარნახებს! „საქართველო და მსოფლიო“ საკუთარი არჩევანის სისწორეში დარწმუნებულ პარლამენტში შესულ ოპოზიციონერ გიორგი ცაგარეიშვილს ესტუმრა და მრავალ შეკითხვასთან ერთად ისიც ჰკითხა: მართლა იკრიბებოდნენ თუ არა კობა დავითაშვილის სახლში ის, ჯონდი ბაღათურია, პაატა დავითაია და გია თორთლაძე იმისთვის, რომ მეორე დილით პარლამენტში ერთად შესულიყვნენ?**
**საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გია ცაგარეიშვილი გულწრფელი და კარგი რესპონდენტია სხვა ბევრი ოპოზიციონერი ლიდერისგან განსხვავებით. იგი არასოდეს აყენებს ჟურნალისტებს შეურაცხყოფას, შეკითხვის ორჯერ გამეორებისას ზოგიერთივით არ ღიზიანდება, რაც, დამეთანხმეთ, მისი კარგი აღზრდის უტყუარი ტესტია.**



**— ბატონო გია, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, თქვენ და მაშინდელი ოპოზიციის რამდენიმე წევრი: გია თორთლაძე, ჯონდი ბაღათურია, პაატა დავითაია კობა დავითაშვილის სახლში შეიკრიბეთ, რათა მეორე დღეს პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ განგეხილათ...**

— დიახ, ასე იყო, თუმცა იქ კიდევ ერთი ადამიანიც იყო, ბატონი ირაკლი მელაშვილი „ფორუმიდან“...

**— კობა დავითაშვილმა „თქვენი გუნდი გადააგდო“ და დიდი მაკრატლით საკუთარი მანდატი სახალხოდ დაჭრა, მგონი, მაკრატელიც ჩაუტყდა ხელში და, ხომ არ იცით, რატომ შეცვალა მოულოდნელად ღამით მიღებული გადაწყვეტილება?**

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით... იცით, იქ იყო საკითხები, რომლებიც დაფინანსებას ეხებოდა და კობას პარტიას, რადგანაც დაფინანსება მაინც ეკუთვნოდა საკრებულოს მანდატით, შესაძლოა, ამან ითამაშა გარკვეული როლი მის გადაწყვეტილებაში... არ დაგიმალავთ, რომ გარდა პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხისა, იდგა „სიის ჩახსნის“ საკითხიც, რადგან ლიდერების მოთხოვნით, 15-ის ზემოთ „სია ჩაიხსნა“ და მომდევნო ნომრები ვერ შედიოდნენ პარლამენტში, ამიტომაც ამ საკითხებზეც ვმსჯელობდით და დღემდე ვთვლი, რომ ეს ქმედება ამ ლიდერების მხრიდან მცდარი გადაწყვეტილება იყო!

ჩემი აზრით, პარლამენტში შესვლა ხელს არ შეუშლიდა იმ გრანდიოზული მანიფესტაციების მოწყობას, რაც მოგვიანებით განხორციელდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, გემოვნებაზე არ დაობენ, მით უმეტეს — პოლიტიკურ გემოვნებაზე... მეტიც, 2 ნოემბრიდან დაწყებულ მანიფესტაციებზე სწორედ პარლამენტის დეპუტატები ვიყავით წარმოდგენილი ოპოზიციაში: მე, კახა კუკავა, ზვიად ძიძიგური, „მემარჯვენეები“, „რესპუბლიკელები“ და, მგონი, ჩვენთვის ხელი არავის შეუშლია იმ მოსაზრებით, რომ დეპუტატები ხართ და ხალხთან ქუჩაში გასვლა კანონით გეკრძალებათო.

**— ისე, პოლიტიკური პროცესების წარმართვა პარლამენტში ჯობია თუ ქუჩაში?**

— მე ამას კომბინაციაში განვიხილავ... ერთი მეორეს ხელს არასდროს უშლის...

**— ის, რაც 2008 წლის 5 იანვრის შემდეგ მოხდა (ანუ ოპოზიციის უნიათობით შენარჩუნებულ სააკაშვილის ხელისუფლებას ვგულისხმობ), პასუხისმგებლობა სააკაშვილთან ერთად ოპოზიციასაც არ ეკისრებოდა? ხომ არ ფიქრობთ, რომ სწრაფი, ემოციური გადაწყვეტილებები გახდა ყოველივეს მიზეზი?**

— მე ერთ რამეში აბსოლუტურად გეთანხმებით — პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, თანაზიარად უნდა გადანაწილდეს ყველა პოლიტიკურ ძალაზე, მაგრამ ოპოზიციასთან თანაფარდობაში ხელისუფლების პასუხისმგებლობა ერთი ათზეა!

**— ბატონო გია, თქვენი ოპონენტები აუცილებლად იკითხავენ: შენ რომ პარლამენტში შებრძანდი, რა, ხელისუფლება ბევრ დათმობაზე წამოიყვანე, გინდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, გინდ სასამართლოს სამართლიანობაში, მედიის თავისუფლებაში, გინდ სრულიად დრაკონული კანონების მიღებაში, თუ რაო?**

— მინდა, გითხრათ, რომ ოპოზიციონერობა პარლამენტში საკმაოდ „უმადური“ საქმეა და არ არის ადვილი. ზოგს კი მიაჩნია, რომ ოპოზიციაში ყოფნა გაცილებით ადვილია, მაგრამ ეს მცდარი აზრია! ჩვენ, სააკაშვილის მომხრე უმრავლესობიდან და თვით სააკაშვილისგანაც ისეთ ვითარებაში ვართ, როცა შენი ნათქვამი არა თუ ესმით, გაგონებაც კი არ უნდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ განსხვავებული აზრი პარლამენტის ტრიბუნიდან აუცილებლად უნდა ისმოდეს და ეს ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ!

საცნაური ისაა, რომ ერთი წლის წინათ სწორედ ის ადამიანები, ვინც მე მიკიჟინებდა, პარლამენტში არ უნდა შეხვიდეო, დღეს გაზეთებში წერენ (გვარ-სახელებს არ დავასახელებ), რომ ყველა ტრიბუნა უნდა გამოვიყენოთ, მაგიდიდან ადგომის საშუალება არ უნდა მივცეთ ხელისუფლებას და დიალოგი ვაწარმოოთ... ბოდიში მომიხდია, მაგრამ, იქნებ, თქვან, აბა, მე დღეს რით ვარ დაკავებული? ჩემი აზრით, დანამუსების პოლიტიკით, პოლიტიკური პროცესების მართვა არა თუ უადგილოა, არამედ დამღუპველიც კია ქვეყნისთვის და ემოციებზე დაყრდნობით თუ გვინდა ქვეყნის მართვა მომავალშიც, კი ბატონო...

ემოცია და პოლიტიკა აბსოლუტურად სხვადასხვა რამაა. თქვენ კარგად გახსოვთ, ლანძღვა-გინების რამხელა ნიაღვარი მოჰყვა პარლამენტში შემოსვლას, მაგრამ, თუნდაც, ციხიდან 2000 პატიმრის გამოშვება საპარლამენტო ოპოზიციის წარმატება არ იყო?

**— 9 აპრილს დაწყებული საპროტესტო ტალღა რომ ასე დაიშლებოდა სააკაშვილის „ვალნარეზზე“, გეგონათ?**

— მე არ ვფიქრობ, რომ სამყაროში რაიმე უკვალოდ ქრება... ჩემი აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ არასწორად მოფიქრებული, არასწორად დაყენებული ლოზუნგების ტყვეობაში აღმოჩნდნენ როგორც ლიდერები, ისე საზოგადოება. „9 აპრილს, საღამოს 9 საათზე დავამთავრებთ სააკაშვილს!“ და ვიცოდი, რომ მსგავსი არაფერი მოხდებოდა. რბილად რომ ვთქვა, უპასუხისმგებლო განცხადება იყო, თუმცა მე, ერთი გია ცაგარეიშვილი, როგორი ტრაგიკული ფინალითაც უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი, მაინც ხალხთან ვიქნებოდი ბოლომდე, რადგან ასეთი ადამიანი ვარ! სხვათაშორის „ფორუმელები“ და შალვა ნათელაშვილის პარტია წინააღმდეგი იყვნენ ასეთი ცრუ მოლოდინების.

**— საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილი სააკაშვილთან ფარულ პოლიტიკურ გარიგებაშია და ეს ყველაფერი, რაც მოხდა, სწორედ ამის შედეგია...**

— მე ასე არ ვფიქრობ. საერთოდ, მგონია, რომ რაღაც დოლარებით დატენილი წითელი პარკები და რაღაც ასეთი სისულელეების მონაჩმახი უბედური და ბოროტი ხალხის მოგონილია, რომელსაც რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს! ოპოზიციის ეს მდგომარეობა, ჩემი აზრით, დაშვებული სერიოზული მნიშვნელოვანი შეცდომების ბრალია, რის შედეგადაც სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა, სამწუხაროდ, ხანგრძლივდება!

**— ბატონო გია, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ჩამოსვლისას თბილისში ერთობ უცნაური ვითარება შეიქმნა, კერძოდ: ამერიკელი სპეცსამსახურები ქართველ სამართალდამცველებს საკმაოდ უხეშად და პრინციპულად მიუთითებდნენ, რომელი კენჭი, ურნა და, თუნდაც, საკანი სად უნდა მდგარიყო. ეს ყველაფერი რაზე მეტყველებს, თქვენი აზრით, და, იქნებ, ისიც მითხრათ, როცა სააკაშვილი სადმე მიბრძანდება, ჩვენი სამართალდამცველებიც ასე იქცევიან უცხოეთში კოლეგა სპეცსამსახურებთან?**

— საერთოდ, ეს უხერხულობა, გარკვეულწილად, დეპუტატებმაც გამოვცადეთ, როცა ჭონქაძის ქუჩიდან დაწყებული, პარლამენტის შენობით დამთავრებული, „კორიდორებში“ მოგვიხდა გამოვლა, მაგრამ რას ვიზამთ, უსაფრთხოების ზომები მკაცრად იყო დაცული და ჩვენც დავმორჩილდით... გეთანხმებით, შეურაცხმყოფელია, მაგრამ რას ვიზამთ? აქ დაძაბული რეგიონია და ამერიკის სპეცსამსახურებიც შესაბამისად მოქმედებენ.

**— დღეს, როცა ჩვენ აქ ვსაუბრობთ, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე იმ დეპუტატების მანდატების აღდგენის საკითხი განიხილება, რომლებმაც თავის დროზე საკუთარი ნებით თუ სხვისი დიქტატით აქ შემოსვლაზე უარი თქვეს და მანდატები დაჭრეს. იქნებ, ამიხსნათ, მიშას ეს ინიციატივა რაზეა გათვლილი — იმაზე ხომ არა, არანაირ საპარლამენტო არჩევნებს არ დავნიშნავ და თუ გინდათ, ახლა შემოდითო?**

— ეს არის ჩავესის, ილხამ ალიევისა და ნურსულთან ნაზარბაევის სტილში განხორციელებული ცვლილებები, რაც თავის თავში გულისხმობს „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და მეტი არაფერი! არ გაგიკვირდეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩავესივით გამოაცხადოს — სამუდამოდ პრეზიდენტობა მწადია და კონსტიტუციაში ცვლილებებიც მიბრძანებიაო...

**— გია, იქნებ, სააკაშვილი მანდატების აღდგენის ინიციატივით იმიტომ გამოვიდა, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილიდან „ნამიოკი“ მიიღო?**

— პრინციპში, ესეც საკითხავია, მაგრამ ვეჭვობ, ასე ყოფილიყო, თუმცა როცა რამეში ეჭვი შემპარვია, სხვაგვარად მომხდარა და რა ვიცი...

2008 წელს პარლამენტში შემოსასვლელად მათთვის მორალურად უკეთესი მდგომარეობა არ იყო, ვიდრე ახლა? როგორ გგონიათ, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მე არ ვითხოვ? მაგრამ მოთხოვნა ერთია და დანიშნავენ თუ არა, — მეორე.

ჩემი აზრით, ჯერ საპრეზიდენტო არჩევნებიც უნდა ჩატარდეს, მაგრამ ჩატარდება? პირადად ჩემი აზრია და, ალბათ, ოპოზიციისთვისაც უპრიანი იქნება, რომ ადგილობრივ არჩევნებთან ერთად საპარლამენტოს მოთხოვნაც დადგეს, მაგრამ არა — მაისში, როგორც ამას ხელისუფლება გეგმავს, არამედ 2010 წლის თებერვალ-მარტში! ამის შემდეგ ახალ პარლამენტს შეუძლია კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელება და ნიველირების გაკეთება იმ სასწაულებრივი, იმპერატორს რომ აქვს ისეთი, უფლებებისათვის და ამით მისი განეიტრალების მთავარი ამოცანაც გადაწყვეტილი იქნება! შემდეგ შესაძლოა, ახალი არჩევნების დანიშვნა და მერწმუნეთ, ასეთი გათვლებისა და მოქმედების შედეგად წარმატებაც გარანტირებული იქნება!

გასული წლის მარტში ხელმოწერების შეგროვება დავიწყე სარეფერენდუმო კითხვით, რომელიც ასე ჟღერდა: გსურთ თუ არა, რომ არაუგვიანეს 2010 წლის იანვრისა ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები?

ოპოზიციაც და ხალხიც მაშინ მეუბნებოდნენ, რომ თითქოს მე სააკაშვილის ხელისუფლების გახანგრძლივება მინდოდა!

ახლა 2009 წელია, ივლისს აგვისტო მოჰყვება, აგვისტოს — სექტემბერი და იანვარიც მალე დადგება. მაშინდელი ქილიკიც და ყველაფერიც კარგად მახსოვს, მაგრამ 9 აპრილს რომ სააკაშვილი არ დამთავრდა, ესეც ვნახეთ! სარეფერენდუმო ხელმოწერები რომ შეგვეგროვებინა, თუნდაც, მილიონი ხელმოწერით და ჯო ბაიდენისთვის მაგიდაზე დაგვედო, შემდეგ შეგვეტანა ცესკოში და სააკაშვილისთვის გვეთქვა: „აბა, ძმაო და მეგობარო, კანონმდებლობიდან გამომდინარე, დანიშნე რეფერენდუმი-თქო“, ვნახავდით, როგორც მოიქცეოდა ეს ხელისუფლება!

მიტინგებს და მანიფესტაციებს ეს ხელს არ შეუშლიდა, პირიქით, წაადგებოდა კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, რეფერენდუმის იდეაც „ჩავარდა“!

არ ვიცი, ეს ყველაფერი ეჭვიანობის თუ პარტიული პარტიკულარობის ბრალი იყო, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი, რომ კრიტიკულ მომენტებში ოპოზიციამ უხეში შეცდომები დავუშვით და ერთიანობის პრინციპებიც უხეშად დავარღვიეთ!

ალბათ, გახსოვთ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, სადაც ოპოზიციის კანდიდატები ერთმანეთს ხმებს ვართმევდით და ერთი მანდატის გამო ვუპირისპირდებოდით! მე შეთქმულებების არ მჯერა, მაგრამ მჯერა შეცდომების, უპატიებელი შეცდომების, რომელთა შედეგსაც ქვეყანა იმკის ხოლმე...

**— ეს შეცდომები ბრიყვული იყო თუ არა, დრო აჩვენებს, მაგრამ რამდენად არის ამდენი სიბრიყვის ჩამდენი პოლიტიკოსების ადგილი ოპოზიციაში?**

— ვერ გეტყვით, ეს ჩვენი მოქალაქეების გადასაწყვეტია და როცა არჩევნებზე ყუთებთან დადგებით, მაშინ უნდა დაფიქრდეთ, ვართ თუ არა ღირსები, ხმა რომ მოგვცეთ! ამის საშუალება საზოგადოებას უკვე ჰქონდა და ექნება შემდეგშიც, მაგრამ ოპოზიციის სიბრიყვე, ამ ხელისუფლების დანაშაულის ფონზე, მაინც თითქმის უმნიშვნელოა და ახლოს მოსატანიც არ არის!

**— შემოდგომაზე სიტუაციის მკვეთრ დაძაბვას ვარაუდობენ, თქვენც იზიარებთ ამას?**

— მართალია, დღეს მასშტაბური აქციები აღარ იმართება, მაგრამ საპროტესტო მუხტი ხომ არ გამქრალა საზოგადოებაში? საქართველოში შემოდგომა პოლიტიკურად ყოველთვის აქტიური იყო და, ალბათ, ამჯერადაც ასე იქნება. წინასწარ რა გითხრათ?!.

ესაუბრა
**ირინა გოგოსაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ჯიმი ჯალიაშვილი:

# სომხეთისა და აზერბაიჯანის დაახლოებას შეიძლება, საქართველოს მორიგი დაქუცმაცება მოჰყვეს

## ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ გაიგო, რა დატვირთვა ჰქონდა მედვედევის ვიზიტს სამაჩაბლოში...



**ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე საქართველოში და საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე განვითარებულ მოვლენათა შესახებ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმი ჯალიაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო ჯიმი, ამ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში გამართულმა დოლმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, გამოითქვა უამრავი მოსაზრება და ღონისძიებას დსთ-ს არაფორმალური სამიტიც კი ეწოდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია ეს შეფასება და, საერთოდ, რამდენად ჰქონდა ამ ღონისძიებას პოლიტიკური მნიშვნელობა?**

— აბსოლუტურად ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ დოლი პოლიტიკური მნიშვნელობის იყო და არა — მხოლოდ გასართობი ღონისძიება. ჩემი აზრით, ამ პოლიტიკური სვლით რუსეთმა კიდევ ერთხელ შეახსენა დანარჩენ მსოფლიოს, რომ ის ცენტრალური მოთამაშეა დსთ-ისა და მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში და მასთან ლაპარაკი მხოლოდ იარაღის ენით კი არა, დიპლომატიურადაც შეიძლება, ოღონდ მხოლოდ იმ ქვეყნებთან, რომელთაც თავიანთი პოლიტიკური ინტერესები ერთპოლუსიანი მსოფლიოს შექმნისკენ არ აქვთ მიმართული...

რაც შეეხება დოლს, მისი მნიშვნელობა დაახლოებით ასე შეიძლება განიმარტოს — ეს არის შეჯიბრება იმ მსოფლიოში, სადაც „სუსტი ცხენითა“ და „ცუდი მხედრით“ გამარჯვება შეუძლებელია, ანუ ამ ლოგიკის თანახმად, თანამედროვე (და ყველა დროის) მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატების შანსი აქვთ მხოლოდ იმ ქვეყნებს (განსაკუთრებით ეს ეხება მცირერიცხოვან ერებს), რომელთაც თავიანთი ეროვნული ინტერესები შესაძლებლობების შესაბამისად აქვთ განსაზღვრული... ეს პოზიცია რუსეთმა არაერთხელ დააფიქსირა, თანაც ძალიან მკაფიოდ და პირდაპირ, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ დასავლური სამყაროსთვის, უწინარესად, ამერიკისთვის, კრემლის ამგვარი რაციონალური პოლიტიკა მიუღებელი და, შეიძლება ითქვას, გამაღიზიანებელიცაა, ვაშინგტონის სატელიტი ქვეყნები (მათ შორის, საქართველოც) ოფიციალური მოსკოვის ამ პოზიციას ხელაღებით აკრიტიკებენ, რის გამოც რუსეთსა და მასთან პოლიტიკურ კონფრონტაციაში მყოფ ქვეყნებს შორის ურთიერთობა დღითი დღე ჩიხში შედის...

**— „მოსკოვურ დოღში“ ოფიციალური მიწვევით ჩავიდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებიც, რომლებთანაც, როგორც ამბობენ, მედვედევს საგანგებო შეხვედრა ჰქონია. აგვისტოს ომისა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარების შემდეგ ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა, რომ კრემლის მესვეურმა სარქისიანი და ალიევი პირისპირ „დააჯახა“ ერთმანეთს... როგორ ფიქრობთ, რის მიღწევას ცდილობს ამით რუსეთი?**

— ზოგადად, კავკასიას რუსეთისთვის ყოველთვის ჰქონდა და აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სივრცეში კრემლის ინტერესები ერთობ მრავალწახნაგოვანია. მაგალითად, საქართველოსთან მიმართებაში ეს ინტერესები იმით გამოიხატა, რაც საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე ჩვენს ქვეყანაში მოხდა — საქართველომ თავისი საგარეო პოლიტიკა მთლიანად მიმართა ევროამერიკულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ და საერთოდ არ გაითვალისწინა ჩრდილოელი მეზობლის მთავარი სახელმწიფოებრივი ამოცანა — პირველობა კავკასიის სივრცეში, რასაც რუსეთის მხრიდან მოჰყვა სრულიად ადეკვატური რეაგირება (ისევ და ისევ თავისი გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე) — საქართველომ მიიღო ორი კონფლიქტური რეგიონი, რომელთა დამოუკიდებლობა საბოლოოდ აღიარა კიდეც მოსკოვმა...

სულ სხვაა სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ორი ქვეყანა (სომხეთი განსაკუთრებით) ცნობს რუსეთის გავლენის სფეროებს და, რაც მთავარია, არ უპირისპირდება კრემლს. თავის მხრივ, მოსკოვიც დაინტერესებულია ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებით და ცდილობს, თვითონ იყოს ამ სტაბილურობის გარანტი. პუტინსაც და მედვედევსაც თავიანთ გამოსვლებში არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ კავკასიაში მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი რუსეთი უნდა იყოს და რომ კრემლი არასოდეს დაუშვებს თავის გავლენის სფეროში უცხო ძალების შემოჭრას. ეს პოზიცია ნათლად გამოხატავს რუსეთის მიდგომას იმ პროცესებისადმი, რომელთაც ამერიკის შეერთებული შტატები თავის მოკავშირეებთან ერთად მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში გაბატონებისა და საბოლოოდ ერთპიროვნულ მოთამაშედ დამკვიდრების მიზნით წარმართავს...



რაც შეეხება ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას, კრემლის მესვეურებმა კარგად იციან, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული პრობლემების მშვიდობიანად გადაჭრა ადვილი არ იქნება, ამიტომ ისინი მაქსიმალურ სიფრთხილეს იჩენენ და ყველანაირად ცდილობენ, ორ ქვეყანას შორის უთანხმოება ისე მოგვარდეს, რომ არც ერთი მხარე უკმაყოფილო არ დარჩეს. სხვაგვარად კონფლიქტის ამოწურვა შეუძლებელია, ამიტომ, როდესაც საუბარია ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე, თავისთავად ჩნდება კითხვა — რის ხარჯზე შეიძლება მოხდეს ეს?..

ექსპერტების დიდი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რუსეთის სტრატეგიულ ამოცანას — დააახლოვოს სომხეთი და აზერბაიჯანი, შეიძლება, საქართველოს მორიგი ტერიტორიული დაქუცმაცება მოჰყვეს. იგულისხმება სამცხე-ჯავახეთის გადაცემა სომხეთისთვის, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ განსაკუთრებით პრობლემური და მწვავე საკითხი გახდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მოსაზრება რეალობას მოკლებული სულაც არ არის, პირიქით, არსებობს ძალიან დიდი საფრთხე იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჯავახეთი აფეთქდეს და, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ, თუ ეს მოხდა, საქართველო ვერც დიპლომატიური და, მითუმეტეს, ვერც სამხედრო თვალსაზრისით შეძლებს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ დღეს საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, არ არსებობს და, შესაბამისად, იგი თავის სამეზობლოში არც ერთი ქვეყნისთვის ანგარიშგასაწევ ძალას აღარ წარმოადგენს...

**— რაც შეეხება ნაბუკოს ყბადაღებულ პროექტს, ამ რამდენიმე ხნის წინათ პრეზიდენტმა მედვედევმა ირონიულად განაცხადა — ჩვენ არაფერი გვაქვს ნაბუკოს პროექტის საწინააღმდეგო, მაგრამ გაუგებარია, საიდან მოხვდება გაზი ამ მილსადენშიო... თქვენი აზრით, რა იგულისხმა მედვედევმა და, საერთოდ, რამდენად წარმატებულად შეიძლება განხორციელდეს ეს პროექტი?**

— მედვედევის ეს განცხადება შეიძლება, გარკვეულწილად, ირონიასაც შეიცავდა, მაგრამ, ამავე დროს, იყო ძალიან მკაფიო და რეალური შეფასება ნაბუკოს პროექტთან დაკავშირებული პროცესებისა. ამით მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთი არასდროს დაუშვებს მისი კონტროლიდან შუა აზიის ენერგორესურსების გამოსვლას. და რაც უფრო მეტად ეცდება დასავლეთი (ამერიკა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოები) კრემლისთვის ევროპის ენერგომძრავის ფუნქციის ხელიდან გამოცლას, მით უფრო მკაცრი იქნება რუსეთის პოლიტიკა მათ მიმართ.

რაც შეეხება ნაბუკოს მილსადენს, არ მგონია, რომ ეს პროექტი დასავლეთისთვის წარმატებულად დასრულდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ეტაპზე ამის არანაირი რეალური წინაპირობა არ არსებობს, მაგრამ თუ ეს პროექტი მაინც განხორციელდება, ვფიქრობ, რუსეთი მაქსიმალურად ეცდება, გაზსადენმა სომხეთის ტერიტორიაზე გაიაროს. ამით ის თავის მოკავშირე ქვეყანას (სომხეთს), რომელიც აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია, ჩაკეტილ სივრცეში იმყოფება, გარკვეულ საერთაშორისო ფუნქციას შესძენს და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ნაცვლად წარმოადგენს. ეს სქემა რუსეთისთვის ყველანაირად მისაღებია, მაგრამ, ვთქვათ და, საქარველოზე რომც გაიაროს ნაბუკოს პროექტმა, რას შეცვლის ეს ჩვენთვის?! თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამით კავკასიის რეგიონში მოთამაშეთა ინტერესები საქართველოს სასარგებლოდ წარიმართება, ეს ძალიან მცდარი და ყოველგვარ რეალობას მოკლებული შეხედულებაა, ვინაიდან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რუსეთი არასოდეს შეეგუება აზიიდან ევროპის მიმართულებით ალტერნატიული ენერგორესურსების გადინებას, მით უმეტეს იმ ქვეყნის ტერიტორიის გავლით, რომელიც მის ინტერესებს ეწინააღმდეგება და საფრთხეს უქმნის მის სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას...

**— დავუბრუნდეთ ქვეყნის შიგნით განვითარებულ მოვლენებს. გასულ კვირას ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის — ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტი, შეიძლება ითქვას, ქართველი საზოგადოებისთვის ერთგვარი იმედგაცრუება აღმოჩნდა. რატომღაც მოსახლეობაში იყო იმის მოლოდინი, რომ „თეთრი სახლის“ მეორე პირი სააკაშვილს ჭკუას დაარიგებდა და**

**შეიძლება ამის გამო ჩამქოლონ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის ურთიერთობის აღდგენის ერთ-ერთი ყველაზე რეალური გზა საქართველოს მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობაში მდგომარეობს. ეს საშუალებას მოგვცემს, დავამყაროთ დიპლომატიური ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთან, გავიგოთ, რა ძალის მიზიდულობა აქვს მათ ჩვენ მიმართ და რამდენად უკმაყოფილონი არიან იმით, რაც ჩვენგან მიიღეს. შემდგომ ეტაპზე ეს პროცესი ითხოვს ძალიან დახვეწილ პოლიტიკას, რათა თვითონ აფხაზებისა და ოსებისგან წამოვიდეს ჩვენთან ახლო ურთიერთობის ინიციატივა. ვიმეორებ, ვიცი, რომ ამ მოსაზრების გამო გამკიცხავენ და ერის მოღალატედ შემრაცხავენ, მაგრამ, ვფიქრობ, ამგვარი პოლიტიკური სვლებით საქართველო უფრო ახლოს მივა იმ მიზანთან, რასაც აფხაზებთან და ოსებთან სტაბილური ურთიერთობა და საბოლოოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ჰქვია.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**აზრზე მოიყვანდა, მაგრამ მოხდა სრულიად საპირისპირო (ყოველ შემთხვევაში, მისი განცხადებებიდან ასე ჩანს) — მან ამერიკელი ხალხის სახელით სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ვარდოსანთა ხელისუფლებას და საქართველოს შეიარაღებაში დახმარებასაც დაჰპირდა. როგორ ფიქრობთ, მისი ეს განცხადებები მხოლოდ სიტყვები იყო, თუ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული შედეგიც მოჰყვება?**

— საქართველო, როგორც კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცე, ამერიკისთვის, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. ბაიდენის განცხადებებიც სწორედ ამაზე მიანიშნებს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რაზე ისაუბრა მან სააკაშვილთან დახურულ კარს მიღმა. დარწმუნებული ვარ, მათი პირისპირ საუბარი ისეთი ტკბილი და იმედისმომცემი არ იქნებოდა, როგორიც ტელევიზიით გაკეთებული განცხადებები იყო, თუმცა ვფიქრობ, ბაიდენი საქართველოს შიდა პროცესებზე ნაკლებად გაამახვილებდა ყურადღებას.

მან საკმაოდ მნიშვნელოვანი და მკაფიო განცხადებები გააკეთა რუსეთის ფედერაციის მისამართით, მაგრამ მან, ასევე, ძალიან საყურადღებო განცხადება გააკეთა ქართველი ხალხისათვის. **კონკრეტულად, ვგულისხმობ იმ განცხადებას, სადაც ვიცე-პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო არის წარმატებული დემოკრატიის ქვეყანა. პირადად ჩემთვის ბაიდენის ეს განცხადება შეურაცხმყოფელი იყო და ქართველი საზოგადოებისთვის საყურადღებო იმ თვალსაზრისით, რომ, ბოლოს და ბოლოს, გავიგოთ, რა მიზნები აქვს ამერიკას საქართველოს მიმართ...**

სიმართლე გითხრათ, მიკვირს ხოლმე, როცა ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ — ამერიკას უნდა დავანახოთ და უნდა მივაწვდინოთ ხმა იმასთან დაკავშირებით, რაც საქართველოში ხდებაო... ვერ გამიგია, ეს ხალხი (ოპოზიციის ლიდერები) რით ვერ მიხვდა, რომ ამერიკას არ აინტერესებს ჩვენი შიდაპროცესები. ძალიან კარგად იციან, რა ხდება აქ, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ვაშინგტონისთვის საქართველო მხოლოდ გეოპოლიტიკური შენაძენია და სხვა არაფერი, მისთვის ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია საქართველოში დემოკრატიულობის ხარისხი...

იმ ფუნქციას, რაც ამ ხელისუფლებას ბუშის ადმინისტრაციამ დააკისრა, სააკაშვილი მეტ-ნაკლებად წარმატებულად ასრულებს, სხვა ინტერესი ამერიკას საქართველოში არ აქვს და ნუ გვექნება იმის მოლოდინი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბაიდენი ჩამოვა და სააკაშვილს ტკიპასავით მოგვაშორებს...

**— ბაიდენის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე მედვედევი ცხინვალში ჩავიდა და კოკოითს შეხვდა. თქვენი აზრით, რა მიზანი ჰქონდა ამ ვიზიტს?**

— დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ვესტით მედვედევმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა კრემლის პოლიტიკის ინდივიდუალობას და შეახსენა დასავლეთს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ გაითვალისწინებს ამერიკის მიერ რუსეთის მისამართით გაკეთებულ იმპერატიულ განცხადებებს. მარტივად რომ ვთქვათ, ამ ვიზიტის შინაარსი და მნიშვნელობა დაახლოებით ასე ჟღერს — რუსეთი თავს არ უხრის „თეთრი სახლის" ვითომ მშვიდობიან, მაგრამ სინამდვილეში იმპერიალისტურ პოლიტიკას პოსტსაბჭოთა სივრცეში და, შესაბამისად, დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელნიც მიაჩნია საჭიროდ თავისი გეოსტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად...

ცხინვალი, როგორც დანარჩენი მსოფლიოს მიერ არაღიარებული სახელმწიფო, მოსკოვმა გამოიყენა საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად, ხოლო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, მრჩება შთაბეჭდილება, ვერ გაიგო, რა დატვირთვას ატარებდა მედვედევის ვიზიტი სამაჩაბლოში...

მე მოვისმინე პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონი ბაქრაძის განცხადება — მედვედევმა ცხინვალში შემოიარაო. სირცხვილია, როცა ამხელა თანამდებობის პირი ასეთ უპასუხისმგებლო და დაუფიქრებელ განცხადებას აკეთებს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მივხვდეთ, რომ ამგვარი განცხადებებითა და გულზე მჯიღის ცემით ვერანაირ შედეგს ვერ ვაღწევთ?! განა აგვისტოს ომი საკმარისი გაკვეთილი არ იყო საიმისოდ, რომ დაფიქრდნენ ჩვენი პოლიტიკოსები?!

**— რას გულისხმობთ, რა გამოსავალი არსებობს?**

— დასაწყისში ვთქვი, რომ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები მოითხოვს, თითოეულმა ქვეყანამ, რომელიც მონაწილეობს ამ პროცესებში, სწორად განსაზღვროს საკუთარი ფუნქცია და სახელმწიფოებრივი ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე. თუ ჩვენი მთავარი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, მაშინ უნდა ვდგამდეთ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც კი არ დაგვაშორებს, არამედ დაგვაახლოვებს ამ მიზანთან. ეს ელემენტარული ლოგიკაა, რომლის გაუთვალისწინებლობა პოლიტიკურ კრახს ნიშნავს...

**— რა ნაბიჯები გაქვთ მხედველობაში?**

— შეიძლება ამის გამო ჩამქოლონ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის ურთიერთობის აღდგენის ერთ-ერთი ყველაზე რეალური გზა საქართველოს მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობაში მდგომარეობს. ეს საშუალებას მოგვცემს, დავამყაროთ დიპლომატიური ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთან, გავიგოთ, რა ძალის მიზიდულობა აქვთ მათ ჩვენ მიმართ და რამდენად უკმაყოფილონი არიან იმით, რაც ჩვენგან მიიღეს. შემდგომ ეტაპზე ეს პროცესი ითხოვს დახვეწილ პოლიტიკას, რათა თვითონ აფხაზებისა და ოსებისგან წამოვიდეს ჩვენთან ახლო ურთიერთობის ინიციატივა. ვიმეორებ, ვიცი, რომ ამ მოსაზრების გამო გამკიცხავენ და ერის მოღალატედ შემრაცხავენ, მაგრამ, ვფიქრობ, ამგვარი პოლიტიკური სვლებით საქართველო უფრო ახლოს მივა იმ მიზანთან, რასაც აფხაზეთთან და ოსეთთან სტაბილური ურთიერთობა და საბოლოოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ჰქვია. ეს არ არის ახლო მომავლის პერსპექტივა, მაგრამ რეალურია, თუმცა ამ ხელისუფლების პირობებში ასეთი ნაბიჯები გამორიცხულია და რომც გადადგას, ვფიქრობ, სასურველ შედეგს ნაკლებად მოიტანს.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

# ბაიდენის გაბითურებული «რადიკალური» ოპოზიცია

**...სამთვიანი საპროტესტო გამოსვლების სრული უშედეგობით დემორალიზებული ოპოზიცია და, მითუფრო, საზოგადოება უკანასკნელ იმედებს 22 ივლისს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტზე ამყარებდა. მოლოდინი საკმაოდ ხანგრძლივი იყო და, შესაბამისად, პროტესტანტებს საკმარისი დრო ჰქონდათ, ერწმუნათ, რომ დემოკრატიის შუქურად წოდებული „თეთრი სახლის" მეორე პირი ავტოკრატ სააკაშვილს ყურით წაათრევდა პოლიტიკურ მოუსავლეთში. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თავად ოპოზიციის ლიდერებიც ერთობ მტკიცე და მიამიტური სულისკვეთებით განიმსჭვალნენ ბაიდენის დასახვედრად, მაგრამ ბრძნული შეგონებისა არ იყოს — „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო", „ნაცმოძრაობის" „საოცდაორივლისო" ანტიოპოზიციური გეგმა გაცილებით უფრო ქმედითი აღმოჩნდა, ვიდრე — ოპოზიციის ანტისახელისუფლებო...**



...ყველაფერმა ფუჭად ჩაიარა — ბაიდენის ვიზიტის დღეს რუსთაველის გამზირიდან ცხვრის ფარასავით გამორეკეს დემონსტრანტები, მილეწ-მოლეწეს საკნები და ყველა პირობა შექმნეს იმისთვის, რომ ორი დღის განმავლობაში (ვიდრე ბაიდენი თბილისში იმყოფებოდა) მომიტინგეთა ჭაჭანება არ ყოფილიყო ქალაქის ქუჩებში. ამით „ნაცმოძრაობამ" ნაწილობრივ მიაღწია კიდეც დასახულ მიზანს, მაგრამ საზოგადოებრივი პროტესტის გამოხატვის ერთადერთი ადგილი მარტო ქალაქის ცენტრალური ქუჩები არ ყოფილა, მერაბიშვილის უწყების „ზონდერბრიგადებს" საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ აეროპორტის ტრასაზე ვიცე-პრეზიდენტის დასახვედრად თავმოყრილი პროტესტანტების დასაშლელადაც...

ფართო საზოგადოებისთვის, ალბათ, უცნობია, რა მეთოდებს მიმართეს იმ დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს „ზონდერებმა" დემონსტრანტების წინააღმდეგ, ვინაიდან არც ერთმა სახელისუფლებო არხმა („იმედი", „რუსთავი 2", „პირველი არხი"), მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მათ თვალწინ ხდებოდა, მოვლენათა გაშუქება „არ" თუ „ვერ" ისურვა...

**რაც მთავარია, საკნების ალებისა თუ სხვა მოქმედების თაობაზე ქართულ პოლიციას უცხოელი (ამერიკელი) სამოქალაქო პირები აძლევდნენ ბრძანებებს, სავარაუდოდ, ისინი ბაიდენის დაცვას ან სხვა რომელიმე ამერიკულ სპეცსამსახურებს წარმოადგენდნენ და დაუფარავად ექცეოდნენ ქართულ პოლიციას როგორც ხელქვეითს.**

მომიტინგეებმა რამდენჯერმე მოუხმეს „პირველი არხისა" და „რუსთავი 2"-ის ოპერატორებს, როცა ე.წ. სამართალდამცველები მუქარითა და ფრიად ბილწი სიტყვებით მიერეკებოდნენ აეროპორტის ტრასიდან, თუმცა ოპერატორებს არც უცდიათ, კამერები ჩაერთოთ და საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ, რა ჯიშისა და ტიპის „სამართალდამცველებთან" გვაქვს საქმე...

სამაგიეროდ, კამერები ჩართული დახვდათ „ნაცმოძრაობის" ახალგაზრდული ფრთის აქტივისტებს, რომლებიც ერთი საათით ადრე, ვიდრე ბაიდენი გამოივლიდა, დროშებითა და „მხიარული ტრანსპარანტებით" განალაგეს გზის ორივე მხარეს...

როცა ვიცე-პრეზიდენტის ესკორტის გამოჩენამდე თხუთმეტი-ოცი წუთი იყო დარჩენილი, „ნორჩმა ნაცმოელებმა" სიმღერა წამოიწყეს, მართალია, ყველა არ მღეროდა, მაგრამ შორიახლო მდგომმა მაინც გავარჩიე სიტყვები: „დარია თუ ავდარია... მაგარია"... ზოგიერთი „ზონდერი" ტაშს უკრავდა, ზოგიც ხუმრობით დირიჟორობდა „ვარდოსან შემსრულებლებს"...

„ჰიმნის" დასრულების შემდეგ ახალგაზრდებმა შეძახილები დაიწყეს: „საქართველოს გაუმარჯოს!.." „რუსებს რა?! — დედის..." და ა.შ. ალაგ-ალაგ ასეთი შეძახილიც გაისმა: „მიშას გაუმარ..."

ეტყობა, მათი ხმა ოდნავ მოშორებით თავმოყრილმა დემონსტრანტებმაც გაიგონეს და საპასუხოდ წამოიწყეს: „ქვეყანა რომ დალაგდეს, მიშა უნდა გადადგეს!", „ძირს სააკაშვილის ძირგამომპალი რეჟიმი!" და ა.შ.

ამის გამგონე და შემყურე „მიშისტებმა" აგრესია ვერ დაფარეს და საპირისპირო მრწამსის თანამემამულეებს ლანძღვა-გინებითა და მუქარით უპასუხეს. ერთ-ერთმა აქტივისტმა ესეც არ იკმარა და დემონსტრანტებს ქვები დაუშინა. ვითარება სამართალდამცველებმა განმუხტეს, „ქვასროლია ვარდოსანი" სასწრაფოდ დააშორეს ყველას, მათ შორის, მომიტინგეებსაც სიმშვიდისკენ მოუწოდეს.

ამის შემდეგ ინციდენტი არ ყოფილა, მაგრამ „ნაცმოძრაობის" აქტივისტები აგრესიას ვერ ფარავდნენ.

გავიგონე, როგორ გადაულაპარაკა ერთმა აქტივისტმა მეორეს: „აროჩე, იქ რო რუპორიანი ტიპი დგას, ვიცი, ვინც არის, მაგას ლანძღვა-გინებისთვის ცალკე მოვთხოვ!.."

ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ ბაიდენის ამალამ გამოიარა და შეხლა-შემოხლაც ჩაცხრა — ვარდოსნები ყვითელ ავტობუსებში ჩასხდნენ და შინისკენ გაემართნენ, დემონსტრანტები კი ფილარმონიის წინ მიმდინარე მიტინგს შეუერთდნენ...

...ეს მიტინგი თითოეული პროტესტანტისთვის დიდი იმედგაცრუება იყო, უწინარესად, რაოდენობრივი თვალსაზრისით, რადგან ყველას ეგონა, რომ იმ დღეს მთელი საქართველო თუ არა, თბილისი მაინც დადგებოდა ფეხზე.

**რუსთაველის გამზირი თუ „ზონდერების" კონტროლში აღმოჩნდებოდა, ამას ხომ საერთოდ არავინ ელოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მრავალჭირნახულ პროსპექტს ბედისწერა აქვს ასეთი — წელიწადში სამი თვე მაინც გადაკეტილი უნდა იყოს, მნიშვნელობა არ აქვს, „ზონდერების" მიერ თუ დემონსტრანტების.**

მეორე დღეს, 23 ივლისს, წესისამებრ, საღამოს შვიდ საათზე (როცა უკვე ბაიდენი გამგზავრებული იყო და რუსთაველი გაიხსნა), ოპოზიციამ პარლამენტის წინ ტრადიციული მიტინგი გამართა. ხალხი ბევრი არ იყო, მაგრამ ვინც ესწრებოდა, არ იცოდა, რომ ეს იყო ბოლო საინფორმაციო მიტინგი, დიახ, დემონსტრაციის დასასრულს ლიდერებმა განაცხადეს, რომ საპროტესტო გამოსვლების ასმეექვსე დღეს საინფორმაციო მიტინგები წყდება და მხოლოდ სექტემბრიდან განახლდება, რამაც პროტესტანტებში უკმაყოფილება და ლიდერების მიმართ მწვავე გულისწყრომა გამოიწვია...

„საქართველო და მსოფლიო" რამდენიმე იმედგაცრუებულ მომიტინგეს ესაუბრა და ერთადერთი კითხვა დაუსვა: **რამდენად იზიარებთ ოპოზიციის გეგმას სექტემბრამდე აქციების შეწყვეტის შესახებ?**

**ემზარ რატიანი:** „რას უნდა ვიზიარებდე, ესენი უპრინციპოები და უსუსურები არიან. ამათ ჰგონიათ, ხალხი მათ ჭკუაზე ივლის, როცა მოუნდებათ, დაუძახებენ და ქუჩაში გამოიყვანენ... ვერ მივართვით, ჩვენც ადამიანები ვართ და ჭკუის სწავლა ჩვენც შეგვიძლია, სექტემბრიდან იქნება თუ როცა იქნება, მიტინგები რომ განახლდება, ნახავენ, ვის რამდენად ენდობა და რამდენად გაჰყვება ხალხი!.."

**მარიამ ქოქორაძე:** „გული დამწყდა, რომ ოპოზიციამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, მეგონა, ბაიდენის ვიზიტის შემდეგ უფრო მეტი შემართება ექნებოდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკამაც ხელი დაგვიქნია... ხალხი მაინც არ შეურიგდება ამ ხელისუფლებას. იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება"...

**ირინა ლაზაშვილი:** „აბსოლუტურად არ ვიზიარებ ოპოზიციის გეგმას — ხალხს რომ მთელი ოთხი თვე ქუჩაში გამოიყვან და გვერდში დაიყენებ, მერე ასეთი საქციელი ღალატის ტოლფასია. არ ეკადრება ეს ოპოზიციას... მე, პირადად, ძალიან გულგატეხილი ვარ".

**თამაზ ნადაშვილი:** „მე ერთი ჩვეულებრივი კახელი გლეხი კაცი ვარ, ჩამოვედი თბილისში, რომ ჩემი გულისტკივილი გამომეთქვა და ჩემს ხალხთან ერთად ვყოფილიყავი... სამი თვეა, აქ ვდგავარ და ახლა სახლში წადიო, რომ მეუბნებიან, რატომ იქცევიან ასე, გაგვაგებინონ... რომ წავიდე, სად წავიდე, კახეთში გაყიდულია ყველაფერი — საუკეთესო სავარგულები, ნაკვეთები, ერთი ბეწო მიწა აღარ დარჩა თავისუფალი, რომ საქონელი გავრეკოთ... ამაზე თუ ხმა არ ამოვიღეთ და უსიტყვოდ ვიქნებით, სხვა ხომ არ გააკეთებს ჩვენს გასაკეთებელს?! რა ბაიდენი, რის ბაიდენი, თქვენ ეგ კაცი იესო მაცხოვარი ხომ არ გგონიათ?!"

**ჯაბა ჭვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## სერგეი ბაღაფში:

# საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება გამორიცხულია!

**რადიო „*Эхо Москвы*“-ს ეთერით გადაიცა ინტერვიუ თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრეზიდენტთან სერგეი ბაღაფშთან. ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ამ ინტერვიუს საგაზეთო ვარიანტის უკომენტაროდ გაცნობა.**



**— ერთ თვეში რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების წლისთავს იზეიმებთ. რუსეთის პრეზიდენტს — დიმიტრი მედვედევს ან სხვა სერიოზულ სტუმრებს ელით?**

— არ ველით, რომ მედვედევი აუცილებლად ჩამოვა. წლისთავს საზეიმოდ აღვნიშნავთ, მაგრამ მოკრძალებულად. მთავარი მიღწეულია. ამ თარიღს ყოველთვის აღვნიშნავთ, როგორც დამოუკიდებლობისა და საქართველოსთან ომში ჩვენი ხალხის გამარჯვების დღეს. ჩვენ გვესმის, რომ ურთულესი ამოცანის წინაშე ვდგავართ — აღიარება ერთია, მაგრამ მეორე ამ აღიარების საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მაღალ დონემდე აყვანაა.

**— ამ ინტერვიუმდე ჩვენს საიტზე თქვენი მისამართით უამრავი კითხვა დაგროვდა. ერთ-ერთის ავტორს აინტერესებს, რუსეთის მხარდაჭერის შემდეგ რამდენად დამოუკიდებლად გრძნობთ თავს მისგან?**

— კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები არ არსებობენ. ახლანდელმა კრიზისმაც დაგვანახა, რომ ჩვენ, ყველანი, ერთმანეთზე ვართ დამოკიდებულნი. რა თქმა უნდა, მეგობრულად დამოკიდებულნი ვართ რუსეთზე. თუ რუსეთთან ჩვენი თბილი და კეთილი ურთიერთობა დამოკიდებულებად ითვლება, მე ამგვარი დამოკიდებულების, ადამიანური ურთიერთობების, ომში დაზარალებული ხალხისათვის დახმარების გაწევის მომხრე ვარ. ჩვენ ბლოკადის პერიოდი გავიარეთ, 15-დან 55-წლამდე ასაკის მამაკაცებს რუსეთში გასვლა არ შეეძლოთ. არცერთ სახელმწიფოს არ უკითხავს მაშინ, როგორ ვცხოვრობდით. მხოლოდ რუსეთის ფედერაცია გვეხმარებოდა და, თუ ეს მასზე დამოკიდებულებაა, მე ამ დამოკიდებულების მომხრე ვარ. რაც შეეხება ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებას, ჩვენ მხოლოდ იმდენად ვართ რუსეთზე დამოკიდებულნი, რამდენადაც ნატოს წევრი ნებისმიერი ქვეყანა — ნატოზე. რუსეთთან მომავალშიც ძალიან ბევრ საკითხს შევათანხმებთ საერთაშორისო დონეზეც, საერთაშორისო პოლიტიკასა და შიდა პოლიტიკაშიც იმიტომ, რომ ახლობელ სახელმწიფოდ მიგვაჩნია.

**— მოსკოვში ზოგიერთი პოლიტიკოსისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შესაძლოა, რუსეთის ფედერაციას შეუერთდეს.**

— უკვე არაერთხელ განვაცხადე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ამის აუცილებლობა არ არსებობს. ჩვენ გვაღიარეს, ჩვენ ვაშენებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოს და საკითხი ასე არ დგას.

**— შეიძლება ასე დადგეს?**

— ვფიქრობ, სახალხო რეფერენდუმი იქნება საჭირო, მაგრამ უახლოეს წლებში ეს არ მოხდება. შეიძლება იყოს რაიმე სქემა, რომელიც გააერთიანებს ამ ქვეყნებსა და სახელმწიფოებს, მაგრამ ერთის მეორეში შესვლა, ჩემი აზრით, არ მოხდება.

**— რუსეთმა და ნიკარაგუამ გაღიარათ. არ გწყინთ, რომ ერთი წლის მანძილზე ამის მსურველი სხვა სახელმწიფო არ გამოჩნდა?**

— არა. დასავლეთ საჰარა 48 ქვეყანამ აღიარა, მაგრამ ამის გამო ის დამოუკიდებელი სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ გამხდარა. არც არავის ვთხოვთ აღიარებას, მშვენივრად გვესმის ის პოლიტიკური სიტუაცია, რომლის დროსაც აშშ და ევროკავშირი გარკვევით ბრძანებენ, აფხაზეთი არ აღიარონ და არ განახორციელონ აქ ინვესტირება. ეკონომიკური განვითარებისათვის რუსეთთან და მის რეგიონებთან მუშაობაც გვყოფნის. გვესმის, რომ, დღეს თუ არა, ხვალ ეს მოხდება, ევროპის ქვეყნები კიდევ გვაწვალებენ, მაგრამ შემდეგი ეტაპი მაინც აღიარება იქნება. რომ მდომოდა, გავაკეთებდი, რომ 10-15 ქვეყანას აქამდე ველიარებინეთ. არ მინდა, პაპუა-ახალმა გვინეამ, ზიმბაბვემ და მსგავსმა ეგზოტიკურმა ქვეყნებმა გვაღიარონ. ჩვენ სერიოზული მოლაპარაკებები გვაქვს სერიოზულ სახელმწიფოებთან. ახლახან ირანის დელეგაცია გვეწვია და ჩვენ, ალბათ, ვითანამშრომლებთ ეკონომიკურ ასპექტში, თუმცა აღიარებაზე საუბარიც კი არ ყოფილა, ვინაიდან მშვენივრად გვესმის, რომ ეს უმალ აისახება იმ ქვეყნის პრობლემებსა და სიტუაციაზე.

**— საქართველო პერიოდულად აფხაზეთის მიმართ წინადადებებით გამოდის. არსებობს რაიმე ალბათობა იმისა, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდეს?**

— ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. აფხაზეთი არასდროს იქნება საქართველოს შემადგენლობაში. ჩვენ ცივილიზებული ხალხი ვართ, შეგვიძლია ნებისმიერ ქვეყანასთან ავაწყოთ ნორმალური, ადამიანიური, კეთილმეზობლური ურთიერთობები. მუდმივად ომი და მტრობა შეუძლებელია. ამიტომ ყველაფერი საქართველოზეა დამოკიდებული. თუ შეცვლის საკუთარ დამოკიდებულებას აფხაზეთისადმი, მიხვდება, რომ ძველებურად ვეღარ იქნება, ურთიერთობებიც მოწესრიგდება. თუ არა და, ჩვენ მეგობრების დახმარებით საკმარისი შესაძლებლობა გვექნება, რომ ამ მხრივ თავი დავიცვათ, რასაც ვაკეთებთ კიდეც ამჟამად.

**— შესაძლებელია, რომ საქართველოდან აფხაზეთში ადამიანთა მიმოსვლის რეჟიმი ოდესმე გამარტივდეს?**

— ვიმეორებ, რომ ყველაფერი საქართველოზეა დამოკიდებული. თუ მისი მხრიდან კვლავ პროვოკაციებს, ტერორისტულ აქტებს, ადამიანთა გატაცებებს და მსგავს ფაქტებს ექნება ადგილი, საზღვარს კლიტეს დავადებთ. თუ მდგომარეობა გამოსწორდება, ადამიანების ერთმანეთთან მიმოსვლა აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა. ბუნებრივია, ყველაფერს ჩვენ გავაკონტროლებთ.

**— ვიზებს შემოიღებთ?**

— საშვებს.

**— მხოლოდ მათთვის, ვისაც მეორე მხარეს ნათესავები ჰყავს?**

— ვისაც ნათესავები ჰყავს, ვინც ავადაა და ასე შემდეგ. ყველაფერი მკაცრად უნდა ექვემდებარებოდეს კანონს.

**— თბილისში ათიათასობით ლტოლვილი ცხოვრობს, რომელთაც არ შეუძლიათ აფხაზეთში დაბრუნება. მათთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილება არსებობს?**

— არ არსებობს და არც ახლო მომავალში იქნება. მე მესმის ამ ადამიანების, მაგრამ, ვინც ომი დაიწყო, მათ მოჰკითხონ — თავიანთ ხელმძღვანელებს, შევარდნაძეს, სააკაშვილსა და ყველა დანარჩენს. აფხაზეთმა ამ ომის შემდეგ გალის რაიონში 55 ათასი ლტოლვილი დააბრუნა, კოსოვოში კი მხოლოდ 5 ათასი სერბი დააბრუნეს. ჩვენ ეს კოდორის ხეობის უბრძოლველად გათავისუფლების შემდეგ იმის საჩვენებლად გავაკეთეთ, რომ ცივილიზებული ხალხი ვართ. რა თქმა უნდა, მათი დაბრუნება, ვინც აფხაზებს ებრძოდა, შეუძლებელია. უნდა შესრულდეს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც თავის დროზე იქნა მიღებული. მოსკოვის 1994 წლის საბაზო გადაწყვეტილებაში ყველა პუნქტია გაწერილი, მაგრამ სააკაშვილი რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ამ შეთანხმებიდან გავიდა. ამიტომ პრობლემები მაინც საქართველოშია მოსაგვარებელი. მე დასავლეთის ქვეყნებს ვთავაზობდი, უამრავი ფული საქართველოს შეიარაღებაზე კი არა, ამ ეგრეთ წოდებული აფხაზეთიდან დევნილების საქართველოში ადაპტირებისათვის მოეხმარათ. ეს სწორი მიდგომა იქნებოდა, მაგრამ პირიქით კეთდება: საქართველოს ისევ ამარაგებენ იარაღით და აფხაზეთის დაბრუნების 30-წლიან გეგმას წერენ, მერე 40-წლიანი იქნება... ეს იდეები ბოდვას ჰგავს და მხოლოდ მათთვისაა, ვისაც ამის მოსმენა მოსწონს. იქ ყველაზე ნაკლებ ხალხზე ფიქრობენ.

**— ლტოლვილების სოხუმში დაუბრუნებლობას იმით ხსნით, რომ ქართველები და აფხაზები გვერდიგვერდ ვერ იცხოვრებენ?**

— ვერ იცხორებენ. ეს რეალობაა.

**— საქართველო ხშირად აცხადებს, რომ საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე აფხაზეთის მხრიდან რუსული ჯარის კონცენტრირება და გარკვეული გადაადგილებები შეინიშნება.**

— სისულელეა. საქართველო ამას ყოველთვის აცხადებდა და კიდევ განაცხადებს, მაგრამ ცხოვრებამ ხომ აჩვენა, ვინ იყო მართალი. შარშან, აპრილის დასაწყისში, ვამბობდი, რომ საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ აგრესიას ამზადებს-თქო. აგვისტოს მოვლენებმა დაამტკიცა, რომ მართალი ვიყავი. მაშინ მსხვერპლი ჩვენ არ აღმოვჩნდით იმიტომ, რომ მაშინვე შევძელით გამაგრება. ახლა რად გვინდა საქართველოს საზღვართან ჯარის კონცენტრირება? ახლა იქ აფხაზი და რუსი მესაზღვრეები დგანან. საქართველოს ხელისუფლება მდგომარეობის გამუქებას ცდილობს. მათ ძალიან ბევრი ტყუილი ისწავლეს, ამ საქმის ოსტატები არიან.

**— ჟენევის კონსულტაციებზე რას ფიქრობთ? უკვე ექვსი რაუნდი გაიმართა.**

— ჯერ რეალური შედეგები არ ჩანს. არც შეიძლებოდა შედეგი ყოფილიყო, რადგან აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მხოლოდ დამსწრე სახელმწიფოებად იყვნენ წარმოდგენილნი. ასე ისურვა საქართველომ. ჩვენებმა თქვეს, რომ ამ თამაშს არ ითამაშებდნენ და წამოვიდნენ. შემდეგ ფორმატი ოდნავ შეიცვალა და ხუთმხრივი შეხვედრა გალში გაიმართა. ჩვენ არ ვართ მოლაპარაკებების პროცესის წინააღმდეგნი და

**უამრავი საკითხი შეიძლება წმინდა ადამიანურად, სწორად გადაწყდეს, ოღონდ, კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ ამას საქართველო მოინდომებს.**

**— მზად ხართ ორმხრივი მოლაპარაკებებისთვის?**

— ჯერ არა. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან არანაირი მოლაპარაკების წარმოებას არ ვაპირებთ. მათ ხელები ჩვენი და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის სისხლით აქვთ გასვრილი. ეს ის ხალხი არაა, ვისთანაც რაიმე მოლაპარაკების გამართვა შეიძლება.

**— მალე არჩევნები გელით, ხუთიწლისწინანდელი კანდიდატები არ შეცლილან. როგორ ფიქრობთ, სამოქალაქო წინააღმდეგობა მოსალოდნელია?**

— არა მგონია. შევეცდებით, ეს არჩევნები მშვიდად და ცივილიზებულად ჩავატაროთ. ნებისმიერი არჩევნების შემდეგ ხალხმა ერთობა უნდა შეინარჩუნოს, პატივი უნდა სცეს უმრავლესობის აზრს.

**— გალის რაიონსა და კოდორის ხეობაში მცხოვრები ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში?**

— რა თქმა უნდა, ისინი ხომ აფხაზეთის მოქალაქეები არიან.

**— ჩვენს საიტზე კიდევ ერთი კითხვა გამოიგზავნა. საქართველოში მცხოვრები ლტოლვილების აფხაზეთში დარჩენილი ქონება იყიდება, პატრონებს კი არაფერი ხვდებათ.**

— არსებობს აფხაზეთის კანონი, რომლის თანახმადაც თუ ადამიანი 15 წლის მანძილზე არაა ადგილზე, სახელმწიფოსა და ადგილობრივ ხელისუფლებას უფლება აქვთ, საკუთარ ბალანსზე აიყვანონ მისი ქონება. სოფლები გადაიწვა, ადამიანები უსახლკაროდ დარჩნენ, სადმე ხომ უნდა შეეფარებინათ თავი? ეს მარტივი საკითხი არაა. ეს მხოლოდ ქართველებს არ ეხებათ, ეს ომის დაწყებისას წასულ რუსებსაც შეეხოთ და ბერძნებსაც. სანამ აქ არც ომი იყო და არც მშვიდობა, არავის არაფერი მოუკითხავს. როგორც კი გვაღიარეს და სიტუაცია სტაბილური გახდა, ყველას გაახსენდა თავისი უძრავი ქონება. უკაცრავად, სად იყავით 15 წლის მანძილზე? ყველაფერი კანონიერად მოხდება და ნებისმიერი სადავო საკითხი სასამართლოში გადაწყდება.

**— რით შენდება აფხაზეთის სახელმწიფო? რაზე დგას ეკონომიურად, მატერიალურად რუსეთიდან მიღებული დახმარების გარდა?**

— გადასახადებით, საბაჟოთი, საწარმოებით, რომლებიც აქ იხსნება, საშუალო და მცირე ბიზნესით და, რა თქმა უნდა, ტურიზმით. მხოლოდ 2007 წელს აფხაზეთმა მილიონამდე ტურისტსა და დამსვენებელს უმასპინძლა.

**— რუსეთიდან?**

— დიახ, ძირითადად რუსეთიდან.

**— დიდია დახმარება, რომელსაც რუსეთიდან იღებთ?**

— თუ ბიუჯეტზეა საუბარი, ჩვენი ბიუჯეტის მილიარდ 700 ათასიდან 200 მილიონია, თუმცა არის სხვა სახის დახმარებებიც. სამომავლოდ ჩვენ ერთობლივ პროექტებზე გადავალთ.

**— მარტივად რომ ვთქვათ, აფხაზეთი მშრალზე ხომ არ დარჩება, რუსეთიდან დახმარება რაიმე მიზეზით რომ შეწყდეს?**

— ვფიქრობ, რომ არა. ჩვენ პატარა სახელმწიფო ვართ, მაგრამ უხვად გვაქვს ყველაფერი, რაც ეკონომიკის განვითარებისთვისაა საჭირო. მეორეც, ვავითარებთ წარმოებას ქვეყნის შიგნით.

**— ჯარის დასაფინანსებლად რამდენია გამოყოფილი?**

— ბიუჯეტის 6%.

**— რამდენი სამხედროა?**

— 3200 იყო, ახლა 2100-2200-მდე დავიყვანთ.

**— რამდენი რუსი სამხედროა აფხაზეთში?**

— 1800.

**— როდემდე დარჩებიან აქ რუსი მესაზღვრეები, სამხედრო ბაზები. არსებობს რაიმე ჩარჩოები?**

— როგორც კი ხელი მოეწერება საქართველოსთან შეთანხმებებს და ეს ქვეყანა აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ამ საკითხებს ნელ-ნელა მოვხსნით.

**— შესაძლებელია, რომ საქართველოსთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას მოაწეროთ ხელი?**

— ვფიქრობ, ჯერჯერობით ეს არარეალურია. საქართველოსთან ყველანაირი ურთიერთობა შეწყდა მას შემდეგ, რაც მან 2006 წელს კოდორის ხეობაში ჯარი შემოიყვანა. მათთან შეუძლებელია ლაპარაკი. ლაპარაკი შეიძლება შერაცხად ადამიანთან, რომელსაც რაიმეს აუხსნი და რაიმეს გააგებინებ. დღეისათვის საქართველო მზად არაა, ხელი მოაწეროს სამშვიდობო ხელშეკრულებას.

**— ამას როგორ ხსნით?**

— ისინი კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიაა, რომ ეს ანექსიაა. გუშინდელი დღით ცხოვრობენ და არ სურთ რეალობის დანახვა.

***Эхо Москвы***

# ისევ გრდემლსა და უროს შორის

**საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, თუ არ ჩავთვლით დავით აღმაშენებლიდან ვიდრე თამარ მეფემდე სულ რაღაც 120-წლიან მონაკვეთს, როდესაც ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულმა ქართულ-კავკასიურმა იმპერიამ თავისი სიძლიერის ზენიტს მიაღწია, არც მანამდე, და არც მას შემდეგ, არ ყოფილა მსგავსი პერიოდი ჩვენს ტრაგიკულ ისტორიაში! 120-წლიანი ოქროს ხანას მიღმა იყო გრდემლსა და უროს შორის მოქცეული საქართველოს ბრძოლა, ბრძოლა ქართველობის, სარწმუნოების, მამულის გადარჩენისთვის.**



ანუ, „ენა, მამული, სარწმუნოება“, რაც მოგვიანებით დიდმა ილიამ ქართველობის შენარჩუნების მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელ ფორმულად, გნებავთ, კვინტესენციად — საფუძველთა საფუძვლად დაგვიტოვა, როგორც ჩანს, ჩვენი დიდი წინაპრების ქვეშეცნეულში ყოველთვის იდო.

**დავით IV აღმაშენებელი სრულიად დამსახურებულად არის მიჩნეული ქართველების ყველა დროის უდიდეს მონარქად არა იმიტომ, რომ მანამდე და მას შემდეგ დავითის დარი გაქანებისა და ნიჭის მეფეები არ გვყავდა, არამედ იმიტომ, რომ მან სხვებზე შეუდარებლად დიდის და ბევრის მიღწევა შეძლო. ეს „შეძლება“ კი უპირველესად იმ დროს შექმნილმა ხელსაყრელმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა და მხოლოდ ამის შემდეგ — აღმაშენებლის გენიამ.**

იმავეს თქმა გიორგი V ბრწყინვალეზეც შეიძლება, რომელმაც მონღოლთა ყველას და ყველაფრის წამლეკავი ტაიფუნის მინავლების შემდეგ შეძლო დავითის მიერ შექმნილი ქართველთა იმპერიის აღდგენა. მართალია, მცირე ხნით, მაგრამ — მაინც.

ამის შემდეგაც არა ერთი ნიჭიერი და დიდი ხელმწიფე გვყოლია, ისევე, როგორც უნიჭო. პირველნი ვირტუოზულად ახერხებდნენ გრდემლსა და უროს შორის ბალანსირებას, ანუ შედარებით ნაკლები სისხლის გაღებით ილიასეული ფორმულის „წმინდა სამების“ შენარჩუნებას. მეორენი და, სამწუხაროდ, სწორედ უნიჭო, უსაფუძვლოდ ამბიციურნი, თუმცა ბრძოლის ველზე პირადი გმირობით გამორჩეულნი მეფენი მეფობდნენ მაშინ, როდესაც საქართველოს ყველაზე დიდი საფრთხეები ემუქრებოდა. ამ მეფეთა პირადი გმირობა აურაცხელ სისხლად და ცრემლად დაუჯდა საქართველოს, როცა ბაგრატ V და გიორგი VII დროს, 17 წლის მანძილზე, რვაჯერ ილაშქრა თემურ ლენგმა საქართველოზე და თეიმურაზ I, რომლის დროსაც შაჰ-აბასმა ნახევარი კახეთის მოსახლეობა ზოგი გაწყვიტა და ზოგიც ირანში გადაასახლა.

ეს არცთუ მცირე ისტორიული ექსკურსი იმად დამჭირდა, რომ ქვემოთ ვაპირებ, მით უმეტეს, საქართველოს დღევანდელი შიდაპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ერთ საჩოთირო თემას შევეხო, რის გამოც, რომ იტყვიან, სამართებლის პირზე მომიწევს გავლა — საქართველო დღესაც გრდემლსა და უროს შორის იმყოფება და სწორედ ახლა, როგორც არასდროს, ისეა აუცილებელი ბალანსირების პოლიტიკა, რომლის უქონლობამ გამოიწვია შარშანდელი აგვისტოს დამანგრეველი ტრაგედია.

**მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ. ეს რომ ასეა, განსაკუთრებით აშშ ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ გამოჩნდა, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ აშკარად პირად მხარდაჭერად აღიქვა, მაგრამ ეგ იქით იყოს. ბაიდენის განცხადებებით, რუსეთის საფრთხეს განეიტრალებულად თვლიან, არ ვიცი, გულწრფელ თუ მოჩვენებით ეიფორიაში იმყოფებიან, რაც ორივე შემთხვევაში შეიძლება ძვირად დაუჯდეს ჩვენს ქვეყანას.**

**ამერიკული და, ზოგადად, დასავლურის გარდა, ქვეყნის განვითარების, არსებობის სხვა ვექტორზე ფიქრიც კი სამშობლოს ღალატად ითვლება. რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დამყარების აუცილებლობაზე საუბრებისთვის თვით კათოლიკოს პატრიარქს, ილია II არ ერიდებიან და ერის სულიერი მამაც კი არა ერთხელ გამხდარა „ნაცების“ ურაპატრიოტთა კრიტიკის მსხვერპლი და ჩემისთანა უბრალო მოკვდავს უკეთესი დაემართება?**

**„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“,** — უთქვამს ბრძენ შოთას. ვფიქრობ, დღეს სწორედ რომ თქმის დროა, სიმართლის თქმისა და ფიქრის, როგორ ვუშველოთ ჩვენს საქართველოს, რომლის ტერიტორია ორი ზესახელმწიფოს — აშშ-რუსეთის ინტერესთა შეჯახების პოლიგონად არის ქცეული. და მიუხედავად იმისა, თუ ვინ ვის აჯობებს, შაგრენის ტყავივით დაპატარავებული საქართველო გამარჯვებული ვერ იქნება.

აშშ ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტს ჩვენი ხელისუფლება რომ სათავისოდ გააპიარებდა, ამის ვარაუდს ბევრი აფიქსირებდა. ასეც მოხდა, და არცთუ უსაფუძვლოდ ჩათვალა ხელისუფლებამ ბაიდენის დემონსტრაციული ვიზიტი არსებული რეჟიმის მხარდაჭერად.

**მიუხედავად ჩვენი უხერხემლო, უნიათო ოპოზიციის ბაქიბუქისა, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი ამბავია, რომ სააკაშვილი, სულ მცირე, 2013 წლამდე დარჩება. როგორადაც უნდა ეცადონ იმის მიჩქმალვას, თუ რაზე ისაუბრა ბაიდენმა ოპოზიციასთან, ვიზუალური ფაქტები თავისას ამბობს: საკნების ქალაქი ბაიდენის აქ ყოფნის დროსვე აიღეს, მისი წასვლის შემდეგ რუსთაველზე არსებული ტრიბუნაც დაშალეს და მოძრაობაც აღდგა. ამ ფონზე ოპოზიციის ლიდერთა მტკიცება, რომ შემოდგომაზე ახალი საპროტესტო ტალღის აგორებას აპირებენ, ტაქტიკა-სტრატეგია უნდა შეცვალონ და სხვა პიარ-„ბაიკები“, უკეთეს შემთხვევაში, სასურველის რეალობად წარმოჩენის, და უარესში — საზოგადოების მოტყუების მცდელობაა.**

მაგრამ მოდი თავი დავანებოთ ოპოზიციას, რომელმაც ნებით თუ უნებლიეთ ყველაფერი გააკეთა საპროტესტო მუხტის დასაგდებად. მე უფრო ხელისუფლების ქმედებები მაინტერესებს.

ბაიდენის წასვლის მეორე დღესვე პრეზიდენტის რაიხსტაგად მონათლულ სასახლეში უმრავლესობასთან შეხვედრაზე ამ ვიზიტის შედეგების შეჯამება სცადა სააკაშვილმა, რომელმაც სიტყვა-სიტყვით განაცხადა: „პუტინის გეგმა საქართველოს სრული ოკუპაციისა ჩაიშალა, რომ შარშან აგვისტოში 150 სოფელი კი დავკარგეთ დამატებით, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსეთს მშვიდობის მტრედის იმიჯი (ნეტავ როდის ჰქონდა?) დაუკარგავს დასავლეთის თვალში, რომ აშშ არასოდეს აღიარებს ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებლობას, რაც მომავალში ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია, რომ აქედან გამომდინარე — ოლოლო შინაურ რუსეთუმეებს, რომ, რომ და ათასი სულელური რომ, რომელთა ბოლომდე ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

რით შეიძლება, ამ შიშველ პროპაგანდას უპასუხო? მოკლედ და სხარტად ბაიდენის ვიზიტს ერთი რუსული გამოთქმა შეეფერება: „Хорошая мина, при плохой игре“, ანუ ცუდი ქმედებისას კარგი სახის შენარჩუნების მცდელობა, რაც უფრო მეტად აშშ საზოგადოების შიდამოხმარებისთვის არის გამიზნული, ვიდრე რუსეთის დასაშინებლად.

ვის და როდის გასვლია რუსეთთან ძალისმიერი პოზიციებიდან საუბარი, თუნდაც, ე.წ. კავის რუსეთთან? მით უმეტეს, უსარგებლოა ასეთი საუბარი ატომურ რუსეთთან.

**ან რამდენად სამართლიანია სხვის რუსეთუმეობაზე საუბარი, როცა მთავრობაში რუსეთის მოქალაქეები: საგარეო მინისტრი ვაშაძე და რუსეთის მსხვილი ოლიგარქი კახა ბენდუქიძე გყავს, როცა ყველაფერი რუსეთს მიჰყიდეს?**

**არც ის არის დამაჯერებელი, რომ აშშ არასოდეს ცნობს ცხინვალ-სოხუმის დამოუკიდებლობას, რადგანაც სწორედ შტატების ძალისხმევის შედეგად არსებობს კოსოვოს პრეცედენტი. ასეც რომ იყოს, მხოლოდ არაღიარების პოლიტიკა ვერ გახდება ტერიტორიების დაბრუნების გარანტი. ამერიკას არასოდეს უღიარებია ბალტიის რესპუბლიკების ანექსია, მაგრამ 50 წელიწადი იქ მაინც საბჭოთა რეჟიმი იყო, რაც მხოლოდ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ შეიცვალა. თუ ვინმეს ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება 50 წლის შემდეგ ხიბლავს, ეს მათი ფსიქიატრიული პრობლემაა.**

რაც შეეხება XXI საუკუნეში გავლენის სფეროების არსებობის დაუშვებლობას, ესეც აშშ პროპაგანდაა — **აბა, დღეს მიდის, თუ მიდის მსოფლიოს ახალი გადანაწილება, რომელშიც მესამე მძლავრი მოთამაშე ჩინეთიც ჩაერთვება (თუ ჩართული არ არის) და ამერიკას მოუწევს ცუდსა და უარესს შორის არჩევანის რუსეთის სასარგებლოდ გაკეთება.**

ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ობამამ პირობა მისცა მოსკოვში ყოფნისას რუსეთს, მის ინტერესებს პოსტსაბჭოთა სივრცეში პატივს სცემს და გაითვალისწინებს.

კიდევ ბევრი არგუმენტის მოყვანა შეიძლება იმის სასარგებლოდ, რომ საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს ცალსახად შტატების მხარეს გადახრა, მაგრამ, ალბათ, ნათქვამიც საკმარისია და ეს მწარე რეალობა ესმის როგორც ოპოზიციის ნაწილს, ისე საზოგადოების აბსოლუტურ „რუსეთუმე“ უმრავლესობას. სწორედ იქიდან გამომდინარეა ოპოზიციის ვოიაჟები ევროპასა თუ უკრაინაში, რომ მოსკოვთან მისასვლელ გზებს ეძებენ.

**რაც შეეხება საზოგადოებას, ჩაატარონ ობიექტური გამოკითხვა და ნახავენ, რომ პროამერიკული, პრონატოური განწყობიდან, რომელიც აშკარა იყო შარშან აგვისტოს ომამდე, დღეს თითქმის აღარაფერია დარჩენილი, რადგანაც ყველამ დაინახა, რომ, როგორც იტყვიან, როცა საქმე საქმეზე მივიდა, ხმამაღალი განცხადებების იქით ვერც ამერიკა დაგვეხმარა და ვერც „ნატო“.**

**რუსიც და ამერიკელიც, ვანიაცა და ჯონიც, ჩვენს საქართველოს ორივე თავისთვის ზომავს და წონის!**

ეს უნდა გვახსოვდეს და, აქედან გამომდინარე, უნდა გავიხსენოთ წინაპართა სიბრძნე ორ მგელს შორის ბალანსირებისა.

**რადგანაც შტატებთან ურთიერთობები დალაგებული და გარკვეული გვაქვს, იმავეს უნდა ვეცადოთ რუსეთთან. ამისთვის ხელისუფლებამ უნდა დაანებოს თავი იმ პოლიტიკას, როცა, უკაცრავად პასუხია და, ამერიკელის წინაშე წაკუზულ ქართველს ჩინმედლებით აჯილდოვებს — რა მაგარი პატრიოტი ხარო და იმავე ქართველმა თუ რუსს ხელი ჩამოართვა, იმ ხელს მოაჭრის და ოკუპაციის მუზეუმში დადებს — აი, კრემლის აგენტიო!**

საქართველო, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ გეოგრაფიული ობიექტია, რომელსაც არავინ არაფერს ეკითხება და ჩვენს ბედს სხვები წყვეტენ სხვა დედაქალაქებში, სუბიექტის, კავკასიაში ოდითგან მთავარი მოთამაშის სტატუსს, მხოლოდ ორ ზესახელმწიფოს შორის ინტერესებზე გონივრული თამაშით დაიბრუნებს.

ეს რაც შეეხება პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკის ზედნაშენია თუ პირიქით, ჩვენი ეკონომიკის განვითარება რუსეთის უკიდეგანო ბაზრის გარეშე შეუძლებელია. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ რუსეთში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს, რომლებიც, იმავე შტატებსა თუ ევროპაში მცხოვრებ ქართველთაგან განსხვავებით, რუსეთში მხოლოდ ღამის ქოთნების შეტანა-გატანით არ არიან დაკავებულები, არამედ ბევრ მათგანს წამყანი პოზიციები უკავია ბიზნესსა თუ პოლიტიკაში, მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში. აღარაფერს ვამბობ მილიარდობით დოლარზე, რომელთაც რუსეთიდან უგზავნიან საქართველოში მყოფ ნათესავებს. არც ერთმორწმუნეობაზე საუბარია „უაზრო“, როგორც ამასწინათ განაცხადა სააკაშვილმა.

**თუ ამ ყველაფერს არ გავითვალისწინებთ და ისევ სამგლე გოჭებივით ატეხილები მხოლოდ „ამერიკა-ამერიკას“ ვიყვირებთ, ნურავინ დაიჯერებს, რომ საქართველოს ოკუპაციის პუტინისეული გეგმა, რომლის ჩაშლაც გვახარა სააკაშვილმა, მართლაც ჩაიშალა. რუსული აგრესიის განახლების საშიშროება კვლავაც არსებობს და მერწმუნეთ, ასეთ შემთხვევაში ამერიკული „ადეკვატური“ დახმარება არ დაიგვიანებს.**

ხმამაღალი განცხადებების ფონზე შავ ზღვაში შემოვა ამერიკის შეერთებული შტატების კრეისერი, რომელიც პამპერსებითა და ცივი წყლით იქნება დატვირთული შიშისგან ჩასველებულ და გულწასულ ხელისუფალთა დასახმარებლად.

**დავით მხეიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ოსმალეთში ქართველი ბავშვებით ვაჭრობის საზარელ ტრადიციას გამგრძელებელი გამოუჩნდა

**ათი წელი ელოდა იმერლიშვილების ოჯახი პატარა გიორგის დაბადებას. 2009 წლის 6 სექტემბერს იგი 8 წლის გახდებოდა, რომ არა 16 ივლისის საბედისწერო დილა.**
**„დილაუთენია წამოხტა ლოგინიდან, 7 საათი იქნებოდა... კარადიდან ფანქრები, ფლომასტერები, ქაღალდები გამოიღო და თავისი პატარა ბუთქუნა ხელებით ხატვა დაიწყო... რამდენიმე წუთში საკუთარი ხელის მტევანი შავი ფანქრით შემოხაზა, შემოირბინა ლოჯში და მიჩვენა: “ხედავ, რა ლამაზი ხელი მაქვს?“ „ბიჭო, ეს ფრჩხილები შავად რატომ გააფერადე, ქვეყნის ფლომასტერები გაქვს, ადექი და უფრო ლამაზი ფერები შეარჩიე, ასე არ მომწონს-მეთქი“, ვუთხარი, მაგრამ „ასეა საჭიროო. — მიპასუხა და თან დააყოლა, — ამ ხელს დედაჩემს ვაჩუქებ, ყოველდღე რომ კოცნოსო,“ — იხსენებს გიორგის დედის ბიძაშვილი, ლია ტაბატაძე, რომელსაც ნანატრი ბავშვის აღზრდაში არანაკლები წვლილი აქვს შეტანილი...**





„სოფლიდან 4 დღის ჩამოსულები ვიყავით, 2 დღე ცოტა შეუძლოდ იყო, სიცხეც ჰქონდა, მაგრამ ისე უნდოდა შინ დაბრუნება, წამოვიყვანეთ... სიცოცხლით სავსე ბავშვი იყო... კიბეებზე როცა ამოდიოდა, მთელ სადარბაზოს ესმოდა მისი ხმა.

ჩვენი გიორგი თბილისის №153 სკოლაში სწავლობდა და წელს მესამე კლასში უნდა გადასულიყო...იგი მშობლების — ლია და გელა იმერლიშვილების — განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა. დედისერთას ერთი წუთითაც არ ვტოვებდით უყურადღებოდ. ამ ეზოში სულ „გიორგი, გიორგი, სადა ხარ?“ ისმოდა ყოველ თხუთმეტ წუთში. თვითონაც ფრთხილი ბავშვი იყო და ეზოდან არ გადიოდა. ამასწინათ ნათესავმა უთხრა, გაგასეირნებო და როცა მანქანით ფონიჭალიდან თბილისის გზამდე გასულან, ყვირილი დაუწყია: „არ მინდა გასეირნება, ჩემს დედიკოსთან წამიყვანე ჩქარა, შენთან აღარ მინდაო!“. გამორიცხულია, ბავშვი ვინმე უცხოსთან მანქანაში თავისით ჩამჯდარიყო... იმ დღესაც თხუთმეტი წუთით ადრე დედამისთან შეირბინა პოლიკლინიკაში, ამავე სახლის პირველ სართულზე. **პოლიკლინიკის უკანა კარი ღია იყო და ჩემი მამიდაშვილი, გიორგის დედა ლია იქიდან ხედავდა, ბიჭი როგორ თამაშობდა მეზობლის ბავშვებთან. წინა დღეს მკვლელი — ჯემალ სამადაშვილი ეზოში მანქანას აკეთებდა, ჩვენი გიორგი იქვე იჯდა და უყურებდა, ცოტა ხნის შემდეგ ბავშვს გადავძახეთ „სადა ხარ-თქო“ და დედამისს იმ სადისტმა უპასუხა: აგერ არის ჩემთან, არ ინერვიულო, ვთამაშობთო... იმ დღესაც, პირველ საათზე, დედამისმა რომ დაუძახა, ბავშვი ეზოში უკვე აღარ იყო... რას წარმოვიდგენდით, სახლში თუ ჰყავდა აყვანილი? სამადაშვილის 15 წლის გოგო ადიოდა და ჩამოდიოდა სახლში, მაგრამ არაფერი უთქვამს... დავიწყეთ ბავშვის ძებნა. მთელი ეზო ფეხზე დადგა, მაგრამ უშედეგოდ... სულ მალე, 2-ის 5 წუთზე, გიორგის მამის ტელეფონზე ზარი შემოსულა. უკითხავთ: „გელა ბრძანდებითო?“ და გაუთიშავთ... მოგვიანებით იმავე ნომრიდან მესიჯი მოვიდა: „ბავშვი ჩვენთან არის, არ ინერვიულოთ, ორ დღეში დაგიკავშირდებით, პოლიციას არ შეატყობინოთო. თუ შეატყობინებთ, თქვენს შვილს ცოცხალს ვეღარ ნახავთო!“**

ბავშვი რომ არ ჩანდა, ბუნებრივია, მშობლებმა დაფიქსირებულ ნომერზე დაიწყეს რეკვა, მაგრამ მესიჯის შემდეგ მობილური ტელეფონი გამოირთო. ჩემმა სიძემ, გაფრთხილების მიუხედავად, პოლიციას მალე შეატყობინა ბავშვის დაკარგვის ამბავი. ძალოვნებმა მიაგნეს ტელეფონის ნომრის მფლობელს. ის ჯემალ სამადაშვილი აღმოჩნდა, ჩვენს გვერდით სადარბაზოში მეორე სართულზე მცხოვრები, დაცვის პოლიციის ყოფილი თანამშრომელი.

მკვლელი ჯემალ სამადაშვილი 3 შვილის მამაა. მისი 17 წლის ვაჟი მამასთან ერთად დააკავეს. ცოლი თურქეთში საბაჟო გამშვებ პუნქტში მუშაობს და შესაძლოა, იმერლიშვილების შვილი — გიორგი სწორედ თურქეთში გადასაყვანად მოიტაცეს, მაგრამ როგორ მოახერხებდნენ ამას, ძნელი წარმოსადგენია.

მეზობლებმა „საქართველო და მსოფლიოს“ უამბეს, რომ პოლიციის თანამშრომლებმა სამადაშვილის კომპიუტერში 22 ბავშვის ფოტო ნახეს, მათ შორის იყო მესამე სადარაზოში მცხოვრები სომეხი ეროვნების ოჯახის 1 წლის ბავშვის ფოტოც. „თქვენ წარმოგიდგენიათ, ვის გვერდით ვცხოვრობდით ამდენი წელი? ეგ დამპალი, პატარა გიორგის რომ ვეძებდით, აქ ტრიალებდა და გვეკითხებოდა: ბავშვი ხომ არ გიპოვიათო? ამ დროს კი თურმე ბავშვი წამებით მოუკლავს და, ეზოში თავი ისე ეჭირა, ვითომც არაფერი! მაგათი „გარაჟი“ რომ გავტეხეთ, რა აღარ ვნახეთ იქ — ბავშვის ახალი სათამაშოები, მოსაგუდი ჯაჭვები, აუარება ახალი შპრიცები და რაღაც წამლები, ეტყობა, ბავშვებს ამ სათამაშოებით იტყუებდა, შემდეგ ნემსებით აძინებდა და სადღაც მიჰქონდა.

— ჩემი თვალით მაქვს ნანახი, დიდი სპორტული მძიმე ჩანთები რამდენჯერმე რომ ჩადო საბარგულში, მაგრამ არასდროს მიეჭვია არაფერზე, — გვიყვება იმერლიშვილების ბიძაშვილი გოგონა. პოლიციას მაგათ სახლში პატარა ჩანთა-მაცივრებიც უნახავს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, მართალია თუ ტყუილი, მეზობლებმა გვითხრეს.

**— მართალია, რომ გამოსასყიდი თანხის გამო მოხდა ყველაფერი?**

— ამ ოჯახს ფული, ანუ ბევრი ფული არასოდეს ჰქონია. ჩემი მამიდაშვილი — ლია პოლიკლინიკაში ექთანია, სიძე — გელა „წისქვილკომბინატში“ მუშაობს და რა ფული უნდა ჰქონოდათ? იმ დღეს ზუსტად ორი პურის ფული იყო დარჩენილი სახლში და სამადაშვილებმაც კარგად იცოდნენ ამ ოჯახის შემოსავალი. მესიჯის შემდეგ ნათესაობაში ფულის მოკრება მაინც დავიწყეთ, რომ, თუკი თანხას შემოთვლიდნენ, გადაგვეხადა. როგორც ჩანს, თურქეთში ბავშვებით ვაჭრობენ და ჩვენი გიორგიც ამისთვის გაიტაცეს, მაგრამ ცოლმა დაურეკა, საზღვრები გადაკეტილიაო და ბავშვი წამებით მოკლა მაგ მხეცმა. ერთი წლის წინათ თქვეს, რომ ჯ. სამადაშვილის მამამ თავი მოიკლაო, მაგრამ დღეს ირკვევა, რომ მამამისი თვითონ ჯემალს მოუკლავს და სხვის შვილს დაინდობდა? ბავშვს სხეულზე მრავალჯერადი მოტეხილობა აღმოაჩნდა: ხერხემალი ორ ადგილზე ჰქონდა გადატეხილი, კისრის მალები, ფეხები, მაჯები, იდაყვებიც კი; მუხლებთან ხორცები ამოჭრილი, ყურები ახეული და მორგში მიკერებული, შუბლზე, არ ვიცი სიგარეტის ნამწვავი იყო თუ რა, დიდი შავი ნაიარევი ჰქონდა. ისე იყო ნაწამები, ამოცნობა გაძნელდა. 7 წლის ბავშვი კი არა, 40 წლის კაცი გეგონებოდა...

გიორგი იმერლიშვილის ცხედარის ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მრავალჯერადი მოტეხილობა და ტრამვები წამებითაა მიყენებული. გამოძიება უკვე მუშაობს რამდენიმე ვერსიაზე, მაგრამ სამართალდამცველები პრესაში განცხადებებს ერიდებიან და გვპირდებიან, რომ მკვლელობის მოტივს მოგვიანებით გააჟღერებენ. სამადაშვილების მეზობლები განცვიფრებას ვერ მალავენ იმ ფაქტის გამო, რომ მკვლელის ქალიშვილი და მეუღლე ამჟამად განთავისუფ-

# ჩემი 7 წლის შვილი, რომელიც სასტიკად აწამეს და მოკლეს, ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა

**16 ივლისს ქვემო ფონიჭალაში მომხდარმა შემზარავმა მკვლელობამ საზოგადოება შეძრა. 7 წლის გიორგი იმერლიშვილი სასტიკი წამების შემდეგ გაგუდეს. მისი გვამი სამართალდამცველებმა მკვლელის შვილის დახმარებით ნახევრად გახრწნილი იპოვეს. „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ინტერვიუს გიორგის დედასთან, ქალბატონ ლია აბულაშვილთან.**



**— სამი თვის განმავლობაში მობილურ ტელეფონზე მირეკავდა უცნობი პიროვნება და მეუბნებოდა: თქვენ ვალი გაქვთ 10000 ლარი და უნდა გადაიხადოთო. სერიოზულად არ აღმიქვამს ეს მოთხოვნა, შესაბამისად, არც პოლიციაში განმიცხადებია...**

შემდგომ სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ ზარი თურქეთიდან შემოდიოდა, რომელსაც მკვლელთან უშუალო კავშირი ჰქონდა.

**„16 ივლისს, ხუთშაბათს, დღისით (პირველს აკლდა 15 წუთი) გიორგიმ შემოირბინა პოლიკლინიკაში, რომელიც ჩვენი სახლის პირველ სართულზე მდებარეობს. დედიკო, წინა ეზოში ვიქნები, ბავშვებთან ვითამაშებო.**

**ბავშვთა განყოფილებაში ექთნად ვმუშაობ, გიორგი სულ ჩემთან იყო ან ეზოში გადიოდა სათამაშოდ. პირველ საათზე მეუღლე გიჟივით შემოვარდა ჩემთან: „ლია, ბავშვი სად არის, ტელეფონზე მესიჯი მომივიდა, გელა, თქვენი ბავშვი ჩვენთანაა, არ შეგეშინდეთ, თუ გინდათ, რომ დაიბრუნოთ, პოლიციას არ შეატყობინოთ, ორ დღეში გაგაგებინებთ, როგორ მოვიქცევით, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვს ვეღარ ნახავთ...“**

**შეშლილებივით გარეთ გამოვცვივდით. არ მეგონა, 15 წუთში თუ ამაცლიდა ბავშვს და მოკლავდა. პოლიკლინიკის თანამშრომლები მეხმარებოდნენ ძებნაში. ოთხ საათამდე ვეძებ**დით... ყველგან ვიყავით, მაგრამ ვერსად ვნახეთ, თვითმხილველიც არავინ იყო. ისე მოიტაცა ბავშვი, არავის დაუნახავს.

შინ დავბრუნდით. პოლიციისთვის გვინდოდა, შეგვეტყობინებინა. ამ დროს მკვლელის შვილმა კახამ გვერდი აგვიარა, ხელში საზამთროები ეკავა და სადარბაზოში ისე შევიდა, თითქოს არაფერი მომხდარა. პოლიციამ საბურთალოს განყოფილებაში აგვიყვანა. მობილურში შემოსული მესიჯები და ზარები გაშიფრეს. რამდენიმე სურათში ჩემი მეზობელი, მეორე სართულზე მცხოვრები ჯემალ სამადაშვილი ამოვიცანით. სწორედ მას მოუწერია მესიჯი გელასთვის ბავშვის გატაცების შესახებ“.

ჯემალ სამადაშვილი დაცვის პოლიციაში მუშაობდა. მისივე უფროსის თქმით, დაღამებიდან გათენებამდე შვილები თან ჰყავდა. მეზობლების განმარტებითაც, მთელი ოჯახი გვიან ღამით ჩამოდიოდა ეზოში ძაღლის გასასეირნებლად. ისე, სულ სახლში ან მამამისთან სამსახურში იმყოფებოდნენ. მეზობლებს ისიც უთქვამთ, რომ როცა გიორგის ეძებდნენ, ჩასულა ეზოში და იკითხა, გიორგი იპოვეს თუ არა...

**„უბედური ჩემი შვილი უკვე მოკლული და დამარხული ჰყავდათ, რაღას ვიპოვიდი... არადა, იმედი მქონდა, ორ დღეში დამიბრუნდებოდა, 10000-ს გადავიხდიდი, ოღონდ ჩემ გვერდით ყოფილიყო...**

**გიორგი ძალიან ლამაზი ბავშვი იყო. 4 წლის ასაკში სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა და როგორც ერთ-ერთი უმშვენიერესი ბიჭი, მისი ფოტო ჟურნალშიც დაბეჭდეს. კინოში გადასაღებადაც იყო მიწვეული, მაგრამ უსახსრობის გამო უარი განვაცხადეთ. სკოლაში კარგად სწავლობდა, მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც ძალიან უყვარდათ. ბუნებით მშვიდი, გაწონასწორებული, დამჯერე იყო. ალბათ, მკვლელსაც ამიტომ მოეწონა.**

**ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა, სასტიკად ნაწამები ბავშვი მოგუდა და ჭაობში თავის ბიჭს ჩაამარხვინა.**

**პოლიციამ ორჯერ დაიბარა განყოფილებაში, მაგრამ არც ერთი გამოცხადდა. გაქცევას აპირებდა, როცა პოლიციამ თელეთის „ტეკთან“ დაიჭირა. თავიდან უარყო, მაგრამ ბოლოს მაინც აღიარა.**

**ჩვენებაში უთქვამს: 10000 მქონდა ვალი. გიორგი იმიტომ გავიტაცე, ფულის გამოძალვა მინდოდა. თავიდან გამიძალიანდა, რომ ვე-**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ლებულები არიან, არადა კარგად დაინახეს ქალიშვილი ბავშვის დაკარგვის მომენტში სახლში რომ იყო და ფანჯარასთან მდგარი ტელეფონზე ვიღაცას რომ ელაპარაკებოდა. თვითმხილველები იმასაც ამბობენ, ბავშვის დაკარგვიდან რამდენიმე საათის შემდეგ სამადაშვილები დიდი ჭრელი მძიმე ჩანთით როგორ ჩამოვიდნენ ეზოში და სადღაც გაემგზავრნენ...

მოგვიანებით, ექვმიტანილი ჯემალ სამადაშვილი აღიარებით ჩვენებაში ჰყვება, რომ დღის თორმეტიდან პირველ საათამდე ეზოში ბავშვს უთვალთვალებდა. „მანქანა მოშორებით გავაჩერე და ვუთხარი — გაგასეირნებ-თქო. წამომყვა. წავედით სოფელში. იქ ვაპირებდი მის დაბმას და მერე პატრონისთვის მოთხოვნების წაყენებას. მიწისქვეშ ოცი მეტრი სიგრძის მილში ჩავაგდე, შეიძლება რაღაც იტკინა. მეც ჩავხტი, უფრო სწორად ჩავედი ნელ-ნელა და თოკით შევბოჭე, რომელიც წინასწარ მქონდა წაღებული. მერე ნაჭრებით პირი ავუკარი და ოჯახს მესიჯი გავუგზავნე: ბავშვი ჩემთან არის, არ ინერვიულოთ და ორ დღეში ისევ დაგიკავშირდებით-თქო... ვნახე, ბავშვი უკვე ძალიან აგრესიული იყო, შემეშინდა და მოვგუდე. მერე ამოვათრიე, მანქანაში ჩავდე და ხევისკენ გადავაგდე..."

საქმე 109-ე მუხლით აღიძრა, რაც უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

**მამასთან ერთად პატიმრობაში მყოფი 18 წლის კახაბერ სამადაშვილი პოლიეთილენის პარკებით გადაგდებული ბავშვის ცხედარს სწრაფად პოულობს და პოლიციის შეკითხვაზე — ასე იოლად როგორ გვაპოვნინეო — პასუხობს: „მამამ სადაც მიმანიშნა, იქ მოგიყვანეთო". არადა მამა, ჯემალ სამადაშვილი უკვე დაკავებული იყო და როგორღა მიანიშნებდა შვილს რაიმეს, გაუგებარია!**

16 ივლისს, 13 საათზე, მომხდარი შემზარავი დანაშაული ბევრ კითხვას ბადებს, რომელსაც, ვიმედოვნებთ, პასუხი მალე გაეცემა! **მაგრამ იქამდე სამადაშვილების ავტოფარეხში აღმოჩენილ ნივთებს, კომპიუტერში „შეტანილ" 22 ათ წლამდე ასაკის ბავშვის ფოტოებს, მინი ჩანთა-მაცივრებსა და თურქეთში მომუშავე სამადაშვილის მეუღლეზე ვამახვილებთ ყურადღებას! ქართველი ჯანმრთელი ბავშვების გაუჩინარება ახალი ამბავი არაა ჩვენს სინამდვილეში, მაგრამ პატარა გიორგი იმერლიშვილი, ნეტავ, მერამდენე იყო? ორგანოების ტრანსპლანტაცია, მედიცინაში მიღებული პრაქტიკაა და, როგორც ცნობილია, ავადმყოფი ბავშვების პატრონები ასეულობით ათას დოლარს იხდიან დონორი ორგანოებისთვის, ოღონდ თავის პირმშოს უშველონ! არაფერს არ ვადასტურებ, მაგრამ ეჭვი მიჩნდება, რომ სიცოცხლით სავსე 7 წლის გიორგი სწორედ ამ მიზნით გაიტაცეს, ხოლო მის ოჯახს, ჩაშლილი „ოპერაციის" სანაცვლოდ ნაწამები, დასახიჩრებული ბავშვის ცხედარი დაუტოვეს! გიორგის სამეცადინო მაგიდაზე დღეს სანთელი, ხორბალი, ნაკურთხი წყალი, ყვავილები და ის ნახატი დევს, დედას უკანასკნელად რომ დაუხატა — პატარა თითები შავი ფრჩხილებით, რომელსაც დედამ „ყოველდღე უნდა აკოცოს" — ასე დაიბარა მან 16 ივლისის დილას და დედაც, ქალბატონი ლია იმერლიშვილიც ყოველდღე გამუდმებით ცრემლებით ასველებს შვილის უკანასკნელ საჩუქარს.**

ნათესავმა გოგონამ გამომშვიდობებისას გვითხრა: გიორგის ფრჩხილები, მართლაც, გაშავებული ჰქონდა, ჩაჭეჭყილი და გაბრტყელებული. ეტყობა, მანქანის კარებში მოუჭეჭყა იმ მხეცმა, ბავშვს რომ ვერ იმორჩილებდა!

ჩვენი საუბარი აქ შეწყდა... მეორე ოთახში მედიკამენტებით გაბრუებულ დედას, ისე წამოვედით, არ გაუღვიძია... ეზო თითქოს მკვდარიაო, ჩამიჩუმი არ ისმოდა, ბავშვები ყველას სადღაც გაეხიზნა...

**ირინა გოგოხაშვილი**

**ღარ დავიმორჩილე, გავგუდეო... ხელის თითები მანქანის კარებში მოუმტვრევია, სასტიკად უცემია... ყურები ახეული ჰქონდა, მორგში მიყვანისას მიუკერებიათ. ტკივილისგან ბავშვს სახე ჰქონდა დაკაწრული, ალბათ ვერ უძლებდა ამდენ წამებას... ქუთუთოები ამოგლეჯილი ჰქონდა, მუხლებზე ხორცი გადაგლეჯილი, ძვლები დამტვრეული, სახეზე ისეთი ნაცემი იყო, გელამ ამოცნობის დროს ძლივს იცნო** *(ტირის).*

**სანამ ეს უბედურება თავს დამატყდებოდა, გიორგი დილის 6 საათზე ადგა და თავისი ხელი დამიხატა. გამაღვიძა, დედიკო, როცა მოგენატრები, ჩემს ხელს მოეფერეო. ალბათ წინათგრძნობა ჰქონდა, რომ ველური სასტიკად აწამებდა და დედიკოს ვეღარასდროს ნახავდა".**

ექსპერტიზის დასკვნით, გატაცებიდან საათნახევარ-ორ საათში ყოფილა ბავშვი მოკლული.

**„ნახევრად გახრწნილი ვიპოვეთ. ვერ მოვეფერე, ვერ დავბანე... დედამ ერთადერთი შვილი ვერ დავიტირე. ცალი თვალით დავბრმავდი ნერვიულობისა და ტირილისაგან. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რამხელა დარდი და ტანჯვა დამიტოვა მისმა სიკვდილმა** *(ტირის).* **მკვლელის ავტოფარეხი გავტეხეთ, შიგნით უამრავი ნივთი ვიპოვეთ — სათამაშოები, პამპერსები, საწოვარები, ტანსაცმელი ყველა ასაკის ბავშვისთვის... ჯაჭვები, ნიღბები, ჩამოსახრჩობი თოკები, ეტლები... სახლში შესასვლელთან უამრავი წითელი კვერცხი ელაგა... არ ვიცი, შეიძლება რომელიმე სექტის წარმომადგენელია. ოცამდე ბავშვის ფოტო ვნახეთ კომპიუტერში, უკვე გასაყიდად გამზადებული... ერთ-ერთი ჩვენი მეზობლის გოგონაა, რომელიც ამჟამად სოფელში იმყოფება.**

**ნეტა გიორგი გაეყიდა მაინც. 7 წლის ბავშვს აქვს იმდენი მეხსიერება, რომ არ დავავიწყდებოდი. ყველგან მოვძებნიდი, მთელ ცხოვრებას მის ძებნაში გავატარებდი. ის მაინც მეცოდინებოდა, რომ ცოცხალია და როცა ვნახავდი, გულში ჩავიკრავდი, მოვეფერებოდი, ბედნიერებისგან ვიტირებდი... ახლა ვეღარასოდეს ვნახავ, ვეღარასოდეს დავინახავ მის მოღიმარ სახეს... დამრჩა მარტო მისი დახატული ხელი, რომელსაც ყოველ წუთს ვეფერები..."**

**ნანა დიხამინჯია**

# ფერებ-ფერებით ძმაკაცს ალესილი დანით ყელი გამოსჭრა

**ადამიანის მიწიერ ცოდვათაგან მიუტევებელი ცოდვაა მკვლელობა. ცივილიზაციის აკვნის დარწევიდან დღემდე რელიგიაც და სამართალიც ღაღადებს „არა კაც კლა!" პროგრესულად მოაზროვნე დიდი ადამიანებიც გვმოძღვრავენ: „კაცს ვინა მისცა უფლება კაცისა გასამართლების?.." მით უმეტეს, ადამიანის ყველაზე დიდი ღირებულების — სიცოცხლის წართმევის. ამის უფლება მხოლოდ იმ უზენაეს ძალას აქვს, ვინც სიცოცხლე მოგვანიჭა.**
**უკანასკნელ წლებში მკვლელობათა რიცხვი გაიზარდა. ამბობენ, ამ დანაშაულმა კი არა, მათზე ინფორმაციულობამ იმატაო. აღმაშფოთებელი ფაქტია, როცა ქვეყნის, რომელსაც კლასიკური დემოკრატიის პრეტენზია აქვს, მოქალაქეები დღისით-მზისით კლავენ თვისტომს, მოძმესა და მეზობელს.**
**ტრაგედია, რომელიც რამდენიმე დღის წინათ თბილისში, გიგო ზაზიაშვილის ქუჩაზე მოხდა, ზნეობრივ-მორალური უკუღმართობაა და ჩვენი თანამედროვე ყოფის რთულად საკვლევი ამბავი.**



ამ ტრაგედიის შესახებ მწირ ინფორმაციას არ დავჯერდი და შემთხვევის ადგილისკენ გავეშურე. კითხვა-კითხვით მივადექი მკვლელობაში ეჭვმიტანილ გია სოფრომაძის კარმიდამოს. ეზო უკაცრიელი ჩანდა, ჭიშკარში ჩაყენებული ზარი — უმოქმედო. მეზობლად დომინოს სათამაშოდ შეკრებილ მამაკაცებს შევეხმიანე და სოფრომაძეების შესახებ ვკითხე. მათმა პასუხმა გამაოცა — ამ ოჯახთან ყოველგვარი კონტაქტი გაწყვეტილი ჰქონდათ.

ერთმა მათგანმა მირჩია, გიას მეუღლე ნინო შინ იქნება, დაუძახე და გამოგეხმაურებაო.

ასეც მოვიქეცი. გია სოფრომაძის მეუღლეს სახეზე ცვილის ფერი გადაჰკვროდა, მწუხარებისგან წაშლილი იყო. ხელები უსასოოდ გაშალა და მთხოვა: „ნურაფერს მკითხავთ, ამით ვერც გურამ კედელაშვილს გავაცოცხლებ და ვერც უბედურს ვუშველი ციხეში... აქ ტელევიზიიდანაც ყოფილან, რაღაცები გადაუღიათ, შინ რომ დავხვედროდი, უფლებას არ მივცემდიო". პასუხმა იმდენად არ დამადარდიანა, რამდენადაც ქალის სახეზე ამოკითხულმა ზაფრამ.

გზაზე გამოვედი. ვიღაცამ ფანჯარა გამოაღო და მიმიხმო. გულწრფელად მომიყვა:

„დიდი უბედურება მოხდა უბანში. მკვლელი გია სოფრომაძე ამუზნელია, ხოლო მოკლული გურამ კედელაშვილი ახმეტელი იყო. ამ ქუჩაზე, №55-ში, სამსართულიან სახლში მდგმურად ცხოვრობდა. ვერ გეტყვით, მიზეზი რა იყო. გია ობლობაში გაიზარდა, მამა ადრე მოუკვდა, დედა გათხოვდა. ეს ბინა დიდხანს იყო დაკეტილი. უპატრონოდ დარჩენილ ობოლს წყაროს ქუჩაზე ბებია ზრდიდა. ბიჭი ცელქი, მოუსვენარი, ჩხირკედელა და ჩხუბისთავი იყო. ბებია უკვე წამოზრდილსაც კი აქეთ იშვიათად უშვებდა. ხელმარჯვე ბიჭს ახალდაბაში ავეჯზე მუშაობა ასწავლეს. კარგი ოსტატი დადგა, ბინა განაახლა, ცოლიც შეირთო და ორი ქალიშვილიც შეეძინა, მაგრამ მძიმე, მოურიგებელი ხასიათი ჰქონდა. ხშირად სვამდა, ცოლ-შვილს აწიოკებდა, ხელითაც კი ეხებოდა.

ერთხელ მთვრალი ცოლს დანით დასაკლავად გამოეკიდა. ნინო იქვე, გიას ბიძის სახლში შევარდა. განრისხებული ბიძა ღია კარში ცოლ-ქმარს შორის ჩადგა. გაცოფებულმა ბიძა არ დაინდო, დაჭრა. იმ დღის შემდეგ ამ ორ ოჯახს შორის უკმაყოფილებაა. მის ცოლს ხელზე ჭრილობა აქვს. როგორც კი მისი უფროსი ქალიშვილი ხატია წამოიზარდა, ოჯახიდან გაიქცა, ბებიასთან გადავიდა საცხოვრებლად, სახლისა და მშობლების ხსენებაც არ უნდა. პატარა ნათია კი ჯერ 16 წლისაა.

ცხოვრება რომ გაჭირდა, ტაქსაობა დაიწყო, უბნელები მანქანაში არ უსხდებოდნენ, შარიანი კაციაო. გული ამ საქმესაც ვერ დაუდო. მეუღლე რომელიღაც კაფეში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობს და ამ ქალის კმაყოფაზე იყო ვაჟკაცი კაცი.

საერთო უმუშევრობამ უბანი გააფუჭა. იკრიბებიან უსაქმოდ დარჩენილი კაცები, ჯერ დომინოს თამაშობენ, მერე არაყსა და ლუდს აყოლებენ და არიან ერთ ხორხოცში. გიას ახლოს არ იკარებდნენ, კეთროვანივით ჰყავდათ მოკვეთილი. რამდენჯერმე ნასამართლევია. მეტსახელიც აქვს — „ჩარექა", №55-ში მიბრძანდით, მკვლელობა იქ მოხდა და ჩემზე უკეთ ისინი გეტყვიან".

სამსართულიანი სახლი, სადაც გია სოფრომაძის მსხვერპლი გურამ კედელაშვილი ქირით ცხოვრობდა, კატია მალიანცის ეკუთვნის. ამ დიდი სახლის ოთახები თითქმის სულ გაქირავებულია. იქ მყოფებმა გურამი გამრჯე, წესიერ ახალგაზრდად დაახასიათეს. ორ კვირაში ერთხელ სურსათით დატვირთული ჩანთებით დედა აკითხავდა ახმეტიდან. თვითონ მეზობელ ბოშებთან ერთად ჯართის ჩამბარებელი პუნქტი ჰქონდა, ფულს შოულობდა. მანქანა ჰყავდა და თუ დრო ჰქონდა, ახმეტაში მიდიოდა. ჩამოტანილი ხორაგითა და ღვინით სოფრომაძეებს მიადგებოდა და მათ ეზოში გია და გურამი შუაღამემდე ქეიფობდნენ.

მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე გურამმა მეზობლებს უთხრა, რომ ცოლის შერთვას აპირებდა, მეჯვარედ „ჩარექა" უნდა წაეყვანა. მეზობლები ერთხმად აცხადებენ, რომ აოცებდათ ამ სოფლელი ბიჭის სუფთა გული და მიმნდობლობა. ვერ გაეგოთ, ამ მრავალგზის ნასამართლევ, სახელგატეხილ „ჩარექასთან" რა საერთოს პოულობდა.

ისიც დაამატეს — გურამი 30 წლის კაცი იყო და დარიგებას ხომ არ დაუწყებდითო.

ერთი კვირის თავზე გურამი ცოლიანად თბილისში დაბრუნდა. გიამ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მოსვენება არ მისცა — ჩემთან წამოდითო. სტუმრობით დაღლილი ახალდაქორწინებულები ჩამოტანილ პურმარილთან ერთად ძალით წაიყვანა თავის ოჯახში. სუფრა იქაც გაშალეს.

უნდა ითქვას, რომ ახმეტაშიც ერთი კვირის განმავლობაში აუღებელი სუფრა ჰქონდათ და თბილისშიც განაგრძეს. გურამს დალევა აღარ უნდოდა და მაგნიტოფონს ხმა აუწია, დაძალებული სასმისი რომ აეცდინა. იწყინა „ჩარექამ" და სერიოზულად შელაპარაკდნენ. სიძემ დედოფალს ხელი მოჰკიდა და ნაქირავებ ბინაში წავიდნენ.

## მეზობლები იხსენებენ, რომ ღამის 2 საათზე გია რამდენიმე თანმხლები პირით გინებით მიუვარდა №55-ში მყოფ ახალდაქორწინებულ წყვილს, არც მეჯვარეობას სცა პატივი და სიძეს პატარძლის წინაშე გამეტებით სცემა.

რომ არა იქვე მცხოვრები ბოშები, არავინ იცის, ჩხუბი რით დასრულდებოდა. „ჩარექას" უბანი დაპანიკებული ჰყავდა, მის საქმეში ჩარევას ყველა ერიდებოდა.

მეორე დღეს გურამი გარეთ არ გამოსულა. ნაცემნაგვემი იწვა და ცოლი ცივ საფენებს ადებდა. მთელ უბანს ახსოვს, საღამოს 6 საათზე როგორ აიარა „ჩარექამ" გრძელი გზა კატიას სახლამდე. მწოლიარე გურამთან ოთახში შევიდა. თბილად გაუღიმა, პატიება სთხოვა, მიუახლოვდა და ხელიც გადახვია, თან ალესილ დანას მალავდა. ფერებ-ფერებით ძმაკაცს ალესილი დანით ყელი გამოსჭრა. პატარძლის შემაძრწუნებელმა კივილმა უბანი შეაზანზარა. „ჩარექამ" არეულობით ისარგებლა და გაიქცა. ახალგაზრდა კაცი სისხლისგან იცლებოდა. ახლაც ეტყობა მიწას სისხლის გუბის კვალი, როცა დაჭრილი რეანიმობილში გადაჰყავდათ.

პატრულიც მოვიდა, გზებიც გადაიკეტა. სასწრაფო დახმარებამ ბიჭი ტუბდისპანსერში აიყვანა, სადაც დაზარალებულისთვის დახმარება ვერ შეძლეს, იქიდან კი „არამიანცში" გადაიყვანეს. ამბობენ, გურამს უპატრონობით ყურადღება მოაკლდა, თორემ გადარჩენა შესაძლებელი იყოო. ექიმები სასწრაფო დახმარებას ადანაშაულებდნენ, მკვდარი მოგვიყვანესო. სასწრაფოს მედპერსონალი კი ამბობს — ექიმებს ცოცხალი ჩავაბარეთო.

ერთ კვირაში საწყალი ბიჭის ქორწილი ქელეხად გადაიქცა.

რაც შეეხება მკვლელობაში ეჭვმიტანილ გია სოფრომაძის რთულ ხასიათს, აღსანიშნავია, რომ ბავშვობაში სულიერი ტრავმა მიიღო, დანგრეული ოჯახის შვილია. დედამ სათანადო მზრუნველობა მოაკლო, რის გამოც ჩამოუყალიბდა პათოლოგიური ეჭვიანობა, განზოგადებული ანტისიმპათიური განწყობა საზოგადოების მიმართ. ხშირია მის ცხოვრებაში უმიზეზო ახირებანი. იმდენად აგრესიულია, რომ კეთილგანწყობილ გარემოშიც შეუძლია ჩხუბისთვის საბაბის მოძებნა. აშკარაა, მას მკურნალობა სჭირდება. ამის ნაცვლად კი, რაკი მასთან ურთიერთობა უძნელდებათ, მოიკვეთეს, ნადირად ქცეული კაცი კუთხეში მოამწყვდიეს.

ყოველივე ამას დაერთო მძიმე სოციალური ყოფა, სამსახურის დაკარგვა, რომელშიც იხარჯებოდა და უარყოფითი ენერგიისგან თავისუფლდებოდა. შექმნილმა აგრესიულმა გარემომ დამნაშავეთა სამყაროში გადაისროლა. ციხეში ხანგრძლივმა ემოციურმა და ფიზიკურმა დაძაბვამ უარესი გახადა, ალკოჰოლიზმისკენ ლტოლვა გაუძლიერა. ამან მის ფსიქიკას საბოლოოდ მოუღო ბოლო... საზოგადოებისთვის ის უკვე საშიში გახდა.

უბნის დუმილმა და სიჩუმემ, როცა ღამის 2 საათზე ახალგაზრდა კაცს პატარძლის თვალწინ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, მის ავადმყოფურ ბუნებას სტიმული მისცა. გულგრილობამ, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვამ, „სხვისი ჭირისა და ღობეს ჩხირის" ფილოსოფიამ ამ შემზარავ ტრაგედიას ხელი შეუწყო.

ინციდენტის ღამეს რომელიმე მეზობელს რომ გამოეჩინა გამბედაობა და „ჩარექას ღამეული ვიზიტის" შესახებ პატრულისთვის ეცნობებინა (როცა კონფიდენციალურობაც დაცულია), ამ თავზარდამცემი მკვლელობის თავიდან აცილებას შეძლებდნენ.

სამართალდამცავი ორგანოები ამ საქმეს იძიებენ. დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება, მაგრამ ვაი, რომ ასეთ შემთხვევებს პრევენციული ზომები არც სამართალდამცავი ორგანოების და არც დაშინებული, გათითოკაცებული საზოგადოების მხრიდან წინ არ უძღვის.

სამწუხაროა, რომ საკუთარ ჯამს ჩაშტერებულნი, გაუსაძლისი პირობებითა და უბადრუკი ყოფით დაღლილნი უკვე კარგა ხანია, ერთმანეთის ბედსა და ჩვენ გვერდით მყოფი ადამიანების ცხოვრებაზე პასუხს აღარ ვაგებთ.

**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## ავტომანქანა გვირაბში 25 მეტრით შედის და

# არქიტექტორ გიგა ბათიაშვილს პრეზიდენტის სასახლის ავტორობა მოჰპარეს

**აქამდე ყველამ ვიცოდით, რომ პრეზიდენტის სასახლის არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი იყო, მსოფლიოს არქიტექტურულ წრეებში კარგად ცნობილი ხუროთმოძღვარი, მრავალი პრემიის ლაურეატი, ღირსეული პიროვნება და თბილისზე გადაყოლილი დამსახურებული მოღვაწე: რად ღირს, თუნდაც, შარდენის, მიმდებარე ქუჩების, და, საერთოდ, ისტორიული თბილისის განაშენიანება, რაც მისი პროექტითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა. მაგრამ რამდენიმე დღის წინათ „რუსთავი 2"-ის პროგრამა „პოსტ სკრიპტუმმა" გამოგვიცხადა, რომ ავტორი სულ სხვა ვინმეა — „პრეზიდენტის საყვარელი არქიტექტორი", სოლიდურწვერიანი ახალგაზრდა იტალიელი.**



გიგა ბათიაშვილი




**— რა მოხდა, ბატონო გიგა? — ვეკითხები გიგა ბათიაშვილს, რომელმაც სასაუბროდ თავის სახელოსნოში, სასტუმრო „მარიოტს" მოფარებული შენობის მეექვსე სართულზე, მიმიწვია.**

— მოხდა ჩვეულებრივი ამბავი, რაც დამახასიათებელი გახდა ჩვენი ქვეყნისთვის. როგორც ჩანს, მეც და ჩემი საქმიანობაც ამ ჩვეულებრიობაში ჩაეწერა — გამონაკლისი არ აღმოვჩნდი.

## დღეს ქვეყანა იმართება „ხოშით" და არა წესითა და ზნეობით.

დავიწყოთ იმით, რომ დედაქალაქს გენერალური გეგმა არ აქვს, ქვეყანას — განსახლების გეგმა.

ქალაქის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გენგეგმა აქვს, ორიოდე დღის წინათ მისი პრეზენტაციაც მოაწყო, მაგრამ ეს არის მიწათსარგებლობის გეგმა, რომელიც გენერალური გეგმის საფუძველზე უნდა შედგეს.

ყველა ღონისძიება — ზოგი — კარგი, ზოგი — ცუდი, ზოგი, მართლაც, ძალიან კარგი, მაგრამ უადგილო ადგილზე განსახორციელებელი, ყველა იდეა, რომელიც კი თავში მოუვათ, რეალიზდება. ასე იმიტომ ხდება, რომ არ არსებობს „აღმშენებლობის კონსტიტუცია", არ არის სისტემა. აკეთებენ ისე, როგორც უნდათ და არა ისე, როგორც საჭიროა. ანალოგიური ამბავი მოხდა აქაც.

ეს — შესავლისთვის, ახლა — წინაისტორია.

ეს იყო მაშინ, როცა თბილისის საკრებულოში ვიყავით მეც და ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტიც.

ერთ მშვენიერ დღეს სახელოსნოში მესტუმრა. თავისუფლების მოედანზე „მარიოტი" ჯერ კიდევ აგებული არ იყო და აქედან ძალიან კარგად ჩანდა იმჟამინდელი ავტოინსპექციის შენობა. მილიციის ეს სტრუქტურა განთავსებული იყო ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს კლასიცისტურ სტილში აგებულ შენობაში და განკუთვნილი იყო პოლიციისთვის.

მისი გადაკეთების იდეა დამებადა ჯერ კიდევ 80-იანი წლების მიწურულს, როცა ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა ძველი თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაცია, ახლა რეაბილიტაციას რომ ეძახიან. ჩემი აზრით, საქართველოს სჭირდებოდა „საქართველოს სახლი", ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა ქვეყნებს. მაგალითად, „ფინეთის სახლი". გერმანელებმა, ბელგიელებმა, იაპონელებმა ააგეს კონგრეს-სასახლეები, დარბაზები ან ნაციონალური სახლები.

ამ თემაზე გავაკეთე მოხსენება. ავტოინსპექცია სხვა ადგილზე გადაიტანეს და 18 ოჯახი გაასახლეს და დააბინავეს კიდეც. ჩემი პროექტის შესაბამისად, კოლონების დასმა მოვასწარი, დამთავრება — ვერა.

ჩემთან, სახელოსნოში, რომ მოვიდა ბატონი მიხეილი, ის შენობა ფანჯრიდან დაინახა, ჩემს პროექტსაც გაეცნო და, მგონი, სწორედ მაშინ ჩაუვარდა გუნებაში თავისი რეზიდენციის იქ განთავსება.

ამ ვიზიტის შემდეგ ძალიან სწრაფად გაპრეზიდენტდა და პირველი, რაც გააკეთა, მოითხოვა ჩემი ეს პროექტი.

პროექტი გავაფორმეთ კომპანია „არსში".

მე არქიტექტორი ვარ და პროექტი ჩემი შვილია, რომელიც მინდა, ჩემ თვალწინ გაიზარდოს. საბედნიეროდ, ამ პროექტს რეალურად ჩაეყარა საფუძველი, დაიწყო მუშაობა და შენობა ამოვიდა სრული სხეულით.

ამასობაში გიგა ბათიაშვილმა არ გამოიჩინა აქტივობა იმ სურვილების მხარდასაჭერად, რომლებიც ჩვენს მთავრობას ჰქონდა. არ გავხდი ისეთი აქტიური, როგორც ზოგიერთი ჩვენი ცნობილი ინტელიგენტი.

**— ვინ გყავთ მხედველობაში?**

— გვარებს არ დავასახელებ, რადგან ყველამ ისედაც კარგად იცის, ვისზეც ვლაპარაკობ.

მათსავით აქტიური ვერ ვიქნებოდი ვერ ცერთ შემთხვევაში, რადგან ჩემი შეხედულება მაქვს სახელმწიფოს მშენებლობა-განვითარებაზე და ჩემს ქცევასა და პოზიციას ამ შეხედულებას შევუსაბამებ, ამიტომ ვერ მივეკედლებოდი იმ „აქტიურ" ადამიანებს. აი, ქვეყნის აღმშენებლობაში დახმარება კი ჩემი მოვალეობაა.

## სანამ შემიძლია, ვინც გინდა იყოს ხელისუფალი, ვალდებული ვარ, საქმეში ხელი შევუწყო ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მაგრამ ბრმად რომ მივყვე — გამორიცხულია!

ერთ მშვენიერ დღეს მივედი მშენებლობაზე, დაცვამ ბოდიში მომიხადა — თქვენი საშვი გაუქმებულიაო და არ შემიშვა.

**— როდის მოხდა ეს ამბავი?**

— ორი წლის წინათ. შენობა მთელი სხეულით, გუმბათის ჩათვლით უკვე ამოსული იყო. თუ გახსოვთ, შოთა ყავლაშვილს ჰქონდა აგურის თაღებში გაკეთებული ქვედა ნაწილი ტერასაზე, რომელიც შემდგომ დაანგრიეს.

გვერდით კი „არსის" პროექტით ფლიგელის მშენებლობა იყო დაწყებული. ეს ის ფლიგელია, სადაც მიხეილ სააკაშვილი ზოგჯერ მთავრობის სხდომებს მართავდა. გაუგებარია, რატომაა შავნაცრისფერი ეს ფლიგელი...

მოკლედ, გამიუქმეს საშვი, მაგრამ მე არავისთან მივსულვარ, მუხლებზე არ დავმდგარვარ.

მიმაჩნია, რომ ჩემი საავტორო უფლება შეილახა. გარდა იმისა, რომ საპროექტოშია გაკეთებული ამ სასახლის პროექტი, ოფიციალური შტამპი აქვს და, ბოლოს და ბოლოს, ჩემი აშენებულია, პრესაში არაერთხელაა გამოქვეყნებული მასალები და ა.შ., მაქვს საავტორო უფლების ოფიციალური დოკუმენტი ამ შენობის არქიტექტურაზე, რაც დაფიქსირებულია შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურაში.

**— და არავინ გააპროტესტა?**

— საქმეც ეგ არის! ჩვეულებრივ კლერკებს, დამკვეთის ფუნქციას რომ ასრულებენ, არ ეყოთ მოქალაქეობრივი ან, თუნდაც, კაცური პასუხისმგებლობა, ტაქტი, რომ ყურმილი აეღოთ და ჩემთვის ეთქვათ, იძულებულები ვართ, ასე მოვიქცეთ, ან — მიიღეს ასეთი გადაწყვეტილებაო და საქმის კურსში მაინც ჩავეყენებინეთ.

მაგრამ ეგ არაფერი:

**რა წესიც დაინერგება ქვეყანაში, იმ წესს მოერგება ხოლმე ბიუროკრატია, იმ წესით ვითარდება ჩვენი ცხოვრება და, ბუნებრივია, რომ ეს ჩემს ამბავზეც აისახა.**

მე სხვა რამემ გამაოცა. კერძოდ, ერთ მშვენიერ დღეს პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სასახლის მშენებლობაზე ჩამოიყვანეს იტალიელი არქიტექტორი.

არსებობს არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირი, რომლის წევრიცაა საქართველო, ვმონაწილეობთ ამ კავშირის კონგრესებში და ა.შ. იტალიის არქიტექტორთა კავშირიც ამ ორგანიზაციაშია გაწევრებული. ეს კაცი რომც არ იყოს ამ კავშირის წევრი, პროფესიული მორალი ავალდებულებდა, შესაბამისად მოქცეულიყო. ჩამოხვედი სხვა ქვეყანაში (ალბათ, ჰგონია, რომ პაპუასებთან ჩამოვიდა), ნახე, რომ შენობა აგებულია, არქიტექტურული სტილისტიკა ჩამოყალიბებულია, მეტიც, შენობას „ქუდიც" ახურავს. არ უნდა იკითხო, შე კაი, კაცო, ამ შენობის არქიტექტორი ვინ არის, ცოცხალია თუ გარდაცვლილი?

თუ გარდაცვლილია, რა თქმა უნდა, საფლავში ვერ მოიკითხავდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ავტორი უნდა მოეძებნა, თუნდაც ოფიციალური დაწესებულებების ან არქიტექტორთა კავშირის მეშვეობით, ან იტალიიდან გამოგზავნილი შეკითხვით, ან, ბოლოს და ბოლოს, დამკვეთის საშუალებით. დამკვეთს რაიმე მიზეზით უარიც რომ ეთქვა, რაღაც გზებით მაინც უნდა ეპოვა ავტორი.

უნდა ვენახე იმისთვის მაინც, რომ პროექტთან დაკავშირებული თავისი მოსაზრებები გაეცნო ჩემთვის, კონსულტაცია გაევლო. ამ შემთხვევაში მორალის პოზიციიდან მაინც იქნებოდა გამართლებული მისი „პარტიზანულად" ჩამოსვლა საქართველოში.

**— მით უფრო, რომ თქვენ, ბატონო გიგა, ცნობილი პიროვნება ხართ...**

— ყალბი თავმდაბლობის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ამ ახალგაზრდას, ალბათ, არც დაესიზმრება ის საერთაშორისო რეგალიები, რომლებიც მიღებული მაქვს როგორც პრაქტიკული საქმიანობის გამო, ასევე, — თეორიულ ძიებებში. ასეც რომ არ იყოს და გუშინდელი ბიჭიც რომ ვყოფილიყავი, უნდა მოვეძებნე ამხელა შენობის ავტორი.

**— ხომ არ აჯობებდა, რომ ასეთი უტაქტობის გამო ნერვების წყვეტის ნაცვლად მიგეწერათ, შეგეხსენებინათ პროფესიული ეთიკის ელემენტარული ნორმები?**

— ასეთი რჩევა ადრეც მოუციათ, მაგრამ არ გამიკეთებია და არც ვაპირებ, რადგან გამოვა, რომ ვაშანტაჟებ. ასე არ მოვიქცევი, მაგრამ პირველსავე მსოფლიო კონგრეს-

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ლიფტით ადის პრეზიდენტის სამუშაო ზონაში



იტალიელი არქიტექტორი მიქელე დე ლუკი

ზე დავაფიქსირებ იმას, რაც მოხდა.

— **დიდი სკანდალი იქნება.**

— გეთანხმებით.

— **რა შეცვალა თქვენს პროექტში იტალიელმა არქიტექტორმა?**

— შიგნით არ ვყოფილვარ და ნაკლებად მაწუხებს, რომელი დეტალი გადაიტანა მარცხნიდან მარჯვნივ ან — პირიქით. კონცეპტუალური ცვლილებები კი, რა თქმა უნდა, შემაწუხებელია.

შენობა სამი ნაწილისგან შედგებოდა: ცენტრალური, სარიტუალო ნაწილი, გუმბათქვეშა სივრცე; მარცხენა ფლიგელი — პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტი, სათათბირო ოთახები დანიშნულების მიხედვით; მარჯვენა ფლიგელი — კანცელარია და პრეზიდენტის დასასვენებელი ბინა, სადაც შეეძლო ეცხოვრა კიდეც.

— **ამას ვერ შეცვლიდა?**

— არ ვიცი, მაგრამ

**სახურავი რომ მოხსნა და დამატებით ერთი დაბალი სართული რომ დააშენა, თანაც უწიგნურად, გუმბათის ყელი ფეხებს ქვემოდან ამომძვრალად გამოჩნდა.**

გარედან ასე ჩანს, თუმცა გუმბათის სივრცული მოცულობა არ შეცვლილა.

შენობის მისასვლელი ერთ მეტრზე მეტითაა აწეული. ამით დაირღვა ის კონცეფცია, რომელიც აქ იყო ჩადებული და რომელიც მსოფლიოს ამგვარ სასახლეებში დაცულია. რატომ მოსპო შესასვლელი პანდუსი, ვერ გავიგე.

ჩემთვის რომ ეკითხა, ავუხსნიდი, რისთვის იყო იგი აუცილებელი.

აი, ეს იყო მოკლედ წინაისტორია.

— **„პოსტ სკრიპტუმს“ თუ უყურეთ „რუსთავი 2“-ზე, რომლითაც გადაიცა სიუჟეტი სასახლეზე?**

— ვუყურე და, იცით, რამ გამაკვირვა? ამ კაცის საქციელმა გამაკვირვა. უკავია ფურცელი ამ იტალიელ არქიტექტორს და ხატავს ამ შენობას. სხვის შენობას ხატავ, შე დალოცვილო?! თუ მხატვარია, კი, ბატონო, უყუროს და ხატოს, მაგრამ ხატავს როგორც თავის პროექტს! ამავე დროს, ლაპარაკობს, რომ ეს გუმბათი დამხვდა და მომეწონაო.

ქალბატონი ეკა, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი...

— **შარაშიძეს გულისხმობთ?**

— ჰო, შარაშიძე ტელეეკრანიდან ხაზგასმით ამბობს, რომ ორი წელიწადია, რაც ეს კაცი ჩამოვიყვანეთო, ესე იგი, აღიარებს, რომ ჩამოიყვანეს მაშინ, როცა ძირითადი შენობები უკვე აგებული იყო.

შე დალოცვილო, ერთი სიტყვა მაინც თქვი ნამდვილ ავტორზე და მე ხომ უკვე წაქცეული ვიქნებოდი. გაბრაზება გამივლიდა... უფალმა აპატიოს. ის კი ხატავს. ვითომ თავისია.

— **გუმბათის თაობაზე რას იტყვით?**

— ყველას მოეხსენება, რომ ამ შენობის თანამედროვე ანალოგი რაიხსტაგია, რომელსაც ბრწყინვალე ხუროთმოძღვარმა, არქიტექტორმა ფოსტერმა დაადგა გუმბათი. იმ შენობას თავის დროზე პატარა გუმბათი ჰქონდა. ის გუმბათი, რომლის ფონზე ეგოროვმა და ქანთარიამ ბერლინის თავზე ააფრიალეს გამარჯვების დროშა.

ფოსტერის იდეა გასაგებია: ჯერ ერთი, რაიხსტაგს შეეცვალა ფუნქციური დანიშნულება — გახდა განადგურებული ფაშიზმის სიმბოლო და გერმანული ტურიზმის უპირველესი ობიექტი.

ბერლინს, ფაქტობრივად, მაღალი წერტილი არ გააჩნია. გუმბათზე ასვლას და იქიდან ქალაქის ხილვას გარკვეული აზრი აქვს, ამიტომ რაიხსტაგის გუმბათში ტურისტებისთვის პანდუსი გააკეთეს.

მაგრამ ამ ჩვენს გუმბათსაც პანდუსი რომ დააყოლეს, ვის სჭირდება? თბილისს აკლია გადმოსახედები?

სამაგიეროდ, ამ არქიტექტორმა ამ გუმბათს მოხსნა ისეთი რამ, რაც აუცილებელი იყო.

თბილისს აქვს ერთი პრობლემა, რომლის შესახებ არც მან იცოდა რამე, არც სხვამ უკარნახა... თუ იცოდა (***ეღიმება***).

ჩემი პროექტით, გუმბათს გარედან მიდგმული ჰქონდა უტილიტარული დანიშნულების კიბე, რომლის ამოძრავებაც საჭიროების შემთხვევაში იოლად შეიძლებოდა.

თბილისის ჰაერი თიხაგაჯერებულია. დიასახლისებმაც კი შესანიშნავად იციან, რომ თუ ფანჯრის შუშა საპნით არ გარეცხე, ჭუჭყიანი რჩება. თბილისი არ არის ჰელსინკი, არც ოსლო, არც ბათუმი.

ამხელა შუშის გუმბათს ყოველდღიური მოვლა სჭირდება. სწორედ მის გასაწმენდად იყო გამიზნული ეს მოძრავი კიბე. მოწვეულმა არქიტექტორმა კი მოხსნა.

— **სასახლის ეზოში თანამედროვე არქიტექტურის ნიმუში რომ დადგეს, თუ ნახეთ?**

— მხოლოდ მანქანიდან შევხედე. ახლოდან არ მინახავს, ამიტომ ვერაფერს ვიტყვი.

— **ჰონორარი თუ მოგცეს, ბატონო გიგა? რამდენი გადაგიხადეს?**

— **მე და ჩემს დამხმარეს, ვინც გამოხაზვაში და სხვა საქმეში ხელს მიწყობდა, გადაგვიხადეს იმდენი, რომ არც მინდა, ვთქვა... იმ იტალიელთან სულ რომ არ „გავფარჩაკდეთ“. გამიგეთ?**

— **რა თქმა უნდა... ის 40 მილიონი, როგორც ოფიციოზი ამ შენობაზე დახარჯულ თანხას ასახელებს, რეალური ფასია?**

— არა! გაცილებით მეტია!

— **გვირაბზე ლაპარაკობდნენ განსაკუთრებული აქცენტით, ბარათაშვილის ძეგლთან გამომავალ გვირაბზე.**

— აქაც ჩემთვის გაუგებარი რამ მოხდა. გვირაბი ჩვენც გვქონდა დაპროექტებული.

— **თქვენ გქონდათ დაპროექტებული?**

— დიახ. ოღონდ იქ კი არა, სადაც ახლა ამათ გააკეთეს.

**ეს 25-მეტრიანი გვირაბი პრეზიდენტის საევაკუაციო საშუალებად იყო ჩაფიქრებული. ჩვენი პროექტით, გვირაბი რიყედან ზუსტად შენობის ქვეშ გადიოდა. იქ გამოდიოდა, სადაც უწინ ბენზინგასამართი სადგური იყო. ახლა არის თუ არა, ვერ გეტყვით... ავტომანქანა გვირაბში 25 მეტრით შედის და ლიფტით ადის პრეზიდენტის სამუშაო ზონაში. როცა ევაკუაციაზეა ლაპარაკი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რა მიმართულებით შეიძლება ევაკუაციის გაგრძელება. რიყედან, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით შეიძლება მოძრაობა — ორთაჭალისკენ, ავლაბრისკენ, თავისუფლების მოედნისკენ, დიდუბისკენ.**

**ახლა გვირაბი გამოდის ბარათაშვილის ძეგლთან. აქედანაც შეიძლება ყველა მიმართულებით წასვლა, მაგრამ უნდა დატრიალდე. ექსტრემალური ვითარების დროს კი, როცა ყოველი წუთი ძვირფასია, ეს დროის დაკარგვას და რისკის გაძლიერებას ნიშნავს.**

ამას არ ითვალისწინებენ, არც იმას, თუ მომავალში რა დანიშნულება ექნება იმ ადგილს, სადაც ახლა ბარათაშვილის ძეგლი დგას. ესეც სერიოზული ხარვეზია.

— **როგორც ქალაქში ჩამორიგებული შადრევნები?**

— თუნდაც აქვე, ავლაბარში, დადგმული „ფანტანი“. თუ ადამიანი ვერ მიუახლოვდა, მისი არსებობა აბსურდია! მანქანებისთვის დადგეს?! ასეთივე შეცდომა დაუშვეს გმირთა მოედანზეც. შემდეგ ნახევარი მოჭრეს და ციხესთან გადაიტანეს. რამდენი სისულელე უნდა გააკეთო, კარგი რა, კაცო! ჰკითხეს რამე ხელოვან ხალხს, პროფესიონალებს? არა...

აი, ამის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი:

ჩვენ იმით ვტრაბახობდით, რომ წინა ეპოქაში, საქართველოში, რომელსაც არავითარი ტრადიცია არ ჰქონდა მრგვალი ქანდაკებისა, დაიბადა ქანდაკების ქართული ფენომენი. თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ერთიმეორეზე უკეთესი ქანდაკებები დაიდგა.

ის, რაც მოხდა ბოლო პერიოდში, ნიშნავს, რომ ნაგავი დაეყარა იმას, რაც დახვდათ. ყოფილ ჩელუსკინელების ხიდთან „მზეჭაბუკის“ ქანდაკება რომ დადგეს, საშინელება იყო.

— **მამათმავლის ქანდაკება... „პედერასტის“, როგორც თბილისელები ამბობდნენ?**

— დიახ. ახლა აიღეს და ბორჯომში გადაიტანეს. ბორჯომელებმა რატომ უნდა აიტანონ ეს ორიენტაციაარეული კაცი?!

**დავით აღმაშენებლის ძეგლი კი ისეთ ადგილზე გადაიტანეს, რომ ერთი მხრიდან კონტრაჟურია და ვერ აღიქვამ, მეორე მხრიდან კი ცხენის გავას ხედავ!..**

არ შეიძლება ქანდაკებისა და შადრევნის დადგმა სატრანსპორტო კვანძის ცენტრში! ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა!

***

**ვსაუბრობთ... შემოქმედი, სახელოვანი ხუროთმოძღვარი, წლებით გამდიდრებული მასშტაბური გამოცდილებისა და ხედვის, უბადლო გემოვნების მქონე პროფესიონალი და გულანთებული მამულიშვილი აღშფოთებას ვერ მალავს.**

**ისე, ვატყობ, რომ ავტორობის ქურდობაზე მეტად მას იმ უმსგავსობის არსებობა აწუხებს, რომელიც ჩვენ გარშემოა ფესვგადგმული. არადა, მოჰპარეს ავტორობა იმ ნაგებობისა, რომლითაც ასე ამაყობს ჩვენი ხელისუფლება და უცხოელ სტუმრებთანაც თავს იწონებს.**

**ის კი იწონებს, მაგრამ ხალხს, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა ან სიღარიბის ზღვარზეა მისული, ან იმის იქით სულს ღაფავს, სრულიად განსხვავებული რეაქცია გაუჩნდა ამ მოოქროვილი ფუფუნების მხილველს, ისეთი დამოკიდებულება, როგორიც 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების ჟამს უკომპრომისო ლოზუნგად ჩამოყალიბდა:**

**Мир - хижинам, война - дворцам!**

**მშვიდობა გვაკლია დღეს...**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**





ასე იყო დაპროექტებული

# ბრაზმორეული სიტყვა ლაღიძის წყლების «კოკა-კოლაში» გაცვლის გამო




**ეს სტატია პროგრესის საწინააღმდეგოდ არ იწერება, მაგრამ შენებაც არის და შენებაც. ახლის ქმნა სულაც არ ნიშნავს ძველის უცილობელ ნგრევას. მართალია, ძველი ყოველთვის არ ნიშნავს საუკეთესოს, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ყველაფერი საუკეთესო, ძვირფასი, ხშირ შემთხვევაში, როგორც წესი, ძველთან ასოცირდება.**

რამდენი ტრადიციული, ღირებული რამ დაინგრა და მოიშალა თუნდაც თბილისში? რამდენ შენობა-ნაგებობას შეუცვალა საუკუნოვანი პროფილი ე.წ. პრივატიზაციამ თუ პრიხვატიზაციამ? მელიქიშვილზე, ვერაზე აღარ არსებობს მრავალი ათწლეულის მანძილზე გვერდიგვერდ მოქმედი აფთიაქი და საპარიკმახერო, რომელთა მომსახურების სიკეთით თაობებს უსარგებლიათ. ამ ადგილს სხვა დატვირთვაც ჰქონდა. უკაცრავად ჟარგონისათვის, მაგრამ სწორედ აქ „აბირჟავებდნენ“ ყმაწვილკაცობაში კოლორიტი ქართველები: მერაბ ბერძენიშვილი, ნოდარ დუმბაძე, დოდო აბაშიძე, შოთა სალუქვაძე, გივი ძნელაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ავთო ვარაზი, კოია გომართელი, ნიაზ დიასამიძე, ქართლოს კასრაძე, გურამ (აგული ერისთავი) ლორთქია, რეზო ამაშუკელი და ვინ მოთვლის კიდევ იმ ჯიგრიან ბიჭებს, რომელთაგან ზოგი დიდია და ზოგი პატარა, ზოგი — შფოთის თავი და ზოგი — „პროფესიონალი შარაფისტი“, რომელთაც სიყვარულის, სევდის ძეგლი დაუდგა გიზო ნიშნიანიძემ „პაემანი ვერაზე“-თი.




გაქრა ცნობილი ზემელის აფთიაქი, №1 აფთიაქიც აღარ არსებობს, რომელსაც წლების მანძილზე სოკრატ სალუქვაძე ხელმძღვანელობდა, ცნობილი ფარმაცევტი და „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე. აღარც რესტორანი „დარიალია“ და, რაც მთავარია, თითქმის აღარ არსებობს „ლაღიძის წყლები“ (რუსთაველზე მდებარე სახაჭაპურე მიტროფანე ლაღიძის ღვთაებრივი წყლებით); „ზავედენიე“, რომელიც თბილისის სავიზიტო ბარათი, ათწლეულების (თუ მეტის არა) მანძილზე თბილისის ღირსშესანიშნაობა იყო, სადაც ისევე აუცილებელი იყო უცხო სტუმრის მიყვანა, როგორც ჯვრისა თუ სვეტიცხოვლის სანახავად.

წინამდებარე წერილის მიზეზი სწორედ „ლაღიძის წყლების“ სავალალო მდგომარეობაა, რომლის ორივე დარბაზი დიდი ხანი დაკეტილი იყო და სადაც სტატიაზე მუშაობის დაწყების წინ შევიარე. ვითომ გახსნილი, სინამდვილეში კი იავარქმნილი ადგილის ნახვისას, სადაც ჩემს სიყრმე-სიჭაბუკეში არაერთხელ ვყოფილვარ, ტკივილისაგან გული შემეკუმშა და ერთი ქართული ანდაზა გამახსენდა:

**„თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო.“**

**ვისაც „ლაღიძის“ სარდაფის სიძველისაგან გაცვეთილი მარმარილოს კიბეებზე ერთხელ დაუბიჯებია, მიხვდება, რაზეც ვსაუბრობ. დახლში უსაქმოდ მდგარი ქალბატონი ჩემს კითხვაზე — რა უნდა განთავსდეს ზედა დარბაზში (სადაც უწინ ზამთარ-ზაფხულ თბილისელებისა თუ ქალაქის სტუმრების გრძელი რიგები იყო ხოლმე) და რატომაა დაკეტილი „ლაღიძის“ სარდაფის მთავარი გრძელი ტალანი, ნუთუ ზემოთაც და ქვემოთაც გაუქმებას აპირებენ-მეთქი — დაიბნა. მივხვდი, რომ ერთ დროს თაობებისთვის საყვარელ ადგილს საბოლოო გაუქმება ელოდება, ოღონდ ყველაფერი დროის ამბავია.**

დროის, რომელსაც 2003 წლის შემდეგ დღევანდელი „ნაცების“ ხელისუფლება მართავს ცნობილი მიდგომით — რაც „ვარდების რევოლუციამდე“ იყო, ყველაფერი ცუდი და დრომოჭმულია; ამიტომ ყველაფერი უნდა დაინგრეს, დაიხუროს, გაუქმდეს, რაც ხლისტების გურუს — მიშას სახელს არ უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ლაღიძის უგემრიელესი წყლების მაგივრად „კოკა-კოლას“, „პეპსი-კოლას“ ქიმიური სასმელები გაიყიდება, ხოლო აჭარული ხაჭაპურის ნაცვლად — ჩისბურგერ-ჰამბურგერები, ჰოთდოგები თუ სხვა ტოტალური ამერიკანიზაციის მანიშნებელი პროდუქტი.

**რა თქმა უნდა, არავინაა მაკდონალდსების თუ თურქული შაურმების წინააღმდეგი, თუნდაც იმიტომ, რომ ამ შემოტევისთვის წინააღმდეგობის გაწევა იგივეა, რაც ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ფურთხება, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ეს ყველაფერი ქართულის უარყოფის ხარჯზე, ამ შემთხვევაში, ქართული სამზარეულოს ხარჯზე არ გაკეთდეს? ნებისმიერი სამზარეულო, მით უმეტეს, ქართული, ხომ მარტო კუჭის ამოვსების საშუალება არ არის? ქართული სუფრა ეროვნული კულტურის ფენომენია, რომელთანაც ზიარება, უპირველესად, ქართულ სულიერებასთან „ზიარებაცაა“.**

რა დაშავდებოდა, მაკდონალდსის სასახლის პარალელურად რუსთაველზე ლაღიძის წყლებიც რომ არსებულიყო? აქაც რატომ ვართმევთ ჩვენს შვილებს არჩევანის უფლებას?! იმას ხომ მივაღწიეთ, რომ ჩვენი შვილების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ზეპირად იცის ჰარი პოტერის, მიკი მაუსის თუ ტომისა და ჯერის სერიალები და წარმოდგენა არა აქვს ხუთკუნჭულას, ასფურცელას, ნაცარქექიას ქართულ ხალხურ სიბრძნეზე, რითაც უხსოვარი დროიდან ჩვენი მამა-პაპანი გაიზარდნენ.

ერთი შეხედვით, იქნებ, ვინმეს უადგილოდ მოეჩვენოს ჩემი სიტყვები და „სად ერეკლეო..“...,— მომაძახოს, ანუ სად ლაღიძე, ნაცარქექია და სად ჰარი პოტერი თუ მაკდონალდსიო; მაგრამ ასეთი რამ, ვფიქრობ, უსამართლობა იქნება, რადგანაც ეს ყველაფერი — „ლაღიძის“ გაუქმება, მაკდონალდსის გახსნა, „ასფურცელას“ „პოტერით“ ჩანაცვლება, პირველ რიგში, ზნეობრივი ფილოსოფიაა.

### სიხარული სხვისა სიკეთესა ზედა

ანუ საბასეული შურის განმარტების „მწუხარებაის“ ნაცვლად, სიხარულის გრძნობა დამეუფლა, როდესაც ამას წინათ საბურთალოზე, „მორკინალში“ „ლაღიძის წყლების“ გახსნას დავესწარი. ეს პროექტი ცნობილმა ბიზნესმენმა ჯონი გიგანმა განახორციელა.

ქართული სიმღერების ფონზე სტუმრები უგემრიელეს აჭარულ, მეგრულ, იმერულ, ფენოვან...ხაჭაპურებს აგემოვნებდნენ. უხვად იყო მართლაც ღმერთების სასმელი — ლაღიძის წყალიც. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ჩემს ბავშვობაში რუსთაველზე არსებულ „ლაღიძის სარდაფში“. ღმერთმა ინებოს, რომ მომავალში აქაურობაც თბილისელებისა თუ დედაქალაქის სტუმრების საყვარელ ადგილად გადაიქცეს.

**დავით მხეიძე**

**P.S. წერილის დასასრულს ის სამწუხარო ამბავი გამახსენდა, როცა ამას წინათ ვიღაც ზონდერებმა დიდი მიტროფანე ლაღიძის შვილიშვილი, მისი სამართალმემკვიდრე უმოწყალოდ სცემეს. როდესაც ეს კაცი, დიდი მიტროფანეს შთამომავალი „კოკა-კოლას“ შეფს თემურ ჭყონიას მოადგილედ „დაუწვა“ ლაღიძის წყლების ქვეყანაში ხმა არავის ამოუღია, მაგრამ საკმარისი იყო მიშას საწინააღმდეგო მიტინგზე ერთი გამოჩენა, რომ თავპირი დაამტვიეს... ეს ისე, განსჯისათვის მოგახსენეთ.**

# „ეჰ, საქართველოვ, საით მიექანები?“ —

**„საქართველო და მსოფლიო“ ყველა ნომერში გთავაზობთ სამშობლოდან გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეების მონათხრობს. თითოეული მათგანი აუტანელმა ყოფამ აიძულა, ოჯახს მოშორებოდა და უცხოტომელთა სამსახურში ჩამდგარიყო. სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენი გაზეთის ელექტრონულ ვერსიას სწორედ საქართველოს დღევანდელი ვითარებით შეძრული ემიგრანტები კითხულობენ გულმოდგინებით. მათ გამოხმაურებებში დიდი გულისტკივილი გამოსჭვივის და, ამავე დროს, ოპტიმიზმიც იკითხება — ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ იმედი, რომ ეს ქვეყანა ოდესმე მაინც დადგება ფეხზე. დღეს გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას, რომლებიც გაზეთის ვებგვერდზე — www.geworld.net — მივიღეთ.**

ქართულ ემიგრაციას უპირველესად ქართველი დიპლომატების არაკომპეტენტურობა და თანამემამულეთა მიმართ უგულისყურობა აწუხებთ. **ლონდონიდან გიორგი** გვწერს: **„ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს რესპუბლიკას ბევრი არაპროფესიონალი ელჩი (ანუ დიპლომატი) ჰყავს წარმოდგენილი უცხოეთის ქვეყნებში“.** გიორგის ეს გამოხმაურება მოჰყვა „საქართველო და მსოფლიოს“ პუბლიკაციას **„ელჩი თავართქილაძე ემიგრანტის წერილს უგულებელყოფს“.** ამ მცირე რეპლიკაში **თესალონიკის ქართველთა სათვისტომო „საქართველოს“ პრეზიდენტი ელგუჯა მინაძე** დიდ გულისტკივილს გამოთქვამს, რომ საბერძნეთში საქართველოს ელჩი 300000 ქართველის პრობლემებს ყურადღებას არ აქცევს და მათ მიმართვებს პასუხის ღირსადაც არ თვლის.

რეპლიკას მოჰყვა ვრცელი ინტერვიუ ბატონ ელგუჯა მინაძესთან. მასთან საუბრისას იმდენი პრობლემა გამოიკვეთა, რომ, ბუნებრივია, ემიგრანტების ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ბატონი ელგუჯა საბერძნეთში ქართული სათვისტომოს შექმნის აუცილებლობაზეც საუბრობდა.

**თამარ საბაძე** ჩვენს რესპონდენტს მიმართავს: თქვენი ინიციატივა მისასალმებელია, ოღონდ მარტოს ძალიან გაგიჭირდებათო. **„ქართველებს ერთსულოვნება აკლიათ, გინდ — ოპოზიცია, გინდ პოზიცია იყოს, საერთო საქმეს ყოველთვის გულგრილად ეკიდებიან“,** — წერს თამარ საბაძე.

**ზაზა შაოშვილი** კი, როგორც ემიგრაციაში მყოფი ერთ-ერთი ქართველი, დიდ მადლობას უხდის ბატონ ელგუჯა მინაძეს, რომელმაც ყველა ემიგრანტის გასაჭირისა და პრობლემების ხელისუფლების ყურამდე მიტანა სცადა. **„სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცოდი, თუ ამაზე საერთოდ ვინმე ფიქრობდა და რამეს აკეთებდა,** — წერს ზაზა შაოშვილი, — **აქ იმდენი პრობლემა და სათქმელია დაგროვილი, ამ მცირე ინტერვიუში ალბათ არ მოგეცათ საშუალება საუბრისა; არ მესმის, რას ნიშნავს ის, რომ აქ მილიონერები არ გვყავს. 300 ათასი ქართველი ანგარიშგასაწევ ძალას არ წარმოადგენს არავისთვის? ჩვენს ხელისუფლებას იქ, საქართველოში ვერ აგონებენ ხმას მოქალაქეები და აქ ნამდვილად არ მაქვს იმის ილუზია, რომ ვინმე რაიმე ყურადღებას გამოიჩენს. მთელი ამათი ყურადღება საკონსულოებში ქაღალდების მოწესრიგებით შემოიფარგლება და იქაც მარტო „გამარჯობაში“ არ გახდევინებენ ფულს ჯერჯერობით. ქედს ვიხრი, ბატონო ელგუჯა, თქვენი ოპტიმიზმისა და პატრიოტიზმის წინაშე, მაგრამ ისეთი უიმედობა და პესიმისტური განწყობაა ემიგრაციაში ხელისუფლების მიმართ, რომ ძნელი იქნება, ბევრი ადამიანი მოიძებნოს, ვინც ამ მამულიშვილურ საქმეში გვერდში ამოგიდგებათ“.**

ქართველი ემიგრანტების გასაჭირით დაინტერესებისთვის ელგუჯა მინაძეს მადლობას უხდის ***ბიძინა მიქიაშვილიც***. იგი ეთანხმება ჩვენი რესპონდენტის მოსაზრებებს. **„ქართველ ემიგრანტებს მართლაც სერიოზული პრობლემები აქვთ სხვადასხვა ქვეყანაში. ერთადერთი ადამიანი ხართ, ვინც ამით დაინტერესდით,** — წერს **ბიძინა მიქიაშვილი, — მეც ემიგრაციაში ვარ და ვხედავ, როგორ გაჭირვებაში არიან ქართველი ემიგრანტები. თქვენი მოსაზრება მთელ მსოფლიოში უნდა გავრცელდეს“.**

**„ქართველებს გასაჭირი და პრობლემა რომ არ ჰქონოდათ, აქ არავინ გადმოიხვეწებოდა, ზოგს კი სიცოცხლის ფასად უჯდება ყოველივე ეს,** — გვწერს ირინა საბერძნეთიდან, — **ჩემი თხოვნა იქნება იმ ადამიანების მიმართ, ვისაც შეუძლია, ერთი სიტყვა მაინც მიაშველოს ჩვენს ემიგრანტებს. მე ჩამოვედი საბერძნეთში, რადგან პირადი ინტერესი მქონდა, ასპირანტურისთვის თემას ვამუშავებდი „ჰეკატეს სამკურნალო მცენარეებზე“, საკმაო მასალები მოვიპოვე და ვმუშაობ აქაც, მაგრამ ძალიან ბევრ წინააღმდეგობას გადავაწყდებით, ეს კანონი როცა გამოვა და დამტკიცდება. ძალიან დამეხმარნენ საბერძნეთის მოქალაქეები, ლიტერატურული წყაროებით უზრუნველყოფილი ვარ. ეს ჩემთვის დიდი დახმარებაა. ვმუშაობ თემაზე ყოველ ღამით, როცა დრო მაქვს, მაგრამ მჭირდება კიდევ დრო იმისთვის, რომ სისრულეში მოვიყვანო ჩემი თემა. გადაწყვეტილი მაქვს, რომ ჩავალ, ქართველი მოსახლეობისთვის საინტერესო ნაშრომი წარვადგინო, მაგრამ ამისათვის საჭიროა ჯერ ასპირანტურაში სწავლის დამთავრება და შემდეგ ხარისხის დაცვა. ყოველივე ამას თანხები ესაჭიროება.**

**მე იმისთვის ჩამოვედი, რომ ჩემი ბავშვობის ოცნება ამესრულებინა. ძალიან კმაყოფილი ვარ ბერძენი მეგობრების, რომლებიც არანაირ ძალას არ იშურებენ, რომ გავაკეთო ის, რაც ჩაფიქრებული მაქვს. თუკი ბერძენი მოსახლეობა ამდენს ზრუნავს ჩვენთვის, ნუთუ ჩვენს ხელისუფლებას თუ ოპოზიციას არაფრის გაკეთება არ შეუძლია?**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## რუსუდან ებრალიძე:

# ძალიან მინდა საქართველოში დაბრუნება, მაგრამ ვიცი, რომ ჩამოვიდე, მშიერ-მწყურვალი დავრჩები

**ემიგრანტი ქართველები იმ დროს ელოდებიან, რომელიც სამშობლოში დააბრუნებთ. მოლოდინში კი წლები გადის. უცხო მიწაზე სხვათა მსახურად ქცეულ ქართველებს ნელ-ნელა გულგატეხილობა ეუფლებათ, რადგან ჩვენს ქვეყანაში სოციალური ფონი არ იცვლება, დასაქმების პრობლემა კი უფრო მწვავე და შეუქცევად ხასიათს იღებს. უკვე ორი ათეული წელია, არ გვეღირსა წესიერი ცხოვრების პირობები. ყოველივე ამას ჩვენზე უკეთ ემიგრანტები აცნობიერებენ. მოვუსმინოთ იტალიაში მყოფ ქართველ ემიგრანტ რუსიკო ებრალიძეს.**



**— ქალბატონო რუსუდან, რამ გაიძულათ სამი შვილის დედა, საზღვარგარეთ რომ წახვედით?**

— ქვეყანაში, სადაც გაუთავებელი ეკონომიკური კრიზისია, სადაც ხელისუფალნი სახელმწიფოებრივი უპასუხისმგებლობით გამოირჩევიან, ძნელია ოჯახის რჩენა. 1992 წლიდან ქვეყანა თავზე გვექცევა, მისი გალატაკებული შვილები სიცოცხლის გადასარჩენად ქვეყნიდან გავრბივართ. ჩვენი პრეზიდენტი კი თვალთმაქცურად გვიხმობს და მსოფლიო საზოგადოებას არწმუნებს, რომ გასაქცევი არაფერი გვჭირს, ყველაფერი კარგადაა და ქვეყანა წინ მიდის. ამგვარი პოლიტიკის მსხვერპლნი ვართ ემიგრანტები.

ძალიან მინდა საქართველოში დაბრუნება, მაგრამ ვიცი, რომ ჩამოვიდე, მშიერ-მწყურვალი დავრჩები. აქ ჯამაგირს 700 ევროს ვიღებ თვეში, რომელსაც აღებისთანავე საქართველოში ვაგზავნი, მაინც არ ჰყოფნით. მამიდაშვილს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, ხომ უნდა მიმეხედა, გამეწირა?.. დასაც ვეხმარები, ბანკის ვალი აქვს, რას აღარ აკეთებს, რომ ვალის პროცენტები დაფაროს.

მეც წამოსვლისას ბინა ბანკში ჩავდე და პროცენტს ვიხდი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიჭირს, სული კბილით მიჭირავს, ისე მენატრება ოჯახი, ქმარ-შვილი, ნათესავები. გავუძლებ კი ბოლომდე ამ წამებას?.. ძნელია, იმ დარდსა და გულისტკივილზე საუბარი, რასაც უცხოეთში გადახვეწილი განიცდის. იცით, რა მოთმინების, რა ენერგიისა და უხერხულობის გადატანის ფასად ვიღებთ ამ კაპიკებს? საქართველოს ხელისუფლებისთვის ჩვენ საძოვარზე გარეკილი ნახირის „მეწველი ძროხები“ ვართ, რომელთა გამოგზავნილი ფულით ბიუჯეტი ივსება. ეს სულაც არაა მათთვის პრობლემა.

**— თქვენს იტალიურ ყოფაზე მომიყევით, რას საქმიანობთ, როგორია თქვენი თვალით დანახული იტალია?**

— ნეაპოლში ვარ. მას მილიონერთა ქალაქს ეძახიან. იგი ვულკან ვეზუვის ძირშია, ტირენის ზღვის პირას; უძველესი ნავსადგური და გემთმშენებლობის ქალაქია 2 მილიონიანი მოსახლეობით. ქალაქი გორაკებზეა შეფენილი, რითაც თბილისს მაგონებს. უყვართ კერძო ვილები შიდა ეზოებით, ლოჯიებით, ღია აივნებითა და კიბეებით. ნეაპოლში ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილია, ტურიზმიდან მილიონები შემოდით. შემორჩენილია უძველესი ანტიკური დაგეგმარება, ფრესკებით მოხატული კატაკომბები, გოტიკური ტაძრები, ციხე-დარბაზები. სან-დომენიკოს ტაძრის ინტერიერს ამშვენებს კარავაჯოსა და ტიციანის ნამუშევრები. ბევრია რენესანსული და ბაროკოს სტილის სასახლეები. თანამედროვე შენობებიც არქიტექტურის ნიმუშია.

ინგლისური ენის სპეციალისტი ვარ (მეორადი ენა იტალიური იყო). ცოცხალი კონტაქტის უქონლობის გამო, რომ ჩამოვედი, იტალიურს „ვამტვრევდი“, ბედმა გამიღიმა და დასაქმების სააგენტოდან ერთ-ერთი უძველესი გვარის არისტოკრატ ოჯახში მოვხვდი ავადმყოფი ბიჭის მომვლელად. ლუიჯი (ასე ერქვა იმ ბიჭს) ახმახი იყო, უზარმაზარი წვეტიანი თავით, უხორცო, მხრებჩამოყრილი, ელამი, უნდო და მტაცებლური იერით, დამრეც, ჩამოზნექილ შუბლს ეკლებივით უხეში თმა უფარავდა, მეჩხერი კბილებითა და გაურკვეველი, ბრიყვული გამომეტყველებით უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. მარჯვენა მკლავი პარალიზებული ჰქონდა, მოღრეცილ ფეხსაც უშნოდ მიათრევდა. მევალებოდა, უკვე კაცობაში შესულ ლუიჯისთვის მომევლო — ჩამეცმია, გამეხადა, დამებანა, ყველა ჰიგიენური პროცედურა ჩამეტარებინა ყურების გამოსუფთავებიდან დაწყებული, კბილების გახეხვითა და ტუალეტში გასვლის ჩათვლით; ხელით მეჭმია; ექიმის დანიშნული რეჟიმის მიხედვით დამეძინებინა, დანიშნულებები დროულად მიმეცა და მესეირნებინა. ძალიან გაუხარდათ პატრონებს, რომ ნემსის გაკეთება შემეძლო. ლუიჯის არც თუ იშვიათად ნერვიული შეტევა ემართებოდა, ამაზრზენად იქცეოდა. გაავებული მარცხენა ხელის მოსმით გარშემო მყოფ საგნებს ყრიდა, ამტვრევდა, ცხოველივით ღმუოდა, იატაკზე გორაობდა, თავს იატაკს ან კედელს ურტყამდა. ყოველი ასეთი შეტევის შემდეგ წამლებით დამშვიდებული, სამი-ოთხი დღე გაუნძრევლად, უსმელ-უჭმელი, თვალდახუჭული იწვა. მასზე არანაკლებ ვიყავი გასავათებული. იტალიელი მომვლელები გარბოდნენ. ამგვარი ავადმყოფის მოვლა მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებულ, ჩემნაირი ქვეყნის შვილსა და მოწყალე ქალბატონს თუ შეეძლო. ოჯახს არ სურდა, ლუიჯის სტაციონარში მოთავსება. მის გამო ჩაკეტილები ცხოვრობდნენ. მათი უმცროსი შვილი ინგლისში სწავლობდა. მათ სიმდიდრესა და კომფორტს მგლოვიარე იერი ედო. ვუცქერდი მათ მოზაიკის იატაკებს, ძვირფას ხალიჩებსა და ფერწერულ ტილოებს (უმთავრესად დედნებს), ძვირფასი ანტიკვარებით გაწყობილ აპარტამენტებს და ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მავზოლეუმში დავდიოდი. დიასახლისისა და იქ მომუშავეთა სახეებს რაღაც ცივი, დისტანციური და არაფრისმთქმელი გამომეტყველება ჰქონდა. ერთხელ დიასახლისი ჯამაგირს რომ მაძლევდა, საფულედან შვილების ფოტო გადმომივარდა. ქალბატონმა ცივი მზერით დამსუსხა და ამპარტავნული პოზით გამშორდა. მივხვდი, ამ მშვენიერ, ტაქტიან, ჭკვიან, არისტოკრატ ქალს ჩემი ჯანმრთელი ბავშვები შეშურდა.

ერთხელ მორიგი ნევროზული შეტევისას ლუიჯი ექიმთა ჩარევით ძლივს დაწყნარდა, საწოლზე თოკით გასკვანჩული იწვა, რადგან, წინანდელთან განსხვავებით, გამუდმებით შფოთავდა, გიჟივით ხარხარებდა, ხან ტიროდა და ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს ყვიროდა. მოწვეულმა ექიმებმა დიასახლისსა და ბატონს რაღაც შესთავაზეს, მაგრამ მათ შეთავაზება ცივი კატეგორიულობით უარყვეს, ხუთი დღის შემდეგ ავადმყოფი ჩაცხრა, მაგრამ გათენებისას უხმაუროდ სული დალია. ერთადერთმა მე დავიტირე ლუიჯი ცრემლით, ჭირისუფლები ქვისგან ნაკეთები თოჯინებივით ისხდნენ სამგლოვიარო რეკვიემის ფონზე. დავრჩი უმუშევარი. დონა ლეტიციას ვთხოვე, ახალი სამუშაოსთვის რეკომენდაცია მოეცა, მგლოვიარე დედამ ჩემი ხანგრძლივი ლოდინის შემდეგაც რეკომენდაცია ვერ გამოიმეტა, თითქოს მემდუროდა. გულდაწყვეტილი წამოვედი ამ დიდებული სახლიდან. მივხვდი, ჩემნაირი უნუგეშოდ დარჩენილი ემიგრანტისთვის ლუიჯის მოვლაც ფუფუნება იყო.

ღამის გასათევად ქალაქგარეთ მყოფ ჩემს დაქალს მივაკითხე. დარჩენილი ევროები გავანაწილე საკვებისა და ტრანსპორტისთვის, შრომის ბირჟაზე რომ წავსულიყავი. მგზავრობა ძვირია, რასაც ემატება შიში არალეგალურობისა. დაქალი, რომელთანაც ვცხოვრობდი, ზღვისპირა ბისტროში მუშაობდა დამლაგებლად. თეფშებზე დარჩენილ პროდუქტს ჩუმად ცელოფანში ინახავდა და სახლში ჩემთვის მოჰქონდა. ერთხელ მირჩია, იქნებ, მოქსოვო რამე, დაწყნარდები, ადამიანს დაემსგავსები და, იქნებ, სამუშაოც იშოვოო. უძილო და ნერვებდაძაბული მთელი 20 საათი მაინც ვქსოვდი სუფრას. ჩემი ნახელავით განცვიფრებულმა მასპინძელმა სუფრა კაფეში წაიღო. ჰოი, საოცრებავ! სუფრა 100 ევროდ გაიყიდა და თან ახალი შეკვეთაც მოჰყვა. ხელოვნების დამფასებელი იტალიელები ჩემმა ფანტაზიამ და ნახელავმა აღაფრთოვანა. მალე მოხუცი ქალიც მიშოვეს მოსავლელად ისეთი პირობებით, რომ თავისუფალ დროს ვქსოვდი. ორმაგმა დატვირთვამ შემოსავალი კი გამიდიდა, მაგრამ ღამით ქსოვამ მხედველობა დამიზიანა.

იტალიაში ოქტომბრის თვეში დეპორტაციის კანონი ძალაში შედის და, ბუნებრივია, დაიწყება არალეგალების დევნა და გამოძევება. რა გველოდება ათასობით ემიგრანტს სამშობლოში? — არეული პოლიტიკურ-სოციალური სიტუაცია, მიტინგები, სადაც ლაპარაკობენ, რომ პრეზიდენტი არასერიოზული და გაუწონასწორებელია, მისი გარემოცვა და რეჟიმი — დამღუპველი, რეფორმები — დამანგრეველი, მოქალაქეთა უფლებები — დაუცველი... არსებული პრობლემების გადაჭრის გზები და პროგრამები არ ჩანს. ასეთ პირობებში მილიონობით ემიგრანტის სამშობლოში ძალადობრივი დაბრუნება, ვფიქრობ, ქვეყანას კარგს არაფერს უქადის. მაგრამ, ვიმედოვნებ, ზოგი ჭირი მარგებელია, შეიძლება ამ დეპორტაციით, ახალი პოლიტიკური სიტუაციის შექმნას ჩაეყაროს საფუძველი.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# გულისტკივილით კითხულობენ ქართველი ემიგრანტები

**ძალაუფლება ხომ მათ ხელშია! ძალიან გთხოვთ, გამოიჩინეთ გულისხმიერება ჩვენი თანამემამულეებისადმი. უმეტესი ქართველობა აქედან ელოდება ლუკმაპურს და არც კი მინდა იმის გაფიქრება, რა დღეში ჩავარდება ის ხალხი, როცა ეს წყაროც შეუწყდება.**

**იყო დრო, რომ საბერძნეთის მოსახლეობა გერმანიაში და სხვა ქვეყნებში გადიოდნენ სამუშაოდ, როგორც ჩვენი ქართველობა, მაგრამ მათ სახელმწიფო ეხმარებოდა და უკეთებდა ხუთწლიან საბუთებს, რომ დაცული ყოფილიყო მათი ხალხი. გაიუმჯობესეს ეკონომიკური მდგომარეობა და შემდეგ უმეტესობა დაუბრუნდა თავის სამშობლოს. ნუთუ საქართველოს პარლამენტს არ შეუძლია მსგავსი ღონისძიების ჩატარება საკუთარი ხალხისთვის. ეს დიდი დახმარება იქნება ჩვენი ემიგრანტებისთვის... ულრმესი მადლობა ყველას, ვინც ჩვენს გულისტკივილს გაითავისებს“.**

ნატო კი იმედს გამოთქვამს, რომ ხელისუფლებამ იქნებ ახლა მაინც მიაქციოს ყურადღება ასობით ათას გადახვეწილ ქართველს.

**„ვერაფრით გამირკვევია, საით მივდივართ, რას ვაშენებთ, ან, საერთოდ, ვაშენებთ რამეს“** — ამ სათაურით გამოქვეყნებულ იტალიაში გადახვეწილ ქართველთან **ნელი ჯავახიშვილთან** ინტერვიუს ეხმიანება **მელანო** ნიცადან:

**„ქალბატონი ნელის მონათხრობი მხოლოდ ერთ-ერთი მცირე ეპიზოდია იმ ტრაგიკომედიისა, „საქართველოს ემიგრანტები“ რომ ჰქვია... თუმცა მიზეზი ქვეყნის დატოვებისა ყველასთვის ერთია... ჩვენი პრეზიდენტი დასავლეთის დასანახავად ფერადად შეღებილი შენობების თუ მოედნებზე მოცეკვავე ფანტანების საყურებლად თუ უხმობს ემიგრაციას... ნუთუ ასე იწყება ქვეყნის აღმშენებლობა? ქვეყანა, რომელიც თითქმის არაფერს აწარმოებს, სადაც არ ფუნქციონირებს არც ერთი სერიოზული საწარმო თუ ქარხანა... მხოლოდ ტერმინიღა შემოგვრჩა, მგონია, ეკონომიკის. მოქალაქეთა 80%-ზე მეტი სწორედ რომ საზღვარგარეთ გასული ნათესავების შემწეობით სულდგმულობს (თუმცა ყველაზე დიდ ოპერას ხომ ვაშენებთ?) და მაინც მხურვალედ ეძახის პრეზიდენტი საკუთარ თანამემამულეებს, და ბრუნდებიან კიდეც... მართალია, ამ დაბრუნებას სხვანაირად „დეპორტს“ ეძახიან, მაგრამ ტერმინს რა მნიშვნელობა აქვს... ალბათ უმუშევართა გალერეის შესავსებად ან მომიტინგეთა რიგების გასამაგრებლად. სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს... დაბოლოს, ისევ და ისევ... ეჰ, საქართველოვ, საით მიექანები?“**

**„მართალია, როცა იქნება, ყველა ქართველი დაუბრუნდება საქართველოს, მაგრამ ემიგრაციამ ძალიან ცუდად იმოქმედა ყველაზე — ფიზიკურად და მორალურადაც. ამას კი ძნელად ეშველება. რამდენმა ახალგაზრდამ ვერ გაუძლო ამ „პრესს“ და „გადაგვიჯიშდა“, ამას ვინღა უშველის?! მართლა დაღუპვის გზას ვადგავართ და გამოსავალს ვერ ვხედავ“,** — გვწერს იტალიელი ემიგრანტი და საკუთარ ვინაობას არ ამხელს.

სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა **ეკა კენჭოშვილის** ინტერვიუს სათაურით **„ჩემი დედამთილი საბერძნეთში გათხოვდა“.**

ქალბატონი ეკა დაწვრილებით ჰყვებოდა, თუ რამ აიძულა მისი დედამთილი, უცხო მიწაზე გადასახლებულიყო და ახლა შვილსა და რძალს ბავშვებიანად იქით ეპატიჟება, თუმცა ეკას წასვლა და სამშობლოს დატოვება არ უნდა. მას **ნათია** ეხმიანება:

**„მესმის, ძალიან რთულია, ხელის ერთი მოსმით სამშობლოზე უარი თქვათ და სხვა ქვეყანაში გადაიხვეწოთ, მაგრამ წადით... წადით და თუ ვერ შეძელით, ვერ გაძელით, უკან მერე დაბრუნდით... თქვენ დღემდე არ გაგჭირვებიათ ისე, რომ სამშობლოდან წასვლაზე გეფიქრათ. იფიქრეთ იმაზე, რომ გაჭირვების გამო ბევრი გადარჩენის ერთადერთ გზას უცხოეთში წასვლაში ხედავს. ისიც, ვინც იცის, რა პირობებში იქნება. თქვენი მდგომარეობა ამ მხრივ განსხვავებულია. იქნებ თქვენმა ქმარმაც დაიწყოს იქ მუშაობა. თქვენს ოჯახთან ერთად თქვენც თავს კარგად იგრძნობთ. ასე ტრაგიკულად ნუ აღიქვამთ მოვლენებს და გაბედეთ წასვლა. დაბრუნება ყოველთვის შეიძლება. ვიდრე ახალგაზრდა ხართ, გარემოს ცვლილებას უფრო ადვილად შეეგუებით. თქვენ რომ დედამთილი არ გარჩენდეთ, მგონი ისეთ დღეში ჩავარდნილიყავით, შვილები დაგეტოვებინათ და ისე გადახვეწილიყავით უცხოეთში, რათა მათთვის ლუკმაპური მიგეწოდებინათ, ისე, როგორც ეს თქვენმა დედამთილმაც გააკეთა. იფიქრეთ ამაზე და ამდენი ხნის ოჯახს ნუ დაანგრევთ. შვილებს ორივე მშობელი სჭირდება!“**

**გამოხმაურებები, რომელთაც ახლა გაეცანით, მხოლოდ მცირე ნაწილია. რედაქციაში რეკავენ, მოდიან, ელექტრონული ფოსტით გვიზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველები. ყველა მათგანისთვის და, განსაკუთრებით, სამშობლოდან გადახვეწილებისა თუ მათი ოჯახების წევრებისთვის ძალიან მტკივნეულია ემიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. ეს საკითხი ჩვენთვისაც უმნიშვნელოვანესია, და სწორედ ამიტომ მომავალშიც ფართოდ გავაშუქებთ სამშობლოს მონატრებული თუ სამშობლოს მარჩენალი ქართველების ცხოვრებას. მთავარი კი მაინც მათი დაბრუნებაა, ოღონდ ისე არა, ჩვენი ხელისუფლება რომ ეპატიჟება. ისინი ღირსეულად უნდა დაბრუნდნენ. უცხოეთში თავდაუზოგავ შრომას მიჩვეული ადამიანისთვის კიდევ უფრო რთული გასაძლები იქნება უმუშევართა არმიის რიგებში „სამშობლოს ვალდებულების“ მოხდა.**

**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# განათლების სისტემის რეფორმა ქართულ ცნობიერებას ებრძვის

**უკანასკნელმა წლებმა გვიჩვენა, რომ ქვეყანაში განათლების სისტემა კონსტიტუციურად პრიორიტეტული აღარ არის. ამ ფონზე იჩაგრებიან მოაზროვნე, მცოდნე და ინტელექტუალური ადამიანები. პროამერიკულმა განათლების მოდელმა საქართველოში ვერ გაამართლა. დაეცა განათლების დონე და განათლების მიღებაც კორუფციის შემადგენელ ნაწილად იქცა. საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა და ვერ შეძლებს გონების, განათლების გარეშე მხოლოდ კუჭით ცხოვრებას. რა პირობებშია საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხი, ამის შესახებ გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გიორგი ოთხმეზური.**





**— ბატონო გიორგი, რა მდგომარეობაშია საქართველოს ისტორიის სწავლება, რატომაა არასავალდებულო საგანი ყველა ფაკულტეტისთვის?**

— განათლება ერთიანი პროცესია, რომელიც საბავშვო ბაღიდან ინსტიტუტის ჩათვლით გრძელდება. საქართველოს ისტორიის სწავლება, რბილად რომ ვთქვათ, არც ერთ საფეხურზე არაა სათანადო დონეზე.

## რეფორმამ ძალიან ბევრი რამ არია, რადგან გაუაზრებლად, გაუთვითცნობიერებლად, თავსმოხვეული ძალისმიერი მეთოდებით დაიწყო. ამან კი, ბუნებრივია, თავისი შედეგები გამოიღო.

ისიც საფიქრალია, რომ რეფორმა მიზანმიმართული იყო იქით, მოსწავლე ქვეყნის პატრიოტად არ გაზრდილიყო. ისტორია ხომ პატრიოტული მეცნიერებაა. რეფორმატორების მიზანი კი მოზარდის კოსმოპოლიტად და მსოფლიო მოქალაქედ ჩამოყალიბება იყო. ანბანური ჭეშმარიტებაა, თუ ადამიანი თავისი ქვეყნის პატრიოტი არ არის, ის ვერც მსოფლიო მოქალაქე გახდება, რადგან ზრდა ფესვებიდან იწყება.

საქართველოს ისტორიის საათები რეფორმის პირველსავე ეტაპზე შეამცირეს. ფაქტობრივად, საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიით შეცვალეს, რომელსაც VII-VIII კლასებში გეოგრაფიაც დაუმატეს, რითაც ორი დისციპლინა გააერთიანეს. სახელმძღვანელოს დაარქვეს „ისტორია, გეოგრაფია და საზოგადოებრივი მეცნიერებები".

ასეთი ტიპის სახელმძღვანელოს შედგენა არასწორი იყო, რადგან ყურადღება, ძირითადად, გამახვილებული იყო ფოტოებზე, კითხვებსა და სავარჯიშოებზე. უსიუჟეტო ამოგლეჯილი ფრაგმენტებით შედგენილი მასალიდან მოსწავლეს აზრი ვერ გამოჰქონდა. საქართველოს ისტორიას მცირე ადგილი ეკავა, იმდენად უმნიშვნელო, რომ წიგნს „საქართველო და მსოფლიო ისტორიის" ნაცვლად „საბერძნეთი და მსოფლიო ისტორიას" თუ დააწერდით, განსხვავება არ იქნებოდა. VII-VIII კლასებისა და V-VI კლასების საქართველოს ისტორიის პროგრამა ერთი და იგივე იყო, ისე სიტყვა-სიტყვით გამეორებული, რომ მექანიკური შეცდომაც კი უცვლელად ჰქონდათ გადატანილი.

2004-05 წლებში, როდესაც პროგრამებზე მუშაობა დაიწყო, ითქვა, რომ არსებობდა საშიშროება, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შერწყმას საქართველოს ისტორიის მთლიანი დაკარგვა გამოეწვია. თუ ჩამოვთვლით მსოფლიოს ქვეყნებს, ადვილი მისახვედრია, რა ადგილი დარჩებოდა სახელმძღვანელოს გარკვეულ მოცულობაში საქართველოს ისტორიას...

**— განათლების სამინისტრო პრობლემური საკითხების გადაწყვეტისას რეკომენდაციებისთვის დარგში მომუშავე სპეციალისტებს თუ გიწვევთ?**

— წელს ისევ დაიწყო „ახალი რეფორმა". განათლების სამინისტროში მიმიწვიეს. წინა წლებთან შედარებით, უფრო მისაღები კურსი აქვთ აღებული. V კლასის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით ჩემი აზრი გამოვთქვი: თუ ისტორია და გეოგრაფია შეირწყმება, მაშინ გეოგრაფია შევიდეს როგორც ისტორიული გეოგრაფია, თუმცა პროგრამა ეთნოგრაფიის დამატებით გართულებულია.

ამჟამად IX-XII კლასების ისტორიის სახელმძღვანელოები ცალკეა დაწერილი. მათში დიდი დოზითაა მოცემული როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს ისტორიაც. ეს არის საკმაოდ დიდი მოცულობის ორი წიგნი, რომელთა პროგრამითაც ბარდება ეროვნული გამოცდები. ამას ემატება გეოგრაფიაც.

ამ წიგნით სწავლა რთულია. არ ვიცი, ეს მიზანმიმართული თუ გაუაზრებელი ქმედებაა, მაგრამ ამ წიგნებით მოზარდს შეიძლება საერთოდ შესძულდეს საქართველოს ისტორია. ამ წიგნებში მეორდება VII, VIII და IX კლასებში ნასწავლი მასალა.

მოსწავლეებს უკვირთ, ერთსა და იმავეს რატომ ვასწავლით წლების განმავლობაში. ის, რაც გამოცდებით მოეთხოვებათ, საქართველოს ისტორია არ არის, ეს არის მსოფლიო ისტორია.

საქართველოს ისტორიის უმთავრესი დანიშნულებაა, ქვეყნის მოქალაქე პატრიოტად აღიზარდოს. ნუ დავუკარგავთ ამ ფუნქციას, მითუმეტეს, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ისტორია დამოუკიდებელი საგანი უნდა იყოს და მას უნდა აბარებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას.

მოსწავლემ ვალდებულება უნდა აიღოს, თავისი ქვეყნის ისტორია ისწავლოს. „ისე რა... ვერ ისწავლის" ზოგადი და ზერელე ფრაზებია.

## საქართველოს ისტორია ქართულ ენასთან ზიარი საგანია, რომელიც ქართულ ენასთან ერთად აქ მცხოვრებმა არაქართველებმაც აუცილებლად უნდა იცოდნენ, თუ გვინდა, რომ მათ ჩვენს ქვეყანასა და სახელმწიფოებრიობას პატივი სცენ.

ძალისხმევით მოვახერხეთ, რომ ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე საქართველოს ისტორია სავალდებულო საგნად ჩაითვალოს. ფაკულტეტების გამსხვილების გამო კი ჰუმანიტარულში დღეს მხოლოდ ექვსი ფაკულტეტი შედის.

გია ხუბუას ფაკულტეტების გამსხვილება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა, თუმცა ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

უმაღლეს სასწავლებლებში დაქვეითდა საქართველოს ისტორიის სწავლების დონე. ამასაც თავისი მიზეზი აქვს: როცა უნივერსიტეტში ისტორიის კათედრა და წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის საკითხების სპეციალური ლაბორატორია არსებობდა, სპეციალური გეგმით გათვლილი იყო სამომავლო მუშაობა.

**— საქართველოში ტურიზმის განვითარება ხომ თავისთავად მოითხოვს საქართველოს ისტორიის ცოდნას...**

— ტურიზმი თავისი სპეციფიკით უფრო ზედაპირულ ცოდნას მოითხოვს, მაგრამ ამ სახელმძღვანელოებით ამასაც ვერ ისწავლი, რადგან ყველაფერი ეროვნული უკანა პლანზეა გადაწეული. ეს კარგად ჩანს ქართველოლოგიისა და საქართველოს ისტორიული დარგებისადმი, მეცნიერებათა აკადემიისადმი დამოკიდებულებებით.

გელათი ჩვენი ისტორიაც არის და კულტურაც. გელათის აკადემიის 900 წლისთავი საპატრიარქოს ინიციატივით მასშტაბურად ჩატარდა. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროდან ამ ზეიმს არავინ დასწრებია.

იმ დღეებში გაიხსნა კინოთეატრ „რუსთაველის" რიგით მე-5 თუ მე-6 დარბაზი, რომელსაც განათლების მინისტრიც ესწრებოდა. ისტორიულ ძეგლებს ტურიზმიდან გამომდინარე ექცევა ყურადღება, სამწუხაროდ, მხოლოდ უცხოელებისთვის. ჩვენთვის სვეტიცხოველი, გელათი, ჯვარი ტურისტების მოზიდვის და შემოსავლის წყაროა და არა ეროვნული ღირსებისა და თვითშეგნების სიმბოლო. აი, ამ მიმართულებით მიდის ყველაფერი.

**— ბატონო გიორგი, რატომ ვერ ავუარეთ გვერდი ეროვნული ღირებულებების მტკივნეული გადაფასების პროცესს?**

— უდიდესი პრობლემაა გლობალიზაციაში. თუ ჩვენ ჩვენი თვითმყოფადობა, ტრადიციები, კულტურა და ისტორია არ დავუპირისპირეთ, გლობალიზაცია გადაგვყლაპავს. საქართველო თავისი არსებობის მანძილზე ყოველთვის დიდი იმპერიების გარემოცვაში იყო. ჩვენმა დიდმა წინაპრებმა შეძლეს ეროვნული თვითშეგნებით, მშობლიური ენითა და ისტორიით ქვეყანა დღემდე მოეყვანათ, და ეს მოახერხეს იმიტომ, რომ ქალს მზითევში „ვეფხისტყაოსანსა" და „ქართლის ცხოვრებას" ატანდნენ.

განათლების მინისტრი სოროსის ფონდის თავმჯდომარე იყო, რომელიც მთავრობასაც და „თავისუფლების ინსტიტუტსაც" აფინანსებდა. სოროსის იდეალი უეროვნებო და უსაზღვრო მსოფლიოა. ჩემი იდეალი კი, ისევე, როგორც ქართველი ერის, დამოუკიდებელი საქართველოა სხვა ქვეყნებთან ერთად ჰარმონიული განვითარებით.

მადლობა ღმერთს, არსებობს საპატრიარქოსთან არსებული წმიდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტი, სადაც ახალგაზრდები სწავლობენ წყაროთმცოდნეობას, პალეოგრაფიას, დიპლომატიასა და თავიანთი ქვეყნის ისტორიას.

## წლების მანძილზე მიზანმიმართულად ილანძღებოდა ქართული უნივერსიტეტი, რათა ჩაეკლათ ცოდნის ამ ტაძარში არსებული ეროვნული სულიერება.

საქართველოში სწორედ უნივერსიტეტი იყო ეროვნულობისა და განათლების ბურჯი. ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული და გათვითცნობიერებული განათლების რეფორმის მამებს. უნივერსიტეტისა და აკადემიის ავტორიტეტის ეშინოდათ. იცოდნენ, თუ უნივერსიტეტს მოერეოდნენ, სხვებს უფრო ადვილად დაიმორჩილებდნენ.

მაშინ გვქონდა მოთხოვნა, მეცნიერებსა და მთავრობას შორის მედიატორად პატრიარქი ყოფილიყო, რაც სახალხოდ განვაცხადეთ კიდეც. გვიპასუხეს: „პატრიარქს ამ საკითხზე მცდარად მიწოდებული ინფორმაციის გამო უკვე აქვს ჩამოყალიბებული თავისი აზრი". ასე კარგად მუშაობდა პიარმაქანა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერდა: „დავითმა კარგად იცოდა გარდასულ დღეთა ისტორია — ითვალისწინებდა წინმდგომთა შეცდომებსა და დამსახურებას"... აქედან გამომდინარე, თავისი ქვეყნის ისტორიის არმცოდნე ადამიანი მომავალს სწორად ვერ განსაზღვრავს, მითუმეტეს, ქვეყნის მეთაური.

სუბიექტურად ისტორიის დღევანდელ მონაკვეთს უარყოფითად ვაფასებ, ჭეშმარიტებას კი ყველაზე ობიექტურად დრო გამოაჩენს.

**ესაუბრა**
**ლალი შაშიაშვილი**

# ცხინვალელი ქართველის ცრემლნარევი აღსარება

**აგვისტოს ომის შედეგად ქალაქ გორისა და მისი რაიონის სოფლებიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ნაწილმა დროებით თავი ნაძალადევის რაიონში, საყვირის ქუჩაზე მდებარე ძველ შენობას შეაფარა, სადაც დღეს დევნილთა 7 ოჯახი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს — შენობის მინები ჩამსხვრეულია, ჭერიდან წვიმა ჩამოდის, კორიდორები ჩაბნელებულია და წყალიც გრაფიკით მიეწოდებათ. „საქართველო და მსოფლიო" შეხვდა და ესაუბრა ამ სახლის ერთ-ერთ მობინადრეს, მათემატიკოს ნაირა მაისურაძეს, რომელიც ქალაქ ცხინვალში ცხოვრობდა და ომამდე სკოლაში პედაგოგად მუშაობდა.**

— ცხინვალში ორსართულიანი სახლი მქონდა, მეუღლეც მუშაობდა და ეკონომიურად არ გვიჭირდა. 7 აგვისტოს, ომი რომ დაიწყო, მე და ჩემი მეზობლები სარდაფში დავიმალეთ. საბედნიეროდ, ჩემი სახლი არ დანგრეულა, მას ჩემი ოსი მეზობელი დაეპატრონა და ცხოვრობს არხეინად, მე ვერ ჩავდივარ ან ვინ შემიშვებს, რომ ჩავიდე...

ცხინვალის ოსი მოსახლეობა ფსიქოლოგიურად მზად იყო, რომ ადრე თუ გვიან ომი დაიწყებოდა. 4 წლით ადრე ლაპარაკობდნენ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის შეტაკება გარდაუვალი იქნებოდა. ქართველებთან ამ თემაზე არ საუბრობდნენ, ამიტომ ამგვარ ამბებს შემთხვევით ვიგებდი, მაგრამ არ ვიჯერებდი — ვერ წარმოვიდგენდი, გორსა და ცხინვალს შორის საზღვარს თუ გაავლებდნენ, ეს ყველაფერი სისულელედ მეჩვენებოდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, თურმე მწარედ ვცდებოდი.

სარდაფში 5 დღე გავატარეთ, გარედან მხოლოდ სროლისა და აფეთქების ხმა გვესმოდა. ძნელი სათქმელია, იმ დროს რას განვიცდიდით, თვითგადარჩენის ინსტინქტი გვამოძრავებდა, კოშმარული სიტუაცია შეიქმნა, დღეები იწელებოდა; არ ვიცოდით, ვინ მოკლეს და ვინ ცოცხალი გადარჩა. ცხინვალი მკვდარ ქალაქად იქცა.

როცა ომის შეწყვეტის თაობაზე მედვედევის გადაწყვეტილების შესახებ გახდა ცნობილი, გვეგონა, რომ ყველაფერი ცუდი დასრულდა და უკვე შევძლებდით ცხოვრების ჩვეულებრივად გაგრძელებას. სარდაფიდან ამოსულებს ქალაქის ქუჩების შემზარავი სიჩუმე და სიცარიელე შემოგვეფეთა, მოულოდნელად თვითმფრინავმა გადაგვიფრინა, აღარ მახსოვს, ვინ საით გარბოდა, ვინ რას ყვიროდა. სიტყვებით ვერ გადმოვცემ იმ სიტუაციას. ამის გახსენებაც არ მინდა *(ტირის)*. ჭურვის ჩამოგდების შედეგად ჩემი მეზობელი, 70 წლის ვენერა ფსიტიძე დაიღუპა, ჭურვის ნამსხვრევი მოხვდა ყელში და სისხლისგან დაიცალა.

გადავწყვიტე, თავი დასთან შემეფარებინა და შუაღამისას ვლადიკავკაზის

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# თბილისის მერი ფარისეველია

## უგულავა არის ვერაგი და თვალთმაქცი, ბინიერი და გადაგვარებული პიროვნება

**ხელისუფლებამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კამპანია უკვე დაიწყო. პრეზიდენტმა სავარაუდო თარიღად 2010 წლის მაისი დაასახელა, თანაც თბილისის მომავალი მერი პირდაპირი წესით აირჩევა. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება ამომრჩეველთა პოლიტიკური დონე, ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება ნებელობის გამოხატვის მძაფრი სურვილით. დიდი არჩევანის პირობებში პოლიტიკურ პოსტებზე გამარჯვებულის გამოსავლენად დრო და მოქალაქეთა მზაობა გადამწყვეტ როლს თამაშობს. ქალაქის როგორი მერი სურს ხალხს?.. თბილისის მერის გიგი უგულავას ფსიქოპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, ტემპერამენტის მიხედვით, რომელ ფსიქოტიპს მიეკუთვნება ბატონი გიგი უგულავა, როგორია მისი სულიერი და გონებრივი მახასიათებლები?**

ფსიქოტიპზე ყველაზე უპირატეს გავლენას ტემპერამენტი ახდენს, რომელიც აყალიბებს სუბიექტის ხასიათსა და მიდრეკილებებს. გიგი უგულავა ფლეგმატური ტემპერამენტის მქონეა, არ ახასიათებს ღრმა ვნებები და მგრძნობელობის სიჭარბე, რასაც ხალხი გულგრილობას ეძახის. ყველა სიტუაციაში მჟღავნდება ზომიერად და შეუმჩნეველი ემოციით. სულიერი ენერგიით და სუსტი ნებელობით დუნე, ნელი ცხოვრებისკენაა მიდრეკილი. ფლეგმატურები იშვიათად ხდებიან თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურები, მათი შენელებული ბიორიტმი ზერელობისა და ცუღლუტობისკენ იხრება.

ამ ფსიქოშტრიხების გავლენით გიგის აქტიური პოზიცია პოლიტიკურ ამპლუაში ნაკარნახევია ამბიციურობითა და პირადი ინტერესებით, ისწრაფვის კომფორტისკენ. ყოველივე, რაც პრობლემას შეუქმნის, სძულს. უსაფრთხოება მისთვის აუცილებელია, ამისთვის კი ნამდვილად ირჯება.

### შინაგანი ბუნებით ფარისეველია, ფლიდი, პირმფერი, გონებრივი უნარებითა და ინტუიციით მიმხვედრია და გაიძვერა.

ამიტომ წავიდა უნივერსიტეტის ფილოსოფიის კურსდამთავრებული სემინარიაში. ეს მიმართულება რომ მისი მოწოდება არ იყო, თვითონვე დაამტკიცა. მისი მიდრეკილებები, ხასიათი, რწმენის სიმტკიცე ძალიან შორს დგას ასკეტური, ღვთიური კანონებით გაჯერებული ცხოვრების მოთხოვნილებებისგან.

გიგიმ ბედი ჟურნალისტიკაშიც სცადა, რათა პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად პოპულარული გამხდარიყო. ბოლოს კი პოლიტიკაში წასვლა არჩია, რადგან მის სულიერ და გონებრივ უნარებს, პათოლოგიაში გადაზრდილ განდიდების სურვილს ყველაზე მეტად ეს სფერო შეესაბამებოდა. იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, უშიშროების მინისტრის მოადგილეც, ზემო სვანეთსა და სამეგრელოში პრეზიდენტის რწმუნებულიც, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსიც, ხოლო 2005 წლის 12 ივლისიდან ქალაქ თბილისის მერია. ყველა ეს თანამდებობა გონიერებასთან ერთად დიდ ორგანიზატორულ ნიჭსა და უნარს მოითხოვს, მაგრამ დღევანდლამდე მის კარიერას განსაზღვრავს არა მისი პირადი ღირსებები, არამედ ის ფაქტი, რომ გიგი უგულავა პრეზიდენტის გარემოცვის პირველ ხუთეულშია. ზემდგომის მიმართ მონურ მორჩილებას იჩენს და მის მითითებებს სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებს. შესაშური მოთმინებით ხვდება ყველა სირთულეს. მუდმივად მოღიმარი, სანდო და მორჩილი იმსახურებს პრეზიდენტის სიმპათიას. ზემდგომის კეთილგანწყობისთვის იტანს ღირსებაშემლახველ დამცირებას, ნინო ბურჯანაძის თქმით, „პრეზიდენტი მას ერთუჯრედიანს ეძახის“. ის კი მაინც ცდილობს, თავი კომპეტენტურ კადრად მოგვაჩვენოს. ყოველივე ამის გამო, რუსეთთან ომის დროს მისი უშუალო ბრძანებით მოქმედებდნენ ქართული სამხედრო შენაერთები და რეზერვისტები. დღესაც გაუგებარია, რა უნდოდა თბილისის მერს ფრონტის წინა ხაზზე. ფსიქოანალიზით პასუხი ასეთია: უგულავასთან დაკავშირებით საქმე გვაქვს მძიმე ფსიქოპათოლოგიურ შემთხვევასთან, ცნებების, გარემო პირობების, დანიშნულებების, საშუალებებისა და მიზნების ავადმყოფურ აღრევასთან.



ღვთის წყალობით, თბილისში ჩამოვედით. მას შემდეგ აქ ვართ და ვსარგებლობთ ყველა იმ „პრივილეგიით“, რითაც სხვა ჩვენს დღეში მყოფნი. თვეში ერთხელ სულზე კილონახევარი ლობიო, 600 გრ შაქარი, 1 ლ ზეთი და ყოველ მეორე დღეს 1 პური — აი, ჩვენი „პროდუქტების კალათა“. ჩამოსვლისთანავე ერთჯერადად 175 ლარიც მოგვცეს. მას შემდეგ ერთი თეთრიც არ გვინახავს. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან გვაიმედებენ, თანხა არის, მაგრამ როდის დაგირიგდებათ, ჯერ არ ვიცითო. ეს ფართიც ჩემმა დეიდაშვილმა დამიკავა, მანამდე ჩემს ბიჭთან რუსთავში ვცხოვრობდი. ის 2006 წელს წამოვიდა ცხინვალიდან და მშობლები ვეხმარებოდით, ახლა აქეთ ვართ დასახმარებელი...

ესაუბრა
**ნანა დიხამინჯია**

**— იქნებ ეს ყველაფერი იმითაა გამოწვეული, რომ გიგი უგულავამ საფუძვლიანი განათლება მიიღო: დაამთავრა სავლე წერეთლის სახელობის ინსტიტუტის ფილოსოფიის ასპირანტურა, ზაარბრიუკენის უნივერსიტეტი... ინტელექტუალი ადამიანის ალღო კი ბევრს ნიშნავს...**

ზარმაცი ადამიანი საფუძვლიან განათლებას ვერ იღებს. გონებრივ უნარებთან ერთად მას უდიდესი შრომა, ინტერესი და დრო სჭირდება. მას უნივერსიტეტში, როგორც პროფესორის ვაჟს, „მწვანე შუქი“ ენთო. რაც შეეხება საზღვარგარეთ მიღებულ განათლებას, რამდენიმეთვიანი განსწავლულობა პიროვნებას ბევრს ვერაფერს მატებს. საზღვარგარეთული სერტიფიკატები პიარტექნოლოგიის ნაწილია.

ინტელექტი ყველა ზემოჩამოთვლილ პროფესიას ვერ გასწვდება. პროფესიონალიზმი უგულებელყოფილია. ინდიფერენტული ტემპერამენტის პერსონები ძნელად და დროის დაკარგვით ძლივს ახერხებენ გონებრივი უნარების მობილიზაციასა და ენერგიის კონცენტრაციას, ამიტომ მთელი კარიერის მანძილზე გიგი უგულავა „თამაშობს თავკაცს“ და ჩაძირულია სიცრუეში.

მილიონიანი დედაქალაქის მესვეური, მისივე თქმით, იცლის და ხმამაღლა აცხადებს: „მთავარი პოლიტიკური გუნდია, კოორდინაციას ვუწევ ჩვენს პოლიტიკურ გუნდს კომუნიკაციებში“.

შევახსენებ ბატონ მერს: მთავარი და უზენაესი ძალა ხალხია, დედაქალაქის მერის თანამდებობა კი — არჩევითი.

არანაკლებ საინტერესოა მისი პოზიცია შეჩერებული ბინათმშენებლობების შესახებ: „პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ომმა ეს პროცესი შეაჩერა“. თავს იწონებს ამ საკითხზე ახალი პროექტის წარდგენით. ამ ახალ პროექტს თუ ჩავწვდებით, შევამჩნევთ, რომ დახვეწილი პიარტექნოლოგიის სამაგალითო ნიმუშია და აშკარა მაჩვენებელი იმისა, რომ გიგი უგულავამ საარჩევნო კამპანია შესანიშნავად დაიწყო და ამ პროექტით ამომრჩეველთა ხმებზე მაღალი პროდუქტიულობით ნადირობს. არადა, პროექტს დელიკატურად „ფუთავს“, მაგრამ ეს „გამეორების“ მისეული ტაქტიკური სვლა და საბრძოლო პროგრამის ქვაკუთხედია.

გაქნილ გიგი უგულავას შეუძლია გარემოების შესაფერისი ნიღბის ტარება და, თუ დასჭირდა, მისი ოსტატური შეცვლაც. უგულავას სულიერება ღარიბია, დაცლილი ყოველგვარი ზნეობრივი ნორმებისგან, რასაც მოწმობს თუნდაც გალაშქრება ოპონენტი ქალბატონების წინააღმდეგ. ეს კი მის სულიერ სიძაბუნესა და დაკარგულ თავაზიანობაზე მიგვითითებს.

ქალბატონებს (ნინო ბურჯანაძე და სალომე ზურაბიშვილი) კამათში ღირსეული კაცი პრესის ფურცლებზე არ უნდა აჰყვეს. მართალია, საფლავების სიახლოვით „შეშინებულ ლედის“ დაეხმარა, მაგრამ დიდსულოვნება არ ეყო, ოპონენტისთვის ეს არ დაეყვედრებინა. ამ წამოძახებამ, როგორც კაცი, ის დააპატარავა, განცხადებამ კი — „თუ ვინმე ხელისუფლებაში განსხვავებულ აზრს ვერ იღებდა, სალომე ზურაბიშვილი იყო“ — მეტისმეტია, მმართველი პარტიის ეს ნაკლი მხოლოდ ერთ მანდილოსანს მიაწერო.

ზემომოყვანილი ფაქტები ლაჩარი, უგუნური კაცის წვრილმან, ჭორიკნულ შურისძიებას ჰგავს.

**— გენდერული თანასწორობის თანახმად, ეს ქალბატონები მისი პოლიტიკური ოპონენტები არიან...**

— აქ არსად ჩანს პოლიტიკა. უგულავას ფსიქოტიპის წამყვანი ხაზი მაინც ფარისევლობაა. ამისთვის ის მზადაა, მთელ ქვეყანას დაუპირისპირდეს. გაურკვევლად და უმისამართოდ აცხადებს: ელოდებიან, „როდის გამოცხადდება ხელისუფლება მილოშევიჩად“ ან „როდის დადებს ტალიავინი დასკვნას“. ამ განცხადებით ის მთლიანად აშიშვლებს ქვეცნობიერში არსებულ შიშს და დაკვირვებულ ადამიანს უნებურად აფიქრებინებს, რომ სახელმწიფო ინსტანციებში საქმე მთლად კარგად ვერაა, რომ იერარქიული კიბე მორყეულია, მის ერთ საფეხურზე კი თავადაც დგას.

არანაკლებ ანალიზს მოითხოვს მისი პარადოქსული, მენტორული პოლიტიკური გზავნილი: „ხალხი უნდა მივიდეს იმ აზრამდე, რომ ომზე, გადატრიალებასა და ხელისუფლების დამხობაზე ფიქრი არ არის გზა“.

ეს რჩევა-გაფრთხილება გვიჩვენებს, რომ

### გიგი უგულავა უფრო რთული ფსიქოტიპია, ვიდრე ჩანს. ის ბოლომდე იბრძოლებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რადგან ამ ბრძოლაში თვითშენახვის მექანიზმი აქვს ჩადებული.

გიგი უგულავა ჩამოყალიბდა „დროის ადამიანად“, რომელიც სხვებისგან გამოირჩევა შეძენილი იმუნიტეტით ზნეობისა და სიმართლის მღაღადებელთა წინააღმდეგ. ამ იმუნიტეტის წყალობით „შევარდა“ სამებაში 20000 მრევლის თვალწინ, შეაღწია პატრიარქის საკურთხეველში და ყოფილმა „სტიქაროსანმა“ ღვთის კაცს საშუალება არ მისცა, ერისთვის მიემართა. მართალია, მოგვიანებით თავს იმართლებდა, რომ ეს იყო დამთხვევა, თუმცა მისი არგუმენტაცია — „საიდან უნდა მცოდნოდა, რომ 20000 კაცი სამებაში წავიდა“, მისი გონებრივი უნარებისა და ლოგიკურობის შედევრია.

დიდი ხანია, უგულავას პიროვნებაში რწმენამ და ღვთის ცნებამ აბსტრაქტული ხასიათი მიიღო და მისი სულიერება ცხოვრების ღრმა შავმა და მღვრიე მორევმა შთანთქა, საიდანაც მხოლოდ სასწაულითღა თუ ამოვა. უგულავა არის ვერაგი და თვალთმაქცი, ბიწიერი და გადაგვარებული პიროვნება, დაუფარავი გესლითა და თავისმართლების ვულგარული, პრიმიტიული ხერხებით. სიტუაციას დახარბებული სულ იმის მცდელობაშია, ცხოვრებას რაც შეიძლება მსუქანი ნაჭერი ჩამოაჭრას, ავიწყდება ავაზაკური ხრიკებით, „დაკანონებული“ თაღლითობებითა და ტენდენციებით მოპოვებული მილიონები იმ გაღატაკებული ხალხის ხარჯზე, რომელსაც ეუბნება: „5 მილიარდი დოლარია საჭირო ყველა ავარიული შენობის გასამაგრებლად“... იმას კი აღარ ამბობს, პოლიტიკური გუნდის სახლებისთვის, სასახლეებისა და ფეშენაგარაკებისთვის, კუნძულებსა და საზღვარსიქით შეძენილი სახლებისთვის რამდენი დაიხარჯა, რომელთაც იცავს თავისი პრიმიტიული, სწორხაზოვანი, უფანტაზიო წარმოსახვის უნარსმოკლებული გონებრივი უნარებით. ის კვერს უკრავს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ „თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევას“, მლიქვნელობს, მზადაა, კეთილდღეობის შესანარჩუნებლად „პატრონს“ ხელები აულოკოს. მასში თავმოყვარეობას ავანტიურისტის კარიერიზმი კლავს. ასეთი კნინობითი, ჩამკვდარი სულიერი უნარებით ერთგული ვერ იქნება ვერც არჩეული გზის, ვერც იდეის, ვერც კაცის ვერანაირ ურთიერთობაში, რადგან ერთგულება ღვთიური ნიჭია და პიროვნული სიმწიფის აუცილებელი ატრიბუტი.

სულ ახლახან გიგი უგულავას მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა საფლავებზე გადასახადის დაწესების შესახებ (რომელიც 1 კვადრატულ მეტრზე 20 ლარის გადახდას ითვალისწინებდა) წინაპართა საფლავებთან ქართველთა უძველესი ტრადიციის დამოკიდებულებების თვალსაზრისით იმდენად შეურაცხმყოფელი იყო, რომ იძულებული გახადეს, ინიციატივა მიცვალებულთა დღის დაწესებით უნიჭოდ შეეცვალა. არადა, მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღეები ჩვენს რელიგიურ კალენდარში ოდითგანვეა დაწესებული.

უგულავას ფსიქოპორტრეტს ასე შევაჯამებ: „ვაიმე იმ გუთნის დედას, წინაპართა საფლავს ხნავდეს“... ვაი იმ ქვეყნის დედაქალაქს, ვისაც ასეთი მერი ჰყავს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რუსებმა შეძლეს ის, რაც ჩვენ გვჭირდებოდა!

**რუსეთის სკოლებში 92-წლიანი პაუზის შემდეგ, 2012 წლიდან სასკოლო პროგრამაში დაბრუნდება სჯულის კანონის სწავლება! აბა, ლევან რამიშვილმა და მისმა „ბრიაშკამ“ რომ განაცხადა, ძნელია, რელიგია რომ ვასწავლოთ სკოლაში, სხვა რელიგიის წარმომადგენლები დაიჩაგრებიანო?**

ეს პრობლემაც მოხსნეს რუსეთში... სულ უბრალოდ — მედვედევი პირადად შეხვდა რუსეთის უმაღლეს სასულიერო პირებს, თანაც არა მარტო მართლმადიდებლებს, სხვებსაც. შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი, რუსეთის ფედერაციის მუფტიების საბჭოს თავმჯდომარე რავილ გაინუტდინი, რუსეთის მთავარი რაბინი ბერლ ლაზარი, რუსეთის ბუდისტური ტრადიციული სანგხის მეთაური ხამბო-ლამა დამბა აიუშევი.

ჰოდა, გული რომ არავის დასწყვეტოდა და რუსებს ჩვენსავით თავზე რომ არ წამოსჯდომოდნენ „ჩაგრულთა“ ნიღაბს ამოფარებული მწვალებლები და რელიგიური დეგენერატები („დეგენერატი“ სამედიცინო ტერმინია და „გადაგვარებულს“ ნიშნავს), რუსეთის პრეზიდენტმა დავის მიზეზიც აღარავის დაუტოვა და გადაწყდა, რომ 2010 წლიდან — ნაწილობრივ, 2012 წლიდან კი — სრულად რუსეთის 18 რეგიონში 12 000 სასწავლო დაწესებულებაში მეოთხე კლასის მოსწავლეები ოთხი ძირითადი რელიგიიდან (მართლმადიდებლობა, ისლამი, იუდაიზმი და ბუდიზმი) არჩევით შეისწავლიან ერთ-ერთს.

საგანს უკვე შეურჩიეს შუალედური სახელწოდება — უმაღლესი ეთიკისა და რელიგიური კულტურის საფუძვლები.

**ეს იდეა მხოლოდ კომუნისტებს არ მოეწონათ. „ჩვენ სასწავლო დაწესებულებებში ეკლესიის ყოფნის წინააღმდეგნი ვართ. აი, ნახავთ, ძალიან მალე მასწავლებლების ნაცვლად ამ საგანს მღვდლები ასწავლიან!“ — განაცხადა კომუნისტების წარმომადგენელმა.**

აბა, ვცადოთ და იგივე იდეა წამოვაყენოთ საქართველოში — მაშინვე გამოცვივდებიან ხელისუფლებისა და არასამთავრობოების კუთხე-კუნჭულებში მიმალული ქრისტეს მტრები („მტერი“ ივრითზე ითარგმნება როგორც „სატანა“) და მაღალფარდოვანი სიტყვებით დაგვიწყებენ ჭკუის სწავლებას, რატომ არ შეიძლება ბავშვმა სკოლაში რელიგია ისწავლოს.

სამაგიეროდ, რამდენიმე კვირის წინათ ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში რექტორის — გიგი თევზაძის ინიციატივით, ჰომოსექსუალიზმის თემაზე ლექცია წაიკითხა ჰომოსექსუალისტმა!

ჰოდა, მერე ნუ გაგვიკვირდება, თუ რელიგიაზე აღზრდილმა მეზობლებმა „იმნაირების“ აღზრდილ ქართველებს კიდევ ერთხელ გვასროლინონ კუდით ქვა ჩვენი საკუთარი ტერიტორიებიდან!

**ოდითგანვე ასე იყო: გერმანულ ტომებში თუ ვინმე ჰომოსექსუალისტი გამოერეოდა, ჭაობში ახრჩობდნენ.**

**განვითარებულ, ძლიერ, კულტურულ და ცივილიზებულ რომში კი ჰომოსექსუალისტები ლოჟებში ისხდნენ და ქვეყნის ბედს წყვეტდნენ.**

**და როცა ეს ორი მხარე ერთმანეთს შეება, წამოვიდა ფეხშიშველი, ქვებითა და ხის ფიწლებით შეიარაღებული ხალხი და მაშინდელი მსოფლიოს უძლიერესი არმია — რომაული ლეგიონები დაამარცხა! იმიტომ, რომ ზნეობრივად იყვნენ ძლიერები, ომს კი არამხოლოდ იარაღი, არამედ ჭკუა და ზნეობა იგებს!**

* * *

და კიდევ ერთი ამბავი, ოღონდ ამჯერად სკოლაში სექსუალური ცხოვრების ნაადრევად სწავლების მიზანშეწონილობაზე. არაბეთის გაერთიანებული ემირატების მცხოვრებმა ვედად ლუტამ დაწერა წიგნი „სრულიად საიდუმლოდ: ინტიმური ცხოვრების გზამკვლევი მეუღლეებისთვის“, რომელშიც მოცემულია ყურანზე დაფუძნებული რჩევები სექსის საკითხში.

ლუტამ ემირატების უმაღლესი მუფთიის თანხმობაც მიიღო, თუმცა ამ უკანასკნელმა გააფრთხილა ქალი, რომ მისი წიგნი რამდენადმე უსწრებდა დროს.

45 წლის ლუტა რელიგიური ცხოვრების წესს მისდევს და ატარებს სამოსს, საიდანაც მხოლოდ თვალები უჩანს, — წერს „Guardian“. ის სულაც არ ჰგავს ინტიმურ საკითხებზე დასავლეთის ქვეყნებში მომუშავე კონსულტანტებს.

ქალმა ბრიტანულ გაზეთს უამბო, რომ წიგნზე რეაქცია სხვადასხვაგვარი იყო, მათ შორის, უკიდურესად ნეგატიურიც. ავტორს ანგარიშსწორებით დაემუქრნენ, მაგრამ ლუტას ეს არ აშინებს. იგი ხაზს უსვამს მუსლიმანურ ქვეყნებში სქესობრივი აღზრდისა და განათლების აუცილებლობასაც ყურანთან მკაცრ შესაბამისობაში.

თავის წიგნში ლუტა წერს, რომ, მაგალითად, ყურანი არ კრძალავს ორალურ სექსს, მაგრამ სასტიკად კიცხავს ანალურს. მისი სიტყვებით, ემირატებში, საუდის არაბეთსა და სხვა ქვეყნებში მამაკაცებისა და ქალების ცალ-ცალკე ცხოვრების გამო მრავალი ახალგაზრდა კაცი თავის პირველ სქესობრივ გამოცდილებას მეგობრისგან იღებს, მერე კი აგრძელებს ანალურ ურთიერთობას ცოლთანაც, ვინაიდან სხვაგვარ ურთიერთობას არ იცნობენ. „სწორედ ამის გამოა ჩვენთვის აუცილებელი სექსის სფეროში განათლება“, — ამბობს ვედად ლუტა და მრავალი სხვა შემთხვევაც მოჰყავს თავისი პრაქტიკიდან. ავტორს, მაგალითად, მოჰყავს 52 წლის ქალის ისტორია, რომელმაც მრავალი შვილი და შვილიშვილი გაზარდა, მაგრამ კონსულტანტთან ვიზიტამდე ერთხელაც არ განუცდია ორგაზმი.

„ამასწინათ ერთმა ქალმა მკითხა, შეიძლება თუ არა, მამაკაცს მთელი სხეული დავუკოცნოო. მე მას ჩემი წიგნის წაკითხვა ვურჩიე“, — განმარტავს ლუტა.

# ქოლგები — ჩქარა!

**რა დროს ზამთარია! მაგრამ შიმშილის პერსპექტივა ისე გვიახლოვდება, რომ თქვენი მოწონებული! პომიდორის გაგანია სეზონში ერთი კილოგრამი ორი ლარი რომ ღირს, ზამთარში ფასის გეომეტრიული პროგრესიით გაძვირება პითაგორას თეორემასავით მარტივი წარმოსადგენია: მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის კვადრატი უდრის კათეტების კვადრატების ჯამს: a2+b2=c2.**



პომიდორი — გასაგებია: სინიორია. კიტრისაც არ გამკვირვებია, რადგან, რაც ქვეყნის სათავეში საკუთარი თავის მაქებარი ხელისუფლება მოვიდა, კიტრის ფასმაც აიწია და არავითარი გარანტია არ გვაქვს, რომ ან პირველი მორჩება კეკლუცობას, ან მეორე გაიაფდება.

## კეკლუცობა უთავმოყვარეობაა: თავს იბითურებს ნარცისი, სხვა რომ არ ტყუვდება, იმიტომ.

22 ივლისს მოატყუეს და გამოიყვანეს ადამიანები ავლაბრის მოედანზე აშშ ვიცეპრეზიდენტის — ჯო ბაიდენის დასახვედრად ქართველი ხალხის აღტაცების დემონსტრაციის მიზნით.

გამოუვიდათ პირიქით: „შენ შეგიძლია!..“ „შენ დაგვიბრუნებ!..“ და ასე შემდეგ ეწერა (ინგლისურად, რა თქმა უნდა) ტრანსპარანტებს, რომლებიც ვადაგასული ვაუჩერებივით აღემართა ხელისუფლების უმოქმედობით იმედგადაწურულ ხალხს.

სჯეროდათ თუ არა, რომ მესია ჩამოვიდა, აბა, რა ვიცი, მაგრამ ეს ტრანსპარანტებით საუბარი ძალიან რომ ჰგავდა დედაქალაქის ქუჩებს მოდებულ მიმართვას — „ბიძია, დამეხმარე!“ — გიდასტურებთ.

ვაფრიალებდით დროშებს ავლაბრის მეტროსთან და ისე ჩანდა, რომ დროშები უფრო მეტი იყო, ვიდრე იქ მიყვანილი ხალხი.

დროშა-ფობია დამართეს თბილის-ქალაქს, გემოვნებით და თავდაჭერილობით გამორჩეულს ყოველთვის.

აღფრთოვანებული ტელეწამყვანი კი საერთო-სახალხო სიხარულის ეკრანიდან გადმოცემას ცდილობს და ეძებს ამის დამადასტურებელ ფაქტს.

პოულობს:

**„ბავშვები დილიდანვე (!) ემზადებოდნენ სტუმრის დასახვედრად — ლოყებზე იხატავდნენ ამერიკის დროშას“.**

კადრში ჩანს ბიჭი, რომელსაც მარცხენა ლოყაზე აშშ დროშა დაახატა გამოცდილმა ხელმა.

მაგარია!

დგანან ბავშვები აჭრელებული სახეებით, საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე აღმოჩენილი როიალივით, რომელსაც შემთხვევით პოულობენ ბუჩქებში.

მიუჯდება იმ როიალს კარის მომღერალი და „ჩემი გმირი გიწოდეს“ ჰანგზე დაამღერებს:

„ამერიკა, ამერიკა...“

ლოგიკურად ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ ყოფილა.

ფრიალებს დროშები და ყურს ტკბილად ჩაესმის აღელვებული „ტელეწამყვანის“ აღტაცებული კომენტარი:

**„რამდენიმე წუთში ჩამოდგება ამერიკის ვიცეპრეზიდენტის თვითმფრინავი!“** კუ-კუუ! — „მოჰქრის მატარებელი“ და ჩამოდგება პირველ ლიანდაგზე.

ჩამოდგა.

**„თვითმფრინავი უახლოვდება ტრაპს“.** აქამდე ხომ გვეგონა, რომ თვითმფრინავს მიუდგამდნენ ტრაპს. ახლა კი, პირველად საქართველოში, ხდება პირიქით: ტრაპი დგას და ამერიკელი პილოტები მონდომებით ცდილობენ მიუყენონ უზარმაზარი „ბოინგი“ თბილისის აეროპორტის ცირკის კიბესავით მყარად მდგარ ინვენტარს — ტრაპს.

სანამ ამის წარმოდგენას ცდილობთ, **„ბაიდენის კორტეჟი ტოვებს აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიას“.**

ალბათ, იმის თქმა უნდოდა, აეროპორტის ტერიტორიიდან გადისო. მაგრამ ეცოტავა და დაუმატა — მიმდებარე ტერიტორიიდან. მიმდებარე ტერიტორია კი ან უდაბური მინდორია, ან მფრინავების დასახლება ან „კამაზცენტრი“, სადაც კორტეჟს არაფერი ესაქმებოდა.

ავლაბრის მოედანზე კი ტემპერატურა მატულობს. ისმის გაურკვეველი შეძახილები. კომენტატორი გვარკვს შექმნილ ვითარებაში.

აქ, მაინც ნუ მიხსენებთ ტერიტორიას, თუნდაც „მიმდებარეს“, წახდება საზეიმო განწყობილება, რადგან ჩნდება ასოციაცია აფხაზეთის მიმდებარე „ზემო აფხაზეთის“ ტერიტორიაზე ან ახალგორის ტერიტორიაზე, რომელიც...

თქვენც კარგად დაამთავრებთ ამ წინადადებას.

„ცუცა, სდექ!“: ავლაბარში **„გამოჩნდა ექსკორტი, რომელშიც ზის ჯო ბაიდენი“.** მანქანაში არა — ექსკორტში. ვერ გაიგეთ? ძველი მენტალიტეტის ბრალია. ახლებმა იციან, როგორ ახერხებენ ამას.

ძველებს — ბრანწი, ისეთი, როგორსაც ავლაბრის რეზიდენციის ეზოდან გვიჩვენებენ „თანამედროვე არქიტექტურის“ შედევრის სახით.

თინეიჯერ ტელეჟურნალისტებს ნაჯახირევ ქართულს რას უწუნებ, როცა მათი პრეზიდენტი, კონსტიტუციის დარღვევით, ოფიციალურ მიღებაზე ოფიციალურ სიტყვას ინგლისურად წარმოთქვამს?!

კი ეტყვის ამ ფაქტით აშკარად ნასიამოვნები ჯო ბაიდენი მიხეილის დედას: „მოუარეთ თქვენს შვილს — ჩვენ იგი ძალიან გვჭირდება, ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანია ჩვენთვის“, მაგრამ არ დააზუსტებს, სად სჭირდებათ, აქ — საქართველოში, თუ თავიანთთან — შტატებში. დედაენა რომ არად ჩააგდო შვილმა, ამაზე არაფერს ეტყვის...

ის დრო ამოტივტივდება მეხსიერებაში, პროვინციული საოლქო კომიტეტის მდივნები თავიანთი ბიუროების სხდომებს დამტვრეული რუსულით რომ ატარებდნენ, განსაკუთრებით მაშინ გამოიდებდნენ თავს, როცა სტუმარი ეწვეოდათ ცენტრიდან.

მაგრამ მაშინ რუსულს საბჭოთა კავშირში ერთაშორის ურთიერთობის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული.

ახლა თავის მოწონების სურვილითაა ნაკარნახევი, ობივატელის მსოფლმხედველობით.

უბედურება ისაა, რაც ამ კეკლუცობის მიღმა იმალება და რაც წვერგაუპარსავ დეპუტატ დარჩიაშვილს — „გიულჩიტაი, პოკაჟი ლიჩიკო“ — „კავკასიის“ ეთერში წამოსცდა: მე ვიზიარებ აშშ კონცეფციას პოსტნაციონალური მსოფლიოს შესახებო, ესე იგი, ისეთ დროზე ოცნებობს, როცა ქართველობის ხსენებაც არ იქნება.

ამ ზეეროვნული (თუ მონოეროვნული) პოზიციის ქადაგება ოდიოზურმა ლომაიამ დაიწყო საქართველოში და უდღეურმა წვრილფეხობამ მხარი აუბა, მაგალითად, თბილისის ყოფილმა მერმა ჭიაბერაშვილმა.

დაფინანსებული მსოფლმხედველობაა.

## ამ „პროგრესისტებთან“ შედარებით ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი უფრო ეროვნული, უფრო ქართულად განწყობილი აღმოჩნდა, როცა აკაკის ამ „ღამურებს“ ილიას „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“ შეახსენა.

ღამურებზე გინდათ ანეკდოტი?

სადღაც სხვენში ჩვეულებისამებრ თავდაყირა ჰკიდიან ღამურები. უცებ ერთი შეიფრთხიალებს და რამდენიმე წამით თავზე მოექცევა დანარჩენებს — ამოვარდება ჩვეულებრივობიდან.

— შეხედეთ, წაიქცა! — ეცინებათ ღამურებს...

მიხეილ სააკაშვილი არ „წაქცეულა“.

* * *

მიაფურთხეთ პოლიტიკას და სახე მიუშვირეთ მზეს, გაირუჯეთ ბათუმის პლაჟზე, რომელიც, როგორც იქნა, იპოვეს მზის სხივებმა. როცა დაგცხებათ, ქოლგის ჩრდილს შეაფარეთ თავი.

გავა ერთი საათი, ორი, სამი... დროზე მოიქექეთ ჯიბეები, რადგან ეს სიამოვნება ფული ღირს, „საათობრივ ანაზღაურებაზეა“ აქ ყველაფერი: „ტოპჩანის“ ერთი საათით ქირაობა — 3 ლარი, ქოლგაც — ამდენივე.

„ტოპჩანების“ მაფიას, როგორც ბათუმელები ამბობენ, ასე დაუწესებია!

იმასაც ამბობენ, ამჯერად შეწუხებული თბილისელები, რომ პამიდვრის ნაკადები „პომიდვრის მაფიამ“ აჭარისკენ მიმართა, ამიტომ გაძვირდა დედაქალაქშიც და „ქათქათა ბათუმშიც“, სადაც უფრო მეტად საღდება.

კლანურ კორუფციასაც იხსენებენ რატომღაც, ელიტარულსაც!..

**ვთქვი და დავწერე. რა მერე?**

**არც არაფერი!**

**მეგრული ანდაზა ამბობს: „შენ ლაპარაკობ — ძაღლი ყეფს, დოლაბი ბრუნავს, ცხენი ბალახობს!“**

**ორიგინალში ასე ჟღერს: „სი რაგადანქ — ჯოღორი ლალუნს, სქიბ ირთუ, ცხენ იდიარს“.**

**ლაშა გიორგიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# Skull and Bones — იმპერიის ელიტა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22




### კლუბ „EULOGIE“-დან „SKULL AND BONES“-მდე

ძნელი სათქმელია, რა მიზანი ჰქონდა უილიამ რასელს 1932 წელს, როდესაც „Skull & Bones“-ს ქმნიდა. დანამდვილებით ცნობილია, რომ საზოგადოებას თავდაპირველად მჭევრმეტყველების ბერძენი ქალღმერთის პატივსაცემად „Club Eulogie“ ერქვა. გერმანიაში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებებით რასელმა საზოგადოების რიტუალებშიც გერმანული სული ჩააქსოვა. 1833 წელს საზოგადოების სიმბოლიკად თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები იქცა, ორგანიზაციის „საკვანძო“ ციფრად კი — 322. სწორედ ჩვენს ერამდე 322 წელს გარდაიცვალა ბერძენი ორატორი დემოსთენე. „Skull & Bones“-ის ლეგენდის მიხედვით, 322 წელსვე ქალღმერთი ევლოგი სამოთხეში მოხვდა, 1832 წელს კი დედამიწაზე დაბრუნდა, რათა საიდუმლო ორგანიზაციას შეერთებოდა. 1856 წელს „Skull & Bones“ ოფიციალურად შეუერთდა რასელის საკუთრება „Russell Trust“-ს. იმავე წლის 13 მარტს ორგანიზაცია გადავიდა იელის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობაში, რომელსაც „სამარე“ ერქვა. „ოფისი“ მალე აივსო უცნაური რელიკვიებით. როგორც ალექსანდრა რობინსის მიერ თავმოყრილ ინფორმაციებში თავად ორგანიზაციის წევრები ამბობდნენ, ეს რელიკვიები იყო ათასნაირი დროშა, შავი ნაჭრები, ბრძოლის ველებზე მოგროვილი იარაღი. იმისათვის, რომ სტუდენტური ასოციაციის იერი შენარჩუნებულიყო, ერთ-ერთ ოთახში ბეისბოლის ბურთებსაც წააწყდნენ. თითქმის ყველა თავისუფალი ადგილი შევსებული იყო თავის ქალას სიმბოლოებით, კედლებს კი ცხოველებისა და ადამიანების ძვლები „ამშვენებდა“. წარმოდგენილ ნახატთა უმეტესობა სიკვდილს ასახავდა.

1980 წელს დაიწყო ჯერონიმოს თავის ქალასთან დაკავშირებული კამათი. „Skull & Bones“ ირწმუნებოდა, რომ ის მათ მფლობელობაშია და აპაჩის ტომის არიზონელ ბელადს ჰედუ ანდერსენს რაღაც ამგვარი აჩვენეს კიდეც. მოგვიანებით, როდესაც საზოგადოების წევრებს სთხოვეს რელიკვიის დაბრუნება, თხოვნა შეუსრულეს, ოღონდ ის არ გადასცეს, რაც ბელადს აჩვენეს. ანალიზებით დადგინდა, რომ ეს ინდიელთა ბელადის კი არა, ათი წლის ბავშვის თავის ქალა იყო.

### „SKULL & BONES“-ის შტაბბინა

დღეს ამ ორგანიზაციის შესახებ გაცილებით მეტია ცნობილი. ყოველწლიურად მისთვის 15 სტუდენტი გროვდება. ამჟამად წევრთა რაოდენობა 800-მდე აღწევს. უფროსი კოლეგების მიერ არჩეული თხუთმეტი ახალბედა პირად ცხოვრებაზე, სწავლაზე, მომავალ პროფესიაზე სასაუბროდ კვირაში ორჯერ იკრიბება. მსჯელობენ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებზეც. წელიწადში ერთხელ საზოგადოება აწყობს გასვლას ნიუ-იორკის მახლობლად მდინარე სან ლორენზე მდებარე მოზრდილ კუნძულზე, სადაც ინგლისური სტილის მდიდრულ რეზიდენციას „Skull & Bones“-ის წევრისა და თავად რეზიდენციის სპონსორის ჯორჯ მილერის სურვილის შესაბამისად „Deer Iland“ ეწოდა. ოღონდ სწორედ „Deer Iland“ და არა „Deer Island“

ორგანიზაციის წევრად კურთხევის შესახებ ცილისმწამებლები სულ სხვადასხვაგვარად მოგვითხრობენ, მაგრამ ამ მოვლენის გარშემო ჭორს სწორედაც მისი იდუმალება იწვევს. თუ „სამარეში“ ჩატარებულ რიტუალებს წარმართული ან სულაც სატანისტური ხასიათი ჰქონდა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იელის ახალბედებს უსასტიკესად ამცირებდნენ უფროსკურსელები. ახლა უკვე ნაკლებსარწმუნოა, რომ ორგანიზაციაში გაერთიანებისათვის რჩეულ სტუდენტებს სხვების თანდასწრებით სექსუალური თამაშები მოეთხოვებოდეთ.

### ქსელი

ყველაზე საინტერესო ის კი არაა, რა ხდება ორგანიზაციის შიგნით, არამედ თავად ორგანიზაციის წევრების დარაზმული მუშაობა ხვალინდელი ელიტის მოსამზადებლად. აშშ ყველა პრეზიდენტი, რომელმაც იელის უნივერსიტეტი დაამთავრა, „Skull & Bones“-ის წევრი გახლდათ. საუბარია უილიამ ჰოვარდ ტაფტზე, ჯორჯ ბუშ-უფროსსა და ჯორჯ ბუშ-უმცროსზე; საზოგადოების იმ წევრებზე, რომლებიც სხვადასხვა დროს მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენდნენ პოლიტიკის, დიპლომატიის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და თვით დაზვერვის სფეროშიც კი. ორგანიზაციას უსერიოზულესი კავშირები აქვს დიპლომატიურ წრეებში, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოში. „Skull & Bones“-ის წევრები იყვნენ ფრენკლინ დელანო რუზველტის დროინდელი თავდაცვის მინისტრი ჰენრი სტიმსონი, აშშ ელჩი საბჭოთა კავშირში ევერელ ჰარიმენი და როკფელერების ოჯახის საქმეთა მმართველი რიჩარდსონ დილუორფი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც საკმაო წონა აქვთ. მაგალითად, გაზეთ „Time“-ის შექმნის იდეა ეკუთვნოდათ ჰენრი ლიუსსა და ბრაიტონ ჰედენს, რომლებიც 1920 წლიდან საზოგადოების წევრები გახლდნენ. თავის მხრივ, ევერელ ჰარიმენმაც დააფუძნა გაზეთი „Today“, რომელიც 1937 წელს კიდევ ერთ გამოცემას შეუერთდა და ჟურნალ „Newsweek“-ად გადაკეთდა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი „Skull & Bones“-ისა და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის კავშირებია. ამ უკანასკნელის თანამშრომელი, ცნობილი პროპაგანდისტი უილიამ ბაკლი, ისევე, როგორც მისი ძმა, რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უსაფრთხოების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებში ჯეიმს ბაკლი, „Skull & Bones“-ის წევრი გახლდათ. ამ თანამდებობაზე ის სამხედრო დახმარებას უწევდა მემარჯვენე რეჟიმებს. 1934 წლიდან ორგანიზაციის წევრი ჰიუ კანინგემი ამერიკას 1947-დან 1973 წლამდე ემსახურებოდა. 1939 წლიდან ორგანიზაციის წევრი უილიამ ბანდი და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის სანტიაგოს განყოფილების ხელმძღვანელი 1970 წელს დინო პიონციო (ისიც ორგანიზაციის წევრი გახლდათ 1950 წლიდან) ცდილობდნენ სალვადორ ალიანდეს რეჟიმის დესტაბილიზაციას. ელიტის „მწარმოებელი“ ორგანიზაციის მიმართ ხელისუფლებები უჩვეულოდ კეთილგანწყობილნი არიან. 1943 წელს კონექტიკუტის შტატის სპეციალური საკანონმდებლო აქტის საფუძველზე საიდუმლო კომპანიის სახსრების განმკარგველი კომპანია „Russell Trust Association“-ის თანამშრომლები გათავისუფლდნენ საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ვალდებულებისგან. XX საუკუნის მეორე ნახევარში ამ ქონებას მართავდა ჯონ მედენ-უმცროსი, კომპანია „Russell Trust Association“-ის თანამშრომელი. მაშინ მედენის ხელმძღვანელი ჯორჯ ბუშ-უფროსის მამა და ჯორჯ ბუშ-უმცროსის პაპა პრესკოტ ბუში გახლდათ. ყველა ისინი, რაღა თქმა უნდა, „Skull & Bones“-ის წევრები იყვნენ.

ფულის კიდევ ერთი წყარო როკფელერების ოჯახი გახლდათ. პერსი როკფელერი ორგანიზაციის წევრი იყო და მას კომპანია „Standard Oil“-ის ქონება გადასცა. ამავე ორგანიზაციას უკავშირდება მორგანების კლანის სახელი. თავად J.P. მორგანი არასდროს ყოფილა ორგანიზაციის წევრი, მაგრამ „Morgans Guaranty Trust“-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჰეროლდ სტენლი მისი წევრი 1908 წლიდან იყო. ევერელ ჰარიმანი (საზოგადოების წევრი 1913 წლიდან) კომპანიის მმართველთა საბჭოს წევრი გახლდათ ისევე, როგორც H.P. უიტნი და მისი მამა W.C. უიტნი. მსგავსი მეთოდით ორგანიზაციას ხელი მიუწვდებოდა ფორდების კაპიტალზეც, ოღონდ, როგორც ჩანს, ამის შესახებ თავად ფორდებმა არაფერი იცოდნენ. საზოგადოების წევრი 1966-1979 წლებში ფორდის ფონდის პრეზიდენტი მაკჯორჯ ბანდი გახლდათ. მანამდე, ჯონ კენედისა და ლინდონ ჯონსონის პრეზიდენტობისას, ის მრჩეველი იყო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში.

### 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები: „SKULL & BONES“ „SKULL & BONES“-ს წინააღმდეგ

„Skull & Bones“-ს რაიმე ჩამოყალიბებული იდეოლოგია არ აქვს. უბრალოდ, მიეკუთვნებიან რა ელიტას (რაც, თავისთავად, გულისხმობს საზოგადოების იმ კლასის წარმომადგენლობას, რომელსაც აქვს ამა თუ იმ სახელისუფლებო სტრუქტურაში წარმატების მისაღწევად საჭირო სოციალურ-კულტურული აღზრდა), ამ საზოგადოების წევრებს აქვთ ერთნაირი მსოფლმხედველობა, ერთნაირი სოციალური კავშირები. ყველა მათგანი კაპიტალიზმისა და ფსევდოლიბერალიზმის მომხრეა და, თითქოსდა, ამერიკის მიერ დანერგილი თავისუფლების ღირებულებათა ერთგულნი.

მიუხედავად იმისა, რომ „პოლიტიკური კორექტულობის“ მომხრეებმა მიაღწიეს და საზოგადოებაში დაუშვეს ჯერ ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები, შემდეგ კი 1991 წლიდან ქალებიც (რამაც თავზარი დასცა ჯორჯ ბუშ-უფროსს), „Skull & Bones“-ის ელიტა აგრძელებს, თითქოსდა, ერთადერთი სრულყოფილი და სწორი აზროვნების გავრცელებას, აზროვნებისა, რომელსაც მკაცრად იცავს ამერიკის მმართველი კლასი.

ის ფაქტი, რომ ჯორჯ ბუშ-უმცროსიცა და 2004 წლის არჩევნებზე მისი ერთადერთი რეალური კონკურენტი ჯონ კერიც ერთი ორგანიზაციის წევრები გახლდნენ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს არჩევნები წინასწარ დადგმული ფარსი იყო. სამაგიეროდ, ეს ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ, მიუხედავად ერთმანეთის საწინააღმდეგო გამოსვლებისა და სახალხო, თუნდაც, მწვავე კამათისა, ისინი ერთი და იმავე პრინციპით აზროვნებდნენ, ერთსა და იმავე კლასს წარმოადგენდნენ და ზუსტად ერთნაირ ღირებულებათა სისტემით ხელმძღვანელობდნენ.

როგორც ერთი ფრანგი პოლიტიკოსი აღნიშნავდა, არჩევანი შემდეგნაირი იყო: „ქალა და ძვლები თუ ძვლები და ქალა“? სწორედ ამიტომ იპყრობს აღნიშნული საზოგადოება ესოდენ დიდ ყურადღებას: ის შეერთებული შტატების პრივილეგიური სოციალური კლასის კვინტესენციაა, კლასისა, რომლის მსოფლმხედველობა საკმაოდ შორსაა დემოკრატიის იდეალისაგან, რომლისკენაც იმავე ამერიკის დანარჩენი მოსახლეობა მიისწრაფვის.

საზოგადოების წევრები უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში „საბედისწერო საქმეებით“ იყვნენ დაკავებულნი, მათ შორის, სალვადორ ალიენდეს რეჟიმის დამხობითა და ბირთვული დოქტრინის შემუშავებით. ამას კი დემოკრატიული ინსტიტუტების მიღმა თავიანთი შეთანხმებულობის დაფარვითა და მხოლოდ ძველ მეგობრობაზე დაყრდნობით აკეთებდნენ. ყოველ შემთხვევაში, თავად საზოგადოებაში რაიმე მსგავსი გადაწყვეტილება არასდროს მიუღიათ.

„Skull & Bones“ არაა იერარქიული სტრუქტურა, რომელიც შეძლებს ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებას და ცხოვრებაში განხორციელებას, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ცხადია: ეს საიდუმლო ორდენი „კლასობრივი მტრის“ თვალხილული სახეა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების „დიდებული ელიტა“ წარმოადგენს.

**პოლ ლაბარიკი**



„ქალა და ძვლების“ შტაბბინა „სამარე“ 1903-1911 წლებში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

დასასრული. დასაწყისი იხ. №22

**წინა პუბლიკაციიდან ჩვენი მკითხველებისთვის უკვე ცნობილია, რომ ახალი ვაჰაბიზმი თანამედროვე საერთაშორისო ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობის განხორციელებული პროექტია, რომელიც, ძირითადად, მიმართული იყო ყოფილ სსრკ გავლენის სივრცეში „ისლამური წესრიგის“ დასამყარებლად.**


„კალაშნიკოვი“ — მთავარი იარაღი

# ვაჰაბიზმი – «ოქროს მილიარდისთვის» ბრძოლის შენიღბული ფრონტი


ნამაზი


პანკისის ხეობა, დუისი

## ვინ არიან ვაჰაბიტების ავტორები?

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ეს მოძრაობა 1970-იან წლებიდან იღებს სათავეს.

რომელმა მიზეზებმა გამოიწვია ასეთი ექსტრემისტულ-ანექსიური მოძრაობის წარმოქმნა?

მთავარი მიზეზი, როგორც უკვე ვთქვით, პლანეტის მოსახლეობის „ოქროს მილიარდამდე“ შემცირება იყო, რაც დასავლეთის მსოფლიოზე ბატონობის პროგრამით იყო გათვალისწინებული.

სსრ კავშირის და კომუნისტურ ხელისუფლებათა პოლიტიკური სარბიელიდან წასვლა წარმოქმნიდა არაკონტროლირებად რეჟიმებს, რომელთა ხელთ აღმოჩნდებოდა ბირთვული იარაღის უზარმაზარი არსენალი. **საბჭოთა ბირთვული იარაღის გადინების და მესამე სამყაროს ქვეყნებში „ოქროს მილიარდისადმი“ სიძულვილის კომბინაციას რეალურად შეეძლო, შეექმნა სერიოზული საფრთხე დასავლეთის სასიცოცხლო ინტერესებისთვის.**

საფრთხის თავიდან აცილების გზებისა და მეთოდების შესამუშავებლად არაბეთის რიგ ქალაქებსა და ლონდონში გაიმართა საგანგებო თათბირები, სადაც **შეთანხმდნენ, რომ შექმნიდნენ ინგლისელი სპეციალისტების ჯგუფს ყოფილი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროსა და თვით სსრკ ტერიტორიაზე პროცესების მართვის მიზნით.**

ოპერატიულად გაარკვიეს, რომ ხანგრძლივი დროით ნატოს პოტენციალს ამ საქმისთვის ვერ გამოიყენებდნენ. ამიტომ გადაწყვიტეს, ჩარეულიყვნენ პოსტსაბჭოთა სივრცის თვითორგანიზების პროცესებში.

როგორ?

საჭირო იყო ისეთი არაკომუნისტური მიმდინარეობის მონახვა, რომელსაც ძალაც ექნებოდა, ავტორიტეტიც და გავრცელების დიდი არეალი. კომპეტენტურმა ანალიზმა მკვლევარები ისლამამდე მიიყვანა, რომელიც ყველა ამ მოთხოვნას პრინციპულად აკმაყოფილებდა. **მართვადი ისლამიზაცია გახდა ის მეთოდი, რომელიც გააკონტროლებდა პოსტსაბჭოთა რეალობას.**

ამ პრინციპზე დაფუძნებით, ექსპერტებმა შეიმუშავეს ახლო აღმოსავლეთში, სსრ კავშირის სატელიტების ტერიტორიაზე, ბალკანეთსა და თვით საბჭოთა კავშირში ფუნდამენტალისტური მოძრაობის გადატანა-გავრცელების პროგრამა. ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ამ ახალ მოძრაობას წაუყენეს, იყო **მართვადობა** (რაც ზემოთაც აღვნიშნეთ), **გავრცელების სიადვილე** (მაჰმადიანობის გავრცელების ფართო არეალი აიოლებდა ამ ამოცანის შესრულებას) და **დაფინანსება, რომელიც თვითდაფინანსებით უნდა განხორციელებულიყო.**

ორგანიზაციული სტრუქტურაც არ იყო მეორეხარისხოვანი პრობლემა და ყველაზე მოსახერხებელ და მორგებულ ფორმად ჩათვალეს პალესტინის მიწების ათვისების ებრაული კიბუცების სისტემა „ნოჰალი“.

რისთვის კეთდებოდა ეს ყველაფერი? იმ ზეამოცანის განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებდა **პოსტსაბჭოთა სივრცის კვაზიავტონომიური „ისლამური ემირატების“** (სახელმწიფოების) **კონგლომერატად გადაქცევას**, რომლებიც ფორმალურად დამოუკიდებელი იქნებოდა, პრაქტიკულად კი დასავლეთის ინტერესებს მოემსახურებოდა.

**ამ დროს წინა პლანზე გამოდის იდეოლოგია, რომელიც „ურჯულოთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში მუსლიმანთა ერთიანობას უზრუნველყოფდა. ეს იდეოლოგია ზაიდიტების ნახევრად შიიტური იემენური სექტის „მოძღვრების“ ბაზაზე იყო შემუშავებული**. მის დამკვიდრებას განსაკუთრებულად ხელი შეუწყო საუდის სასახლის კარზე 60-იანი წლების ბოლოდან დღემდე ამ სექტის წარმომადგენლების წამყვან პოზიციებზე დამკვიდრებამ.

სწორედ **ვაჰაბიზმშია შეფუთული ეს იდეოლოგია**. ადამიანების ნებისმიერ ასოციაციას, თემს ან „სახელმწიფოს“ ვაჰაბელები უწოდებენ ჯამაათს, რომლის სათავეში, როგორც ვთქვით, ამირა დგას. ჯამაათს მუდმივად მზარდი შემოსავალი უნდა ჰქონდეს, უნდა ჰყავდეს შეიარაღებული ძალები და უნდა იხდიდეს „ზაქიატს“ — შემოსავლის 5 პროცენტს ჯიჰადის საერთაშორისო ფონდებში.

თვითდაფინანსება ვახსენეთ, როგორც ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, მაგრამ რის საფუძველზე? „შავი ბიზნესის“ საერთაშორისო კარტელების შექმნით, რომელთაც დაიფარავდა ახალი ფუნდამენტალისტური მოძრაობა.

ვაჰაბიზმი მიმზიდველი ჩანდა და იოლად ვრცელდებოდა, უწინარეს ყოვლისა, მისი სიმარტივისა და უბრალოების გამო — **ვაჰაბელთა ყველა სასწავლო კურსი და ქადაგება თეზისებად არის ჩამოყალიბებული და თავს იყრის მცირე ფორმატის წიგნში.**

ახალი მოძრაობის უმთავრესი მოთხოვნა — მართვადობა სხვადასხვა დონეშია ჩადებული. **კონტროლის უმაღლესი დონე**, რაგინდ უცნაურადაც შეიძლება მოგეჩვენოთ, **კონტროლის აკრძალვაა**. კატეგორიულად იკრძალება ვაჰაბიტების მიერ კოორდინაციის ისეთი საერთაშორისო სტრუქტურების შექმნა, რომლებსაც რეალური უფლებამოსილება ექნება. მათი ასოციაცია, როგორც სპეციალისტები გვეუბნებიან, შერჩეულთა სასწავლებლად წარგზავნითა და ადამიანების ჯიჰადში მონაწილეობით იფარგლება, ხოლო ბაზა — ფინანსური შემოსავლების ნაკადები — დასავლეთის მიერ უმკაცრესად მოწმდება. **ეს ერთი.**

**მეორე დონე** იდეოლოგიურ ბაზაშია განივთებული — ვაჰაბიზმის და ზაიდიზმის ნაზავში, რომელიც არაბების მეთაურობას გულისხმობს. არაბი მოთვალთვალე ვაჰაბელთა ყველა ჯამაათს ჰყავს, უმეტესად — იემენელები (მაგალითად, უსამა ბენ ლადენი, ჰაბიბ-ალ-რაჰმანი — ამირა ჰატაბი) ან (ნაკლებად მნიშვნელოვან ჯამაათებში) პაკისტანელი, ან ავღანელი იმ ტომიდან, რომელთაც ვაჰაბიზმი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიღეს.

**მესამე** — კონტროლის ყველაზე დაბალი დონე იმითაა გარანტირებული, რომ კვაზისახელმწიფოებრივ სტრუქტურებს არა პერსონალურად ამირები, არამედ ისლამური შურა — საბჭო განაგებს. ამ შურის წევრებიდან მეთვალყურე არაბს ყოველთვის შეუძლია, გამოარჩიოს კანდიდატი ზედმეტად დამოუკიდებელი ან მოძლიერებული ამირას შესაცვლელად.

ახალი მოძრაობის ერთ-ერთი პრინციპი მაჰმადიანი ფუნდამენტალისტების **საერთაშორისო ორგანიზაციების ნიველირებას გულისხმობს**. მათი საქმიანობა თანდათან იფარგლება „ერთი ღმერთისა“ და „სუფთა ისლამის“ პროპაგანდითა და დაფინანსებით. აქედან მომდინარეობს ვაჰაბელთა სახელდება მუვაჰიდები (ერთღმერთიანები) და სალაფიტები (სუფთანი).

## ვაჰაბელთა სასწავლო ცენტრები

ვაჰაბიზმის სასწავლო კურსს (არაბულად — თალიბანი) პაკისტანში გადიან „მართლმორწმუნენი“, ასევე, — სუდანისა და ჩეჩნეთის საწვრთნელ ბანაკებში. საერთაშორისო ვაჰაბურ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თურქეთში, ლიბანსა და მალაიზიაში განლაგებულ ცენტრებს, ასევე — ალჟირის, ლიბიის და ფილიპინების მთავრობების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე.

ექსპერტები იტყობინებიან, რომ ირანშიც არის ერთიორი ასეთი სასწავლო ცენტრი, რომლებსაც მფარველობს ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ლიდერების ერთი ნაწილი. ყველა ამ სკოლას აერთიანებს დაფინანსების ერთიანი სისტემა და ერთგვაროვანი სასწავლო პროგრამა. ამ პროგრამაში შედის არმიის წინააღმდეგ მოქმედების ტაქტიკის, ოპერატიული მუშაობის და ბიზნესის წარმოების შესწავლა დევიზით — „ბედნიერი მხოლოდ მუსულმანი შეიძლება იყოს“. სწავლების მთელი კურსის განმავლობაში მათ გარშემო ქმნიან ისეთ ვითარებას, რომ თალიბებმა იგრძნონ, როგორი მზრუნველობით არიან გარემოსილნი, როგორ ზრუნავენ თავად ისინი თავისიანებზე და, საერთოდ, ყველაფერი შესანიშნავია ვაჰაბელთა წრეში.

სწავლების ასეთი სისტემა წლების განმავლობაში კარგად არის შესწავლილი ექსპერტების მიერ, ამიტომ მათ დასკვნებს შეიძლება ვენდოთ.

რას გვაცნობებენ ისინი?

**სტანდარტული სწავლება ჩვეულებრივ სამი ეტაპისგან შედგება. პირველი ეტაპი გაცხრილვისაა — საეჭვოებსა და უუნაროებს განთესავენ. მეორე ეტაპზე კურსანტი სამხედრო სპეციალობას ეუფლება. თუ მესამე ეტაპამდე მიაღწია, მეთაურად ამზადებენ, პოლიტიკურადაც — კვაზიდამოუკიდებელი სახელმწიფოს ლიდერის დონემდე.**

მოსამზადებელ ბანაკებში ადამიანები სხვადასხვა გზით ხვდებიან. უმეტეს შემთხვევაში — მატერიალური ხელმოკლეობის გამო ან — ვაჰაბელთა ძლიერების შესახებ მოარულ ხმებს აყოლილები, რომლებსაც სპეციალურ სპორტულ სექციებსა და ყურანის შემსწავლელ წრეებში უნერგავენ. პერსპექტიულ კანდიდატებს უფრო დახვეწილი მეთოდებით ჩაითრევენ — კურსებით „სუპერეფექტიანი“ ბიზნესტექნოლოგიების შესახებ, რელიგიათმცოდნეობის ლექციებითა და სემინარებით. საყურადღებოა, რომ მსმენელებს ვაჰაბიტურ იდეებს მაქსიმალურად შეფარვით აწვდიან.

**წარმატებულ ბიზნესმენებს კი ხელოვნურად, მათ მიერ კონტროლირებადი ჩინოვნიკური სტრუქტურების მეშვეობით გაკოტრების პირას აყენებენ. სწორედ ამ დროს გამოჩნდებიან „მხსნელი“ გადამბირებლები, რომლებიც თავდაპირველად არ ამხელენ თავიანთ ვაჰაბელობას და კონფიდენციურად მხოლოდ ფსიქოლოგიური და მატერიალური დახმარების მიღების შესაძლებლობაზე ლაპარაკობენ.**

**მოჯაჰედად კანდიდატის შერჩევის ძირითადი მეთოდი საყოველთაო თვალთვალია:** სტუდენტს, ასაკისა და სოციალური სტატუსის მიუხედავად, ეკრძალება მეზობელ სოფლებში დამოუკიდებლად გადასვლაც კი, მხოლოდ ჯგუფთან ერთად. ეს კი არა მარტო მუდმივი თვალთვალის შესაძლებლობას იძლევა, არამედ ჯგუფის ერთიანობისა და განუყოფლობის გრძნობას უნერგავს. პიროვნების შესწავლას უფრო ღრმა ანალიზს მრავალსაათიანი დაკითხვების გზით ახერხებენ.

ყველა იმ ხერხისა და მეთოდის დეტალური გადმოცემა, რომელთაც ვაჰაბელები ადამიანების ჩასათრევად იყენებენ, ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთ-ერთზე, ალბათ, ღირს შეჩერება, რადგან იგი დაუფარავად გვიჩვენებს ამ სისტემაში დანერგილ კაცთმოძულეობას.

საქმე ეხება დატყვევებულებს ან გატაცებულ ადამიანებს. ვაჰაბელთა ინსტრუქციით მოჯაჰედმა ხელში ჩაგდებულ კაცს უნდა შესთავაზოს ისლამის აღიარება, უარის შემთხვევაში, იმ უბედურს წამება და უკიდურესი შეურაცხყოფა გარანტირებული აქვს.

ვაჰაბელად შერაცხილმა იქვე დაუყოვნებლად უნდა დახვრიტოს ან ყელი გამოსჭრას მის დღეში მყოფ ტყვეს ან გატაცებულ ადამიანს. ეს ყველაფერი იწერება ვიდეოზე და ჩანაწერს სამომავლოდ შანტაჟისთვის ინახავენ...

სამხედრო სპეციალობის მიღების შემდეგ კურსანტს ოფიციალურად აღიარებენ „მოჯაჰედ სალაფიტად“ და ჩარიცხავენ ან მოქმედ, ან ჩამოსაყალიბებელ რაზმში. მისი ცხოვრება იმ დღიდან განუწყვეტელ ჯიჰადად — შურისძიებად იქცევა. ვაჰაბელთა 3-5-ათასიანი რაზმები ერთიანი, ზუსტად განსაზღვრული გეგმით მოქმედებენ. რაზმის შემადგენლობის დაახლოებით ნახევარი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე რჩება და „ურწმუნოებს“ ბიზნესის საშუალებით მიიმხრობს, ერთი ამდენი — იბრძვის, დანარჩენები გადიან სტაჟირებას და სწავლობენ. ასეთი წესის დარღვევა კატეგორიულად იკრძალება.

**ყოველი სალაფიტი ვალდებულია, ითანამშრომლოს საიდუმლო პოლიციასთან** — მუჰაბარატთან, აგროვებს და ზემდგომებს აწვდის ინფორმაციას, რაც ამირატებს თავიანთ საქმიანობაში გამოადგებათ. თალიბის კარიერაში სერიოზულ ეტაპად მიჩნეულია მეთაურთა შემადგენლობის კურსების გავლა პაკისტანში ან ავღანეთში.

**კურსებზე გასაგზავნი კანდიდატისთვის საუკეთესო რეკომენდაციად „ურწმუნოთა“ მასობრივი ამოწყვეტა ან იმავე „ურწმუნოთაგან“ ერთ მილიონამდე დოლარის მიღება ითვლება.**

თალიბანის კურსების **სუსტი** ადგილი კურსანტების მუდმივად ამაღლებული განწყობილებისა და არაბებისა და პაკისტანელების მიმართ უსაზღვრო ნდობის შენარჩუნებაა. ქვედანაყოფების შეცვლის შეუძლებლობა, რამდენიმე დღეზე უფრო ხანგრძლივი დასვენების უგულებელყოფა, და ყურანის გამუდმებული კითხვა თალიბებს ხასიათს უფუჭებს, სიმშვიდეს უკარგავს, ისინი ადვილად ღიზიანდებიან, რასაც არასასურველი შედეგი შეიძლება მოჰყვეს, მაგალითად, პანიკა და ვაჰაბიზმის რწმენის დაკარგვა.

ამ სისუსტეს ორგანიზატორები სასტიკი ანგარიშსწორებით ან ფულადი წახალისებით ებრძვიან.

**ვაჰაბიზმის მოკლე მიმოხილვიდანაც, ვგონებ, აშკარად ჩანს, თუ რაოდენ საშიშია იგი დღევანდელი მსოფლიოსთვის. საქართველო არ არის და არც შეიძლება გამონაკლისი იყოს. ამ უბედურების გავრცელების პრობლემისათვის ყურადღების მიუქცევლობა, სავსებით შესაძლებელია, გამოუსწორებელი შედეგებით შემოგვიბრუნდეს.**

**არამაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ფარაონების კიდევ ერთი საიდუმლო ამოიცნეს



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22

**ათასწლეულების მანძილზე ინახავდა ძველი ეგვიპტე თავის საიდუმლოებებს, მაგრამ, როგორც ჩანს, დადგა დრო, უძველესი მანუსკრიპტები და ხელნაწერები ალაპარაკებულიყვნენ, ნათელი მოეფინათ აქამდე უცნობი საიდუმლოებებისათვის. ფარაონის ცილინდრები და მათი გამაჯანსაღებელი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ერთ-ერთი საიდუმლოა, რომლის ამოცნობითაც XX საუკუნის ბოლომ დაგვასაჩუქრა.**



## ცილინდრების მოქმედების პრინციპები

**მედიკოსთა შეხედულებები.** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ა. ნიკულინმა გამოიკვლია ფარაონის ცილინდრების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედება და შემდეგი დასკვნა გააკეთა: „ადამიანის ორგანიზმში რაიმე სახის პათოლოგიის არსებობისას შეინიშნება სხეულის დაავადებული ადგილების ტემპერატურული ასიმეტრია ჯანმრთელთან მიმართებაში. ხელებში ჩაბღუჯული ცილინდრები ათანაბრებს პათოლოგიურ თერმოასიმეტრიას, რაც მათ სამკურნალო ზემოქმედებაზე მეტყველებს".

საინტერესოა გაჯანსაღების ექსპერიმენტების შედეგები, რომლებიც ონკოლოგიურ ცენტრში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის წამყვანმა სპეციალისტმა მ. ა. ბლანკომ ჩაატარა. დოქტორი ბლანკო ასეთ კომენტარს აკეთებს:

„არსებობს უჯრედის სასუნთქი ტალღების დამახასიათებელი პარამეტრი. ონკოლოგიური დაავადება ორგანიზმში აწევება ამ სასუნთქ ტალღებს, ფარაონის ცილინდრები კი, პირიქით, ამ პარამეტრს აუმჯობესებს. მაგრამ კიბო სერიოზული ბასტიონია. ცილინდრებს კი პროფილაქტიკური დახმარება შეუძლია: **იქ, სადაც კიბო დამღუპველად მოქმედებს, ფარაონის ცილინდრები მდგომარეობის გამოკეთებას ცდილობს** ".

**ბიოფიზიკოსთა შეხედულებები.** ცილინდრებს შორის არსებული პოტენციალების კონტაქტურ სხვაობას ორგანიზმი გადაჰყავს სხვა, შედარებით „მაღალ" ენერგეტიკულ მდგომარეობაში, რომლის დროსაც ორგანიზმში უფრო აქტიურად მიმდინარეობს აღდგენითი პროცესები, რაც სხეულის ჰარმონიულობას უწყობს ხელს. ეს ეფექტი ჰალვანოთერაპიის, მეტალოთერაპიისა და არსებული ფიზიკური ველების (რომელსაც ცილინდრები წარმოშობს) ერთობლიობით მიიღწევა და ხელისგულების ბიოაქტიური წერტილების საშუალებით გამაჯანსაღებლად მოქმედებს ორგანიზმზე.

**ექსტრასენსთა და პარაფსიქოლოგთა შეხედულებები.** ბევრი ექსტრასენსის შეხედულება ერთმანეთს ემთხვევა შემდეგ საკითხში: ცილინდრები ადამიანის ხელში ორ ენერგეტიკულ სვეტს წარმოქმნის, რომელთა მეშვეობით კოსმოსიდან იღებს ენერგიას, რომელიც ცირკულაციას აკეთებს ორგანიზმში, ასუფთავებს მას და სხეულის გარშემო ექსტრასენსული ზემოქმედებისათვის გაუმტარ დამცავ ენერგოველს წარმოქმნის.

ცნობილმა ექსტრასენსმა ვ.ბ. პოლიაკოვმა, როცა პირველად აიღო ხელში ცილინდრები, თქვა: **„მე დიდი ხანია, ლითონებთან, მინერალებთან ვმუშაობ, მაგრამ ეს ყველაზე საუკეთესოა, რაც მე ხელში ოდესმე მჭერია".**

პოლონელი მკვლევარ-ფსიქოლოგის ტ. სენკოვსკის დასკვნის თანახმად, ცნობილია, რომ მთვარის ცილინდრს აქვს თბილი, სამკურნალო აურა, ხოლო მზისას — ქათქათა, სუფთა აურა.

რუსი და სხვა უცხოელი ექსტრასენსების აზრით, ფარაონის ცილინდრები ადამიანის სხეულის გარშემო წარმოქმნის მჭიდრო ენერგეტიკულ გარსს — გაუმტარს „საინფორმაციო" და „ენერგეტიკული" ვამპირების თვალისა და სხვა ცუდი ზემოქმედებისათვის.

**ციგუნის, იოგის სპეციალისტთა შეხედულებები.** ცილინდრების ზემოქმედება აძლიერებს „ცის" („პრანები") ენერგიის მოძრაობას ენერგეტიკულ არხებში.

„ცის" გაძლიერებული მოძრაობის წყალობით აქტიურად იწმინდება პათოლოგიურად გამურული („დანაგვიანებული") არხები, რის შედეგადაც ორგანოებს შორის ჯანსაღი ენერგეტიკული ბალანსის აღდგენა ხდება. „ცის" გაძლიერებული მოძრაობა იწვევს ხელის თითების ლებების დაბუჟებასა და ხელისგულის ცენტრებსა და ტერფებში პულსაციის შეგრძნებას. გამურული არხების გაწმენდის პროცესმა კი შესაძლოა, შეგრძნებათა საკმაოდ ფართო სპექტრი გამოიწვიოს, რომელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ვიბრაცია, წნევა ან სხეულის განსაზღვრულ ადგილებში ხანმოკლე ტკივილის შეკავება მოთმენამდე, ყურებში წივილი, მსუბუქი თავბრუსხვევა. ენერგობალანსის აღდგენასთან ერთად ეს შეგრძნებები ქრება.

ფარაონთა ცილინდრების რეგულარული გამოყენება მთელი რიგი წესების დაცვით ყოველდღიურ ცხოვრებაში ამაგრებს და აძლიერებს ენერგოპოტენციალს და განაპირობებს ზეშესაძლებლობების ჯანმრთელი და ზნეობრივად წმინდა ადამიანის განვითარებას.

„გამოცდის პირველსავე წუთზე ადამიანს, რომელსაც ცილინდრები უჭირავს, ალენიშნება გულისცემის ტალღა მარცხნიდან მარჯვნივ. მეორე წუთიდან რეგისტრირდება სისხლძარღვების სისხლით შევსება, რომელსაც მკვლევარებმა „ძარღვების სტადია" უწოდეს. მესამე წუთზე მატულობს ინფრაწითელი გამოსხივება მარჯვენა ზედა დაბოლოებიდან, ხოლო მეხუთე წუთზე სითბური ველები დაბოლოებებზე თანაბრდება.

ამ ცვლილებათა კვალობაზე ორგანიზმში აღინიშნება საერთო აქტიურობის ამაღლება, პულსის წუთში საშუალოდ 8-10 დარტყმით გახშირებით.

მეორე წუთისთვის, ასევე, რეგისტრირდება ხერხემლის, კისრისა და მკერდის მიდამოების გათბობა ინფრაწითელი გამოსხივების ამაღლებით. ამგვარად, პროცესში ჩართულია მთელი ვეგეტატიური ნერვული სისტემა და ადგილი აქვს მთელი სხეულის ქსოვილის ენერგეტიკულ აქტივაციას.

შედეგად — ცხრება თავის ტკივილი და ნორმისკენ იხრება სისხლის წნევა" (ცდის ოქმიდან).

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის კ. გ. კოროტკოვის მთელმა რიგმა მიზნობრივმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ ფარაონის ცილინდრები მნიშვნელოვნად ამაღლებს დიაგნოსტიკის სიზუსტეს.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის მ. ა. ბლანკოს მიერ ჩატარებულ მთელ რიგ მიზნობრივ ექსპერიმენტებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ცილინდრების ზემოქმედება ორგანიზმში ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც ორგანიზმს თავად უადვილდება თავის დაავადებებთან და პრობლემებთან გამკლავება. მ. ბლანკი თვლის, რომ ცილინდრები შეიძლება რეკომენდირებულ იქნას როგორც პროფილაქტიკური საშუალება იმ ადამიანთა ტრანსკონტინენტური სინდრომის დროს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ერთი სასაათო სარტყლიდან მეორეში მათ ხშირ გადაადგილებასთან (ესენია: მფრინავები, სპორტსმენები, ტურისტები, შორი რეისების მძღოლები...). ასეთ დროს ორგანიზმის შიგა და გარე მუშაობის რეჟიმების დესინქრონიზაცია იწვევს მოდუნებას და თავის ტკივილს.

ფარაონის ცილინდრების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა ჯერ კიდევ 1993 წლის დეკემბერში თანამედროვე აპარატურითა და ორიგინალური მეთოდით დაიწყო.

ფარაონის ცილინდრების გამოყენების პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ადამიანზე მათი დახმარების სპექტრი გაცილებით უფრო ფართოა. ასე მაგალითად, ხელსაწყო „ბიოლოგოსით" მკვლევარ ე.ა. კოვალევის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყო ცილინდრების დადებითი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმის შემდეგ სისტემებზე:

1. ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე (მაჩვენებელი 2-ჯერ გაუმჯობესდა);
2. ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე (მაჩვენებელი 2-2,5-ჯერ გაუმჯობესდა);
3. ენდოკრინულ სისტემაზე (მაჩვენებელი 2-2,5-ჯერ გაუმჯობესდა);
4. ჰუმორალურ იმუნიტეტზე (მაჩვენებელი 2-2,5-ჯერ გაუმჯობესდა);
5. შარდსასქესო სისტემაზე (მაჩვენებელი 2-ჯერ გაუმჯობესდა).

ცილინდრების ზემოქმედების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ორგანიზმში ენერგოინფორმაციის გადანაწილება, ე.ი. ორგანიზმში მიმდინარეობს ჰარმონიზაციის პროცესი. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ფარაონის ცილინდრებს აქვს უკუჩვენებაც. კერძოდ, არ არის რეკომენდებული მათი გამოყენება ფეხმძიმობის, ეპილეფსიის, შიზოფრენიის, ასევე, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზემოქმედებისას.

ამასთან, არ შეიძლება ცილინდრებისთვის ადგილის შეცვლა: ისინი ერთდროულად უნდა აიღოს ხელში ადამიანმა — მარჯვენა ხელით — მთვარის, ხოლო მარცხენათი — მზის ცილინდრი.









## შეგრძნებები ფარაონის ცილინდრების გამოყენებისას

ცილინდრების ზემოქმედებისას ადამიანების შეგრძნებებზე დაკვირვებით ვ. პ. კოვტუნი მივიდა დასკვნამდე, რომ შეგრძნებათა ხასიათიდან გამომდინარე მათ შორის შესაძლებელია ოთხი ძირითადი ჯგუფის გამოყოფა:

ისინი, ვინც **არაფერს გრძნობს.** როგორც წესი, ესენი ჯანმრთელი, გაწონასწორებული ადამიანები, ძირითადად, მამაკაცები არიან. ამ ჯგუფს განეკუთვნებიან, ასევე, დაბალი მგრძნობელობის ადამიანები. მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ხალხი, რომელსაც ხელში ეს საოცარი ნივთები უჭირავს, მიუხედავად შეგრძნებებისა, ემორჩილება ცილინდრების გამაჯანსაღებელ ზემოქმედებას;

ისინი, ვინც **სუსტად გრძნობს.** ამ ჯგუფის წარმომადგენლები გრძნობენ სითბოს ან სიგრილეს, ხელებში პულსაციას, სუსტ ჩხვლეტებს, ზოგჯერ — პულსის გახშირებას, იშვიათად — თავბრუსხვევას;

ისინი, ვინც **ძლიერად გრძნობს.** ამ მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნებიან მოზღვავებული ენერგიის ადამიანები. ზოგიერთი მათგანი სიმაღლისკენ დაუოკებელ სწრაფვას განიცდის, თითქოს მთელი სხეული აფრენას ლამობდეს, გრძნობს არაჩვეულებრივ სიმსუბუქეს და კარგ განწყობაზეა.

ისინი, ვისაც **ცილინდრებთან დამოკიდებულება რაღაც უმაღლეს დონეზე** აქვს. ასეთები ძალზე ცოტანი არიან. როგორც წესი, ეს მიზანდასახული, შინაგანი სულიერი განცდების დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები არიან. ამასთან, მათ ყოველთვის როდი შეუძლიათ თავიანთი შეგრძნებების აღწერა. ზოგჯერ წარმოიშობა ნათელი, ფერადი, წუთიერი მოჩვენებანი, ხოლო სხვა შემთხვევაში — დგება სიმშვიდე და ღამღამობით ისინი არაჩვეულებრივ სიზმრებს ხედავენ.

პრაქტიკულად ამ ჯგუფის ყველა წარმომადგენელი ლაპარაკობს რაღაც შეძენილ შინაგან გამოცდილებაზე ცილინდრებთან ურთიერთობაში, რომელიც ძნელია, განსაზღვრო. ამ ჯგუფს აღენიშნება „წვა" „მესამე თვალის" რაიონში ან თავის თმიან ადგილას.

მოამზადა
**დარეჯან ანდრიაძემ**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ზედაზნის მიდამოები

## საგურამო



საგურამოს „ღვთისმშობელი"

**ისტორიული თიანეთის შემდეგ, მკითხველს სამოგზაუროდ ვეპატიჟებით კახეთ-კუხეთის კიდევ ერთ პროვინციაში, რომელსაც გვიანშუასაუკუნეებში საგურამო ეწოდა. მანამდე ეს პროვინცია ორ მიკროქვეყანას წარმოადგენდა: ხერკი და გრდანი. მათი ერთ სათავადოში გაერთიანება მოხდა 1511 წელს, როცა ეს მიწები გვარამ ზევდგინიძეს უწყალობა კახეთის მეფე ალექსანდრე პირველმა და ორსავე ხეობას „უწოდებენ საგურამოს... გურამიანთა გამო", — გვეუბნება ბატონიშვილი.**





ბზიანას კომპლექსი



თავდაპირველად, რაკი მოგზაურობა უძველეს ხერკში მოგვიხდება, მისი საზღვრებიც დავადგინოთ. ვახუშტის განმარტებით მას ესაზღვრება: **„აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისი; სამხრით მთა ზედაზნისა; ჩრდილოთ ნოკორნა ბოკოწანს შორის გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდამ არაგვამდე; დასავლით არაგვი".** ხერკის მთავარი მდინარეა თეზამი. ახლა ხერკის წარმომავლობაც გავარკვიოთ. „ქართლის ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ როცა **„ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუევნა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა, მისცნა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის".**

სოფელი საგურამო, რომელიც უძველეს ხერკშია, დიდი საგურამოს ცენტრი და მისი მფლობელი გურამიშვილების რეზიდენცია იყო მხოლოდ. სოფლის მიმდებარე სანახებში მეგზურობა აქაურობის კარგ მცოდნეს, ადგილობრივ მკვიდრს მევლუდ უნდილაშვილს ვთხოვეთ. თავად სოფლის ტერიტორიაზე ორი ძველი ეკლესიაა: ერთი — სოფლის შესასვლელში, რომელსაც რატომღაც „ყვავის საყდარი" ჰქვია, მერე — სტაროსელსკების სასაფლაოსთან. ეს უკანასკნელი XII საუკუნის ღვთისმშობლის ტაძარია.

„ღვთისმშობელი" დარბაზული ეკლესიაა, ნაგებია რიყის ქვით და აქა-იქ — კონსტრუქციულ ნაწილებში — შირიმის კვადრებით. გასაკვირია ის ფაქტი, რომ ქართული რენესანსის ეპოქაში ისტორიული ხერკის ამ ერთ-ერთ ცენტრში ტაძრის მშენებლობაში სუფთად გათლილი ქვა არ არის გამოყენებული. საყდარს სამხრეთიდან მისი თანადროული მინაშენი ჰქონია, რომლისგანაც დღეს უმნიშვნელო ნაწილია შემორჩენილი. ეკლესია შიგნიდან შელესილია, რაც იმის მაუწყებელია, რომ მოხატულიც ყოფილა. რაიმე განსაკუთრებული ნიშნები ძეგლს არ აქვს.

მართალია, სანახევროდ დანგრეულია, მაგრამ უფრო საინტერესოა და ძველიც ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმიდან სამხრეთით, დაახლოებით 3 კილომეტრში, ხშირ ტყეში, შემონახული ერთმანეთზე მიდგმული ორი ტაძარი. სამხრეთი ნაგებობა ძალიან პატარაა, მაგრამ ძალიან ძველიც — დაახლოებით VIII-IX საუკუნეებისა. სამლოცველო ნაგებია კარგად გათლილი რუხი, ყვითელი და ღვინისფერი ქვიშაქვის მოზრდილი კვადრებით, თაღებში კი გამოყენებულია ნატეხი ქვა და ბრტყელი აგური, რომელიც კახეთის ხუროთმოძღვრებაში ადრეული ხანიდან შემოდის. ამ პატარა საყდარს, რომელსაც ერთადერთი შესასვლელი დასავლეთის არქიტრავული კარიდან აქვს, კამარა სრულიად ჩამორღვევია და შესასვლელი სანახევროდ ამოუქოლავს. ქვის ამ სამლოცველოს ჩრდილოეთიდან მიდგმული აქვს ორი ამხელა მოცულობის, IX-X საუკუნეების სამეკლესიანი ტაძარი. მისი აფსიდი, ამ ეპოქისათვის მოულოდნელად, ჯერ კიდევ ნალისებრია. საყდარი, რომელიც აგურითაა ნაგები, ძალიანაა დანგრეული. მცირე ეკლესია წმიდა გიორგის სახელობისაა, დიდი ეკლესია — ღვთისმშობლისა. არ დაგავიწყდეს: ეს ის ეპოქებია, როცა საქართველოში არაბთა და ხაზართა წინააღმდეგ ომია გაჩაღებული, მაგრამ კახეთის სამთავრო ძალიან მედგრად იბრძვის და მომხვდურს მცხეთაში და არაგვსაღმა, აღმოსავლეთით, არ აჭაჭანებს. რომ არა კახეთის მთავართა ასეთი თავდადება, ვინ იცის, ოდესმე მოხდებოდა თუ არა საქართველოს აღორძინება. ამ პერიოდში, როგორც ირკვევა, კახეთის ფეოდალები დიდ სამონასტრო მშენებლობებსაც ეწეოდნენ და გარდამავალი ხანის უამრავი საინტერესო ძეგლი დაგვიტოვეს.

ამავე ეპოქის კიდევ ერთი კომპლექსის სანახავად საგურამოდან სოფელ შანკევანში მივემგზავრებით, საიდანაც დასავლეთით 1 კილომეტრში, ხევს გაღმა წამომართულ ბორცვზე ავდივართ. აქ ადრე, ვახუშტის რუკის მიხედვით, მგონი, სოფელი **ძველი ღურო** მდებარეობდა, ახლა კი დაბურული ტყეა. სწორედ აქ, ბზის ბუჩქების კორომში, დგას ბედთან მებრძოლი ორი ისეთი ტაძარი, რომლებიც თანაგრძნობითა და მოკრძალებით ავსებთ. ერთ-ერთი მათგანი ქვიშაქვის დიდი კადრებითაა ნაგები. მისი კედლებისათვის კარგა ხნის წინათ რკინის სალტეები შემოურტყამთ, მაგრამ ეს რა გამოსავალია... კამარა სრულიად მორღვეული აქვს ტაძარს, კედლები — უზომოდ დაბზარული და გადაქანებული. მძიმე მდგომარეობაშია მისივე თანადროული ჩრდილოეთის მინაშენი, რომელიც, თავის მხრივ, ორ სათავსოდაა დაყოფილი... არქიტრავული კარი, ნალისებრი თაღები და აფსიდი, პროფილირებული და მარტივსამკაულიანი იმპოსტები... ჩვენს წინაშეა 13 საუკუნის წინანდელი ხუროთმოძღვრის მშვენიერი შემოქმედება, რომელსაც ჩვენს ეპოქაში უწერია სიკვდილი. ჩვენი ეპოქა ვთქვი და გულმა რეჩხი მიყო. ამასწინათ კვლავ მოვისურვე ბზიანას უნიკალური კომპლექსის ნახვა და როგორც გავარკვიე, თითქმის, არცერთმა საგურამოელმა არ იცის ყურისძირში მდგარი საყდრის არსებობა. არადა, ამ ეკლესიის მსგავსი ტაძარი — ზესტაფონის რაიონის ტაბაკინის ეკლესია, ახლახან აღადგინეს... „ბზიანამ" რაღა დააშავა? იქვე, ამ ტაძართან, დგას მეორე საყდარიც — აგურით ნაშენი „წმინდა გიორგი", რომელიც მოხატული ყოფილა. იგი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია. XII საუკუნის შვერილაფსიდიანი ტაძრიდან ბევრი აღარაფერია გადარჩენილი (ბზიანას კომპლექსის ქვის ტაძრის ზომებია 10,3X7,8 მ, აგურის ნასაყდრალისა — 11,9X5,7 მ).

ტყეს დადარდიანებულები ვტოვებთ და ზედაზნისაკენ მივემართებით. გზაზე ერთ-ერთი ჩვენი თანამგზავრი თავს ვერ ერევა და აღშფოთებას ვერ მალავს:

— ფარისევლები არიან უმეტესი მდიდრები...

გაოცებულნი შევყურებთ,

— რატომ? — ჰკითხავს უნდილაშვილი.

— იმიტომ, რომ ასეა... აბა, ნახეთ, რა სრა-სასახლეები წამომართეს საგურამოში, რა გალავნები შემოარტყეს, რა საცურაო აუზები მოიწყეს, ბზიანას ეკლესიები კი აინუნშიც არ მოსდით.

— სანაცვლოდ, აგერ, შიგ საგურამოში, ააგეს ახალი, ჩინებული გუმბათიანი ტაძარი...

— ახალი ეკლესია ღვთის სიყვარულზე მეტად პირადი განდიდებისთვის უფრო ააშენეს, საკუთარი ავტოგრაფი სურთ, დაადონ ისტორიის ფურცელს. ასეთი ტაძრები XXI საუკუნის ფსევდოფეოდალების კარის ეკლესიებსა ჰგავს. ძველებს ექიშპებიან, ის კი ავიწყდებათ, რომ მაშინ, სანამ თავიანთ მამულში ახალ ტაძარს ააგებდნენ, მანამდე ძველს აღადგენდნენ ხოლმე. ამათ რომ ტყეში ჩაკარგული ბზიანას ეკლესიები აღედგინათ, შორიდან როგორ მოაწონებდნენ თავს მტერ-მოყვარეს, ან სალოცავად ასე შორს როგორ ივლიდნენ? გახსოვთ, რას ამბობს უფალი? — ერიდეთ სიმართლის კეთებას ადამიანთა თვალწინ, მათ დასანახად, თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს თქვენი ზეციური მამისაგანო.

...ზედაზენზე თოვლი დევს. ზამთარში აქამდე არასდროს მენახა იგი. რა მშვენიერი ყოფილა. ეზოს ერთ კუთხეში წყვილი ცხვარი თივას იცოხნის... ზარების რეკვა გაისმის. მორჩილები და სტიქაროსნები ჭიშკართან ეგებებიან მამა საბას — მონასტრის წინამძღვარს... გუნება გამოგვიკეთდა, სანთლებს ვანთებთ და ვლოცულობთ.

გარეთ გამოსული ხის ქვეშ ვჯდები და ვფიქრობ:

აქ ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნის მიწურულს **„მჭვრეტელად არაგვისა, მუხნარისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა აღაშენა ციხე დ (მე-4) მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი და ამითა ეწოდა მთასა ამას ზედაზენი",** — წერს ვახუშტი ბატონიშვილი, რითაც ნაწილობრივ იმეორებს ლეონტი მროველის ნათქვამს.

სიტყვა „ზედაზენი" თუ ზედა ზადენს ნიშნავს, მაშ, ქვედა ზადენიც უნდა ყოფილიყო...

— ბატონო მევლუდ, — მივმართავ ჩვენს მეგზურს, — ამ მთის ძირში არის თუ არა რომელიმე ძველი სამლოცველო?

— როგორ არა, ქასური საყდარი ჰქვია. ქასური ქვის სახეობაა, ქვიშაქვის მსგავსია. სწორედ ასეთი ქვითაა ნაგები ის უძველესი საყდარი.

— რომელი საუკუნისაა?

— მეექვსესი ...თათას საყდარიც ჰქვია.

საყდრისაკენ ვეშვებით. თოვლი მოყინულია, მანქანა სრიალებს და ღმუის. მე ისევ ისტორიის სიღრმეში წამიყვანეს ფიქრებმა. „ცხოვრებაი წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისაის" ბოლოში წერია: **„ერთმან მოწაფეთაგანმა სახელით თათა, ქუეშე ძირსა მის მთისასა აღაშენა მონასტერი..."** ისევე, როგორც მთის თხემზე აგებული ეკლესიის ადგილზე იდგა ადრე ზედაზნის წარმართული კერპი და საზორავი, ჩანს, მთის ძირშიც იქნებოდა მისი მსგავსი საზორავი — „ქვედა ზადენი", სადაც, ასურელ მამათა მოღვაწეობის წესის თანახმად, კერპს შემუსრავდნენ და ქრისტიანულ ტაძარს ააგებდნენ.

თათას, იგივე თადეოზ სტეფანწმინდელის, მიერ აგებული საყდრიდან დღეს მხოლოდ 1,5-2 მეტრის სიმაღლის კედლებია შემორჩენილი. ამ სამეკლესიანი ტაძრის ნაშთები საგურამოდან ზედაზნისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს დგას და ადგილობრივებში წმიდა გიორგის ეკლესიის სახელითაა ცნობილი. იგი ზედაზნის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაზე ადრეა აგებული და თავად იოანე ზედაზნელიც აქ იყო დაკრძალული თავდაპირველად. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მის ცხოვრებაში ზედაზენზე ეკლესია არ აგებულა და იგი იმთავითვე პატარა გამოქვაბულში ქადაგებდა. მცირე ეგვტერი იოანეს გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ აიგო, ხოლო მოზრდილი ტაძარი — VIII საუკუნის მესამე მეოთხედში, კათალიკოს კლემენტოსის მიერ.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**



იოანე ზედაზნელის მღვიმე



ქასური (თათას) საყდარი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სარატოვის გუბერნატორი ალექსი დავითის ძე ფანჩულიძე



**ამ გუბერნატორის სახელი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია სარატოვის მხარის თანამდებობის პირთა გრძელ სიაში. ადგილობრივი ხელისუფლების საჭესთან უპრეცედენტოდ დიდხანს ყოფნით მან ბევრი კარგი რამის გაკეთება შეძლო ქალაქისა და მთლიანად სარატოვის მხარისათვის. მისი მმართველობის პერიოდში შეიქმნა ქალაქის განაშენიანების გეგმა; გაიხსნა გიმნაზია; თეატრისათვის აშენდა შენობა, ჩამოყალიბდა დასი, ორკესტრი; საფუძველი ჩაეყარა გუბერნიის ტიპოგრაფიას...**



ალექსი დავითის ძე ფანჩულიძე წარმოშობით იმერელი აზნაურის არც თუ მდიდარი ოჯახიდან იყო. მამამისი — დავითი 1738 წელს გადასახლებულა საქართველოდან რუსეთში და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად და რწმენით ემსახურებოდა მას. ცნობილია, რომ იგი 1782 წელს ჩავიდა სარატოვში და მუშაობა დაიწყო სარატოვის სამოქალაქო პალატის მრჩევლის თანამდებობაზე. მისი სამი ვაჟიდან (სამივე რუსეთის სიამაყეს წარმოადგენს) სარატოველები იცნობენ მხოლოდ მის უფროს ვაჟს ალექსი დავითის ძეს.

ალექსი ფანჩულიძე დაიბადა 1758 წელს. თავისი კარიერა, ოჯახური ტრადიციისამებრ მანაც სამხედრო სარბიელზე გამოსვლით დაიწყო, მაგრამ 1784 წელს სუსტი ჯანმრთელობის გამო სამხედრო სამსახურიდან წასვლა მოუხდა. მისი სამხედრო კარიერა პოდპორუჩიკის წოდებით დასრულდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სარატოვში ალექსი მაშინ გამოჩნდა, როცა იქ მამამისი იმყოფებოდა.

ალექსი დავითის ძეს სოფ. ბესონოვკაში (სარატოვის გუბერნიაში) მამული ჰქონდა 198 სული ყმაგლეხით. ასევე, ქალაქ სარატოვში მას ეკუთვნოდა დიდი ქვის სახლი, რომელიც შემდგომ ქალაქს მიჰყიდა გიმნაზიისათვის; ქალაქგარეთ ფლობდა დიდ კარ-მიდამოს, რომელიც დაახლოებით 1813-1814 წლებში იყო აგებული. ამ არაჩვეულებრივი ციხესიმაგრის კეთილმოწყობის სამუშაოებზე მუშაობდნენ ფრანგი ტყვეები, რომლებიც სარატოვში 1812-1814 წლების საომარი კამპანიის დროს იმყოფებოდნენ. ეს კარმიდამო ქალაქის ამჟამინდელ კულტურის და დასვენების პარკის ადგილას მდებარეობდა. XX საუკუნის ბოლოს ამ ადგილას მადლიერების ნიშნად და გუბერნატორის სახელის უკვდავსაყოფად მისი ბიუსტი დადგეს.

1808 წელს გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნის მომენტისათვის ფანჩულიძე უკვე ზრდასრული ადამიანი და გამოცდილი ადმინისტრაციული მუშაკი გახლდათ. ის უკვე 50 წლის იყო და, ამასთან, მანამდე 7 წელი ვიცე-გუბერნატორად მსახურობდა. ალექსი დავითის ძის გუბერნატორად დანიშვნის ინიციატორი იყო სენატორი ო.პ. კოზოდავლევი, რომელიც 1808 წელს განსაკუთრებული უფლებამოსილებით შავი ჭირის სწრაფად ლიკვიდაციის მიზნით ჩავიდა სარატოვში და რომელიც მაშინდელ ვიცე-გუბერნატორთან — ფანჩულიძესთან ერთად მოქმედებდა; მასთან ერთობლივი საქმიანობით სენატორი დარწმუნდა, რომ ამ კაცისათვის მხარის მართვის ნდობა შეიძლებოდა.

გუბერნატორის თანამდებობაზე ფანჩულიძის მოღვაწეობა მრავალფეროვანი შეიქნა. იგი ყველა სფეროს შეეხო, მაგრამ, მათ შორის, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის საქმეები, რომლებმაც მას სახელი გაუთქვა არა მარტო თანამედროვეთა შორის, არამედ სარატოველთა მომდევნო თაობებშიც.

**პირველი და ყველაზე მთავარი, რასთანაც ისტორიულად შეიძლება ალექსი დავითის ძის სახელის დაკავშირება, ესაა სარატოვში ალექსანდრე ნეველის საკათედრო ტაძრის აღმართვა „რწმენის, მეფისა და მამულისათვის ბრძოლებში დაცემული მეომრების ხსოვნის უკვდავსაყოფად“.**

„ეს ტაძარი თაობიდან თაობას ექნება როგორც მონუმენტი სარატოველთა გულმოდგინებისა უფლისა და მეფის მიმართ, ჩვენსკენ გზა რომ გადაუღობა ყველაზე მტაცებელ მტერს კაცობრიობისას, რომელსაც ყველა ძალა ჰქონდა მოკრეფილი საიმისოდ, რომ რუსეთის დაცემით დაესრულებინა მთელი ევროპის დამონება“.

გუბერნატორის ამ ცნობილ მოწოდებას ის მოჰყვა, რომ ტაძრის ასაგებად საჭირო თანხა სასწრაფოდ შეიკრიბა.

**მეორე უმნიშვნელოვანესი დამსახურება ალექსი დავითის ძისა ქალაქის და მხარის წინაშე იყო მისი უშუალო ინიციატივა და მონდომება სარატოვში ვაჟთა გიმნაზიის დასაარსებლად.**

ახალი სასწავლო დაწესებულების გასახსნელად, პირველ რიგში, საჭირო იყო შენობა, რისთვისაც მან თავისი სახლი დათმო შესაბამისი თანხის სანაცვლოდ, რასაც მითქმა-მოთქმა მოჰყვა, მრავალრიცხოვანი ოპონენტები გუბერნატორის ანგარებიანობაზე საუბრობდნენ... ასე თუ ისე, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება — ამ იდეის ძალიან მოკლე დროში აქტიური გამტარებელი ფანჩულიძე გახლდათ. ყველა ორგანიზაციული საკითხი მისი მონაწილეობით წყდებოდა.

1820 წლის 30 აგვისტოს მოეწყო გიმნაზიის საზეიმო გახსნა, სადაც გუბერნატორმა თბილი სიტყვა წარმოთქვა. ეს იყო პირველი საშუალო სასწავლო დაწესებულება სარატოვში, რომელიც თანდათან სახალხო განათლებისა და აღზრდის მნიშვნელოვან კერად იქცა. ამ გიმნაზიის როლი სარატოვის ცხოვრებაში აუწონავია. მის კედლებში უამრავი ცნობილი პიროვნება აღიზარდა.

**არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ალექსი ფანჩულიძის მოღვაწეობას უკავშირდება აქ პირველი თეატრის ჩამოყალიბება,**

რომელიც დასაბამი გახდა შემდგომში ქალაქის მაღალპროფესიული ტრადიციებისა და თეატრალური კულტურისა, რითაც სარატოვი მკვეთრად განსხვავდებოდა რუსეთის სხვა პროვინციული ქალაქებისგან.

საჯარო თეატრალური წარმოდგენების მოწყობის სურვილი ფანჩულიძეს ჯერ კიდევ 1790-იან წლებში გაუჩნდა. როცა მსხვილი მევენახისა და მემამულის გ.ვ. გლადკოვის ქალიშვილზე დაქორწინდა. მან ყმაგლეხებისგან შექმნა საკუთარი თეატრალური დასი. ცნობილია, რომ ალექსი დავითის ძე ყოველთვის უშუალოდ მონაწილეობდა პიესისა და შემსრულებლების შერჩევაში, როლების განაწილებაში, ესწრებოდა რეპეტიციებს.

მალე თეატრალურ გატაცებას სხვა საქმეების გამო დროებით ჩამოშორდა, მაგრამ ჯერ ვიცე-გუბერნატორად, შემდეგ კი გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ იგი საყვარელ საქმეს კვლავ დაუბრუნდა, თავის მამულში ჩამოაყალიბა თეატრი; ხოლო 1820 წელს პურის მოედანზე თეატრის პირველი შენობა ააშენა, რომელიც ხისა იყო და ვიზუალურად თეატრის ნაცვლად უფრო „დიდ ფარდულს ჰგავდა, 300 კაცზე“. მიუხედავად ამისა, მან 50 წელი იარსება. მასში გარკვეულ ხანს აგრძელებდა მუშაობას სამამულე დასი, შემდეგ თეატრი ქალაქის საკუთრება გახდა. დაიმკვიდრა რა აქ თავისი მუდმივი ადგილსამყოფელი, ტერიტორიასაც სახელად „თეატრალური მოედანი“ ეწოდა.

**გადამეტების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ფანჩულიძე ერთ-ერთი მესაძირკვლე გახლდათ სარატოვის თეატრისა, რომელმაც რუსეთში საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ის, ასევე, სათავეში ჩაუდგა გუბერნიის ტოპოგრაფიას.**

ესეც ახსოვთ სარატოველებს.

ა. დ. ფანჩულიძე განთქმული იყო თავისი სადილებითა და ბალებით, რომლებსაც ესწრებოდნენ სარატოვის ოლქში შემავალი მაზრების ჩინოვნიკები, მემამულეები, ვაჭრები, გუბერნატორის კანცელარიის ჩინოვნიკები. გუბერნატორი დიდ კომფორტში ცხოვრობდა. მის სახლს ესაზღვრებოდა მდიდარი ბაღი, ულამაზესი ხეივანი, სადაც ხშირად ეწყობოდა სეირნობები, ნადიმები, ფეიერვერკები.

მიუხედავად ა.დ. ფანჩულიძის უამრავი დადებითი თვისებისა და დამსახურებისა სარატოვისა და მხარის წინაშე, ის ყოველთვის რჩებოდა მიწიერ და ცოდვილ ადამიანად, რომელიც უძლური იყო „ზოგიერთი ცდუნების წინაშე“. მაგრამ მას დიდი გავლენა ჰქონდა პეტერბურგის მმართველ წრეებში და ოპონენტების მცდელობა, ემხილებინათ ქრთამის აღებაში, კრახით მთავრდებოდა. ალექსანდრე პირველის სიკვდილის შემდეგ პეტერბურგშიც ბევრი რამ შეიცვალა, ამჯერად რისხვა არც ა. დ. ფანჩულიძეს ასცდა.

1826 წლის ზაფხულში გუბერნატორის საქმიანობის შესასწავლად სარატოვში სენატორი ნ.ი. ოგარევი ჩამოვიდა. შედეგად სასამართლოს საჭიროდ არ ჩაუთვლია მისი დასჯა, იგი თანამდებობის დატოვებას დააჯერეს და წელიწადში 3ათასი რუბლი პენსია დაუნიშნეს.

ალექსი დავითის ძემ კიდევ რვა წელი იცხოვრა თავის კარმიდამოში, მხოლოდ შინაურების გარემოცვაში, რადგან უკვე ძველებურად ხელგაშლილად ვეღარ ცხოვრობდნენ. ეს ერთგვარად გუბერნატორის ასაკითაც იყო გამოწვეული. ის უკვე 70 წლის გახლდათ.

ა. ფანჩულიძე 1834 წლის 29 ივლისს გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე უამრავი ხალხი შეიკრიბა, რადგან სარატოვში მისი სახელი ძალზე პოპულარული იყო. დაასვენეს მისი ინიციატივით აგებულ ტაძარში, საიდანაც ხელით წაასვენეს ილინის სასაფლაომდე; დაკრძალეს ოჯახის საგვარეულო აკლდამაში. სარატოველები სამართლიანად მიაგებენ პატივს ამ ამაგდარ ადამიანს, რომელმაც სარატოვში მისი 50 წლის მანძილზე ყოფნისას, 18 წელი მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ილვაწა. 18 წელი კი სარატოვის 400-წლიან ისტორიაში არც თუ ისე ცოტაა.

მოამზადა
**დარეჯან ანდრიაძემ**

**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ცხვირის ოპერაცია ქირურგიული ჩარევის გარეშე

**რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებულ ლაზერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შეიმუშავეს ცხვირის პლასტიკური ოპერაციის უახლესი მეთოდი — ქირურგიული მეთოდის, სისხლისა და ტკივილის გარეშე.**



ოპერაცია კეთდება ლაზერით სპეციალური ტექნოლოგიით, რაც უკვე 250 პაციენტზე გამოსცადეს კვლევებში.

შედეგები მყარი და გარანტირებულია. სტატისტიკით დასტურდება, რომ ცხვირის ოპერაციას საჭიროებს პლანეტის მოსახლეობის 10-15 პროცენტი. როგორც ჩანს, საკმაოდ დიდ რაოდენობას აქვს პრობლემა, უმეტესწილად, ოპერაცია აუცილებელია არა მხოლოდ პლასტიკური თვალსაზრისით, არამედ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე: ცხვირით სუნთქვის შეუძლებლობა, გარკვეული დეფექტი და სხვ. თავად რუსეთში ცხვირის კორექციას საჭიროებს დაახლოებით 1 მლნ ადამიანი, მაგრამ ოპერაციას იკეთებს წელიწადში მხოლოდ 80000 კაცი. ეს მეთოდი ყველა დაინტერესებულ პირს ტკივილს შეუმსუბუქებს და ცხვირის სასურველ ფორმას შეუნარჩუნებს.

# მკერდის გაზრდა — ნახევარ წელიწადში



**ინგლისელი მეცნიერების დასკვნით, ქალებს, რომელთაც მკერდის გაზრდა სურთ, მალე ხელოვნური იმპლანტანტი აღარ დასჭირდებათ.**



მათ შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომელსაც ღეროვანი უჯრედის გაფართოებისა და გამრავლების საშუალებით შეუძლია მკერდის გაზრდა.

ეს უნიკალური გამოგონებაა. ამ ტექნოლოგიით, ღეროვან უჯრედებს იღებენ ტანის ცხიმოვანი ნაწილიდან, იმპლანტანტის სახით ჩაინერგება მკერდში და შემდგომში მას შეეზრდება, გადიდდება და გამრავლდება დაახლოებით 7 თვეში. სასინჯი ოპერაციები ამჟამად ლონდონში უტარდება ძირითადად იმ ქალებს, ვინც კიბოს გამო მკერდი საერთოდ დაკარგა. მეცნიერები თვლიან, რომ ეს ოპერაცია მნიშვნელოვანია იმათთვისაც, ვისაც მკერდის გაზრდა სურს და, რაც მთავარია, აღარ დასჭირდება ხელოვნური იმპლანტანტი, ე.წ. სილიკონი, რომელსაც ძალიან ბევრი უკუჩვენება აქვს.

# შუადღის ძილი — დიაბეტის გამომწვევი მიზეზი



**ბირმინჰემის უნივერსიტეტის მეცნიერების დასკვნით, ვისაც დღისით სძინავს, მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი ემუქრება.**

ჩატარებულ კვლევებში 16000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. დადასტურდა, რომ შუადღის ძილი მოსახლეობის 26 პროცენტში ზრდის ამ დაავადების რისკს. შუადღის ძილი ამცირებს ღამის ძილის იმ დროს, როცა უნდა გამომუშავდეს ინსულინის გამოყოფის ხელშემწყობი ჰორმონი. შესაბამისად, თუ ეს ჰორმონი არ გამომუშავდა ძილში, ინსულინის გამოყოფა შეფერხდება და ადამიანი დიაბეტით დაავადდება. მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ დიაბეტის მეორე ტიპის ჩამოყალიბების უმთავრესი მიზეზი გენეტიკა და სიმსუქნისადმი მიდრეკილებაა.

# გახდომა ფოტოაპარატით



**იმისათვის, რომ გახდეთ, გადაიღეთ სურათი ყოველი ჭამის შემდეგ, — გვთავაზობენ ამერიკელი დიეტოლოგები. ფოტოზე ნათლად დაინახავთ, რომ თქვენ ისევ მსუქანი ხართ და მომავალ ჭამამდე ფსიქოლოგიურად ისე მოემზადებით, რომ რაც შეიძლება ნაკლები მიირთვათ.**

„ფოტოდღიურში“ ყოველდღე ჩახედვა დაგეხმარებათ საუზმის რაციონის შერჩევაში, ხოლო თუ მაინც გემრიელ და მსუყე სადილს მიირთმევთ, ამის შემდეგ გადაღებული ფოტო დაგანახებთ საკუთარ თავს და შეგრცხვებათ წუთიერი გატაცების.

ამ მეთოდით მიმდინარე კვლევებით, მოხალისეებმა წონაში საგრძნობლად დაიკლეს.

# მურაბა კიბოსგან დაგიცავთ

**ინგლისის კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევით დასტურდება, რომ მურაბის ზომიერად მირთმევა იცავს ადამიანს ონკოლოგიური დაავადებებისაგან.**

ამ დასკვნამდე მეცნიერები მიიყვანა მურაბის უნიკალურმა შემადგენლობამ (**პექტინი, გალექტინის ცილა-3**), რომელიც ავთვისებიანი უჯრედის დაბლოკვას უწყობს ხელს და აჩერებს მის ზრდას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მურაბის დიდი რაოდენობით მირთმევა სრულიად უვნებელია, თუმცა შეიძლება წონაშიც მოიმატოთ, თუ ბევრს არ იმოძრავებთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პექტინი არის ახალი ხილის — ვაშლის, ფორთოხლისა და ყურძნის შემადგენლობაშიც.



# წიგნის კითხვა სტრესს ხსნის



**ამერიკელი მეცნიერების უკანასკნელი კვლევებით დასტურდება, რომ სტრესის მოსახსნელად საუკეთესო საშუალებაა წიგნის კითხვა.**

კვლევებში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა. შედეგი სახეზეა — კითხვის შემდეგ მოხალისეს პულსი ნორმალური გაუხდა და გულის მუშაობაც გაუუმჯობესდა.

წიგნის კითხვა სტრესს ხსნის 100-დან 68 შემთხვევაში, შემდეგ მოდის მუსიკით სტრესის მოხსნა — 100-დან 61 შემთხვევაში, სეირნობით — 100-დან 42 შემთხვევაში.

**მედიკამენდით სტრესის მოხსნა მხოლოდ 100-დან 12 შემთხვევაში ხდება!!!**

კვლევის ავტორების რჩევით, ნერვების დასამშვიდებლად საკმარისია ნებისმიერი ჟანრის თქვენთვის მისაღები წიგნის წაკითხვა.

ამ მეთოდით ნერვული სისტემა მუდამ წესრიგში გექნებათ!

# ახალმა ონკოლოგიურმა პრეპარატმა რევოლუციური გარდატეხა მოახდინა მსოფლიო მედიცინაში



**ონკოლოგიაში დღეისათვის ძუძუს კიბო პირველ ადგილს იკავებს. მაჩვენებლების მიხედვით, მან ბოლო 20 წლის განმავლობაში 64 პროცენტით მოიმატა. მსოფლიოში ამ დაავადებით ყოველწლიურად 1 მილიონი ქალი კვდება.**

დღესდღეობით ევროპაში ყველაზე მეტი სიკვდილიანობა გერმანიასა და ინგლისშია, ხოლო დაავადების უფრო მეტი შემთხვევა — ნიდერლანდებში, შვედეთსა და საფრანგეთში.

დაავადების განკურნების საუკეთესო მეთოდად ჰორმონოთერაპია ითვლება, რადგანაც მიჩნეულია, რომ ქალის ჰორმონი ესტროგენი ხელს უწყობს სიმსივნის ზრდას. ამდენად, ანტიესტროგენური პრეპარატები, ძირითადად, ოპერაციისშემდგომი მკურნალობის დროს გამოიყენება.

ამჟამად ძუძუს კიბოს მკურნალობისათვის შეიქმნა ანტიანგიოგენური პრეპარატები, რომელთაც რევოლუციური გარდატეხა მოახდინა მედიცინაში. ისინი სიმსივნის ბლოკირებას ახდენს და აჩერებს მის ზრდას, რის შემდეგაც სიმსივნე, ფაქტობრივად, კვდება. პრეპარატის გამოყენება საუკეთესო შედეგს იძლევა ფილტვის, თირკმლისა და სწორი ნაწლავის მკურნალობის დროსაც. დღეისათვის ანტიანგიოგენური პრეპარატები უდიდესი მიღწევაა. თუ რამდენად ხელმისაწვდომია იგი პოსტსაბჭოთა ქვეყნის პაციენტებისათვის, მოვუსმინოთ რუსეთის ნ. ბლოხინის სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილეს, აკადემიკოს **მიხეილ ლიჩინიცერს:** „ამჟამად ონკოლოგიაში ანტიანგიოგენური პრეპარატები ყველაზე დიდი მიღწევაა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში პაციენტები მას თავად არ ყიდულობენ, რუსეთში ის პაციენტთა მხოლოდ 10 პროცენტს მიეწოდება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს მსოფლიო ჯანდაცვა პაციენტთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როგორ იზრუნებენ ქვეყნები სადაზღვევო პროგრამით თავიანთ მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე“.

## კიბოს რისკი დამოკიდებულია სისხლის ჯგუფზე

პანკრეასის კიბოს გაჩენის რისკი დამოკიდებულია სისხლის ჯგუფზე, — აცხადებენ ბოსტონის ონკოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერები. ისინი თვლიან, რომ I ჯგუფის სისხლის მქონეთ ის ყველაზე ნაკლებად ემუქრება, მეორე ჯგუფის სისხლის მქონეთათვის რისკი 32 პროცენტს შეადგენს, III ჯგუფის სისხლის შემთხვევაში რისკი 72 პროცენტია! IV ჯგუფის — მხოლოდ 51 პროცენტი.



# უგუნებობამ შეიძლება ანალიზები შეცვალოს

**გუნება გრიპზე მეტად გადამდებია. ფსიქოლოგებმა გამოითვალეს, რომ ხალხმრავალ კოლექტივში თანამშრომელი, რომელიც სამსახურში ცუდ გუნებაზე მივა და ცუდად გამოიყურება, 20 წუთში ყველას გაუფუჭებს განწყობას. მეცნიერთა მტკიცებით, აქ ადგილი აქვს არა იმდენად თანაგრძნობას, არამედ საქმე გვაქვს განსაკუთრებული სიხშირის ბიორიტმებთან, რომელთაც უგუნებო ადამიანი გამოყოფს.**



ფსიქიატრთა აზრით, ადამიანის ცხოვრებაში განცდილი ემოციების 45 პროცენტი უარყოფითია, 35 — ნეიტრალური, ხოლო 20 პროცენტი — დადებითი. გამოდის, რომ ორჯერ მეტად ვსევდიანობთ, ვიდრე ვმხიარულობთ, მიუხედავად ჩვენი ცხოვრების წესისა და მატერიალური მდგომარეობისა.

ყოველ ჩვენს ემოციას ორგანიზმში გარკვეული ქიმიური რეაქციები უზრუნველყოფს. მაგალითად, თუ ცუდ გუნებაზე ვართ, ჩვენი ენდოკრინული ჯირკვლები უფრო ნაკლებ სეროტონინს და ენდომორფინებს გამოიმუშავებს და მეტ აცეტილქოლინსა და ადრენალინს.

ჩვენი ტვინი ნეგატიურ ინფორმაციებს გაცილებით დიდხანს ინარჩუნებს და გულმოდგინედ აღადგენს. ამას გარდა, უგუნებობამ შეიძლება ანალიზებიც კი შეცვალოს! ამიტომ ცუდ გუნებაზე ყოფნისას არ შეიძლება შემდეგი პროცედურები:

**სისხლის ანალიზის გაკეთება:** აქ ზოგიერთი მაჩვენებელი შეიძლება არაობიექტური აღმოჩნდეს. მაგალითად, ჰემოგლობინი მოიმატებს, თუ გაღიზიანებული ხართ, და დაიწევს უხალისობის შემთხვევაში;

**გასტროსკოპიის გაკეთება:** გაღიზიანების დროს კუჭის წვენის გამოყოფა და მჟავიანობა მკვეთრად იმატებს;

**პლასტიკური ოპერაციის გაკეთება:** განსაკუთრებით — სახეზე, შედეგი ცუდი იქნება და ნაიარევი გვიან შეხორცდება;

**კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება:** პილინგი, ლიფტინგი და სხვ. უგუნებობის დროს კანი დაჭიმული და ნაკლებმგრძნობიარეა, ეფექტი ნაკლები იქნება.

**სარკეში ცუდი გამომეტყველებით ჩახედვა:** ფსიქოთერაპიული თვალსაზრისით, სარკე უკუკავშირის ეკრანია. თუ მასში სევდიანი ან ავი თვალით ჩაიხედავთ, ამ ნეგატიურ გზავნილს ის ორმაგად დაგიბრუნებთ. ამიტომ ჯერ უნდა სერიოზული სახე მიიღოთ და საკუთარ თავს გაუღიმოთ. ამ დროს შუბლზე და ტუჩის კუთხეებში ნაოჭები სწორდება. თვალების გაბრწყინების შემთხვევაში სარკე ორმაგ დადებით იმპულს გამოგიგზავნით.

არსებობს რამდენიმე ფსიქოლოგიური ილეთი. განწყობას შეგინარჩუნებთ „ბედნიერი წვრილმანებით“ სიარული, რომლებიც რაღაც კარგს უკავშირდება. მაგალითად, სათამაშო, ჯვარი, ავგაროზი და ა.შ.

ამავე პრინციპით მუშაობს „ბედნიერი ნივთებიც“, თუნდაც თქვენს გარდერობში არსებული სამოსი, რომელიც წარმატების მიღწევისას გეცვათ. დაიმახსოვრეთ და გწამდეთ, რომ ის ყოველთვის სიკეთეს მოგიტანთ. კი ბატონო, იყოს თვითშთაგონება, რადგან ქვეცნობიერის დონეზე ის ნებისმიერ გარედან გზავნილზე უფრო ძლიერად მუშაობს.

გვერდი მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შვიდფერი კრიზისი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №21-22



### ბანკირები

დავუბრუნდეთ ალინსკის იდეას, რომელიც ძალაუფლების მექანიზმს ხსნის: ძალაუფლება არის კორპორაციების, ბანკებისა და მომსახურების სფეროების საერთო ინტერესების გამოყენება.

გლობალური კრიზისის ქრონოლოგია ცხადყოფს, რომ, პირველ რიგში, ბანკების ნაციონალიზება მოხდა, თანაც არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. გავიხსენოთ, რომ კრიზისი იპოთეკიდან დაიწყო და ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბანკებმა კრედიტირების ხაზი გაწყვიტეს. შემდეგ ხელისუფლებამ ბანკებში მილიარდების ჩაყრა დაიწყო, თანაც — სასწრაფოდ. ვინც ვალის აღებაზე უარს ამბობდა, ამას „რეპუტაციის გაფუჭების“ შიშით აიძულებდნენ. ამჟამად ვალებში იძულებით ჩაძირული 600 ბანკიდან მხოლოდ 20 ცდილობს მათ გასტუმრებას და დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას. ცდილობენ, მაგრამ არ გამოსდით — ხელისუფლება სულ ახალ-ახალ პირობებს აყენებს და ახალ „სტრესტესტებს“ იგონებს.

ობივატელი ფიქრობდა: რატომ აძლევენ ბანკებს ვალს მაშინ, როდესაც „საშუალო ამერიკელებს“ სახლებიდან ყრიან, „საშუალო ბიზნესები“ იხურება და „საშუალო ამერიკელები“ უმუშევრად რჩებიან? პასუხი არ ჩანდა, ჩანდა მხოლოდ აბსოლუტურად აუხსნელი უდიდესი დანახარჯები. გამოცდილება გვკარნახობს, რომ, როდესაც ლოგიკური ახსნა არ მოიძებნება, გარშემომყოფთათვის გაუგებარი ქმედებების უკან აფერა დგას. **სინამდვილეში ხელისუფლება სულაც არ შედგება „იდიოტებისაგან“, რომელთაც არ ესმით, რომ რამდენიმე თაობას აკოტრებენ. ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, რას აკეთებს — ბერავს საბანკო „ბუშტს“ და მსოფლიო არენაზე გასასვლელად ემზადება. „იდიოტები“ ჩვენ ვართ!**

ჟურნალისტურმა გამოძიებებმა დაადგინა, რომ ხელისუფლების პირობა „გამჭვირვალობის“ შესახებ ტყუილია და **ხაზინიდან 5 ტრილიონი დოლარი უკვალოდ გაქრა. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე შტატების ვალი ჩინეთისა და სხვა ყველა ქვეყნისადმი ერთად. ეს ზუსტად მესამედია იმისა, რასაც ქვეყანა მთელი წლის მანძილზე აწარმოებს.**

გასაგები ხდება, რისთვის იყო საჭირო ეკონომიკის სტიმულირების პაკეტებთან დაკავშირებით ასეთი აჩქარება. პრაქტიკულად, ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია უმუშევრობის შემცირებისა და იპოთეკური კრიზისის შეჩერებისათვის. უპრეცედენტოდ გაიყვლიფა „საშუალო ამერიკა“, დაახლოებით იმავე მასშტაბებით, როგორც ეს რუსეთში მოხდა 1917 წლის სოციალისტური რევოლუციისა და ელცინისეული „პერესტროიკის“ პერიოდში.

მაშ ასე, ბანკირები არიან ისინი, ვინც ფული ჩადო მშრომელთა მოძრაობებში და მათ გმირობისაკენ უბიძგა, ვინც მოამზადა ეკონომიკური სიტუაციის აფეთქება ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. მაგრამ რომელი ბანკირები?

### ერთ-ერთი მათგანი

შეგროვილი მასალების მიხედვით, **ხელისუფლების გადატრიალების მომწყობი მილიარდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი დანამდვილებით არის ჯორჯ სოროსი. მომავალი საბირჟო სპეკულატორი და პოლიტიკოსი ბუდაპეშტში, უნგრელი ებრაელების ოჯახში დაიბადა, ინგლისში სწავლობდა და რუსებს გაურბოდა, ქონება კი ამერიკაში დააგროვა. ეს უეროვნებო და უთვისტომო ადამიანია, ვის სულშიც ღვთისთვის ადგილი არ მოიძებნა.** სამაგიეროდ, ტვინში აქვს უკიდურესად რადიკალური ფილოსოფია. მიუხედავად ამერიკაში ცხოვრების მრავალი წლისა, მაინც ვერ გახდა ამერიკელი. უფრო მეტიც, მას სძულს ამერიკა მისი მოქალაქეების რწმენისა და კანონმორჩილების გამო, მათი ქვეყნისადმი სიყვარულის გამოც; მას სძულს ამერიკის კონსტიტუცია. სოროსმა დიდი ძალისხმევა და ფული დახარჯა ამ ყველაფრის დასანგრევად, მსოფლიოს თავისი შეხედულებებისამებრ მოსაწყობად.

მისი ცხოვრების მიზანი ძლიერი ცენტრალური საერთაშორისო მმართველობაა, მთავარი ფილოსოფიური იდეა — კარლ პოპერის რადიკალური ფალიბილიზმი — ღირსეული თეორიის გადარჩენისათვის შეიარაღებული ბრძოლა. **სოროსის მეთოდები ბირჟაზე სპეკულაციების საშუალებით მასობრივი ეკონომიკური კრიზისების ორგანიზება, კანონების შესაცვლელად კანონმდებელთა მოსყიდვა და ლობირება, მოსახლეობაზე იდეოლოგიური ზეწოლისათვის უამრავი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნაა. მისი სტილი სტრატეგიული მიზნის დასახვა, ნებისმიერი ტაქტიკური დეტალის უსერიოზულესი გათვლა და ყველა წამოწყებაში უდიდესი კაპიტალის დაბანდებაა.**

### საიდან ფული?

„Forbes“-ის ანგარიშით, ამჟამად ჯორჯ სოროსის კაპიტალი 11 მილიარდ დოლარს შეადგენს, მაგრამ ამ თანხის თითქმის ნახევარი მან ცენტრალური საერთაშორისო ხელისუფლებისათვის ძალაუფლების გადასაცემად ნიადაგის მომზადებაზე მთელ მსოფლიოში მომუშავე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს დაახარჯა. ამხელა ფულს სიკეთის კეთების ჟინით არ იკლებს, ეს ფული „როგორც მოვიდა, ისეც წავიდა“. **სოროსმა ოქროს ძარღვს მიაკვლია და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარ სკივრებს ბირჟაზე თამაშებითა და ფინანსური კრიზისების შექმნით ავსებს.**

თავის სპეკულაციურ მეთოდებს ფინანსურ სამყაროს წარუდგენს როგორც „საფონდო ბაზრების რეფლექსურობის თეორიას“. ამ ლამაზი სახელწოდების უკან ცალსახა ყვლეფა დგას: ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილება სერიოზული მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ მიიღება. ეს პერიოდი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებზე მასმედიით ზემოქმედებასა და ფინანსური ბაზრის მრყეველი სავალუტო სპეკულანტების პრაქტიკულ ქმედებებს მოიცავს.

**სოროსის სახელს უკავშირებენ 1988 წელს ფრანგული ბანკის „Societe General“-ის ჩაყლაპვის მცდელობას, რისთვისაც საფრანგეთის ხელისუფლებამ ის 2,3 მილიონი დოლარით დააჯარიმა; ინგლისური ფუნტის დევალვაციას 1992 წელს, რის შედეგადაც 1,1 მილიარდი დოლარი მოიგო; 1997 წლის აზიურ ფინანსურ კრიზისს და 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისს, რის შედეგადაც მან ისევ ისარგებლა სხვათა ქონების განახევრების ხარჯზე** („Forbes“-ის ანგარიშით, კრიზისული წლის განმავლობაში 4,4 ტრილიონი დოლარი 2,4 ტრილიონ დოლარამდე შემცირდა).

ანუ, **საჭიროების შემთხვევაში, სოროსი მიდის ბირჟის უძირო ჭასთან უდიდესი კაპიტალით, ბიზნესშპიონაჟით, დეზინფორმაციის მეცნიერულ დონეზე აწყობილი სისტემით ჯობნის სხვა მოთამაშეებს, შემდეგ კი მსოფლიო კაპიტალს თავისი შეხედულებისამებრ მიმართავს სასურველი მიმართულებით.**

### კადრები მსოფლიოს გარდასახვისათვის

ამაზე სოროსის Open Society Institute (OSI — ღია საზოგადოების ინსტიტუტი) ზრუნავს. კარგად გააზრებულ-მომზადებული გეგმების შესაბამისად, მისი „ბარტყები“ გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენენ საკანონმდებლო, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებსა და მასმედიაზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამჟამად ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფილიალები მსოფლიოს 25 ქვეყანაში მუშაობს. განსაკუთრებულ ყურადღებას სოროსი აფრიკას უთმობს — იქ 31 ოფისი აქვს გახსნილი. OSI-ს მეორე მნიშვნელოვანი მიზანი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პროფკავშირების შექმნაა, დაახლოებით ისეთების, როგორიცაა „ACORN“ და „Service Employees International Union“.

1972 წელს ჯორჯ სოროსმა „ACORN“-ის დაფინანსება დაიწყო და, აი, რა გამოვიდა ამ საქმიდან: ამ ორგანიზაციას სოროსი იყენებდა პოლიტიკური კამპანიის ასამუშავებლად, რომ უქონელი ამერიკელებისათვის სახლის შესაძენი სესხები მიეცათ. ლობირებისა და კანონების შეცვლის შემდეგ ბანკირებმა მიიღეს შესაძლებლობა, უძრავი ქონების უზარმაზარი ბუშტი გაებერათ, ეს კი გლობალური კრიზისის ბიძგი გახდა.

2008 წელს „ACORN“-ის „მოხალისეებმა“ ბარაკ ობამას მხარდასაჭერად ხმების მოგროვების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს, მისი მოძრავი რაზმები გამოიყენება ყოველთვის, როდესაც პროტესტის გამოხატვისა და პოლიტიკური ზეწოლის აუცილებლობა დგება. სოროსმა „ACORN“-ში 150 ათასი დოლარი გაგზავნა იმ არალეგალი ემიგრანტის დასახმარებლად, რომელიც თავს ესხმოდა „Wal-Mart“-ის მაღაზიათა ქსელს იმის გამო, რომ ის თავის ფარგლებში პროფკავშირს არ აარსებდა. 2004 წლიდან „ACORN“ 13 შტატში საარჩევნო ხმების გაყალბებაშია დადანაშაულებული, ვაშინგტონის შტატში დამნაშავედ ცნეს ამომრჩეველთა ხელმოწერების ფალსიფიცირების გამო და 25 ათასი დოლარით დააჯარიმეს.

მისი ტყუპისცალი ორგანიზაციაა „The American Constitution Society“, რომელსაც, ასევე, სოროსი აფინანსებს (ACS — ამერიკული კონსტიტუციის საზოგადოება). თავად სოროსმა მისი მიზანი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „2020 წლისათვის გავანადგუროს ამერიკის კონსტიტუცია“. ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზე წერია: „ჩვენ ვქმნით პროგრესულ მართლმსაჯულების დინამიკურ ქსელს, ვამკვიდრებთ ამერიკულ კანონებს, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი ერის ყველაზე მაღალ ღირებულებებს და აკმაყოფილებენ მისი ხალხის მოთხოვნილებებს“.

ამ ახლართულ ფრაზას მარტივად ასე ვიტყვით: ორგანიზაცია ამერიკის კონსტიტუციას განიხილავს. „ACS“ თავის წევრებს ასწავლის, „კანონებსა და მსოფლიოს კრიტიკულად მიუდგნენ“. უკვე რამდენიმე წელია, ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობენ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის, სიტყვისა და პრესის თავისუფლების, იარაღის ტარების უფლებისა და სხვა ფუნდამენტური კანონების ახლებურ ინტერპრეტაციაზე.

„ACS“-ის ყოველწლიური ბიუჯეტი რამდენიმე მილიონი დოლარია. და ეს მხოლოდ ჯორჯ სოროსის კი არა, ფორდების ოჯახის (Ford Foundation), ბარბარა სტრეიზანდის (ლიბერალური ორგანიზაცია „Streisand Foundation“), ჰელვეტების ოჯახის („William and Flora Hewlett Foundation“), ალტსკულების ოჯახის („Overbrook Foundation“) ფულიცაა.

უმაღლესი პროკურორი ერიკ ჰოლდერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰილარი კლინტონი ორგანიზაციის მმართველობის წევრები არიან და მის მოქმედებებზე სერიოზულ გავლენას ახდენენ. საპატიო ლექტორები გახდნენ ალ გორი (იგი 2004 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ჯორჯ ბუშს რომის დიქტატორ იულიუს ცეზარს ადარებდა), ჯო ბაიდენი, ედ კენედი, ჯონ ედვარდსი, ბარნი ფრენკი. ყველა მათგანი დემოკრატების „პროგრესულ ფრთას“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიბერალებს წარმოადგენს.

### გადავწეროთ კონსტიტუცია

ახლა, როდესაც კადრები უკვე გაწვრთნილი, კონსტიტუციის შესაცვლელად კი თეორიული საფუძვლებიც მომზადებულია, ობამა აპირებს, სასწრაფოდ შეცვალოს უმაღლესი მოსამართლეები და არჩევს კანდიდატებს, რომლებიც „კონსტიტუციის კანონებს დოგმებად კი არ განიხილავენ, არამედ პროცესს შემოქმედებითად მიუდგებიან შავკანიანი მოზარდის დედის, ჰომოსექსუალის ან უქონელის ინტერესების გათვალისწინებით“. მისი ნომინანტი სონია სოტომაიორი სავსებით შეესაბამება მოთხოვნებს. ის უკვე თავისი ფრთიანი ფრაზითაა ცნობილი: „ლათინოქალი უფრო კარგი მოსამართლე იქნება, ვიდრე თეთრი მამაკაცი“. ეს სულაც არაა შემთხვევითი წარუმატებელი კოსტრუქცია. სონია ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ვერ იტანდა თეთრკანიან მამაკაცებს და პრინსტონის უნივერსიტეტში „ლათინებისთვის“ კვოტის გაზრდის მოთხოვნით უამრავი პეტიცია აქვს გაგზავნილი სხვადასხვა რანგის ოფიციალური პირებისათვის, თანაც — პრინსტონში, კერძო უნივერსიტეტში, სადაც მხოლოდ საუკეთესო მონაცემების სტუდენტებს იღებენ, კვოტების შემოღება... პროფესიული მოღვაწეობის პირველივე ნაბიჯიდან ეს ქალი გააფთრებით იცავდა „უმცირესობებს“, კანონს კი სოციალური გარდასახვების ინსტრუმენტად განიხილავდა.




გაგრძელება შემდეგ ნომერში

გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნარკოტიკების შემცველი კაქტუსის „გამზრდელი“ ციხეს გადაურჩა?

**კრასნოდარის მხარის სამართალდამცველებმა გადაწყვიტეს, არ აღძრან სისხლის სამართლის საქმე კაქტუსების კოლექციონერის მიმართ, რომელმაც ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი აკრძალული სახეობის მცენარე ლოფოფორა გაახარა. სერგეი კალმიკოვს, უბრალოდ, სთხოვეს, სხვა სახეობის კაქტუსებს დაჯერებოდა და აკრძალულ სახეობებისათვის დაენებებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობის ფორმების შესახებ განუმარტეს.**



კოლექციონერმა წერილობით დადო პირობა, რომ არც ის და არც მისი კლუბის სხვა წევრები ნარკოშემცველ კაქტუსებს აღარასდროს გაამრავლებენ. კალმიკოვის კოლექციის ბინადართაგან ერთ-ერთი ნარკოტიკულ ნივთიერება მესკალინს შეიცავდა, რისთვისაც თავად კოლექციონერი 3-დან 8 წლამდე პატიმრობით დასჯას ელოდა. მისი თქმით, კოლექცია აკრძალულ სახეობებს არ შეიცავდა, თუმცა იყო მათთან მიახლოებული ეგზემპლარებიც, მაგრამ მათში ნარკონივთიერებათა შემცველობის შესახებ თავად არაფერი იცოდა. გარდა ამისა, კალმიკოვს იცავდა ის ფაქტიც, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი და არაშემცველი კაქტუსების ერთმანეთისგან განსხვავება თავად ბოტანიკოსებსაც უძნელდებათ, მათი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ ყვავილის ფერია, ეს კი არ გამოდგება მყარ არგუმენტად, ვინაიდან ყვავილის ფერი ვარირებადია.

გარდა ამისა, სპეციალისტებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი კოლექციონერს და განაცხადეს, რომ ლოფოფორას გამოზრდა ნებისმიერი სერიოზული კოლექციონერისთვის საამაყო საქმედ ითვლება და ნამდვილი პროფესიონალიზმის დადასტურებას წარმოადგენს. მის შემცველ ჰალუცინაციების გამომწვევ მესკალინს კი ჩრდილოამერიკელი ინდიელები რიტუალებში ორი ათასი წლის განმავლობაში იყენებდნენ. გარდა ამისა, სპეციალისტების მტკიცებით, რუსეთის პირობებში გაზრდილი ლოფოფორა არანაირ ნარკოტიკს აღარ შეიცავს. ასეც რომ იყოს, ლოფოფორას გამოზრდა იმდენად რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომ კოლექციონერები მას ოჯახის წევრად აღიქვამენ და ნამდვილად არ აპირებენ, საკუთარი „პირმშო“ ჰალუცინაციების გამოწვევის სურვილით გადასანსლონ.

# თურქეთში ტერორისტული ორგანიზაციის წევრები დააკავეს

**თურქეთის სპეცსამსახურებმა რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციის „ხიზბ უტ-ტახრირის“ (ისლამის განმათავისუფლებელი პარტია) 200-მდე აქტივისტი დააკავა.**



ოპერაცია ტერორიზმთან ბრძოლის ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდის შემდეგ ერთდროულად 23 პროვინციაში ჩატარდა. დანარჩენი დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

თურქეთის სპეცსამსახურებს ადრეც არაერთხელ განუხორციელებიათ რეიდი პროისლამური ორგანიზაციების, კერძოდ, „ხიზბალაზის“, „ალ ქაიდასა“ და „ხიზბ უტ-ტახრირის“ ბუდეების აღმოსაჩენად. თურქეთში ყველა მათგანი ტერორისტულ ორგანიზაციად ითვლება.

რელიგიურ-ექსტრემისტული ორგანიზაცია „ხიზბ უტ-ტახრირი“ 1952 წელს პალესტინაში შეიქმნა. მისი მთავარი მიზანი მუსლიმანურ ქვეყნებში კონსტიტუციური ხელისუფლების ჩამოგდების გზით ერთიანი სახელმწიფოს — ისლამური ხალიფატის აშენებაა.

პარტია ექსტრემისტულ-ტერორისტული პარტიებისა და ორგანიზაციების სიაში შეტანილია ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ამერიკასა და რუსეთში.

# ვინ სჯის ბოროტმოქმედებს ყველაზე დაუნდობლად?

**ფრანგმა პოლიციელებმა ერთ-ერთ სასაფლაოზე მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს — საფლავების მძარცველს, მორიგი სამარის გასაძარცვად ჩაქუჩმომარჯვებულს, გული გაუსკდა და მსხვერპლის სამარეს დააკვდა. ქალაქ მერინიაკის 54 წლის მცხოვრები საფლავების ძარცვით ირჩენდა თავს, გარკვეული დროის შემდეგ კი ის ერთ-ერთ საფლავზე თავისი „სამუშაო ინსტრუმენტებით“ ხელში მკვდარი იპოვნეს.**



სასაფლაოს მახლობლად ნახეს ბოროტმოქმედის მანქანაც, რომელიც „გაურკვეველი წარმომავლობის ნივთებით“ იყო დატვირთული. ეს ბოროტმოქმედის საბედისწერო აღსასრულის ერთადერთი ცნობილი შემთხვევა როდია. ხშირად ბუნების კანონები ბევრად უფრო დაუნდობელია, ვიდრე ადამიანური. მაგალითად, ზუსტად 4 წლის წინათ, 2005 წლის 18 ივლისს, ერთბაშად ორ ბოროტმოქმედს უწია ბედისწერამ. პეტერბურგში ორი მამაკაცი — ბომჟი და უმუშევარი — ბინის გაქურდვას ცდილობდა, მაგრამ მილიციამ მიუსწრო. უმუშევარი მეოთხე სართულიდან გადახტა და ადგილზე განუტევა სული, ბომჟი კი დააკავეს.

იმავე დღეს ეკატერინბურგში ქალის გაძარცვის შემდეგ გაქცეულ ბოროტმოქმედს მანქანა დაეჯახა.

2007 წლის ნოემბერში შეერთებულ შტატებში პოლიციას ალიგატორმა დაასწრო და გაქცეული ორი მძარცველიდან ერთ-ერთი ცოცხლად გადასანსლა. თვითმხილველთა თქმით, სასოწარკვეთილი მძარცველი პოლიციისაგან გაქცევის მიზნით გამაფრთხილებელი ნიშნებით შემოსაზღვრულ გუბეში გადაეშვა. ეს ნიშნები კი სწორედ განსაკუთრებით საშიში ალიგატორების შესახებ იუწყებოდა. სამმეტრიანი ნიანგის დანახვაზე უბედურმა მძარცველმა მხოლოდ დაყვირებაღა მოასწრო.

2003 წელს უკრაინაში თავდასხმის შემდეგ ქუჩაში მიმავალმა მძარცველმა რაღაცას ფეხი წამოჰკრა და ადგილზევე განუტევა სული.

# ბრიტანეთის ეკონომიკა ანტირეკორდსმენია?



**ბრიტანეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 2009 წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, 0,8%-ით შემცირდა, რაც ანალიტიკოსთა მიერ წინასწარ ნავარაუდევზე ბევრად უარესია.**

ექსპერტები მხოლოდ 0,3%-იან კლებას ვარაუდობდნენ. შარშანდელ მეორე კვარტალთან შედარებით კლებამ 5,6% შეადგინა, რაც 1955 წლის შემდეგ ყველაზე უარესი მაჩვენებელია. არადა, ინგლისის ბანკის წარმომადგენელი ენდრიუ სენტანსი ირწმუნებოდა, რომ ბრიტანული ეკონომიკის აღდგენა წლის მეორე ნახევრიდან დაიწყებოდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი თვლის, რომ ოპტიმიზმის საფუძველი უმცირესია: „მართალია, მივაღწიეთ ბანკების სტაბილიზების წერტილს, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვაქვს ზრდისკენ დასაბრუნებელი სტრატეგია“.

# ვინ დაიწყო ომი საქართველოში?

**ამ კითხვაზე პასუხი საერთაშორისო კომისიას სექტემბრის ბოლოსთვის ექნება მზად და თავისი შემაჯამებელი მოხსენებით გვაცნობებს. კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და საქართველოში გერმანიის ყოფილი ელჩის უვე შრამის განცხადებით, დასკვნის მომზადება დიდი რაოდენობით ახალი მასალის გამოჩენამ გააჭიანურა.**

მისივე თქმით, დასკვნა, რომელზეც ამჟამად 15-კაციანი კომპეტენტური ჯგუფი მუშაობს, ობიექტური და სამართლიანი იქნება როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მიმართ.

მისივე განცხადებით, დასავლურ პრესაში გამოქვეყნებული წინასწარი ინფორმაცია საერთაშორისო კომისიის ანგარიშის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. შეგახსენებთ, დასავლურ პრესაში დაახლოებით ერთი თვის წინათ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომისია 31 ივლისს წარმოადგენდა დასკვნას, რომლის მიხედვითაც რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებაში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იქნებოდა დადანაშაულებული.

შრამის განცხადებით, ოფიციალური დოკუმენტების გარდა, კომისია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასაც შეისწავლის.



# რატომ უნდა ჰქონდეს ტუალეტი ყველა ნეპალელს?

**იმიტომ, რომ პასპორტი აიღოს. ნეპალის მოქალაქეობაზე პრეტენზიის მქონე პირებს, აგრეთვე, ყველას, ვისაც ამ ქვეყანაში პასპორტის აღება სურს, აუცილებლად ეკითხებიან, აქვს თუ არა სახლში ტუალეტი.**

ამგვარი მიდგომით ჩინოვნიკები ცდილობენ სურხეთის ოლქში სანიტარიული მდგომარეობა გააუმჯობესონ. იქ ტუალეტი სამი სახლიდან მხოლოდ ერთს აქვს, 44 ათას ადამიანზე კი მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი ტუალეტი მოდის. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მოსახლეობამ არ იცის, რა საფრთხის წინაშე აყენებს საკუთარ თავს და გადაწყვიტა, მოტივირებისა და ზეწოლის მექანიზმების გამოყენებით აიძულოს მცხოვრებნი, აიშენონ საპირფარეშოები. სანიტარიული მდგომარეობის შედეგები მოსახლეობაზე, ძირითადად, წვიმების სეზონისა და წყალდიდობების პერიოდში აისახება ხოლმე. ამ დროს ნეპალში ეპიდემიებს ასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

# რამ გაათეთრა ბრიტანელი ზანგი?



**რამ და დეპიგმენტაციის გამომწვევმა განუკურნელმა სენმა. ლუკ დევისმა გათეთრება 5 წლის ასაკში დაიწყო, 35 წლის ასაკისში კი მისი კანი აბსოლუტურად გათეთრდა. თავად დევისი თვლის, რომ ამ მოვლენამ მას ცხოვრება გაუადვილა.**

ლუკი დუბლინში დაიბადა 1965 წელს ზანგი სტუდენტის ოჯახში. სამი თვისა მოხვდა საბავშვო სახლში, სადაც კანის ფერთან დაკავშირებით პირველად შეექმნა პრობლემები — დანარჩენი თეთრკანიანი ბავშვები ამცირებდნენ და დასცინოდნენ. ის დღემდე დარწმუნებულია, რომ თეორია, თითქოს ევროპული რასიზმი წარსულს ჩაბარდა, სულაც არ შეესაბამება სინამდვილეს. მოგვიანებით, როდესაც დევისს გათეთრება ხელისა და ფეხების თითებიდან დაეწყო, გაუარესდა მისი მდგომარეობა სხვა ბავშვებთან ურთიერთობაში. 11 წლის ასაკში ლონდონში გააგზავნეს სამედიცინო შემოწმებაზე და კანის განუკურნელი დაავადების დიაგნოზი დაუსვეს. 1983 წელს მომავალი მეუღლე სტეფანი გაიცნო და ორ წელიწადში დაქორწინდნენ კიდეც. ლუკისა და სტეფანის ორივე ბავშვი თეთრკანიანია, რაც მამას ძალიან ახარებს, ახლა კი თავად ლუკიც თეთრკანიანია, მისი ალაგ-ალაგ გათეთრების პროცესი, როგორც იქნა, დასრულდა.



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სად სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს?

**კუბაში ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ყველა პედაგოგიურ უნივერსიტეტში ამუშავდება მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრები და განყოფილებები.**




უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე კუბელები ისედაც ეუფლებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიებს, ოღონდ ფილოსოფიის კურსის ფარგლებში. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ხოსე რამონ ფერნანდესის განცხადებით, განათლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, დაამკვიდროს რევოლუციური იდეები.

ცოტა ხნით ადრე კუბაში მასწავლებლებსა და სასწავლო დაწესებულებათა თანამშრომლებს ხელფასი მოუმატეს. ამ სიაში განათლების სისტემის 545 ათასი თანამშრომელი მოხვდა. მათი ხელფასების ზრდა ბიუჯეტს 35,4 მილიონი დოლარი დაუჯდა.

# სად იღუპებიან ყველაზე ხშირად ჟურნალისტები?

**2009 წლის დასაწყისიდან დღემდე მსოფლიოში უკვე 59 ჟურნალისტი დაიღუპა. ერთ-ერთი ბოლო, ვინც ამ სიაში მოხვდა, გახლდათ რუსი ჟურნალისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი ნატალია ესტემიროვა, რომელიც 15 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიაში მოკლეს.**

ამ საკითხში პირველობის სამგლოვიარო ადგილი მექსიკას უჭირავს, სადაც ნარკომაფიას შვიდი ჟურნალისტი ემსხვერპლა. მეორე ადგილზე ტერორისტებით სავსე პაკისტანია ექვსი გარდაცვლილი ჟურნალისტით.

რეპორტიორთათვის სასიკვდილოდ სახიფათო ადგილებად რჩება ღაზას სექტორი, ჰონდურასი, კოლუმბია, ავღანეთი, გვატემალა, ნეპალი, შრი-ლანკა, ვენესუელა, ინდოეთი, ინდონეზია, კენია, ყირგიზეთი და მადაგასკარი.

ექსპერტების განცხადებით, ჟურნალისტები აგრესიის მსხვერპლნი ხდებიან ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც კონფლიქტის ზონებს არ განეკუთვნებიან, ეს კი მსოფლიოსთვის რეალური ინფორმაციის მიწოდების საქმეს სერიოზულ პრობლემებს უქმნის.



# გაქცევა ბონდის სტილში?



**ბელგიაში სამი განსაკუთრებით საშიში დამნაშავე ციხიდან გაიქცა. მათ ახლობელი დაეხმარა — გაიტაცა პატარა ვერტმფრენი და პილოტი აიძულა, ციხის დაცულ ტერიტორიაზე დაშვებულიყო პატიმრების წამოსაყვანად.**

გაქცეულები მსხვილ მაგისტრალამდე ამავე ვერტმფრენით მივიდნენ, იქ კი ბენზინგასამართი სადგური გაძარცვეს, შავი „მერსედესი" გაიტაცეს და ქალაქ ოსტენდესკენ გაემართნენ.

დამნაშავეებს რაიმე მავნე ქმედებებისთვის არ მიუმართავთ, დაზარალებული არავინაა, თუმცა გაქცეულებს შორისაა აშრაფ სეკაკი, რომელიც ადამიანის გატაცებისა და ბანკის ძარცვისთვის იხდიდა სასჯელს.

ის ბელგიის ყველაზე საშიშ დამნაშავედაა აღიარებული. მასთან ერთად გაიქცნენ მუჰამედ ჟორი და აბდელ ხად კაჟარი.

# ვის უყვარს პორნოგრაფია ყველაზე მეტად?

**ინდოეთში ხელისუფლებამ თანამემამულეებს პორნოკომიქსებთან დაშვება შეუზღუდა. ეროტიკული რესურსებით გაუნებივრებელი მილიონობით ინდოელი ბიზნესმენი ქმრის არყოფნისას დიასახლის სავიტა ბხაბხის სექსუალურ თავგადასავლებზე ერთობოდა.**




საიტი savitabhabhi.com კამასუტრას სამშობლოში 2008 წლის ოქტომბრიდან მუშაობდა. ამ დროიდან საიტზე 30 ათასზე მეტი მომხმარებელი დარეგისტრირდა. სავიტა პოპულარული გახდა არა მხოლოდ ინდოელებში, არამედ პაკისტანელებსა და ბანგლადეშელებს შორისაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ სტატისტიკის თანახმად, პორნოგრაფიას ინტერნეტში ყველაზე ხშირად ინდოელები და პაკისტანელები ეძებენ. თავად ინდოეთში პორნოგრაფია ოფიციალურად აკრძალულია. არადა, სწორედ ინდოეთმა მისცა მსოფლიოს ეროტიკის ისეთი შედევრები, როგორიცაა კამასუტრა. ახლა კი ქვეყანა კონსერვატიული საზოგადოების მომხრეა და ეროტიკულობის ნებისმიერი გამოვლინება უმკაცრესი განკითხვის საბაბი ხდება.

ინდოელი ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა მშობლების შერჩეულ საქმროზე თხოვდება, გოგონები გათხოვებამდე ინახავენ ქალწულობას, ქალის ნათესავები კი დღემდე კლავენ ქალს, რომელიც გაბედავს და სხვა კასტის წარმომადგენელს მისთხოვდება.

# ვინ აფეთქებს ლიტვის პარლამენტს?

**ორი პენსიონერი რადიოში სატელეფონო ზარისას იმუქრებოდა, რომ, თუ პენსიებს შეუმცირებენ, პარლამენტის შენობას ააფეთქებდა.**

ლიტვის პარლამენტი მართლაც განიხილავს პენსიების შემცირების საკითხს. სწორედ ამის გამო აღშფოთებულმა მამაკაცმა რადიოს რედაქციაში დარეკა და განაცხადა, რომ პარლამენტის შენობას ააფეთქებდა. ამის გამო ახლა მამაკაცს უკვე ეძებენ და, თუ მიაკვლიეს, საზოგადოებრივი შრომა, ჯარიმა, თავისუფლების შეზღუდვა ან სულაც დაპატიმრება არ ასცდება. მეორე ზარისას ქალი სათანადო ზომების მიღებით იმუქრებოდა და მას, ვინაიდან კონკრეტული მოსალოდნელი ქმედებებით მუქარა არ განუხორციელებია, მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი ელის. ლიტვის ბიუჯეტი პარლამენტმა 1,4 მილიარდი ევროს დეფიციტით 23 ივლისს მიიღო და, მართალია, პენსიების შემცირების შესახებ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი, მაგრამ საკითხის განხილვისას ამგვარი პერსპექტივა არ გამორიცხულა.



# ვინ მოკლა მაიკლ ჯექსონი?



**გამოძიებამ დაადგინა, რომ პოპვარსკვლავის გარდაცვალება არაგანზრახ მკვლელობამ გამოიწვია. მთავარი ეჭვმიტანილი მომღერლის პირადი ექიმი კონრად მიურეი გახლავთ.**

ქალაქ ჰიუსტონში მდებარე მისი კლინიკის ჩხრეკის ორდერში ნათქვამია, რომ ხელისუფლება ეძებს არაგანზრახ მკვლელობის ჩადენის დამადასტურებელ ნივთებს. ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ, შესაძლოა, ამგვარი დანაშაული სწორედ მომღერლის პირადმა ექიმმა ჩაიდინა. ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთმტკიცებულებებს შორის არის 27 აბი ფენტარმინი (წონის დასაკლები პრეპარატი), კლონაზეპამის აბი (კუნთების მოსადუნებელი პრეპარატი), ორი მყარი დისკი და რამდენიმე დოკუმენტი. კარდიოლოგი კონრად მიურეი ჯექსონმა პირად ექიმად გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაიქირავა. დადგინდა, რომ ის ვარსკვლავის ლოს-ანჯელესის ბინაში იმყოფებოდა 25 ივნისის დილას, როცა ჯექსონი უგონო მდგომარეობაში მყოფი იპოვეს. ტოქსიკური ექსპერტიზის დასკვნა რამდენიმე დღეში მზად იქნება და ვარსკვლავის გარდაცვალების ოფიციალური მიზეზიც ამ დროისთვის დასახელდება. როგორც ცნობილია, უკანასკნელი წლების მანძილზე ჯექსონი ძლიერმოქმედი მედიკამენტების დიდ დოზას იღებდა.



# რას ერჩიან ობამას პოლიციელები?

**ამერიკის პრეზიდენტმა პოლიციელებს რასიზმში დასდო ბრალი, რითაც სერიოზულად გაანაწყენა ისინი. პრესკონფერენციაზე ობამამ თქვა, რომ პოლიციელები „სულელურად მოიქცნენ", როდესაც საკუთარი სახლის გაძარცვაში ეჭვმიტანილი შავკანიანი პროფესორი დააკავეს.**



პოლიციაში ქალმა დარეკა და განაცხადა, რომ მეზობელ სახლში ორი შავკანიანი მამაკაცი ცდილობდა შეჭრას.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მასწავლებელი ჰენრი ლუის ჰეიტს-უმცროსი მართლაც ძალის გამოყენებით აღებდა საკუთარი სახლის კარს. პრეზიდენტმა ამ შემთხვევის კომენტირებისას აღნიშნა, რომ პოლიცია შავკანიანებს თეთრკანიანებზე ხშირად უყენებს პრეტენზიებს.

ახლა პოლიციელები თვლიან, რომ ამ განცხადებით პრეზიდენტმა მთელი ქვეყნის სამართალდამცველები მის წინააღმდეგ განაწყო.

# სად წავიდა მეფის თავი?

**ჰოლანდიის ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა აფრიკის რესპუბლიკა განში გაგზავნოს XIX საუკუნეში სიკვდილით დასჯილი მისი მეფის თავი. ადრე თავმოჭრილი და ფორმალინის ხსნარში ჩადებული სხეული ლეიდენის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის ერთ-ერთ ექსპონატს წარმოადგენდა.**

განის მეფე ბონსუ II ჰოლანდიელებმა მოკლეს 1838 წელს. გვირგვინოსანი ხელქვეითებმა გასცეს. მონარქს ორი მისიონერის მკვლელობა დააბრალეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ბონსუ II ჩამოახრჩვეს, მისი თავი კი ფორმალინში მოათავსეს და ანატომიის უნივერსიტეტის ექსპონატის სახით გამოფინეს. ეს ექსპონატი ყურადღების ცენტრში მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ მოექცა, როცა ჰოლანდიელმა მწერალმა არტუმ იაპონმა აფრიკის გმირების შესახებ მასალების მოგროვებისას შენიშნა.

განის საელჩომ ნიდერლანდების ხელისუფლებას ოფიციალურად სთხოვა მეფის თავის დაბრუნება. განელი დიპლომატების განცხადებით, ვიდრე მეფის თავი სამშობლოში არ დაბრუნდება და სათანადოდ არ დაიმარხება, მისი სული სიმშვიდეს ვერ პოვებს, მისი ტომის ღირსება კი შელახული იქნება. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ უნივერსიტეტი, როგორც იქნა, შეელია თავის საგამოფენო ექსპონატს და მეფის თავი განელებს დაუბრუნა. მონარქი ტრადიციული რიტუალით დაკრძალეს.



# ელგუჯა მაღრაძე ნოდარ დუმბაძეს ოთახში კეტავდა

**არიან ადამიანები, რომლებიც ყინულმჭრელი გემივით გზას უკვალავენ ნიჭიერებას და ამ ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდებს თავიანთ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენაში ეხმარებიან. ამ მხრივ საინტერესოა ელგუჯა მაღრაძის პიროვნება, რომელიც ერთდროულად კარგი ხელმძღვანელიც იყო და ჩინებული მეგობარიც.**



საქართველოს ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე დასამტკიცებლად მოსკოვში გაგზავნეს ედუარდ შევარდნაძე და ელგუჯა მაღრაძე.

მოსკოვიდან გამარჯვებული შევარდნაძე დაბრუნდა. ელგუჯას კი ჟურნალ „ნიანგის" მთავარი რედაქტორობა აკმარეს. მისი პირადი ინიციატივით, 1958 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მთავარი რედაქტორის მოადგილედ ნოდარ დუმბაძე დაამტკიცა. აქედან იწყება სატირისა და იუმორის ნოდარისეული ეპოქა. მთავარმა რედაქტორმა, იცოდა რა ნოდარ დუმბაძის განუზომელი ნიჭი, ცდილობდა, მაქსიმალურად გამოეყენებინა მისი შესაძლებლობანი; იყო შემთხვევები, როდესაც ნოდარს მაგიდაზე დაუდგამდა ლიმონათს, რაიმე საუზმეს და ეტყოდა: სანამ ფელეტონს, კრიტიკულ-მამხილებელ მასალას ან კონკრეტულ დავალებას არ შემისრულებ, გარეთ ვერ გამოხვალო. ჩაუკეტავდა გარედან კარს და გასაღებს ჯიბეში ჩაიდებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნოდარი შიგნიდან დაუკაკუნებდა კარზე და გასძახებდა: „ელგუჯა, დავწერე, კარი გამიღეო!"

კონკრეტულმა დავალებებმა და კრიტიკამ გაიჯეჯილა. „მადა ჭამაში მოდისო", რომ იტყვიან.

დაიბეჭდა ფელეტონი „ვინ ააშენა თბილისი", სადაც მწვავედ იყო გაკრიტიკებული ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე მელაძე, რომელსაც დიდ პატივს სცემდა ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე. ცეკას ბიუროზე განიხილეს ჟურნალ „ნიანგის" მუშაობის საკითხი და მოხსნეს ელგუჯა მაღრაძე. მოხსნის საფუძველი ჟურნალის არაკრიტიკულობა იყო. სიმართლის პოლუსისკენ მიმავალმა ყინულმჭრელმა მარცხი განიცადა.

ამ პერიოდში მე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ერთ-ერთი რიგითი თანამშრომელი ვიყავი. გადიოდა დრო. იცვლებოდნენ დირექტორები.

ერთ მშვენიერ დღეს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორად დაინიშნა რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, ხოლო მთავარ რედაქტორად — საქმის მცოდნე, ენერგიული ახალგაზრდა, მწერალი და ჟურნალისტი ელგუჯა მაღრაძე.

სულ ცოტა ხანში გამომცემლობის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე საჭირო გახდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პიროვნების შერჩევა, რომელიც თავს გაართმევდა ამ მეტად მძიმე და პასუხსაგებ საქმეს.

მთავარმა რედაქტორმა არჩევანი ჩემზე შეაჩერა. აქედან იწყება ჩვენი მეგობრობის და სამსახურებრივი საქმიანობის შერწყმა.

რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, იმხანად კი ჩვენი დირექტორი, ავად იყო. წავედით საავადმყოფოში ორი კურდღლის დასაჭერად: უნდა მოგვენახულებინა ავადმყოფი დირექტორი, თანაც ჩემი საკითხი შეგვეთანხმებინა.

„ლეჩკომბინატის" კეთილმოწყობილ პალატაში შევიდა ელგუჯა, შევყევი მეც.

დირექტორმა ელგუჯა რომ დაინახა, გახალისდა, სკამზე მიუთითა და საუბარი გაუბა. ისე გაერთნენ, ორივეს დავავიწყდი, იმიტომაც, რომ პალატაში ისეთი ადგილი შევარჩიე, დირექტორს თვალში არ მოვხვედროდი (თანაც ვფიქრობდი, თუ არ დავენახვებოდი, რა ჯანდაბა მინდოდა, რომ მივდიოდი).

ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ საგამომცემლო საქმეებზე ილაპარაკეს. ყოფილ რაიკომის მდივანს ცენტრალური კომიტეტის მიერ დავალებული წიგნების გამოცემის საკითხი აინტერესებდა.

დადგა ჩემი ბედის გადაწყვეტის ჟამი.

— ბატონო დირექტორო! კიდევ ერთი საკითხი მაქვს თქვენთან შესათანხმებელი. ჟანი სიხარულიძე ხომ იცით, საწარმოო განყოფილებაში რომ მუშაობს! — თანხმობის ნიშნად დირექტორმა კვერი დაუკრა, — ჰოდა, იქნებ ის დაგვენიშნა თქვენს მოადგილედ.

ელგუჯამ მაქო და მადიდა, სულ სხაპასხუპით მიაყარა, უარის თქმა რომ არ მოესწრო ავადმყოფ დირექტორს, თორემ მეორედ ამ საკითხთან მიბრუნება ძალზე გაძნელდებოდა. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სუნთქვა შემეკრა. დირექტორმა ღრმად ამოისუნთქა, თავი გადააქნია, საბნიდან ხელი ამოყო და უარის ნიშნად გაასავსავა. ელგუჯა ახლა უფრო გააქტიურდა და უარის მიზეზს ჩაეძია.

— მაინც, რატომ? — შეეკითხა გაბედულად.

— რატომ და... ტანად დაბალია, როცა მე და შენ არ ვიქნებით გამომცემლობაში, კონსტანტინე გამსახურდია მაგან უნდა მიიღოს?

გარეთ რომ გამოვედით, ელგუჯამ სიცილით მითხრა: მისამართი შეგვეშალა, ამასთან რა გვინდოდა, თურმე ბატონ კონსტანტინესთან უნდა მივსულიყავითო.

საავადმყოფოდან გამოსულ დირექტორს მოადგილის რანგში დავხვდი...

გამომცემლობაში ცეკას დადგენილება მოვიდა: ცხინვალის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის გამომცემლობები უნდა გაერთიანებულიყო და გადმოსულიყო „საბჭოთა საქართველოს" ბალანსზე. ამისთვის საჭირო იყო, ადგილზე გავცნობოდით მათ მუშაობას და თემატურ გეგმას.

ამ დროს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი ელგუჯა მაღრაძე გახლდათ.

მისი დირექტორობის დროს ერთდროულად საქმისადმი და მეგობრისადმი ულალატობა გაცილებით რთული აღმოჩნდა ჩემთვის.

მივლინებაში წავედით მე და ელგუჯა. პირველად, რა თქმა უნდა, გზად ცხინვალში გავიარეთ. ოსები დიდი სიხარულითა და ღრმა პატივისცემით შეგვხვდნენ. მთელი ღამე ვიქეიფეთ, ელგუჯას თამადობით აღფრთოვანებულები იყვნენ.

ყოველგვარი პრობლემის გარეშე ჩავიბარეთ გამომცემლობა, „კრება დარჩა მხიარული" და გეზი ქუთაისისკენ ავიღეთ. ჩასულებს პირდაპირ რესტორანში გვიკრეს თავი. ყველა საკითხი იქვე მოგვარდა, გვიან ღამით სასტუმროში მიგვიყვანეს და იქაც სუფრა იყო გაშლილი.

ორდღიანი ქეიფის მერე სოხუმისკენ გავემგზავრეთ. აქ უკვე სხვა სურათი დაიხატა. ჩასვლის მიზანი მაინცდამაინც არ მოეწონათ. თემატური გეგმა ძალზე გადატვირთული იყო. მაგალითად, „აფხაზეთის ისტორია" ოთხ ტომად წარმოედგინათ.

ელგუჯამ სასტიკი უარი განუცხადა — ოთხ ტომად საქართველოს ისტორია არ გამოგვიცია და აფხაზეთის ისტორიას როგორ გამოვცემთო.

გამომცემლობის დირექტორმა ვიღაცას დაურეკა და ჩვენთვის გაუგებარ ენაზე ელაპარაკა.

რამდენიმე წუთში მოვიდა ავტორი ძიძარია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშნით მკერდდამშვენებული, რომელმაც განაცხადა, რომ ტომები არ შემცირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამას სხვა სუნი ექნებაო.

ელგუჯასთან ამგვარი საუბარი წარმოუდგენელი იყო.

საინტერესო ფაქტია, რომ ელგუჯამ დირექტორობის დროს, როცა ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის პირველი პირი იყო, მოახერხა ხრუშჩოვის ტომეულების „ვერგამოცემა".

აფხაზებთან ვერ შევთანხმდით. კეთილი სურვილებით დავცილდით და გეზი ბათუმისკენ ავიღეთ.

ციხისძირის აღმართს რომ ავუყევით, ვიღაცამ ქვა გვესროლა და მანქანის საქარე მინა ჩაგვიტეხა.

მანქანა გავაჩერე, ელგუჯა გამწარდა, ძალზე გაბრაზდა. გადმოვხტით ორივენი იმ ვიღაცას გავეკიდეთ. უცნობი დიდი მუტრუკი ჩანდა: წელს ზემოთ ტიტველი იყო. დავეწიეთ, გალახვა გვინდოდა, მაგრამ ორი ხანშიშესული კაცი ჩადგა შუაში: „აგი გიჟია და ეპატიება, მაგ შუშას ჩვენ ჩაგისვამთო".

მეორე დღეს საქარე მინა სასტუმრო „ინტურისტში" მოიტანეს. ბათუმის სტუმარმასპინძლობამ მოლოდინს გადააჭარბა. ამინდმაც ხელი შეგვიწყო და თბილისში კარგად გარუჯულები დავბრუნდით.

ერთხელ, დირექტორის კაბინეტში ყოფნისას, კარი ფართოდ იღება. შემოდის ცნობილი პოეტი, ბრწყინვალე იუმორისტი, ელგუჯას კოლეგა და მეგობარი კარლო კალაძე. ხელში თავისი ლექსების ერთტომეული უჭირავს. შორიდანვე მოიქნია წიგნი მისადგმელ მაგიდაზე და მიაძახა: „ფუ გამჭედი გაგიწყდესა" (წიგნი ჩვენი გამომცემლობის გრიფით იყო გამოცემული). ელგუჯა წამოვარდა სავარძლიდან, წიგნს ხელი დაავლო, აივნის ღია კარში მოისროლა და მიაძახა: „ფუ შემქმნელი გაგიწყდესა". წიგნი მარჯანიშვილის ქუჩაზე მიმავალი ტროლეიბუსის სახურავზე დაეცა.

ქუჩაში გავვარდი. ტროლეიბუსი უნივერმაღთან გაჩერებაზე იდგა. მძღოლს ვთხოვე, წიგნი სახურავიდან ჩამოეღო. კაბინეტში რომ შევედი, ორივენი სიცილით იგუდებოდნენ. ელგუჯამ მითხრა: „ვერ გაატანე ეგ წიგნი ტროლეიბუსის მძღოლს, ბატონ კარლოს ერთი მკითხველით მეტი ეყოლებოდაო."

ძვირფასო მკითხველო! ბევრი რამ მემუარებისთვისაა შემონახული, მაგრამ ახლა ეს წერილი ერთი საინტერესო ფაქტით მინდა დავასრულო.

1963 წელია. ელგუჯა მაღრაძე მიბარებს კაბინეტში და მეუბნება: „ახლა წახვალ და ჩემს შვილს დათუნას მონათლავ".

ჩემთვის ეს დავალება დიდი პატივი იყო. პარტნიორად ჩვენი გამომცემლობის თანამშრომელი, ულამაზესი, უპატიოსნესი და ვაჟკაცური ლია ელიოზიშვილი შევარჩიე.

ეს ის დროა, როცა ამგვარი ქმედებისთვის კაცს კომუნისტური პარტიის რიგებიდან რიცხავდნენ და, თავისთავად, თანამდებობასაც ატოვებინებდნენ.

დიდუბის ეკლესიაში ნათლობამ მშვიდად და უმაღლეს დონეზე ჩაიარა. საღამოს კი, ელგუჯას თამადობით, რესტორან „კინტოებში" ახალქრისტიანი დათო მაღრაძის პირველი სადღეგრძელო შეისვა.

მეამაყება, რომ მისი ნათლია ვარ. არ მავიწყდება ელგუჯას მიერ ნათლობის დღეს წარმოთქმული სიტყვა დაჟინებული, უცნაური მოთხოვნით: „ჩვენ ამ საუკუნის ბოლომდე, კიდევ 37 წელი უნდა ვიცხოვროთ".

ელგუჯა მაღრაძემ ნათქვამი ერთი წლით ადრე შეასრულა.

**ჟანი სიხარულიძე**










http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი **ირაკლი თოდუა**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
**ბონდო მძინარაშვილი, გიორგი მამაცაშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **ლევან ზანგურაშვილი**
ვებრედაქტორი **გოჩა ხავთასი**
რეალიზაციის მენეჯერი **დავით ბუაძე**, ოფისმენეჯერი **თათია ვაშაკიძე**,
რეკლამის მენეჯერი **მაია გონაშვილი** (858 10 25 48)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net